ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით ფასი 1,50 ლარი 5 აპრილი 2013 №7(189)

ცა მიწიდან იწყება
მეათედ — საგურამოში
ალექსი ჭინჭარაულის ქრონიკები
რეზო მირიანაშვილის მონიატურები
ინტერნეტი — მსოფლიო სახელმწიფო
მიხავო წერეთელი და მისი ჭირისუფალი
ხიბლი ირაკლი ლომოურის თამაშისა
გენადი მარგველაშვილის სონეტები
ხალიდ ალ-ხამისის ტაქსი
„ზღვარის“ პოეტები



შინაარსი

რედაქტორის გვერდი	2	**მოჩვენებანი?** (მიხაკო წერეთელი და მისი ერთადერთი ჭირისუფალი)
ჩვენი ყოფა, წუთისოფელი	4	**გვანცა ჯობავა ინტერნეტი — მსოფლიო სახელმწიფო** (ანუ ორიოდე სიტყვით ინტერნეტშემოქმედთა სამინისტროს მიღწევების შესახებ)
ექსპრეს-ინტერვიუ	6	**გია აბესალაშვილი „არ შეშინდეთ!“** (მოამზადა ნინო ჩხიკვიშვილმა)
ფიქრი და განსჯა	7	**გია მურღულია ადამიანი და თანამდებობა**
პროზა	8	**რეზო მირიანაშვილი მეხსიერების ანარეკლები**
პირველი შთაბეჭდილება	12	**ამირან არაბული ორიოდე სიტყვა წინასწარ**
პროზა	13	**ალექსი ჭინჭარაული ქრონიკები**
პოეზია	17	**გენადი მარგველაშვილი მოლოდინი და სხვა ლექსები და სონეტები**
	21	**„ზღვარის“ პოეტები**
უცხოეთის ცხოვრებიდან	23	**მაია იანტბელიძე თვალი — გონებაზე შორსმხედველი**
დიალოგი	26	**ნათელა ნათლიაშვილი-კვინიკაძე „გამოიღვიძე, ქნარო, გამოვაღვიძებ ცისკარს“**
ილიას გზით	30	**მეათედ — საგურამოში** (ილია ჭავჭავაძის დაბადების 175-ე წლისთავისათვის)
ესეისტიკა	34	**როსტომ ჩხეიძე ჩემი გალაკტიონიც**
სილუეტი	36	**ლელა ჯიყაშვილი „ცა მიწიდან იწყება“**
მოსაზრება	39	**მურმან ჯგუბურია ოცდაექვსისა და თორმეტის სიმბოლიკა** (ერთი შეკითხვა ბატონ გურამ გოგიაშვილს)
კრიტიკა	40	**მანანა ჩიტიშვილი ხელისგულზე ამოსული ვარსკვლავები** (თამარ შაიშმელაშვილის პოეზია)
	43	**ელგუჯა თავბერიძე ჩარდახში ოგლად მიმჯდარი ქარი**
ჩანახატი	45	**თათია ჯგუშია ჩემი მაია**
ერთი მოთხრობის სივრცე	46	**ნინო ვახანია ხიბლი თამაშისა** (ირაკლი ლომოურის „პარიზელი ქალი“)
ბედი კაცისა	48	**სერგო ვარდოსანიძე თავისუფლების რაინდი**
	49	**გიორგი ალიბეგაშვილი პავლე ინგოროყვა — პიროვნება და მეცნიერი**
ერი და ბედისწერა	51	**ლევან ვასაძე წერილი ქართველ მორაგბეებს**
უცხოური ნოველა	54	**ხალიდ ალ ხამისი ტაქსი**
უბის წიგნაკიდან	60	**ეკატერინე ტუკვაძე საპოვნელა** (ბაბუის — ანტონ ტუკვაძის გახსენება)
ნაკვესები	61	**მახვილსიტყვაობის ნიმუშები**
მოზაიკა	63	**არნახული და არგაგონილი**

ორკვირეული ჟურნალი

დამფუძნებელი **„ილიონი“**

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 322) 96_20_62

რეკლამა – (995 93) 65_93_68

გავრცელება – (995 92) 25_94_94

ფაქსი: (995 322) 96_20_62

E_mail: info@mtserloba.ge

ბეჭდილია სტამბაში "ომეგა თეგი" სარაჯიშვილი, თბილისი, სარაჯიშვილის 17 ტელეფონი: 00 995 322 53 03 62

PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET TELEPHONE: 00 995 322 53 03 62

მთავარი რედაქტორი – **როსტომ ჩხეიძე**

პროზის რედაქტორი – **ივანე ამირხანაშვილი**

პოეზიის რედაქტორი – **მაკა ჯოხაძე**

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – **თამაზ ნატროშვილი**

მხატვრული რედაქტორი – **კარლო ფაჩულია** დიზაინერი – **მალხაზ იაშვილი**

სტილისტ-კორექტორი – **ნინო დეკანოიძე** დაკაბადონება – **თენგიზ რობიტაშვილი**

ოპერატორი – **თამარ ჩიხლაძე** სარეკლამო მენეჯერი – **ეკა ბუჯიაშვილი**

გავრცელების სამსახური – **ლევან კიკნაძე**

გარეკანზე: **გია აბესალაშვილი გოროდნიჩის როლში (გოგოლის „რევიზორი“)**
ფოტო მიხეილ თუმანიშვილის თეატრის არქივიდან
სტამბოლის ხედი

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 19 აპრილს

მოჩვენებანი?

მიხაკო წერეთელი
და
მისი ერთადერთი ჭირისუფალი

თუკი საქმეში სრულიად ჩაუხედავი, მიამიტი მკითხველი გაეცნობოდა თამარ ჟურულის საუბარს ნინო სამსონიასთან „მიხეილ წერეთელი საქართველოს დაუბრუნდება“ („ლიტერატურული გაზეთი“, 2012, 28 დეკემბერი), გულიც აუჩუყდებოდა და სიხარულითაც გაიხარებდა, რომ ბოლოსდაბოლოს ამ დიდებულ პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეს, მეცნიერსა და მთარგმნელს, ემიგრაციის სამსალანასვამ პიროვნებასაც გამოუჩნდა ნამდვილი გულშემატკივარი და ჭირისუფალი ნინო სამსონიას სახით, ვინც გამოსაცემად მოამზადა და კომენტარებიც დაურთო „გილგამეშიანის“ მიხეილ (მიხაკო) წერეთლისეულ თარგმანს (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010 და 2012 წლები. ორჯერ იმიტომ, რომ 2010 წლის გამოცემის ხარვეზები შესასწორებელი გახდებოდა) და ჩარეულია მისი ფერფლის გადმოსასვენებელ პროცესში — ლევილიდან მთაწმინდის პანთეონში.

და ის საქმეში სრულიად ჩაუხედავი და მიამიტი მკითხველი მოიხიბლებოდა რესპონდენტის უკიდურესი თავმდაბლობითაც, როდესაც საკუთარ დამსახურებაზე დიდად ექსპრესიული ლაპარაკის შემდეგ ამ წამოწყებაში თავის წინამორბედთა გარჯასაც არ დაივიწყებდა.

აგერ გრიგოლ გიორგაძის, ვინც 1992 წელს ასირიოლოგიისა და ძველი აღმოსავლეთის ისტორიის კათედრა აღადგინა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, თავის დროზე მიხაკო წერეთლის მიერ დაარსებული. და აქვე გულათრთოლებული რესპონდენტი იმასაც დასძენს: ბატონი გრიგოლის მოწადინება არ იკმარებდა, ოთარ ჯაფარიძის ერთთვიანი რექტორობა და ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობა რომ არაო; მის დამსახურებათა ნუსხას კი ემატება ისიც, რომ ამ ჩვენი რესპონდენტისათვის მასვე შეურჩევია სადისერტაციო თემა მიხეილ წერეთელთან დაკავშირებით.

აგერ კონსტანტინე გამსახურდიასი, ვისაც 1945 წელს, როდესაც საბჭოთა ჯარები ბერლინს მიადგებოდნენ, ხმამაღლა ეთქვა სტალინისათვის: იქ მიხაკო წერეთელია და ხელი არავინ ახლოსო;

აგერ ივანე ჯავახიშვილის, ვინც არასოდეს ერიდებოდა მიხაკო წერეთლის ხსენებას, ეს ერთადერთი ქართველი მეცნიერი, რომელიც უთითებდა მის ნაშრომებს;

აგერ რეზო (ასე ფამილარულად მოიხსენიებს) თაბუკაშვილის, ვინც თავის რამდენიმეწუთიან ფილმში მოახერხებდა ზუსტად ეთქვა მეცნიერის ფასსა და ასირიოლოგიის დარგის მნიშვნელობაზე, და თუმც საბჭოთა ხელისუფლება „მიხეილ წერეთელზე სრულმეტრაჟიანი ფილმის გადაღების ნებას არავის მისცემდა“, ფასდაუდებელი, ზედმიწევნით პროფესიული მასალა ხომ მაინც გაიბნეოდა მის სხვადასხვა ფილმში.

და ამ ჩამონათვალს ეს დასკვნა აგვირგვინებს, ინტერვიუს ჰეპი ენდადაც მომარჯვებული.

— მიხეილ წერეთლის სამშობლოში დაბრუნების საქმეში ამ ადამიანების წვლილიც დიდია.

ამ სურათს რომ გადაავლებ თვალს, ერთი შთაბეჭდილება დაგრჩება — რესპონდენტის უზომო დიდსულოვნება რომ არა, მის გამოჩენამდე არსებითად ორიოდ მარცვალი მიმობნეულიყო მიხეილ წერეთლის სახელის ირგვლივ, ესაა და ესო... მაგრამ ასეა თუ ისე იგი მაინც ამ პიროვნებებთან გასდებს უშუალო ხიდს, როგორც ამ საქმეში მათი სულიერი მემკვიდრე.

რევაზ თაბუკაშვილს საბჭოთა ხელისუფლება ემიგრაციაზე ფილმების გადაღების ნებას უყოყმანოდ რომ რთავდა და აქ ზედმეტია რაღაც ყალბი დრამატიზებანი, ამას ნუღა გამოვედევნებით, განსაკუთრებული აღტაცებისმომგვრელია ის პასაჟი, თითქოს კონსტანტინე გამსახურდიას ხმამაღლა ეთქვას სტალინისათვის, მიხაკო წერეთელს ხელი არავინ ახლოსო.

ნეტა სად მიუმართავს და თანაც ხმამაღლა საბჭოთა იმპერატორისათვის?

იმჟამინდელი პოლიტიკური რეჟიმის არსში ჩახედული ადამიანები ამ სტრიქონების გაცნობისას ჰომერულ ხარხარს ასტეხენ, მაგრამ მე უფრო ის წარმოსახვითი სურათი მხიბლავს, სტალინის ბრძანების მორჩილი საბჭოთა ჯარისკაცები როგორ დარბიან ბერლინის ქუჩებში და გაიძახიან: მიხაკო წერეთელი რომელია, რომ უნებურად ტყვიას ან ყუმბარას არ ემსხვერპლოს და ჩვენი მკერდით დავიცვათო!..

ისე არა კმაროდა მარტო სტალინის გაფრთხილება, რაოდენ მკაცრადაც უნდა მიეთითებინა მისთვის ქართველ მწერალს. ხომ შეიძლება ამერიკელ ან ინგლისელ ჯარისკაცებს ვერ გაეთვალისწინებინათ ბერლინში მიხაკო წერეთლის ყოფნა? ამიტომაც, ეტყობა, კონსტანტინე გამსახურდიამ ფრანკლინ დელანო რუზველტსა და უინსტონ ჩერჩილსაც შეუყვირა და მკაცრადაც გააფრთხილა: თქვენი ჯარისკაცები ცოტა ჭკუით იყვნენ, ბერლინში მიხაკო წერეთელიაო.

გაფრთხილება გაფრთხილებად და... ნეტა ნინო სამსონიას გამოჩენამდე მართლა ასე ბედის ანაბარა გახლდათ მიტოვებული მიხაკო წერეთელი საქართველოში და ივანე ჯავახიშვილის მიერ ხსენების, რევაზ თაბუკაშვილის ფილმებში გაელვების, კონსტანტინე გამსახურდიას მიერ სტალინის დატუქსვისა თუ ასირიოლოგიის კათედრის აღდგენის გარდა არსად ჭაჭანებდა მისი ხსოვნა?

გამოცემის წინასიტყვაობაში ქალბატონი სამსონია მოიხსენიებს გურამ შარაძის სტატიას „მიხაკო წერეთელი“ („ლიტერატურული საქართველო“, 1987, 25 სექტემბერი), მაგრამ, როგორც ჩანს, გაზეთის ფურცლებზე აღარ გაემეტა მისი მოხსენიებაც თავის წინამორბედთა შორის. რაც შეეხება იმავე ხანისა და იმავე გაზეთის პუბლიკაციას — იმავე რედაქტორის ელიზბარ ჯაველიძის თავგამოდებით — გურამ ყორანაშვილის სტატიას „მიხაკო წერეთლის ნააზრევი ერის შესახებ“ („ლიტერატურული საქართველო“, 1988, 18 ნოემბერი), მისი ადგილი არც

წინასიტყვაობაში აღმოჩნდა, თორემ „ლიტერატურული გაზეთის“ ფურცლებზე როგორღა გააღწევდა.

ნეტა მართლა ასე ბედის ანაბარა გახლდათ მიტოვებულიო?..

მაშ „არმაღანის“ 1965 წლის გამოცემას რომ გადავშლით, მაგალი თოდუას მიერ შედგენილს, იქ მხოლოდ მოგვეჩვენება ნაწყვეტის — სახელდობრ, მეათე კარის — განმეორება მიხაკო წერეთლის მიერ თარგმნილი „გილგამეშიანიდან“?

მაშ მოჩვენებითია ზურაბ კიკნაძის მიერ თარგმნილი „გილგამეშიანისათვის“ (1984 წელი) დართულ შესავალ ნარკვევში „გილგამეშის ეპოსი“ მოკლე ანალიზი და შეფასება მიხაკო წერეთლის თარგმანისა და გამოკვლევისა, და ბიოგრაფიული ცნობებიც და ვრცელი ნაწყვეტის დამოწმებაც კონსტანტინეპოლური გამოცემიდან?

მიხაკო წერეთელი

მაშ მოჩვენებითია ედუარდ კოდუას რედაქციითა და შესავალი ნარკვევით გამოცემა მიხაკო წერეთლის ფუნდამენტური მონოგრაფიისა „ერი და კაცობრიობა (სოციოლოგიური ანალიზი)“ 1990 წელს? სხვათა შორის, გარდა ამ მონოგრაფიისა, წიგნს დაერთვის კულტუროლოგიური ნარკვევი „მიმცემი“ და „მიმღები“ და ზოგადისტორიული მონახაზი „მცირე შენიშვნა ქართველთა წინაპართა საკითხისათვის“. აგრეთვე სიტყვა, წარმოთქმული ილია ჭავჭავაძის ტფილისში ჩამოსვენებისას 1907 წლის 7 სექტემბერს, და პირადი წერილები ივანე ჯავახიშვილისადმი.

გურამ შარაძეს მიხაკო წერეთლის ესეებისა თუ ლიტერატურული პორტრეტების ცალკეული პუბლიკაციები რომ არაფრად ჩავუთვალოთ, ეტყობა, „ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორიის“ I ტომიც (2001 წელი) მოჩვენებითობის ფარგლებს ვერა სცილდება, და, ცხადია, აღარც ისაა ანგარიშგასაწევი, წიგნის ნახევარზე მეტი ჟურნალ „თეთრი გიორგის“ ფურცლებზე მიხაკო წერეთლის ლიტერატურულ და პუბლიცისტურ გამოსვლებს რომ ეთმობა.

თქვენი მონა-მორჩილის ბიოგრაფიული რომანი „მგზავრი თიბათვის მზეში (მიხაკო წერეთლის ცხოვრების ქრონიკა)“ (2009 წელი), სადაც, სხვათა შორის, ვრცელი მსჯელობაა ამ დიდებული მოღვაწის ასირიოლოგიურ ღვაწლსა და უშუალოდ გილგამეშის ეპოსის თარგმანზე (ჯერ მარტო ეს საგანგებო თავი რომ გავიხსენოთ „სულიერ თავშესაფრად — „გილგამეშიანი“), ხომ მართლაც მოჩვენებითია და მოჩვენებითი.

და ამ რომანის განხილვაც ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ დარბაზში და მიხაკო წერეთელზე საჯარო ლექციაც ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში მოჩვენებითობის ანარეკლებია და სხვა არაფერი თავის რეპორტაჟებიანად: ანა ბერძენიშვილი „მეციხოვნე“ („ჩვენი მწერლობა“, 2011, 29 აპრილი), თამარ ყალიჩავა „პატრიოტიზმი და კოსმოპოლიტიზმი“ („ჩვენი მწერლობა“, 2009, 25 დეკემბერი).

მოჩვენებითობის ანარეკლები იქნება ასევე ბიოგრაფიული რომანის ავტორის საუბარი ნანა გოგიასთან „მხოლოდ დიდი საუფლოს კარიბჭესთან“ („ჩვენი მწერლობა“, 2009, 26 ივნისი) და რეცენზია-გამოხმაურებანი: ვაჟა ჩოჩიას „ერის სამსახურად“ („გალაკტიონი“, 2010, 13 ივნისი), მარინე ტურავა „ანდერძი მიხაკო წერეთლისა“ („გალაკტიონი“, 2012, 17 ივნისი) და თემურ ნადარეიშვილის „ეს ფანტასტიკური რეალობა“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 2012, 17 ივლისი).

მაშ მართლაც უნუგეშოდ ყოფილა მიტოვებული და ეგაა, თორემ მოჩვენება რეალობად ვის ჩაუთვლია.

კიდევ კარგი, ბოლოსდაბოლოს მიხაკო წერეთელსაც ეღირსა ნამდვილი გულშემატკივარი და ჭირისუფალი, ივანე ჯავახიშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას, რევაზ თაბუკაშვილისა და გრიგოლ გიორგაძის გვერდით რომ იკავებს სავსებით კუთვნილ ადგილს.

ანოტაციაში ქალბატონი სამსონია დიდ მადლობას უხდის კემბრიჯის უნივერსიტეტსა და ბრიტანელ მეცნიერებს, „რომელთა უშუალო დახმარებით თითქმის საუკუნის წინ დაკარგული თარგმანი ქართველ მკითხველს დაუბრუნდა“.

ნეტა რატომ შეაწუხა კემბრიჯის უნივერსიტეტი და ბრიტანელი მეცნიერები მიხაკო წერეთლის მიერ თარგმნილი „გილგამეშიანის“ კონსტანტინეპოლური გამოცემის მოსაპოვებლად, როდესაც ამ გამოცემაზე ყველას მიუწვდება ხელი, ვინც კი პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას მიაკითხავს, და სხვათა შორის (წინააღმდეგ ქალბატონი სამსონიას მტკიცებისა), საბჭოთა ეპოქაშიც ხელმისაწვდომი გახლდათ ყოველგვარი საგანგებო ნებართვის გარეშე.

ასე რომ, ვისთვის დაკარგული გახლდათ და ვისთვის — არა.

მაგრამ... თუ ესეც მოჩვენებაა და კემბრიჯული პროექტის გარეშე მართლაც გვეკარგებოდა ის მხატვრული ძეგლი?..

მაშ ბარაქალა, ვინც კემბრიჯთან გასდო ხიდი!..

ამ ინტერვიუს გაცნობისას ერთადერთი იმაზე შეიძლება დაწყდეს გული მკითხველს, დაფარული რომ დარჩა კონსტანტინე გამსახურდიას ხმამაღალი სიტყვები რუზველტისა და ჩერჩილისადმი, მაგრამ ალბათ ნუგეშად მოგვევლინება ნინო სამსონიას სხვა გამოსვლები ჩვენი პერიოდიკის ფურცლებზე, სადაც ამ წვრილმანებსაც დაგვიზუსტებენ და ყველაფერი უკვე ისეთი შეუმცდარობითა და მიუკერძოებლობით დალაგდება „გილგამეშიანის“ მთარგმნელის ირგვლივ, გულს აღარაფერი დაგვაკლდება.

გვანცა ჯობავა

ინტერნეტი — მსოფლიო სახელმწიფო

ანუ ორიოდე სიტყვით ინტერნეტშემოქმედთა სამინისტროს მიღწევების შესახებ

ვუძღვნი საკუთარ თავს და ინტერნეტის სახელმწიფოს უამრავ „დამლაიქებელ“, „დამკომენტარებელ“, „დამთაგავ“ და „დამშეარებელ“ მოქალაქეს.

თანამედროვე საზოგადოების უდიდესი ნაწილი ყოველგვარი მაჟორიტარული თუ პროპორციული არჩევნების გარეშე თანაცხოვრობს ერთ უზარმაზარ სახელმწიფოში, რომელსაც ინტერნეტი ჰქვია. ამ სახელმწიფოს ყველა მოქალაქე თანაბარი უფლებებით სარგებლობს და მხოლოდ საკუთარი შესაძლებლობების უკეთ რეალიზებაზეა დამოკიდებული. ძირითადი და სახელმწიფო ენა თითქმის ყველასთვის ერთია, კურთხეული ინგლისური.

მოქალაქეობის მიღების პირობები: უბრალოდ ჩართეთ თქვენი კომპიუტერი, „ენთერ“ ღილაკზე ერთი დაწკაპუნებით გახსენით „გუგლ ხრომი“ ან „მოზილა“ და მოქალაქეობას მომენტალურად მიიღებთ. ხოლო თუ რომელიმე საიტზე დარეგისტრირდებით კიდეც (რეკომენდირებული საიტები: „ფეისბუქი“, „ტვიტერი“, „ჯიმაილი“, „იუთუბი“ და ა.შ), გარწმუნებთ, რომ მოქალაქეობის დაკარგვის საფრთხე არასდროს დაგემუქრებათ.

ამ სახელმწიფოში ინტეგრაციის უკუჩვენებებია: მრავალი უძილო ღამე და მასობრივად ჩაწითლებული თვალები, უსულო საგნებთან (კომპიუტერი, ნოუთბუქი, „აიფონი“) მიჯაჭვულობა, რეალური ურთიერთობების მოთხოვნილების დაძაბუნება (უკიდურესი გამოხატულება: ერთ ოთახში გვერდიგვერდ მსხდომი ადამიანებიც კი ხშირად „სკაიპის“, „ფეისბუქის“, „ტვიტერის“ ან სხვა საშუალებების გამოყენებით ესაუბრებიან ერთმანეთს).

რატომ ვიკითხოთ წიგნები ბეჭდური სახით და მოგზაურობისას მხრებით ვათრიოთ მთელი ბიბლიოთეკა, როდესაც შეგვიძლია „ქინდლებში“, „ნოუთბუქებსა“ ან თანამედროვე ტელეფონებში ჩავწეროთ ელექტრონული წიგნები და უფრო მოხერხებულად ვიკითხოთ ნებისმიერ ადგილას?! რატომ დავიხოცოთ თავი თესვით, მარგვლით და ბარვით, როდესაც სავსებით შესაძლებელია ჯადოსნურ კლავიატურასთან შეხებით ხუთ წუთში უფრო მეტად ჯადოსნური ფერმების, ბაღებისა და ვილების მფლობელები გავხდეთ?! განა უამისოდ ცხოვრება ზედმეტი თავის ტკივილი არ იქნებოდა?! რატომ შევიკრიბოთ მეგობრები საღამოს სადმე კაფეში, ბუნებასა ან ერთმანეთის სახლებში, როდესაც შეგვიძლია ინტერნეტში „გრუფ ჩათი“ გავმართოთ და იქ გავუზიაროთ ერთმანეთს მთელი დღის სიახლეები ან თუ მაინც გადავწყვეტთ სადმე ერთად წასვლას, მობილური ტელეფონების საშუალებით „ფეისბუქზე“ აუცილებლად უნდა გავაკეთოთ ე.წ. „ჩექ ინი“, რათა ოფიციალურად დავაფიქსიროთ ინტერნეტ თანამოქალაქეების წინაშე, რომ მათ გაუფრთხილებლად ფეხიც არ გადაგვიდგამს. რატომ დავპატიჟოთ გოგონა პაემანზე და რატომ ვატაროთ სამარცხვინოდ ქუჩაში ყვავილები, როდესაც „სკაიპში“ სულ მცირე გარჯის შემდეგ ათასობით ყვავილი და უფრო მეტი კოცნა შეგვიძლია გავუგზავნოთ ჩვენს მოწონებულს (ცოტა ხნის წინათ ტელევიზორში მოვკარი თვალი, რომ კომპიუტერს მიმაგრებული სპეციალური მოწყობილობა გამოუგონიათ შეყვარებულთათვის. თუ ეს მოწყობილობა ორივე მხარეს ექნება, შეუძლიათ შინიდან გაუსვლელად ერთმანეთს კიდეც ეამბორონ. ვიდრე ეს მოწყობილობა საქართველომდე ჩამოაღწევდეს, ამასობაში ამერიკაში ალბათ ინტერნეტით შვილებსაც კი გააჩენენ და ჩვენ ისევ ერთი ან მეტი საფეხურით უკან ვიქნებით)?! რატომ ვისხდეთ გაყინულ ან თუნდაც გამთბარ ბიბლიოთეკებში ამა თუ იმ კვლევის მოსამზადებლად, როდესაც ჩვენი დედა „გუგლი“ და მამა „ვიკიპედია“ (სქესის ჩემებური განაწილებაა და განხილვას ექვემდებარება) ასე გვიმარტივებენ ცხოვრებას?! „სერჩის“ სპეციალურ გრაფაში საჭირო სიტყვა ჩაწერე და მთელი ბიბლიოთეკა ისედაც ხომ შენ ფერხთით იქნება. რატომ დავხარჯოთ დრო, ფული და ენერგია მოგზაურობაში, როდესაც შენი ბიძაშვილი „გუგლ მეფი“ და დეიდაშვილი „გუგლ ერსი“ ნებისმიერ საოცნებო ქვეყანასა თუ ქალაქში გამოგზაურებენ, ნებისმიერ ქუჩაზე გაგატარებენ, ნებისმიერ ღირსშესანიშნაობასთან მიგიყვანენ, ნებისმიერ მდიდრულ სასტუმროში გაცხოვრებენ და ყველა კმაყოფილი დარჩება?! ან მუზეუმების დათვალიერება რა პრობლემაა, შენ მხოლოდ „დაგუგლე“ და მთელი საგანძური, ნებისმიერი ექსპონატი შენ თვალწინაა. რა აჩემებაა ნეტავ ამ ყველაფრის ცოცხლად ნახვა (თუმცა ეს უკანასკნელი იმდენად ძვირი სიამოვნებაა, რატომაც არ უნდა ავიხდინოთ ოცნებები თუნდაც ინტერნეტის საშუალებით?!), როდესაც ასეთი მარტივი და ეკონომიურია ცხოვრება ინტერნეტის სახელმწიფოში — მაქსიმალურად დაზოგილი და, ამასთანავე, ინტერნეტში ჩაძირული და ინტერნეტით შეპყრობილი ადამიანებისთვის, მაქსიმალურად აჩქარებული დრო. და აქვე ინტერნეტში ჯერ კიდევ ვერინტეგრირებული ზოგიერთი მშობლის საყვედური შვილებისადმი:

— ნუთუ იმისთვის გაგაჩინეთ, რომ მთელი ცხოვრება ერთ ყუთთან მსხდომებმა გაატაროთ?

აბა, რა ესმით, რომ მათი შვილი, რომელიც იმ წუთას მათ წარმოდგენაში ეშმაკის მოგონილ ყუთთან უმაქნისად ზის, სინამდვილეში ოკეანის გადაღმა, ამერიკის შეერთებულ შტატებს სტუმრობს და „ლას-ვეგასის“ ერთ-ერთ კაზინოში თამაშობს. დიდი შანსია მილიონერიც გახდეს და მერე თავის „უვიც“ მშობლებს ნიშნისმოგებით უთხრას, რომ თანამედროვე ცხოვრების აზრზე არ არიან.

ინტერნეტის სახელმწიფოში საგანგებოდ ცალკეა გამოყოფილი „ინტერნეტშემოქმედთა“ სამინისტრო. აქაც იგივე — ცხოვრების სიმარტივე. აბა, რა აუცილებელია ათასი ცენზორის გემოვნების იმედად დატოვო შენი საზოგადოებრივი სტატუსი, როდესაც ამ სივრცეში ყველას შეუძლია გახდეს მწერალი, პოეტი, მომღერალი, კომპოზიტორი და ასე შემდეგ. ჩართე ჩვეულებრივი კამერა, დადექი მის წინ და იმღერე. ჩართე კამერა, დადექი მის წინ და ლექსი წაიკითხე, მერე სულ მარტივ კომპიუტერულ პროგრამა „მუვ მეიქერში“ მცირედი „ეფექტები“ დაადე და გამზადებული ვიდეო „იუთუბზე“ ან „ფეისბუქზე“ ატვირთე. განა როგორ უნდა გაჭირდეს საქმე, რომ ამ ვიდეოს „დამლაიქებელი“, „დამკომენტარებელი“, „დამთაგავი“ და „გამშეარებელი“ მეგობრები, ახლობლები ან ჩვეულებრივი ნაცნობები გაწყდნენ, მერე წარმოიდგინეთ იმ მეგობრებს, ახლობლებს და ნაცნობებს რამდენი „დამლაიქებელი“, „დამკომენტარებელი“, „დამთაგავი“ და „დამშეარებელი“ მეგობრები ჰყავთ თავიანთ „ფეისბუქ ექაუნთში“, ახლა იმ მეგობრების მეგობრებს თავის მხრივ რამდენი „დამლაიქებელი“, „დამკომენტარებელი“, „დამთაგავი“ და „დამშეარებელი“ მეგობარი ეყოლებათ და იმ წუთიდან ეს ვიდეო პირველად ?აშეარდა თუ არა, იგულისხმე, რომ თავბრუდამხვევი კარიერა გარანტირებულია, და თუ თვალისმომჭრელი გარეგნობა, სხვადასხვა გარემოში გადაღებული შთაგონებული ფოტოებიც ხელს გიწყობს და კიდევ ერთი დიდი პლუსი იქნება თუ მამაკაცთა სქესს წარმოადგენ, თამამად შეგიძლია თქვა, რომ უკვე მწერალი ხარ, უკვე პოეტი ხარ, უკვე მომღერალი ხარ, უკვე კომპოზიტორი ხარ და რა გამოლევს ამ პროფესიების ჩამონათვალს.

როცა საქმე პოეზიას ან მუსიკას ეხება, არსებობს ერთი რეცეპტიც: მაქსიმალურად მარტივი ტექსტი, მაქსიმალურად მარტივი მუსიკა. ეს ყველაზე კარგად მუშაობს ფართო მასებზე და თუ შენი ვიდეოს „ლაიქების“ რაოდენობა რამდენიმე ათასია, ჩათვალე, რომ ტელესამყაროსაც მალე დაიპყრობ და პერსონალური საღამოები, ოღონდ უკვე რეალურ სამყაროშიც, გარანტირებულია. ეს ნიშნავს, რომ უკვე ცხვირის მაღლა აწევის მიზეზი და უფლებაც გაქვს და აწევ კიდეც, აბა, რას იზამ. ცხოვრებამ ასე მოიტანა. შემდეგ, როდესაც ეს პირველი ტალღა გადაივლის, გაგახსენდება, რომ არსებობს ასეთი საგანი, ნივთი, რასაც წიგნს ეძახიან. მოდი, „დავგუგლოთ“. „ვიკიპედია“ იუწყება:

წიგნი *— ინფორმაციის მნიშვნელოვანი საშუალება, ცოდნის გავრცელების, განათლებისა და აღზრდის იარაღი. წიგნის ტექსტების ფიქსირება ხდება ფურცლებზე ნიშნების, ასოების ან სხვა გრაფიკული გამოსახულებების საშუალებით, რომლებიც აღიქმება ვიზუალურად (გამონაკლისია წიგნები უსინათლოთათვის, რომლებიც ბრაილის შრიფტით არის დაწერილი).*

თანამედროვე წიგნი წარმოადგენს ყუაში ჩამაგრებული ტექსტებისა და ილუსტრაციების შემცველი ფურცლების კოდექსბლოკს გარე დამცველი ელემენტებითურთ (ყდა, გარეკანი) და ნაბეჭდი გვერდების განსაზღვრული რაოდენობით — იუნესკოს რეკომენდაციების შესატყვისად — ნაბეჭდ თაბახზე მეტი ე.ი. არანაკლებ 48 გვერდისა.

დიდი ვერაფერი მოთხოვნაა! ჰოო, ეს კარგი მოიფიქრე, აბა რა, წიგნი აუცილებელია. მითუმეტეს, რომ „ძველმოდურ“ გალაკტიონს და ბევრ სხვა მისნაირსაც ჰქონდათ პერსონალური კრებულები და ზოგს - არაერთიც. დიახ, დიახ, სწორედ იმ გალაკტიონს, შენთან შედარებით ერთი „ლაიქი“ და ერთი „შეარიც“ რომ არ ჰქონია და მაინც პოეტობასაც რომ არ დასჯერდა და მეფობაც დაიჩემა. მოკლედ ძალიან მარტივად მოსაგვარებელია ეს პრობლემაც, სულ მცირედი ფინანსური შეძლება (ასეთ პოპულარულ ადამიანს პრინციპში სპონსორის მოძებნაც არ უნდა გაგიჭირდეს) და სოლიდური გამომცემლობა თუ ვერ დაინტერესე და მათგან შემოთავაზებების მიღების მოლოდინიც ძალიან მოგბეზრდა, უბრალოდ მიმართე ნებისმიერ სტამბას, რომლებიც ასე მრავლადაა ჩვენთან (მითუმეტეს, გამოკითხვა რომ ჩაატარო, გამოკითხულთა 90 პროცენტი, მეტი თუ არა, სტამბას და გამომცემლობას ერთი და იგივე დაწესებულებად დაასახელებს), დიდი კონკურენციის პირობებში სანთლით რომ ეძებენ კლიენტებს და უბრალოდ შეუკვეთე. მერე რა, თუკი არ იცი, რომ წიგნის ორასი ფურცელი და ორასი გვერდი ერთი და იგივე არაა და ვერც სხვა საგამომცემლო ტერმინოლოგიაში ერკვევი.

ასეთ გაუგებრობებს კი არა, მუნჯის ენას გაიგებს კაცი, თუ მოინდომა.

დეტალებში გარკვევის შემდეგ, წიგნი სტამბაში ჩაეშვება და სულ მალე „ფეისბუქზე“ შეიქმნება ახალი „ივენთი“, რომელიც ახალი პოეტური თუ პროზაული კრებულის გამოცემისა და მოსალოდნელი პრეზენტაციის შესახებ ინფორმაციას მიაწვდის უამრავ „დამლაიქებელ“, „დამკომენტარებელ“, „დამთაგავ“ და „დამშეარებელ“ მეგობარს, მეგობრის მეგობარს, მეგობრის მეგობრის მეგობარს და ასე უსასრულოდ. სპეციალური „ჯოინ“ ღილაკის მეშვეობით კი, უამრავი „დამლაიქებელი“, „დამკომენტარებელი“, „დამთაგავი“ და „დამშეარებელი“ მეგობარი, მეგობრის მეგობარი, მეგობრის მეგობრის მეგობარი და ასე უსასრულოდ, დაადასტურებს მზადყოფნას ცოტა ხნით გასცდეს ინტერნეტის სახელმწიფოს საზღვრებს და რეალურ გარემოში სტუმრობით დააფასოს თავისი კუმირი.

როგორც ჩანს ინტერნეტის სახელმწიფოს ხელისუფალთ ერთპიროვნული მმართველობის დამყარებამდე ჯერ კიდევ დარჩათ საკითხები, რომლებიც ინტერნეტ პარლამენტში სასწრაფო განხილვას საჭიროებს. აი, მაგალითად, ერთ-ერთი მათგანი: კვლავაც არსებობს ადამიანებში კუმირებთან უშუალოდ შეხვედრის და, გამართლების შემთხვევაში, მათგან ავტოგრაფის არა ბეჭდური, არამედ ხელნაწერი სახით მოპოვების ცდუნება.



გია აბესალაშვილი

„არ შეშინდეთ!“

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?
— ულმერთობა, სასოწარკვეთა.
— სად ისურვებდით ცხოვრებას?
— საქართველოში.
— რა არის უმაღლესი ბედნიერება?
— როცა ეკლესიის წიაღში ხარ და — ჯანმრთელი.
— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?
— დონ-კიხოტი, ავთანდილი, პატარა უფლისწული.
— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟი?
— მეფე დავით აღმაშენებელი.
— თქვენი საყვარელი მხატვარი?
— მოდილიანი, მონე, დეგა, რემბრანტი, ფიროსმანი, გომელაური.
— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?
— მოცარტი, ფალიაშვილი, ლაღიძე, კერესელიძე.
— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად კაცში?
— სიმტკიცეს, გამბედაობას.
— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?
— სიყვარულს, ერთგულებას.
— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის ყველაზე მომხიბლავი?
— ქველმოქმედება.
— თქვენი საყვარელი საქმიანობა?
— ხატვა.
— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ ყოფილიყავით?
— არც ერთი.
— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?
— სწრაფვა უკეთესობისკენ.
— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?
— სიყვარულს, თანადგომას, თავგანწირვას.
— თქვენი მთავარი ნაკლი?
— სიზარმაცე.
— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?
— ყველაზე ძვირფასი ადამიანის გვერდით ყოფნა.
— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?
— ურწმუნოდ კაცის გარდაცვალება...
— როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?
— უკეთესი.

— თქვენი საყვარელი ფერი?
— მწვანე.
— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?
— ედელვაისი.
— თქვენი საყვარელი ფრინველი?
— შევარდენი.
— თქვენი საყვარელი მწერალი?
— რეზო ინანიშვილი, გურამ დოჩანაშვილი, რეზო გაბრიაძე, ერნესტ ჰემინგუეი.
— თქვენი საყვარელი პოეტები?
— გალაკტიონი, ტიციანი, ლადო ასათიანი, მურმან ლებანიძე.
— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?
— ვერ ვიხსენებ...
— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?
— გენო ადამია, ზალიკო ქიქოძე, ლევან აბაშიძე, გია ყარყარაშვილი, ელდარ კურტანიძე და კიდევ ბევრი სხვა.
— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?
— თამარ მეფე, ქეთევან წამებული, მარო მაყაშვილი.
— საყვარელი სახელები?
— ძალიან მომწონს როცა ადამიანებს ღირსეული პიროვნებებისა და წმინდანთა სახელები ჰქვიათ...
— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?
— ვერ ვიტან ცრუპენტელებს, თავხედებს, ხეპრეებს.
— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?
— ეჟოვი, ხრუშჩოვი.
— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტნაკლები აღტაცებისა?
— დიდგორი. აფხაზეთის ომში ჩატარებული ბევრი საომარი ოპერაცია.
— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?
— თუ შეიძლება ასე ვუპასუხებ — მაცხოვრის მოვლინება კაცობრიობის გადარჩენად....
— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?
— გამჭრიახობას, ადამიანის ამოცნობის უნარს.
— როგორი გინდათ რომ გარდაიცვალოთ?
— ნაზიარები.
— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?
— საკუთარი თავის ძიებაში ვარ...
— ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?
— სისუსტე, შიში.
— თქვენი დევიზი?
— არ შეშინდეთ!
— თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?
— მიპატიებია.

გია მურღულია

ადამიანი და თანამდებობა

მოჰამედალი ესლამი ნოდუშანი მე-20 საუკუნის გამორჩეული ირანელი მოაზროვნე და მოღვაწეა, რომელსაც საკუთარ ხალხში უზარმაზარი ავტორიტეტი აქვს. ეს შესანიშნავი მწერალი, პუბლიცისტი, მკვლევარი და მთარგმნელი თავისი ხალხის ისტორიული, სოციალური და შემოქმედებითი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტებს სწავლობდა, აანალიზებდა და აფასებდა. ამ ჯერზე ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესოა მისი აზრი ირანელი ხალხის ბუნებასა და ხასიათზე, რასაც ეს კაცი მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში არსებით საფიქრალად იხდიდა. ჩემი ინტერესი იმითაც არის გაპირობებული, რომ ნოდუშანისეული ანალიზი და შეფასება ქართველებისთვისაც ნამდვილად გასათვალისწინებელია — რასაც ეს ადამიანი ირანელებზე წერს, ზოგიერთ სოციალურ განზომილებაში, დიდწილად, ჩვენთვისაც ნიშანდობლივია.

2004 წელს ქართულად გამოვიდა ნოდუშანის ესეების მცირე კრებული (სპარსულიდან თარგმნა **თეა შურღაიამ**), სერიით **„ფიქრები. რჩეულთა ბიბლიოთეკა“** (გივი ალხაზიშვილისა და როსტომ ჩხეიძის რედაქციით), და ერთ-ერთ ესეში **(„ადამიანობა და თანამდებობა“)** ვკითხულობთ:

„ჩვენს ქვეყანაში ზოგიერთმა წესად გაიხადა, ამა თუ იმ პიროვნების ღირსება და მნიშვნელობა იმის მიხედვით შეაფასოს, თუ რა თანამდებობა უკავია სახელმწიფო მართვის აპარატში, ან რამდენადაა დამოკიდებული ეს პირი მთავრობაზე. ასეთ ადამიანებს „წარმატებულად“ ისინი მიაჩნიათ, ვისაც საერთო სახელმწიფო გობიდან ლუკმა შეხვდება, ხოლო „ხელმოცარულად“ — ისინი, ვინც ამ ლუკმის გარეშე დარჩა...

აზროვნების ამგვარი წესი საზოგადოების გონებრივი სიმწირისა და კულტურული დაცემის სავალალო ნიშანია. ბედნიერებისა და ღირსების შემოფარგვლა ამ ერთი რამით, თანაც ყველაზე არამდგრადითა და არასაიმედოთი, იმის მაჩვენებელია, რომ სიცოცხლის არსი და ადამიანური ღირებულებანი დამცირებული და უარყოფილია...

ვიდრე ეს მდგომარეობა შენარჩუნებულია, ვიდრე ღირსება, ავტორიტეტი და გავლენა დამოკიდებულია სახელმწიფო თანამდებობაზე, არ უნდა მოველოდეთ, რომ ჩვენს ქვეყანაში მეცნიერება და კულტურა განვითარდება ან ცოდნას მუშტარი გამოუჩნდება. ვიდრე რადიოს დიქტორი, რომელსაც მკაფიო და რიხიანი ხმა აქვს, სიცოცხლეში რომელიმე ფიზიკოსზე უფრო პატივცემული და უზრუნველყოფილია, ვიდრე საზოგადოებასთან ურთიერთობის რომელიმე სამმართველოს უფროსს მეტი ავტორიტეტი და დაფასება აქვს, ვიდრე უნივერსიტეტის პროფესორს, ერის სულიერი განვითარების იმედით არ უნდა ვსაზრდოობდეთ...

ჩვენი საზოგადოება იქცა აღებ-მიცემობის საზოგადოებად. ერთი საქმეს უკეთებს მეორეს, რომლისგანაც თვითონ ხეირს გამოელის და პატივს სცემს მანამ, სანამ მისგან სამსახურის იმედი აქვს...

ამ მდგომარეობამ გამოიწვია საზოგადოებრივი და სახელმწიფო სტრუქტურების არაკომპეტენტური და მრწამსის უქონელი პირებით გავსება, რადგანაც ამ საზარელ პაექრობაში, რომელიც გლადიატორთა ბრძოლას არ ჩამოუვარდება, მეტწილად იმარჯვებენ არა უფრო კომპეტენტურნი და ღირსეულნი, არამედ უფრო თავხედნი, ნამუსგარეცხილნი, მოხერხებულნი და მარიფათიანნი. ასე რომ, საზოგადოებრივ სტრუქტურებში გაბატონებულია ნადავლის გაყოფის, დროსტარების, პოპულიზმისა და კოკობზიკობის სულისკვეთება...

პატივისა და შემოსავლის დამოკიდებულებამ სახელმწიფო თანამდებობაზე ცოდნისა და განათლების ჩამორჩენა გამოიწვია. ეს არის, ჩემი აზრით, მისგან მიყენებული ყველაზე დიდი ზიანი...

ჩვენს ქვეყანაში არ არის შექმნილი „კულტურული ატმოსფერო“. ამ საქონელს მუშტარი არ ჰყავს...

ვისაც მცირედი პრეტენზია მაინც აქვს ღირსებასა და მიხვედრილობაზე, ზოგჯერ მაინც დაეკითხოს თავის თავს: განა ვღირვარ კი იმ პურის ფასად, რომელსაც ვჭამ? ეს ჩვეულებრივი და, ამასთან, ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვაა ადამიანისათვის, მაგრამ რამდენმა ჩვენგანმა დაუსვა თავს თუნდაც ერთხელ ასეთი კითხვა?“

სალამი, საქართველოვ!

ეს კაცი შენზეც წერს.

სამწუხაროდ, ჩვენში ნაკლებად არის თვითშემეცნებისა და თვითშეფასების კულტურა — მომენტი ჭამს სტრატეგიულ (კონტექსტზე დაფუძნებულ) ფიქრს. „თავისად ცხოვრების“ (ვაჟას სიტყვებია) ხიბლი ამგვარ კულტურას არა მხოლოდ არასასურველ რაობად, არამედ სრულიად უპერსპექტივო მომავლად აღიქვამს. „აღებ-მიცემობისა“ და „სოციალური ნაცვალგების“ საზოგადოება ჰარმონიულ განვითარებას ვერ მოახერხებს — ეს ირანელებზე ნაკლებად არ უნდა გვაწუხებდეს და გვტკიოდეს. იქ, სადაც თანამდებობა ღირსებას აღემატება, მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობას იწყობენ — თან ძალიან ცოტანი. საზოგადოება და სახელმწიფო კი მუდმივად წაგებულნი რჩებიან. ამგვარი ყოფა და განწყობა თუ არ შეიცვალა, ახალგაზრდა თაობაშიც ისევე დაიბუდებს და გაიფურჩქნება ნიჰილიზმი, როგორც ძველში — მსახურების იდეა დაცინვის ობიექტად დარჩება, ხოლო სიტყვა „პატიოსნება“ — „იდიოტის“ ან „ხელმოცარულის“ სინონიმად.

იცით, რა არის ნამდვილი ქართული ოცნება? — ამ ყველაფრის გაცნობიერება და, შესაბამისად, გონივრული მოქმედება მდგომარეობის გამოსასწორებლად. როცა ცოტა ადამიანია ბედნიერი, ეს ურიგო არ არის, მაგრამ ნამდვილი სიკეთე ისაა, როდესაც ბედნიერება ყველასთვის ხელმისაწვდომია. ადამიანის თავისუფლება, პირველ რიგში, ღირსების თავისუფლებას გულისხმობს. ამა თუ იმ ერის მთავარი მონაპოვარი ის უნდა იყოს, რომ ორი სიტყვა — „სამშობლო“ და „სახელმწიფო“ — სიყვარულისა და პატივისცემის ხარისხით დიდად არ დაშორდეს ერთმანეთს.

დაიბადა 1944 წლის 5 ივნისს, თბილისში; 1961 წელს დაამთავრა 53-ე საშუალო სკოლა; 1966 — თსუ დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი; 1970 — ლიტერატურის ინსტიტუტის ასპირანტურა; 1973 — დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია; 1974-76 — წყალთა მეურნეობის სამინისტროს კონტრაქტით ინგლისური ენის თარჯიმანი სირიის არაბთა რესპუბლიკაში; 1976-80 — ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომელი; 1980-85 — საქართველოს სახელმწიფო კინოკომიტეტის მთავარი რედაქტორი; 1985-87 — ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი; 1987-91 — ხალხთა მეგობრობის მუზეუმში ინფორმაციის განყოფილების გამგე; 1991-დან ლიტერატურის ინსტიტუტში ინფორმაციისა და უცხოეთთან სამეცნიერო ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელი;

ხელოვნება მისი სტიქიაა. უფრო სწორად, ცხოვრებაა, რადგან სადაც უნდა ყოფილიყო, სადაც უნდა ემუშავა, ყველგან და ყოველთვის თან დაჰყვებოდა მწერლობისა და მხატვრობის სიყვარული. სამყაროს მხატვრის თვალით უყურებს. ხატავს და ჰყვება იმას, რასაც ხედავს, რასაც განიცდის, რაც თავისია, თავის სულსა და გულში გამოტარებული. ადამიანური სულის სიღრმე და მშვენიერება, ურთიერთობათა მადლი და სიკეთის ღვთაებრივი სიმაღლე, სიძველისადმი „გრძნობა-პატივი“ და დრო-სივრცის უსასრულობა — აი, რეზო მირიანაშვილის შემოქმედების მთავარი თემები.

რეზო მირიანაშვილი

მეხსიერების ანარეკლები

თბილისელები

განა რა იყო თბილისში ისეთი განსაკუთრებული, რომ მას „დიადი საბჭოეთის“ სხვა ქალაქებიდან საგანგებოდ გამოარჩევდნენ ხოლმე?... ალბათ ბევრი რამ. ერთ-ერთი კი თბილისური „უბნელობა“ უნდა ყოფილიყო.

იმ დროს საოჯახო საქმეები, სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხები და ინტიმური ურთიერთობებიც კი უბანში ირჩეოდა. რაკი ეს ყველაფერი, იმდროინდელი ცხოვრების წესის შესაბამისად, ყველას თვალწინ, სხვათა დასანახად, ეზოსა ან ქუჩაში ანუ „სცენაზე“ ხდებოდა, მეზობლებიც გაათმაგებულად ეფერებოდნენ ერთმანეთს, თუ მოსაფერებელი იყო, ხოლო მათ შორის შავი კატა თუ გადაირბენდა, ასევე თავშეუკავებლად იწყებდნენ ერთმანეთში დავასა და ჩხუბს. პლეხანოვზე, სვანეთის უბანში, ელიაზე თუ ნახალოვკაში ზუსტად იგივე ურთიერთობები იყო, რაც ვერაზე.

ქართველები, სომხები, აისორები, აზერბაიჯანელები, ბერძნები, ებრაელები, ქურთები, გერმანელები, უკრაინელები, რუსები თითქოს თბილისში ერთ ოჯახად საცხოვრებლად, საგანგებოდ შეყრილიყვნენ. ერთი მონღოლიც კი ცხოვრობდა, უბნელი მენავთე, რომლის გარშემო, გარდა ნავთით გაპრიალებული ოქროსფერი ზარისა, ყველაფერი ჭუჭყიანი იყო — თვითონ გამყიდველიც, მისი მსგავსი ბუთხუზა, კოფოზე მჯდომი წვრილთვალება ბიჭიც, ზარის წკარუნით მამას რომ დიდი ამბით „ეხმარებოდა“ ვაჭრობაში, ნავთის ურიკაცა და შიგ შებმული ცხენიც, გახვითქულს რომ უფრო ასდიოდა ხოლმე ნავთის სუნი. ლეკი მკალავი ხომ ბოლო დრომდე შემორჩა ბელინსკის ქუჩას, ვიდრე მისი ჭურჭელი სრულ ანაქრონიზმად და მხოლოდ კოლექციონერთა თუ თურქეთში სპილენძის გამზიდველთა სანადიროდ იქცეოდა...

მეზობლები ხან იყოფდნენ ერთმანეთში წყლის საერთო ონკანს, სარეცხის გასაფენ ხეებსა თუ საერთო საპირფარეშოებს, ხან ვერა. დიასახლისები დიდხანს ვერ წყვეტდნენ ნაგავსა თუ შეშასთან დაკავშირებულ გადაუჭრელ საკითხებს, რაც ძირითადად მათი შეტაკების მიზეზად იქცეოდა ხოლმე. ბავშვების გაუთავებელი, ხმაურიანი და უფროსებისთვის მომაბეზრებელი თამაშებიც ერთ-ერთი მიზეზი იყო უსიამოვნებისა, მით უფრო, თუ მეზობლის შუშა ჩაიმსხვრეოდა ან გასაშრობად გაფენილ მატყლში შევარდნილ კოჭს, ბიჭები, ცხადია, ჭუჭყიანი ფეხით შეჰყვებოდნენ...

ურთიერთობები ერთდროულად რთულიც იყო და უაღრესად მარტივიც, ანუ ზუსტად ისეთი, როგორი ხალხიც ცხოვრობდა გარშემო. ადვილი წარმოსადგენია არა მხოლოდ ცალკეული ოჯახების დონე, ვისი შვილებიც შავი სატინის ტრუსიკებითა და თეთრი მაიკებით, ანუ „სუფთად ჩაცმულები“, საგანგებოდ შეღებილი, „რულზე“ დროშა და ფერადბუშტებმიმაგრებული თვითნაკეთი „სამაკატკებით“ სამაისო პარადებზე ამაყად დადიოდნენ, არამედ საერთოდ, იმდროინდელი თბილისის საშუალო ფენის ცხოვრების წესი, როცა ახალშემოსული ტელევიზორის სანახავად მეზობლებს ერთმანეთთან თავისი სკამები დაჰქონდათ, ზამთარში კი ზოგი თვითნაკეთი ციგით, „პალოზებზე“ სინები რომ ჰქონდა მიმაგრებული სრიალის მოსამატებლად, და ზოგიც ჯგუფურად ხის გრძელ კიბეზე შემომჯდარი, „ავოეს“ ყვირილით ლამის ვერის ბაზრამდე რომ ჩადიოდა სიცილ-ხარხარით.

ბევრი რამ ჰქონდათ საერთო ძველ თბილისელებს, ჯერ კიდევ XIX საუკუნეში დაბადებულ ძმაკაცებს — ცისფერთვალება ბრმა გრიშას, რომელიც ჯოხის კაკუნ-კაკუნით დადიოდა და თითქოს უსინათლობის სანაცვლოდ იუმორითა და მუსიკალური სმენით იყო დაჯილდოებული, ისაკას, მოქეიფესა და ენამოსწრებულ ხუმარას, პეტრუზას — ოთხად მოკაკულ დიდცხვირას, რომელიც, თურქეთში სომხების ცნობილი ჟლეტის თვითმხილველი, სიკვდილს გამოჰქცეოდა და რატომღაც სამშობლოს ნაცვლად თბილისისთვის შეეფარებინა თავი, და შაქროს — მოწყენილ, თვალჩასისხლიანებულ, მუდამ დაღლილ მშრომელ, ჩუმ კაცს, რომელიც განსაკუთრებულად გა-

ნიცდიდა ოჯახის სიმძიმეს. მისი საზრუნავი იყო საოცრად დაბალი, მოღრეცილფეხებიანი ცოლი მანანო, რომლის ერთხელ ნათქვამმა — „მე რო შაქრო შამრთეს“ — რატომღაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, ალბათ იმიტომ, რომ აქ ფუნქციები შეიცვალა — კაცი კი არ ირთავდა ქალს, არამედ ქალისთვის შეერთოთ კაცი. მანანოსა და შაქროს ორი ქალიშვილი — ოლა და ციალა — უშვილოდ გადაშენდნენ. უკან მუდამ შავი ბაბთით თმაგაკრულ ოლას არაბუნებრივად გაფშეკილი, თასმაგადაჭერილი ლაკის ფეხსაცმლიანი ცალი ფეხი გაცილებით მოკლე ჰქონდა მეორეზე და სიბერემდე კუსტარულად ნაკეთი, საიღლიეზე ქეჩაამოკერებული ყავარჯნით დადიოდა. როცა დედის დაძახებაზე: „ციაააალ!“ ღოჯებიანი ციალა, დავალების მოლოდინში, გაღიზიანებული ეხმიანებოდა: „ჰა�ა!“ — პასუხად ისმოდა: „ზახხრუმაააა!“ და მერე ამას საჭირო ტექსტი მოსდევდა: „წყალი მოიტანე!“ ან სხვა რამ. ეს უბნის ბიჭებს ისე ჰქონდათ სასაცილოდ აგდებული, რომ ხანდახან მანანოს დაძახებაზე: „ციაალ“ — აღარ აცდიდნენ და, ცხადია, მოფარებულიდან, ეხმიანებოდნენ: „ზახრუმაააა!“ რაც სასეიროდ ძალიან აბრაზებდა მანანოსაც და ციალასაც.

სარდაფში მცხოვრებ ქურთ ელამ ლენოსაც წარამარა აბრაზებდნენ და გაბმულად, ერთსა და იმავე „ფორმულას“ წამღერებით უქადაგებდნენ: „ლენოო კუბოში მოოკვდებ-აა“. ამაზე ლენო ხომ გიჟდებოდა ნერვიულობით, დედამისი კიდევ უარესად — ილანძღებოდა ქართულ-ქურთულად.

მოხუცი გერმანელი ქალი, რომელსაც ყველა გენრიხოვნას ეძახდა, თავს არავის უყადრებდა, ეულად დაიარებოდა და სულ ერთსა და იმავე მელოდიის, რომელიღაც გერმანელი კომპოზიტორის ცნობილი მარშის, ფრაგმენტს ღიღინებდა. ფრაზის ბოლოში აუცილებლად შეჩერდებოდა ხოლმე და ფეხებს დააბაკუნებდა, რაც საყოველთაო ხუმრობასა და ძველი თბილისელების განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებდა, მით უფრო, რომ ამ შემთხვევაში დაცინვის ობიექტი ის შერეკილი გერმანელი იყო, რომელიც მეზობლებს არც ელაპარაკებოდა. სინამდვილეში კი მას გერმანულის გარდა სხვა ენა არ უნდა სცოდნოდა და ასეც რომ არ ყოფილიყო, აბა რაზე უნდა ელაპარაკა მანანოსა თუ პეტრუზასთან მუსიკისა თუ მათემატიკის ყოფილ მასწავლებელს.

სპილოს ავადმყოფობით დაავადებული ბერძენი ბებია, რომლის პირველი დანახვის შემდეგაც ბიჭებმა ერთმანეთში გადაწყვიტეს, რომ ყველა ბერძენი ასეთი ხდება სიბერეში, ასევე არავის უყადრებდა თავს თავისი შვილიშვილების — ოლეგუშკას და ირას — გარდა.

ისაკა ყველაზე ხუმრობდა. ერთ მეზობელზე ამბობდა — ეგ ვერის ბაზარში იმიტომ ტრიალებს, რომ მამამისივით კინტოა და თათრის ქალებს თავის კვერცხებს ევაჭრებაო. „კინტო“ ხომ საოცარი ანაქრონიზმია, მაგრამ ოთხმოციანი წლების ბოლოს, ვერაზე, ერთი კაცი დადიოდა. შუბლზე თავმომწონედ ჭაღარაქოჩორგამოჩენილს თავზე ძველებური, ლურჯი ფერის კინტოს ქუდი ეხურა — გვერდზე მოქცეული. სატინის ლურჯ, ირიბადღილებჩაყოლებულ ხალათზე ძველებურივე ვერცხლის ქამარი ერტყა. ზემოდან, ამ ყველაფრის დასამალავად თუ იდუმალი, მხოლოდ მისთვის ცნობილი წესის თანახმად, პიჯაკი ეცვა, ყველანი რატომღაც „კასტუმს“, უკეთეს შემთხვევაში, „გაქართულებულად“, „კოსტუმს“ რომ ეძახდნენ და ბევრი დღესაც ეძახის. ფეხზე ჩექმას ატარებდა — „ხრომოვი“-ს. ჭაღარა აპრეხილი ულვაში და მარჯვენა ხელის თითები ნიკოტინით ჰქონდა ჩაყვითლებული...

ამ უაღრესად თავისებურ ტიპაჟთა მიხვრა-მოხვრა, ლაპარაკის მანერა, ლექსიკა, სიხარულის, წუხილისა და სხვა მრავალი გრძნობის გამოხატვა ისეთივე განსაკუთრებული იყო, როგორიც მათი ცხოვრების წესი და აზროვნების დონე; სწორედ ისინი ქმნიდნენ იმ თბილისის სახეს, რომელიც ასე გამოარჩევდა მას სხვა ქალაქებისგან.

ის, რაც გამახსენდა, იმდენად შორეულ წარსულს ჩაჰბარდა, რომ ახლა ეჭვიც კი მეპარება, ეს ყველაფერი სინამდვილეში ხდებოდა თუ ვიღაცამ ზღაპრად, გასართობად მომიყვა-მეთქი...

უცხო

სისხამ დილას კანტი-კუნტად გამოსული ხელოსანი, მძღოლი, დამლაგებელი, ლტოლვილი თუ შავი მუშა, ყველა ცხვირს ხელით იხოცავდა, სხვადასხვანაირად, ხმაურით, შთამბეჭდავად და სახიერად. ზოგი ჩაცუცქულიყო და ისე ეწეოდა. ტრანსპორტის მოსვლისთანავე წკიპურტებით შორს მოისროლეს ფილტრამდე ჩასული თუ ახალდაწყებული სიგარეტები და ტროლეიბუსში უკვე ცხვირმოხოცილი, ხეებსა თუ შარვალ-კაბებზე თითებშეწმენდილები ავიდნენ. გაჩერებებზე კარის გაღებას უკანა ბაქანზე ჩასაფრებულები ელოდებოდნენ, რომ უბილეთოდ, „ამ მთავრობის“ ლანძღვით, დემონსტრაციულად ჩასულიყვნენ.

ერთ გაჩერებაზე ყოვლად დაბეჩავებული, ჩასვრილ-ჩამყაყებული, ჩაფხრეწილ-ჩალეწილი, ჩაბინძურებული კაცი ამოვიდა. სისხლიანი ხელი ჩამპალი სახვევით ჰქონდა გადახვეული, იღლიაში გვერდგამოჭმული პური ამოეჩარა. ალბათ სანაგვეზე სიმთვრალეში ღამენათევს, შარვალში ჩაესველებინა.

აუტანელი სუნი მთელ ტროლეიბუსში ელვისებურად გავრცელდა. ვიღაცამ ცხვირზე აიფარა ხელი, ვიღაცამ ჩუმად შეიგინა, ვიღაცამ ხმამაღლა დაიჩივლა — „კაი, ფული არაა ამ სახემწიფოში, მარა წყალიც არაა?!“ ზოგმა გაიცინა, ზოგმა ისევ შეიგინა...

შავარშიაშემოვლებული ფრჩხილებით ჭაღარანარევი, გრძელი თმით ჩამოზინტლული თავის წარამარა ფხანით წინა გასასვლელისკენ ბარბაცით დაიძრა. მგზავრები ზიზღით ერიდებოდნენ, შემთხვევით არ მოგვედოსო, მძღოლმა კი ხელი აუქნია ჩამსვლელს — შენი ტურტლიანი ფული რა ჯანდაბად მინდაო...

გაჩერებაზე მარტო დარჩენილმა მაწანწალამ გაუბედურებული ჯიბიდან ასეთივე ცხვირსახოცი ამოიღო, ცხვირი მოიხოცა და უკანვე ჩაიბრუნა.

დამარხვობანა

ეზოში, ტახტზე მწოლიარე, ჩამავალი მზით განათებულ ღრუბლებს უყურებდა, ბავშვობაში რატომღაც „მკვდრის მზეს“ რომ ეძახდნენ. გარშემო პატარები დარბოდნენ...

— მე მილიონი წლისა ვარ!

— მე — ტრილიონი...



გოგო წითელი ხვიარა ვარდებით თავზე წამოადგა და უნებლიეთ ეკლიანი ტოტით შუბლი გაუკაწრა.

— შენ რამდენი წლისა ხარ?

— ბევრის...

— შენ რა გქვია?

— ...

— ბურატინო რა გვარია?

— ...

— რა დაგესიზმრა?

— არაფერი...

— ალბათ თვალები მაგრად გქონდა დახუჭული და იმიტომ არ ნახე სიზმარი. იცი მე რა დამესიზმრა? ვითომ პატარა სკამზე ვიდექი და გარშემო ბაჭია დარბოდა...

— ...

— შენ ჯერ გაცოცხლებულიც კი არა ხარ...

— ...

— ჩვენ ბევრი ფუტკარი გვყავდა...

— გიყვარს თაფლი?

— თაფლი არ მიყვარს. თხიზილალა მიყვარს... ხის ტახტი რბილია?

— მაგარია...

— თუ ცას მოკიდე ხელი, როგორია?...

— ...

— „დღეს“ გუშინ არის თუ გუშინწინ?

— ახლა...

— სულ ჩემთან იყავი, სამსახურში არ იარო. არ მინდა უშენთანერთოდ!

— სამსახურში რომ არ ვიარო, ფულს ვინ მომცემს?...

— ფუულს?... ფულს მე მოგცემ!!!...

— ფული გაქვს?

— არა... მოდი, ერთი დოლარი შენ მომეცი, მე გავზრდი და მერე შვილები ეყოლება დოლარები... დახუჭობანას მეთამაშები?

— ...

— მაშინ მე მარტო ვითამაშებ! ეს ტახტი ჩემი ბებიასია, ჩემი საცოდავი ბებიის.

— რატომ საცოდავი?...

— ავად არის და... ძალიან გამაბრაზა, მოხარშული კვერცხი მაჭამეს და ცოტა დამამშვიდა..

გოგომ ვარდები თავთან დაუწყო.

— ეკლები მოაცალე?

— აბა რა, ხომ გიჩხვლეტდა — ისეთი ღიმილით უპასუხა, ამ სისულელეს როგორ მეკითხებიო. — აი, შუბლზე სისხლი აქვს... გულზე დავაწყოთ, ხომ არ გიჩხვლეტენ?...

სხვებიც მოვიდნენ.

— მოდით ეს მოვაწყოთ!

— ვითომ ზეწარი გადავაფარეთ...

— ზეწარი კი არა, მზეწარი...

— ბალიში მოაცალეთ...

— ბალიში კი არა, რბილიში...

— შენ ველოსიპედზე დაჯდები?

— მოიცა, ჯერ ეს კაცი მოვაწყოთ.

— კი არ მოვაწყოთ, დავმარხოთ.

— მამაშენი კაცია?

— კი, მაგრამ ლამაზია!

საიდანღაც მოტანილი უამრავი ვარდი თავით ფეხებამდე შემოუწყვეს. პატარა თითებით ბალახს წიწკნიდნენ და სიცილით აყრიდნენ.

— დამარხეთ?

— კი.

გოგომ ყურთან მიუტანა თავისი პატარა პირი და ჩასჩურჩულა:

ზღვაზე

აივანზე იჯდა. უთმო. ზღვას უყურებდა.

დროს ისე ჩაელექ-ჩაეფეხვა, ვერ გაიგებდი, კაცია თუ ქალი.

გარიჟრაჟზე ჩიტი ისევ მოფრინდა.

ვიდრე გალობას დაიწყებდა, ასე გარინდული უნდა მჯდარიყო, თორემ შეაშინებდა.

ჩიტი პაწაწინა ნისკარტს თვალმილულული გააღებდა და ჯერ კიდევ სუსხიან ჰაერში გრძელ ამოსტვენას ამონა-



სუნთქის უციმციმეს ნაფლეთებს ამოაყოლებდა...

მზე მერე ამოვიდოდა.

სხვა მაცხოვრებლებიც, კანტი-კუნტად რომ გამოსულიყვნენ სანაპიროზე, ამინდის შეცვლას ელოდნენ.

ღელვას ბევრი რამ გამოჰქონდა — ნახატწაშლილი საწოლის თავიც, ბავშვების სათამაშოებიც და სპილოს ეშვიც... ათასგვარ სისულელესა და წერილებიან ბოთლებზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. ის კი არა, ერთხელ გულშეწუხებული ქალთევზაც ამოაყოლა და, ქალებს ღამით უკან რომ არ ჩაებრუნებინათ, ბიჭებმა ცილობა შექმნეს — ცოლად არა მე უნდა შევირთო და არა, მეო...

მთელმა სოფელმა აქ ნაგროვებით ჩაიცვა და დაიხურა. სახლის მასალაც და ავეჯიც, ქორწილში მისატანი საჩუქრებიც და უმკვდრო, თუმც კარგად შენახული კუბოებიც აქ აიკრიფა...

დედებთან ერთად ბავშვებიც სიხარულით ადევნებდნენ თვალს ზღვაში დროდადრო ცეცხლისფერი დირიჟაბლების ცვენას.

პარაშუტებისა თუ საჰაერო ბუშტების საცვლები კი უფრო ნაზი გამოდიოდა.

ქმრებიც ამ მასალის პერანგებს ატარებდნენ, თვითონ კი წითელ კაბებს მხოლოდ მშობელთა კრებებზე იცვამდნენ.

ისე კი ზღვას იმაზე მეტი კუბო გამოჰქონდა, ვიდრე სჭირდებოდათ. წელიწადში თითო ვინმე თუ გამოაკლდებოდა სოფელს და დანარჩენი, სხვადასხვა სახურავიანი სასახლე ჯერის მოლოდინში უქმად ეწყო სკოლის ეზოში, თუ ერთი-ორს დარაჯი შეშად არ იხმარდა.

სასაფლაოც დაბლობში გაეშენებინათ.

დასაფლავებას აქაურები დაძირობანას ეძახდნენ, რადგანაც, არათუ წინა დღით, არამედ გასვენების დღესაც კი დილით გათხრილ სამარეში წყალი დგებოდა და მიცვალებულიანი კუბო საფლავის თავზე მანამდე ტივტივებდა, სანამ გამოსამშვიდობებლად ჩამწკრივებული, ქელეხში ნასვამი თვალცრემლიანთა მიერ ჯერჯერით დალაგებული ქვებისგან არ დამძიმდებოდა. თუ დასაძირი ქვები შემოაკლდებოდათ, ზედ მიწით გატენილ სადაფის უზარმაზარ ნიჟარებს ალაგებდნენ და მოთმინებით ელოდნენ, ვიდრე ბუყბუყით ჩაიძირებოდა.

მაგრამ ეს მეზობელ სოფელში ხდებოდა, მათთან კი ზღვა რატომღაც მხოლოდ ფეხსაცმელს ეზიდებოდა.

ღელვა რომ ჩაწყნარდებოდა, ქვიშაზე ნაგავსა და ძონძებს შორის სხვადასხვა ქვეყანაში ნაგროვები, ყველა დროისა და ზომის ფეხსაცმელი რჩებოდა.

სხვადასხვანაირად გაცვეთილი, ფერგაწყალებული რკინის ქალამნები, ბერძნულ-რომაული სანდლები თუ ბოტასები ცალ-ცალი იყო.

მერე კრძალვითა და სიხარულით აკრეფილი, ნიჟარებსა და გაშტერებულ-გამოფიტულ, კუდკაუჭა ზღვის ცხენებს მოცილებული ფეხსაცმელი ყოველი სახლის წინ სარეცხის თოკებზე შრებოდა.

უიმედო ჟინი შემდეგ ღელვამდე დროებით იმ იდუმალი იმედით მინელდებოდა ხოლმე, რომ შემდეგ ჯერზე ზღვა ამ რომელიმე ცალის მეწყვილესაც გამოაყოლებდა...

იმ დროს გადაღებულ ფოტოებზე აღბეჭდილ ამ სოფლის ყველა მაცხოვრებელს, განურჩევლად ასაკისა და სქესისა, სწორედ ეს ცალ-ცალი ფეხსაცმელი ეცვა და სახეზე ბედნიერი და იდუმალი ღიმილი დასთამაშებდა.

ფოტოგრაფის სოფელში ერთჯერადი სტუმრობისას გადაღებული ყველა ფოტო ერთმანეთის მსგავსი იყო, მზეზე დაშაშრული, მეცხვარეთა წითელლოყება ტოლი ბავშვებივით, მათი მამების მთაში ავლა-ჩამოვლის შესაბამისად, ერთ დროს რომ იბადებიან.

მზის ჩასვლასაც აივანზე ხვდებოდა.

კი, როგორ არა, სიცოცხლე მარტო იმად ღირდა, რომ ის საოცარი დრო გაეხსენებინა, როდესაც მარტო მას, და სხვას ვერავის, ერგო წყვილის პოვნა...

მერე იფიქრა — თუ იმ ჩიტის პირველ დასტვენას დავასწრებ და ნაპოვნს ზღვასვე დავუბრუნებ, ბედს ვეწევიო...

აიღო და, წყალში გადააგდო.

დარდი

ზამთრის პირზე ფოთოლგაძარცული კაკლის ჩრდილი აგურითა და რიყის ქვით ნაგებ ყრუ კახურ ქვიტკირის კედელს ეცემა. დაფერდებულ ვარცლზე ბროლის ჭურჭელში არაყი ყვითლად ირეკლავს სხივს. ხილაბანდპირაკრული დედაკაცი მარილწყლიან ჯამში ჯაფით დაპატარავებულ, დამჭკნარ და დაშაშრულ თითებსა ჰყოფს და ჩასაკრავ გუნდას ტლანქგამოზომილად უსვამს. მერე კუტად ჩავარდნილ პურს ვიშვიშით ჩაჰყვება, ხელითვე იღებს, ნაკვერჩხალს აცლის და სულს უბერავს.

— მამამისმა თავისი ფეხით წაიყვანა იმ დასაწვავ აფხაზეთში. მერე რა გამოიდა! ბიჭი ისევ ისე მამიბრუნდა, ის კიდენა... ეეხ, დროა ყველაფრის მკურნალიო, ნეტა რისი მკურნალია, რაც მეტი გადის, უფრო მენატრება...

თონიდან ამოსულ სიმხურვალეზე მეზობლის კრამიტიანი სახლის სახურავი ლივლივებს.

— ადრე სხვანაირად მეგონა, ეხლა იქ რო არი და მელოდება, სიკვდილი მეადვილება, მოუკვდეს ბაბო.

ნახატები ავტორისა

ორიოდე სიტყვა წინასწარ

ალექსი ჭინჭარაულის კვლევა-ძიებითი ღვაწლის ჯეროვანი შეფასება (და დაფასება!) ჩვენი მომავლის აუშორებელი მოვალეობაა.

მისი ნაღვაწ-ნაამაგარი, როგორც რაოდენობრივი, ისე ღირებულებრივი თვალსაზრისით, ბევრად აღემატება ერთი კაცის, ერთი მოკვდავის თუნდაც ზღვრულ ფიზიკურ შესაძლებლობებს.

უკიდეგანო შრომისმოყვარეობასთან ბედნიერად შერწყმული ნიჭიერებაა ის უმთავრესი წინაპირობა, რამაც ლეკოთ წიქას სრულიად არაორდინარული პერსონის განუმეორებელი სახის სრულქმნას შეუწყო ხელი.

ალექსი ჭინჭარაული კრებითობისთვის, მშობლიური სიტყვის დილეტანტი მოყვარულებისთვის მოსწრებული და დაუმარცხებელი კაფიების ავტორი იყო, ხოლო ჰუმანიტარული მიმართულების სამეცნიერო დარგების წარმომადგენლებისთვის, ფართო დიაპაზონის სწავლულებისა და ინტელექტუალებისთვის ამას ემატება ცოდნა მისი მოუწყინარი, თავდაუზოგავი გარჯისა სულიერების სფეროში — ლინგვისტიკაში, ლექსიკოლოგიაში, ეთნოლოგიასა თუ ფოლკლორისტიკაში.



ალექსი ჭინჭარაული

მის ხელდებულ ნებისმიერ საქმეს, მცირე თუ ვრცელი მოცულობის ანალიტიკურ სტატიას, მწვავე კრიტიკულ წერილს, გამოკვლევასა თუ მონოგრაფიას პროფესიონალიზმის მკაფიო ტვიფარი აზის; პასუხისმგებლობის უაღრესად მძაფრი გრძნობაა ის მძლავრი ფაქტორი, რაც აკადემიზმის ნიშნით აღბეჭდილ ალექსი ჭინჭარაულის ნაკვლევ-ნაკეთებს ჭეშმარიტ კულტურულ ღირებულებათა საჩინო ნიმუშებს შორის მიუჩენს სავსებით დამსახურებულ „საუფროსო“ ადგილს.

ეცნობი მხატვრული ქმნილების (ვთქვათ, „ბალადა ვეფხვისა და მოყმისა“) მისეულ ტექსტოლოგიურ ანალიზსა თუ ცალკეულ ეტიმოლოგიურ ძიებებს და გრჩება შთაბეჭდილება, რომ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით ამაზე მეტად ჩაღრმავება და შორს წასვლა, გინდ კიდევ ერთი ბიჯით წინ წაწევა, თითქმის შეუძლებელია...

ალექსი ჭინჭარაული, პირობითი თუ პირდაპირი მნიშვნელობით, გაორებული, „გახლეჩილი“ გახლდათ ორ საარსებო სივრცეს, გარკვეული გაგებით, პოლარულად საპირისპირო ორ მატერიალურ სამყაროს შორის: მუდამ-დღიური სამსახური და საგონ-საწუხარი დედაქალაქში უწყვეტ ყოფნას ავალებდა და აიძულებდა, ხოლო ფიქრი და გულისწადილი იმ სოფელ-ქვეყანაში „აწევდა“ (ეპატიჟებოდა, აწვევდა), სადაც კვლავ დაიარებოდნენ ბაბღიათ ჩუას და მის საკვირველ წინამორბედთა თუ თანამედროვეთა ბრგე, ახოვანი, ზავთიანი აჩრდილები.

და როცა მამაც შატილიონთა ღირსეული შუღლისა თუ საფერ მტრებთან მათი უთანაბრო ბრძოლების საარაკო ამბებს თხრობდა, თვალებს, არცთუ იშვიათად, ცრემლი უსველებდა, ულიბრავდა და არც არასდროს უცდია გარეგან უჩინარი განცდისა თუ ემოციის დამალვა და დაოკება...

განსწავლის წლებში გრიგოლ კიკნაძის თავკაცობით მთაში მოგზაურობის დაუვიწყარი ეპიზოდებისა და ფოლკლორული წიაღსვლების შთამბეჭდავი ნაკრებია სულუქცევრად საკითხავი მისი წიგნი „მთას ვიყავ“, გამოცდილი გიდის უტყუარი გუმანით რომ მოგვატარებს და მოგვახილვინებს ფშავ-ხევსურეთისა და თუშეთის უმშვენიერეს სულიერ სანახებს, გეოგრაფიულ პუნქტებს, სოფლებს, ისტორიულ ადგილებს... მოგვატარებს, მოგვახილვინებს და ძალზე საინტერესო ნარატივის ფინალთან მისულებს კიდევ ერთხელ შეგვახსენებს ერისიონიდან ჭირიანი ცხოვრების ჭაობში დასაბრუნებლად განწირული ვაჟას ლირიკული გმირის ტკივილიან მონოლოგს:

მაღლიდამ დაბლა ჩამოსვლა,
ვაჰმე, რა მეტად ძნელია!..

ალექსი ჭინჭარაული, მთელი თავისი შნოიანი და შინაარსიანი ცხოვრების განმავლობაში, ზნეობრივი სიწმინდისა და უკომპრომისობის ნისლიან მწვერვალებზე იდგა; მედროვეთა უდღეურ ვნებებსა და ცხოვრების წესს განრიდებული ურიოშო სახატეში წირავდა, ლოცულობდა და „შეუწონარი სიბრიყვის“ ყოველ კონკრეტულ გამოვლინებას თავისი მოქალაქეობრივი პოზიციის სიმკვრივით, სიმართლით, სიდარბაისლით პასუხობდა.

და რაღაცით ღვთის მადლით აღვსილ სავანეებში მოღვაწე მეუდაბნოე ბერებსაც ემსგავსებოდა...

მქონდა პატივი, მეუფე ზენონსა (იარაჯული) და ეთერ თათარაიძესთან ერთად, ეკლესიურად მომენათლა ძნელი სიბერის („სიბერეო, სიძნელეო...“) სამანთან მოთმინებით მდგარი ალექსი ჭინჭარაული და მისი უმცროსი დედმამიშვილი — უნიკალური მუსიკალური ხმისა და სმენის მქონე დეიდა მარიამი...

გამახსენდება და ნათელღებული „ლექსო პაპის“ იმდღევანდელი გუნება-განწყობა სულეთის საუკუნო ბინადრებთან მისი პირსწორი შეხვედრის შეგნებულ სამზადისად წარმომესახება ხოლმე...

12 თებერვალს წელიწადი შესრულდა ალექსი ჭინჭარაულის გარდაცვალებიდან.

ღრმა დაღად აჩნია უმისობა ოჯახს, საჩვენიანოს, საახლობლოს, ენათმეცნიერების სახელოვან ინსტიტუტს.

და სანუგეშოდ ისღა დაგვრჩენია, მის უნაყოფიერეს ნამუშაკევთან (მარტო „ხევსურული ლექსიკონი“ რად ღირს!), აპრობირებულ თუ ჯერაც უცნობ ნაწერებთან შეხვედრების შესაძლებლობა რომ გვაქვს.

ამირან არაგული

ალექსი ჭინჭარაული

ქრონიკები

ჯღუნათ გამიხარდი — ამღიონი, გიორგით მიხიელი — წინწადუელი, და ალავერდათ აბიკა — ბლოელი

არ ვიცი, მტერობა რაზე ჩამოუვარდათ. გამიხარდიმ შემოუთვალა მიხიელს: „სუდარი უბეში ჩაიდევ, სადაც შაგხვდები, მოგკლავო“. მიხიელმა შეუთვალა: „აქ ფართალი არ იშოვება, თბილისამდე შორია. ამღიდან ძაუგამდე ახლოა, სუდარა შენ გედვას უბეში, როსაც შავიყრებით — ან შენ გამოგადგება, ან — მეო“. მგონი, არ შეხვედრიან ერთმანეთს. გამიხარდი უხიაგი, აუტანელი კაცი ყოფილა და თავის ძმას ჯღუნათ მიხიელს შემოაკვდა. მიხიელიც (ჩემი დეიდაშვილის, უდროოდ წასული უნიჭიერესი პოეტის — „უბედურის“, გიორგი ჭოლიკაურის მამა) უმამაცესი კაცი იყო — ბაჩალ გოგოჭურის ნაუბარი მახსოვს (ამღიონთა სიძე ბრძანდებოდა): „ამღას, ამღიონთ სალოცავში საბეკურის კარ ლუდს ვსვამდით. ძმისმკვლელი მიხიელი სოფელთან შერიგებამდე მათს თავყრილობაზე არ უნდა მოსულიყო. მოვიდა და ვიღაცამ ლუდიანი რვლის (= სპილენძის, ა. ჭ.) თასი მიაწოდა. ჯღუნათ მიხიელმა დაილოცა და მოიყუდა სასმისი. მეორე ამღიონმა იშიშვლა ხანჯარი: „შენ აქ არ უნდა მოსულიყავიო“, მოუქნია და თასს მოხვდა მოქნეული. მიხიელმა თასი მეტოქეს მიაგდო. მაივლა ხანჯარს ჭელი და შეუტია მეტოქეს: „მე ერთი ჭელით მეორე ჭელი მოვიჭერი, შე ფურო, შენ ვინ გკითხავს ჩემსა და ჩემი ძმის ამბავსო?!“ — გავაშველეთო.

მიხიელის და გამიხარდის მამა ჯღუნა განთქმული მონადირე ყოფილა:

ჯღუნაი ჭოლიკაური ჯიჭვებს ფეჭდაფეჭ ხყვებისა.
ჯღუნამ ჩაჭოცა ჯიჭვები, ჯღრე მაიტანა რქებისა.
მაგოდენს სიარულშია ღილღველ სად შემოგხვდებისა,
თუ გაგაცდინა ნასრევი, მემრ სადაღ გაგიძვრებისა?!

ჯღუნას ჯიხვთა ერთ ჯელგაში ყველაზე დიდი და დიდი რქების მქონე ჯიხვი შეუნიშნავს და ამოუჩემებია მისი მოკვლა, მარტოკა მიდიოდა საჯიხვეში, ის ჯელგაც რამდენჯერმე იპოვა, მაგრამ სათოფე მანძილზე ვერასდროს მიუახლოვდა — პირველად სწორედ ის ჯიხვი „იკრავდა ნიავს“ და გადახვეწავდა ჯელგას. ერთხელაც ამხანაგთან ერთად წასულა საჯიხვეში. მიუგნიათ ამ ხროვისთვის. წილი უყრიათ და ზედ მისვლა ჯღუნას ჰრგებია, სავარაუდო გასაქცევი ბილიკის შეკვრა კი — მის ამხანაგს. ფარა ჯღუნას ამხანაგის სათოფე მანძილზე გარბოდა სწორედ ჯღუნასკენ, უკვე დაბერებული დიდრქა ჯელგას უკან მოჰყვებოდა. ჯღუნა აყვირდა: „დახკარი, აი, ეგ არის დიდრქა, დახკარი!“ მისი ამხანაგი მშვიდად მიაცილებდა ჯელგას. მან დიდრქას დაჰკრა თოფი. „გაუმარჯოს“-ო დაიძახა, ჯღუნას ხელი დაუქნია („წამოდი, გავატყაოთო“). ჯღუნამ მიაძახა: „შენი დედაც და მანდ მომსვლელისაც!“-ო და სხვა მხარეს გაემართა შინისაკენ... იმ ჯიხვის რქები ალბათ ახლაც არის.

დავუბრუნდეთ გიორგით მიხიელს. იგი თემ-სოფელში მამასახლისად იყო არჩეული. ერთხელ დედასთან ერთად სადღაც მიდიოდა, გზაზე მისი მტერი ალავერდათ აბიკა შეხვდა, იშუღლეს, ხანჯრებით დაჭრეს ერთმანეთი; მიხიელის დედა, მარტოკა ქალი რას გააშველებდა? შუაში მანდილი ჩაუგდო, რაც ხევსურეთის ადათით, მაშუღლართა უეჭველ დაზავებას იწვევდა. მიხიელმა დედის მანდილს წიხლი ამოჰკრა და გადააგდო. აბიკამ გაიაზრა: „დედაჩემის მანდილსაც ხომ ეგრე მოექცეოდაო“, და წავიდა ჩეხვა. მიხიელმა მაშინ ცალი თვალი დაკარგა.

გვიან გამახსენდა მამაჩემის ნაუბარი: რაღაც არეულობის დროს ქვენაურმა ჩეჩნებმა შატილში მოლალეს სამოცი ხარი. „წაიყვანეთ საქართველოში, დაყიდეთ და ჩვენც თუ წილს დაგვიდებთ, კარგს იზამთ“-ო. დიდი ხარები იყო. ერთ-ერთმა მათგანმა დათვისჯვარზე ნაქარი („ნამქერი“) რქებით და მკერდით გაარღვიაო. კორშაში გიორგით მიხიელი შეგვხვდა და აგვიშარდა: „შატილიონნო, ეს ხარები ან ნაქურდალი გყავთ ან გატაცებული“-ო. ზოგ-ზოგები აჯაგრულან, მაგრამ ერთმანეთი დაუშომინებიათ: „კარგ ვაჟს ამბობენ, ძალიან მთვრალია, რომ ვიშუღლათ, ხალხი იფიქრებს: მიხიელს შატილიონნი დასცემიან და დაუჭრიათ“-ო. გაშველებულან. ის კი უთქვამთ შატილიონებს: „ამის შემდეგ სადაც ვინ შავხვდებით, ვჭრათ“-ო.

ბარში ეს უსაბუთო საქონელი ნაწილი პოლიციას წაურთმევია, ნაწილი იაფად გაუყიდიათ და ამით ნაშოვნი ფულიც სმა-ჭამაში შემოხარჯვიათ, დაბოღმილნი და დატილიანებულნი წამოსულან უკან.

ხევსურეთში, იმავე კორშაში, ისევ ის გიორგით მიხიელი შეხვედრია დაბარებულივით, ვიღაცას უთქვამს: „თქვენ გაიარეთ, გაგვცილდით, მე მაგას ანგარიშს გავუსწორებ და დაგეწევით“-ო. გიორგით მიხიელი გადმომხტარა ცხენიდან, გამარჯვება უთქვამს, ქუდი მოუხდია, ცალ მუხლზე დაუჩოქია: „თქვენი ჭირიმ, შატილივნებო, დამთვრალს, უგონთგასულს რა ჩამიდენავ ძოღან! უკაცობო კაცის მეტ მაგას ვინ იქმოდ?! აი, ქუდ-მუჭლით გეხვეწებით, მაპატიეთ, ვაჟებო!“ — და ქუდი მათ წინ დაუგდია. აუღია რომელიღაცას ქუდი, გაუბერტყავს, დაუხურავს პატრონისთვის და უთქვამს: „არაი ეგ საბოდიშოი-დ ქუდ-სამუჭლე, სიმთვრალეჩი მახჭდების ეგეთურა“.

ხევსურეთში ნათესავებთან არაყი მიაქვთ, ჩვეულებრივ ორი ტიკით: ერთი დიდია, მეორე მომცრო — „სამგზავრო“. არაყს წესიერი კაცი შემხვედრ მგზავრს ვერ გააცილებს. დაგინებასავითაც არის: „სამისა არ დამსხმელისა, სამისა არ შამსმელისა!“ მიხიელი საარაგვოს რომელიღაც სოფელში (გველეთი, მოწმაო, დათვისი) მოკეთესთან მიდიოდა არყით („არაყით მისვლა“). გზად იმავე შატილივნებს გადახყრია. მიხიელმა შატილივნების დაჟინებული თხოვნის მიუხედავად, მოხსნა ცხენს ხურჯინი და ორივე ქინთი („ტიკი“) იქვე დაცალა, როგორც იტყვიან „თავზე დააბერტყა“ ახალ ნაცნობებს. გულითადად დაემშვიდობნენ ერთმანეთს. შეჯდა გიორგით მიხიელი ცხენზე, ჰკრა მათრახი და ჭენებით წავიდა უკან, წინწადუსკენ.

რაღაც შინაგანმა უკურნებელმა ავადმყოფობამ გიორგით მიხიელი საწოლს მიაჯაჭვა. იქვე იწვა სიბერით და სნეულებით დაუძლურებული, ლოგინად ჩავარდნილი მი-

ხიელის დედა თუ მამიდა. ერთ დღეს ტკივილით გაბოროტებული მიხიელი ადგა და სადღაც გადამალულ ხანჯალს მიაგნო, მაგრამ ისე იყო დასუსტებული, რომ იგი მკერდში ვერ შეიყვანა. ხანჯალი ტარით ქვის ყორის ღიობში შესჩარა და მკერდით მიაწვა. ხანჯალი კი შევიდა სხეულში, მაგრამ საშველი არც ეს გამოდგა. გამოაძრო ხანჯალი კედლიდან და ყელში გამოისვა, მაშინღა გადააგდო ხანჯალი და წაიქცა: მოხუცი ქალი ამას ყველაფერს ხედავდა, ხაოდა, მაგრამ მისი „გვიშველეთ!“ არავის ესმოდა.

სახლის ქვემოთ ბოსტანში ფეხშიშველი მიხიელის მეუღლე საქმეს მორჩა და შინ შესულმა იკივლა: „რაი-ხქენ, შე ჩემი ცოდვით სავსევ?!“ — „ამანდ შიშველ ხანჯარ ღგდავ, ფეჭ არ დააჭრ!“ — თქვა მიხიელმა და გათავდა...

P. S. რამდენიმე წიგნის ავტორი, ტანმორჩილი, სათნო, მშვიდი და კეთილი ბუნების მქონე პოეტი ირაკლი არაბული გიორგით მიხიელის შვილი ბრძანდებოდა.

აპარეკათ ხთისო

გვარად გოგოჭური იყო, **კანათათ** (კანათა-ნ-ი) მამაშვილობისა. *კანათ* ვაინახურად (ჩეჩნურ-ინგუშურად) ნიშნავს „კაიყმა, რაინდი“, ხოლო **კანთალა** „კაიყმობა რაინდობა“, ხოლო ხევსურულად — „**ქურდ-ბაცაცა**“ შდრ. ვაჟა: ერთ *ქურდ-კანტალა* ღილღველსა ცუდი დაუდგა დარიო. ეს ალუდას მიერ მოკლული ძმაა მუცალისა, თორემ თვითონ მუცალი ვეფხვურად შეება ალუდას; რაც ვაინახებისთვის „რაინდობა“ იყო, ის ხევსურებისთვის — „ქურდბაცაცობა“.

გურო-გიორწმინდაში სამი მამაშვილობა იყო ვაინახური წარმომავლობისა — *ქერხოსანანი*, *სუიკანი* და *კანათანი*. ეს ალბათ მამაკაცის საკუთარი სახელებიდან გაკეთებული ფორმებია. შდრ. ქისტური **ꀘꀘꀘꀘꀘꀘ** (რუს. Япония), **ბურცაგ** (რუს. Бурсак...).

კანათათ აპარეკა დაუჭერინებიათ ქისტებს, ციხეში გარდაცვლილა და ობლად დარჩენილი *ხთისო*, მათი წესრჯულისამებრ, თვითონვე წაუყვანიათ და შეუყვანიათ გროზნოს სამხედრო სკოლაში.

საჭირო წიაღსვლა: ჩვენთან არღუნის მეორე ხეობაში (მუცო, არდოტი, ხახაბო) ნაშოვნი წვრილფეხი (ცხვარ-ვერძი, თხა-ვაცი...) მორეკეს მოხევეებმა, ჩვენთან გაათენეს ღამე და მეორე დღეს გალალეს ყაზბეგისაკენ. ხთისოს ჰყავდა ბიძაშვილი ტუჩათ ნიკო, ვინც მამა-ბიძების დაჭერინებისათვის სისხლს უშრობდა სახანოელ ქისტებს, რის გამოც ყაჩაღის სტატუსი მიიღო. მაშინ გავრცელდა ნიკოს თანასოფლელი ომათ ხთისოს მიერ ნათქვამი ლექსი:

ნიკა ყაჩაღად გავიდა, რო გადაშრა მთაო,
ლაგანი და ლეურელი ორივ აიღაო.
გზაზე მილიცია დახვდა, არ ედარდებაო, —
გადაბრუნებულ ზატორი გადმააბრუნაო.
ეხვეწება ცხვედაძეი: „დამანებე გზაო,
თუ მოწმობა დაგჭირდება, ბეჭედს დაგიკრაო...“
სახანოში დაუბარა: „ძეცათ მაჰამაო.
დამაცადე ცოტახანი, მურთაზს მოგიკლაო,
ცალი ფეხი მოგიტეხე, ცალი ფეხით გყაო“...

ნიკო მამაჩემისაგან გასტუმრებულ მოხევეებს დაუხვდა შატილ-გიორწმინდის სასაზღვრო ხიდზე და მთელი ეს წვრილფეხი ოცამდე სული წაართვა. მოხევეებმა სტუმარმასპინძლობის რჯულის თანახმად, მამაჩემს მოაკითხეს. მამაჩემმა შეუშვა ფარეხში: „ვისაც რა წაგართვათ, აქედან აიყვანეთო. ტუჩათ ნიკოს კი „მტერობა უბარა“, გზაზე შაყრილები ერთმანეთს უშუღლარად ვერ გავსცილდებით, მზად იყავიო.

ტუჩათ ნიკო მიხვდა, რომ ნიათ ლეკოს, მათი, გოგოჭურების სიძის სტუმრები გაუძარცვავს და ნაძარცვი დედამის ნათიას გამოატანა.

ჩვენსას სტუმრიანობა, ქეიფი იყო და სტუმრებს შორის იყვნენ ტუჩათ ნიკო და კაპიტანი აპარეკათ ხთისო. ალბათ ეს შერიგების პროცედურა იყო.

ისიც მახსოვს, რომ ხთისო იჯდა კერიის უკან, ყველაზე უფრო საკვამლე ადგილზე. ნიკო გადმოვიდა და ქაზდარზე მიდ-მოდიოდა, ხან ფეხებსაც გაუსვ-გამოუსვამდა, ვითომ ცეკვავდა, გაჩერდა და დაიწყო მღერა:

დაგძინებიყვა, მოყმეო,
ვერხოვან გრილსა ქვაზედა,
ყელს გველი გადმაგხვევიყვა,
თავი დაედვა თავზედა.
კიდევ კი გეშველებოდი,
რო გავსულიყავ ხანზედა...

და რევოლვერი ამოიღო ჭერში სასროლად. აპარეკათ ხთისო გადმოევლო ყვერფ-კერას და მარჯვენა ხელი დაუჭირა: „მეზობლად თიაყათ თოთიას სძინავს და მოხუცს ძილს ნუ გავუფრთხობთ!“-ო. ახარხარდა ნიკო, ჩააგო რევოლვერი და დაუბრუნდა თავის სკამს. კაპიტანმა უკეთ იცოდა, რომ ცეცხლსასროლ იარაღს ფრთხილად უნდა მოპყრობა.

ომის დროს ბარისახოს სკოლა-ინტერნატი სამხედროებმა დაიკავეს და რამდენიმე მოწაფე მაღაროსკარის საშუალო სკოლაში გადმოვედით. იქ ერთ ჩემ ნაცნობ ოჯახში ვიღაც ზესიძედ მისული ნაჯარალი მარტიაშვილი ჰყვებოდა თავის ამბავს.

„— წამიყვანეს, კაცო, ჯარშია და გროზნოში მოვხვდი. რუსულის ინჩი-ბინჩ არ ვიცოდი, გამიჭირდა, შავღონდი, გამოვე, დავჯე ქუჩაშია და ვტირი თავჩაქინდრული. უცებ ვიღაცამ მიყვირა: „ვსტატ სალდატ!“-ო და ავდეგ. დამიწყო რუსულად საუბარი. „მენ რუსულ არ ვიცი“-ო, უთხარ. „ბიჭო, ქართველი ხარ?“-ო მითხრა ქართულად. „ჰო, ქართველი ვარ-მეთქი“, „შენ ვინა ხარ?“-ო ვჰკითხე. „მე ხევსური ვარ, ხთისო გოგოჭური“-ო მითხრა. წამიყვანა ჩემს ნაწილში და იქ ჩემს უფროსებსაც ელაპარაკა. ომის დროსა, კაცო, დნეპრზე გადავდიოდით ნავებითა. ნემცები გვბომბავდნენ. ჩვენი ნავი აქეთ ნაპირზევე ამოტრიალდა და მდინარეში ჩავცვივდით. მენ ცურვა არც მაშინ ვიცოდი და არც ახლა ვიცი. ვირჩობოდი. ვიღაცამ ხელი მომკიდა და ნაპირზე გამამათრია. შევხედენ და კინაღამ ვიყვირე, — გოგოჭური ხთისო იყო! მაიორის პაგონები ეკეთა...“

რაც აქ თქვენ გიამბეთ, ის მაღაროსკარშიაც მოვუყევი მაშინდელ ჩემს მეინახეებს. ამ ამბების გახსენებამ კი ისევ რუსთველთან მიმიყვანა:

ვაჲ, სოფელო რას შიგან ხარ, რას გვაბრუნვებ,
რა ზნე გჭირსა!
ყოვლი შენი მონდობილი ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა!
სად წაიყვან სადაურსა, სად აუფხვრი სადათ ძირსა!
მაგრა ღმერთი არ გასწირავს კაცსა, შენგან განაწირსა!
(948; 952/951)

ნარჩიტათ ხთისო

ნარჩიტა (<ნართ ჩიტა) თიკუნია ხთისოს დედისა (ნამდვილი სახელი აღარავის ახსოვს), რომელიც ადრე დაქვრივებულა და ცოდვაჭირით ზრდიდა სამ ობოლ ბიჭს — ხთისოს, გამახელას და კოკოშიას (ესეც თიკუნია). ამის შემდეგ ამ ოჯახს ნარჩიტანი ერქვა: ნარჩიტათ ხთისო, ნარჩიტათ გამახელა და ნარჩიტათ კოკოშია.

ერთ მთვარიან ღამეს ნარჩიტათ ბინას საკომურიდან იატაკს მთვარის შუქი ადგა. ეს შუქი ერთხელ ჩაქრა, მეორედ... მესამედაც რომ ჩაქრა, ხთისომ თოფი ესროლა საკომურს და იქიდან გაუგებარი ადამიანური ხმა ჩამოისმა და საეჭვო სიჩუმე გამეფდა.

მხატვარი მალხაზ თავაძე

დილით დედა-შვილებმა ბანზე და მოსასვლელ გზაზეც სისხლი ნახეს... იმ დილით შატილის ზემოთ, შატილ-გიორწმინდის გზაზე სულთმობრძავი ქისტი ნახეს, რომელიც ჩიოდა:

„— ჩემ ქურდ არა, მე რად მახკალ“? (...მე ქურდი არა ვარ, მე რად მომკლეს-ო). ნარჩიტათ ქისტის „თავი შამაებარა“ (სისხლი დაეკისრა), სიფრთხილე ჰმართებდათ:

ერთ ღამეს ხთისო კარის ჭრიალმა გააღვიძა. გაიხედა და კარებში ვიღაც ყარწიკამოხურული (ლაბადამოსხმული) შემოდიოდა. „რომენი ხარ?!“ — იკითხა ხთისომ და პასუხი რომ ვერ მიიღო, „თოფი დახკრა“, „ხთისო, რაად მამკალ?!“ — დაიკვნესა ნარჩიტამ და ჩაიკეცა.

სოფელი შეძრა ხთისოს ყვირილმა: „უუ, დედო, გამახელავ! უუ, დედო, გამახელავ!“ სოფლელებმა იფიქრეს, ნარჩიტათ ქისტები დაეცნენო, და მთელი გიორწმინდა ნარჩიტათ ბან-კარზე გაჩნდა. ხთისო ჩიოდა თურმე: „ჴმა რო არ გამც, ქისტ მეგონ, ე თოფ-ოჴერიც გვერდზე მედვ...“

გამახელა და კოკოშიაც წამოიზარდნენ. ერთ უბედურ დღეს ისინი დენიღას (გიორწმინდის ერთ-ერთი უბანია) ხევს გაღმა, ზემოთ ისხდნენ და თოფით ერთობოდნენ — ხან რას უმიზნებდნენ და ხან რას, ხევს გაღმა, ქვემოთ მათი მამაშვილობის (ფრატრიის) გოგო თათიკათ იმედას და ჴენცალავდა (<ჴელცელავდა, ნამგალით თიბდა ბალახს). როგორც ჩანს, გამახელამ ამ გოგოსთვის დამიზნებული თოფის სასხლეტს გამოჰკრა ხელი და ტყვია ამ გოგოს (სამწუხაროდ, სახელი არ მახსოვს) მოხვდა, იგი სასიკვდილოდ დაიჭრა. თვითონ იმ გოგოს უთქვამს: გამახელამ და კოკოშიამ მომკლეს, იქ სხვა არავინ ყოფილაო. ეს თათიკას იმედას და შატილიონ ნიათ ჴევსურის (საკუთარი სახელია) დანიშნული ყოფილა, ვიღაცამ რომ თქვა: ნიათ სამუკა (ამ გოგოს მაზლი) მოდისო, გოგოს მანდილი მოუკითხავს (ქმრის ძმას უმანდილო ვერ შეხვდებოდა!).

ნარჩიტათ ხთისო ბარისახოში წასულა წამლების მოსატანად. უკან მომავალს კეოს ჩდილში, ტარტიკაულთ, ნამეწყრალ ვიწრო ბილიკზე ეს ვიღაცისგან ნათხოვარი ჯორი გადასჩეხია, ხოლო უკან დაბრუნებულს გოგოც მკვდარი დახვედრია და თავისი ძმა გამახელაც თათიკათ იმედასგან მოკლული...

დედაჩემის ნაუბარი მახსოვს (გიორგიწმიდელი ქალი იყო): ბატკანი დაგვეკარგა, იმის მოსაძებნად გამგზავნეს. თოფი გავარდა და თათიკათ იმედა ამოჩნდა, სარეკებელთ (მთაა) ასცქეროდა, ფეხებს ძლივს მოათრევდა; ამბობენ, მამკლავს მაკლულის სისხლნ მიეწევიან და მუხლს მოსჭრიანო...

ხევსურეთის ადათით მდედრის თავ-სისხლი მამრის თავ-სისხლის ნახევარი, — ოცდაათი ძროხა ღირს, მაგრამ შურისძიების ნიადაგზე ქალს არავინ კლავდა.

ნარჩიტათ ხთისო ძალიან გამწარდა, დაუწყო დევნა ძმის მამკლავ მოსისხლე ბიძაშვილებს, რომელთა შორის ყველაზე კარგი ვაჟკაცი იყო სოსანთ ხახონი, სწორედ ის თოფა ნარჩიტათ ხთისომ გორის აქეთა მხარეს ბილიკზე აღმა მიმავალი, სამი თუ ოთხი ტყვია დაახალა. შემდეგ ამბობდა თურმე: „მაგ ძაღლიშვილს ბიჯი ვერ ავაჩქარებიე!“-ო.

ამის შემდეგ სხვა მამაშვილობის კაცმა უთურგამ რომ უთხრა: „ხთისო, ძმა-სახლიკაცებ ერცხვას რაად ხჴოცთ, სირცხვილი, შარიგდით“-ო, მან უპასუხა: „რაჴლა შავღრიგდ, უთურგავ, წყრულზე მარილს მაყრიან!“-ო. „წყლულზე მარილის დაყრა“ ალბათ ხახონის ასე კაცურად დახვედრა იყო, თორემ ხთისოს არასაკადრისს არავინ ჰკადრებდა...

დედაჩემის ნაუბრიდან: „ჩვენ ორწყალჩი ვიყვენით. დენიღას თოფებ გაიყარ. იქ ვინამ თქვა: ნარჩიტათ ხთისო შავარდავ შინავ. დავიქცენით, „კარ მღერკლედ იყვ დამჩალი-დ’ ზღუბლსთან მტვრიან სისხლის გუბ იდგ. შავედით. თოფის ჩახმახ იყვ გადმაბრუნებულ, აბოინა ქაზდარზე ეგდ“.

ხევსგაღმა ზევითკენ მიმავალმა ქალმა გაიგონა: მკვლელთაგან ერთ-ერთმა თქვა: „გზაჩი შაყრილს ნუვის ავსძრახდებით, — სირცხვილიანებ მივდით“.

ნარჩიტათ ბანზე ნადგომმა თაველექათ ბიძურამ ჩასძახა თავქვე მიმდინრებს: „ნარჩიტათ ხთისო მაგიკლავთ, „სახელიანებ“ მიზდით! აწიდგე ნუღარავისგან გეშინისთ!“

გაიათ ბაბუა

შატილის თემის სოფ. ლებაისკარში ცხოვრობდა. უმამაცესი ვაჟკაცი და ნიჭიერი მელექსე გახლდათ. მომადლებული ჰქონდა იუმორის ნიჭიც. არც აბრეკობაზე ამბობდა უარს. გაიათ ბაბუა ბარიდან მთაში ბრუნდება. ფშავში, სოფ. ჴომისძირს მთის კვალობაზე საკმაოდ ფართო მინდვრის გვერდზე დუქანი ყოფილა, სადაც აუარებელი მგზავრი იყრიდა თავს. ამ მინდორზე მთვრალი ხევსურები დარევიან ერთმანეთს. ისმის ბაქ-მუქარიანი გადაძახილები. ერთმა მგზავრმა დაიძახა: „საჭინჭარაულო არავინ ხართა? ჯერ მამკლა (ე. ი. ჩემი თავ-სისხლი ემართა), ეხლა ისევ მე მჭრაო“. ბაბუამ ჯორი ხეს მიაბა, ჩაიარა, ვისაც სისხლჩამდინარი ემუქრებოდა, იმას დაჰკრა თავში ხანჯალი და უთხრა: „თქვენგან მაკლული ჭინჭარაულის უმცროსიმც იქნები!“ ე. ი. საიქიოში იმისი მონა-მორჩილი იქნებიო. შეჯდა თოკის უზანგებით გამართულ ჯორზე და გზა განაგრძო.

ქისტეთში, სოფ. მიზუში ცხოვრობდა ერთი სახელგანთქმული ქისტი ცოთეში. ბაბუამ მაინცდამაინც იმას დაჰპარა ყოჩები:

ყინვართ ბოლოზე შავლალე,
ცოთეშო, შენებ ვერძები.
მე თავშაღმისკე მიმიდის,
შენ თავგაღმოსკე ეძებდი.
ძაუგში ნურას გვიჩივლებთ, —
აგვიტირდების დედები...

მეორე ლექსით სულ აიგდო ცოთეში:

გაიათ დაბალაი-ორ,
ვერვინ მანახვევს ციხესა!
ბევრ მახე გამიკილავის,
ბევრას გავხკილავ კიდეცა.
სადაც ყინვარზე შავვარდი,
გავიარე და ვკიბეცა!
ქალს არ მამცემა, ცოთეშო,
არ გამიხდია სიძესა? —
იქნება მოვიმატებდი
სიმაღლესა და სისქესა...

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა გრიგოლ კიკნაძემ სამეცნიერო ექსპედიციაში წაგვიყვანა ხევსურეთში. კისტან-ლებაისკრის ჭალებზე მდინარე წამდაუწუმ იცვლის კალაპოტს. გვახლდნენ გოგოებიც. მთის მდინარე მაინც ცივია. აწ განსვენებული ჯუმბერ თითმერია, ჯანიანი და გამრჯე ვაჟკაცი, ხელებზე გადაიწვენდა ხოლმე მათ და ისე გადაჰყავდა. ლებაისკარიდან გაიათ ბაბუას 16-17 წლის შვილიშვილი გავიყოლეთ და ზურგჩანთები ცხენზე დავტვირთეთ. როცა ჯუმბერმა ერთ-ერთი გოგო გადაიყვანა, ლებაისკრელი ეკითხება:

— რაი ეგ გოგო შენი?

— ამხანაგი.

— ამხანიგ, მაშ! — უგემური ღიმილით ჩაილაპარაკა ბიჭმა.

დავიბადე 1968 წლის 12 აპრილს, პარასკევ დღეს, ქუთაისში.

ჩემს ოჯახში მესამე, ნაბოლარა, დედმამიშვილი ვიყავი.

მამაჩემი თავის დედმამიშვილებში იყო ნაბოლარა.

ბაბუაჩემი — თავისებში.

ასე რომ, ბაბუაჩემის მამა — ბესარიონი — თერგდალეულების თაობის იყო.

ბაბუაჩემი ილარიონი კი — ცისფერყანწელების თაობის...

გვარში, მე არ მსმენია, ვინმე მეორედ გათხოვილიყოს, ან ვინმეს მეორე ცოლი მოეყვანოს, ბაბუა აპრეხილი ულვაშებით დადიოდა, პეწი ჰქონდა. ჩოხა-ახალუხი, თავისი ვერცხლის ქამარ-ხანჯლით, 85 წლის ასაკშიც უხდებოდა.

რკინის წრთობა უყვარდა, მჭედლების საამქროს მეთაურობდა...

მამისგან დარდიმანდული პოეზიის სიყვარული დამყვა.

დედისგან — ხალხური ზეპირსიტყვიერებისა.

ორივესგან — მათემატიკის ვნება, მათემატიკის ამოცანების წრთვნა, იქამდე, რომ ახლაც სიამოვნებას მანიჭებს — მათემატიკის პედაგოგი ვარ.

ამბობენ, ლექსებსაც მათემატიკური გათვლით წერსო, მე კი მგონია, მათემატიკაში გაცილებით მეტია პოეზიის წილი.

ლექსების წერა გვიან დავიწყე, სტუდენტობის მიწურულს, თუკი ჰქვიათ ამათ ლექსები, უფრო განწყობილებებით, რომლებსაც ხელმეორედ იშვიათად მოვუბრუნდები ხოლმე...

მომწონს ქართული ნატიფი კალიგრაფიის ცქერა... თუ სიტყვაც ისეთივე ჩაწნულია, მითუმეტეს...

მყავს მეუღლე და სამი შვილი — ანი, გვანცა, მათე.

მათე ნაბოლარაა...



რედაქციის მინაწერი

პოეზიის მათემატიკა და მათემატიკის პოეზია.

კარგად დავიწყებული ძველი!

საინტერესო თემა შეგვახსენა გენადი მარგველაშვილმა. მართლაც, თუ რაიმე ემსგავსება და ენათესაობა ამქვეყნად ერთმანეთს, ერთ-ერთი პირველი მათემატიკა და პოეზიაც არის. საერთოდ, ლიტერატურაში ბევრი რამ არის მათემატიკური.

სხვათა შორის, ისიც საინტერესოა, მათემატიკოსის ლექსები მათემატიკური პოეზიაა თუ პოეტური მათემატიკა?

არის ამ ლექსებში უცნაურად სიღრმისეული, რაღაც რიცხობრივისა და სივრცობრივის სინთეზის მსგავსი. ავტორი თითქოს „ციფრული კამერით“ იღებს პოეტურ სურათებს და შემდეგ მოტივებად და განწყობილებებად ალაგებს მუსიკის ფონზე.

ასე და ამგვარად: პოეზია ქმნის, მათემატიკა შეიმეცნებს.

გენადი მარგველაშვილი

მურა

როცა გგონია, რომ აწეწილ ცხოვრებას
კრიალოსანის მარცვლებად ალაგებ,
შემოდგომის ბოლოს ქარნაცემ ტყეში
სახლიდან გაგდებულ ბებერ ქოფაკზე
თუ გიფიქრია?
...სადღაც დამალეს ოდესღაც ასე ნაცნობი
ნესტოებით აღქმული სამყარო...
და ამ სხვა გარემოში არცერთი სუნი
წარსულს არ აგონებს.
თითქოს საშიში არაფერია, თუმცა
ყოველივე რა უცხოა, ჯერ აღუწერელი
თვალთათვის და გაუგონარი ყურთათვის...
იქამდე უცხო, რომ არცერთ ხის ძირში
მოშარდვის სურვილიც არ გასჩენია.
არც კი წამოწვა... დიდრონ თვალებზე
ჩამოწოლილი მძიმე წარბები ოდნავ შეერხა
და იდგა დიდხანს როგორც ქანდაკი.
...როცა გგონია, რომ ცხოვრებას,
როგორც უცხო ლაბირინთს,
უკვე შეაბი შენი ეჟვანი...
ამ ბებერ მურას თუ სცემ მაშინ
საკადრის პასუხს?..
რა ქნას საბრალომ, ნუთუ მგელივით
მოჰყვეს უსაგნო, შიშნარევ ყმუილს
მარტოობაზე?

სონეტი *** 3

ვენახის სარზე „ჩიტუნელა“ იჯდა მარტოკა,
დროებით მოწყდა კეთილ საქმეს — ბუდის შენებას...
გუბის ტალახი ასაზელად აღარ ვარგოდა...
ჩიტი „ფიქრობდა“ — „თუ არ მოწვიმს — რა მეშველება?“

ვენახის გვერდით თაგვი სოროს თხრიდა მალულად,
მიწისპირს ხშირად აკითხავდა გულის ხუთვებით,
წვიმის მოსვლამდე გამართული ჰქონდა მარულა,
რადგან „ფიქრობდა“ — „რომ მოწვიმოს — დავიღუპები“...

ქორი დაჰქროდა, გულმოდგინედ ჰკრავდა ირაოს,
ჩუმად „ფიქრობდა“ — „ეჰ ნეტავი წვიმის მოსვლამდის
თაგვი თუ არა ჩიტი მაინც მაპოვნინა, რომ
სულ ოდნავ მაინც დავანაყრო ჩემი ოჯახი...“

წვიმა „ფიქრობდა“ — მოსულიყო, არ მოსულიყო...
ზღაპარიც იყო, არა იყო — განა სულ იყო...

* * *

დილიდან გამოყოლილი ნისლის სინოტივე
წვეთობით ააშრო მზემ...
აი რას ჰქვია ობოლი სიზმარი და
ლოდინით გულმა საით გაგიწია?
...აგურ-აგურ აშენებდი სახლებს,
შიგ კი მაგიდებზე გადაშლილ,
ნახატებიან წიგნებს ალაგებდი...
...ტივი მიდიოდა მდორე მდინარეში...
წინ ლოცმანივით იდგა კაფანდარა,
შავებით მოსილი ქალი...
ნაადრევად ჭაღარაშერეული...
...ყველა სახლი იყო დამწვარი და
მიწასთან გასწორებული...
თანდათან ჩემი აგურებიც მიჰქონდათ,
ისე ცივად და საქმიანად,
ისე გაგულისებით...
ჭაღარა ქალი შვილს ეძებდა
ორივე ნაპირის დანგრეული სახლებიდან...
რა იცოდა, რომ შვილის სული იქვე იყო,
იმ სათამაშოში...
ლოყაწითელ მასხარაში...
თოჯინაში, რომელიც
სათამაშო ამწეზე ჩამოეხრჩოთ და
დედის ყოველ დაძახილზე უმწეოდ
კონწიალებდა...

სონეტი *** 4

მხოლოდ ერთხელ თქვა „მიშველეთო“ სულის გაკმენდით,
ჩაებღაუჭა თითქოს ფესვებს მწვანე ხავსისას,
სისხამდილით კი უკვე მღვდელი საკმევს აკმევდა...
ხოლო შუადღეზე ძველებურად ისევ გასიცხდა...

ისე იცხოვრა ქვეყანაზე ასშვიდი წელი,
ერთხელ წელიც კი სამადლოდ არ ასტკივებია...
ყველას აჯობა, იყო „მძიმედ“ გრაალის მცველი,
იყო, იცოდა, რომ ცოცხლები ბოლოს კვდებიან...

ენატრებოდა მუდამ სუნი აგვისტოს ოფლის
ასვეტილ ზვინის, დეკეულის, სავსე ტაროსი,
კეცის მჭადების, ბუხრისპირის, ზოგადად სოფლის,
და შეითვისა ყოველივე სააქაოსი...

და ვეღარ შეძლო კარიბჭედან უკან წამოსვლა,
მხოლოდ ერთხელ თქვა — „მიშველეთო“, მაინც წამოცდა...

* * *

დაგვიანებულ ქვეტექსტს,
როგორც მჩხიბავი შარბათს,
ჩემს ჩამომხრჩობს თუ მხვრეტელს
დავეწაფები შაბათს...
...მგონია თავი როსი —
ნანტი, თუ სულაც ბუცე —
ფალი და უფლით მოსილს
გამეღვიძება უცებ...
რას დაიბრუნებ სიზმარს...
თუნდაც ირიბად, ბეცად...
იმ სიმწვანეთა მიღმა
ვის რა სურნელი ეცვა?

დამეკარგება ხვატი
რაშიც მერანი მიქრის...
ოჰ, ეს დღეს, ხოლო ხვალ კი...
ვის მოუნდება ფიქრი?

MEMORIA HOSTIS UNIUS DIEI PRAETEREUNTIS *

ეიფორია...
გაჭიმულ არფის სიმს მტვერი დაეფინა
და უცდის ღვთის თითებს,
რომ სევდა გაფანტოს.
ნაცნობი უნისონის ლაბირინთებში...
მამაჩემს პურმარილი გაუწყვია
ბრჭყვიალა რესტორანში...
გამოპრანჭულა, თეთრი მანჟეტებით
ნეკაპრეხილი სვამს შამპანურს
ვარდისფერ ბაკლიდან...
ზის მარტო, გაშლილ მაგიდასთან
და უცდის ღვთის სტუმარს...
ეჰჰეჰეი... რა ღირს ბილეთი
სააქაოდან საიქიოში?
თუ სულაც უფასოა...
ყელმოღერილი ნაცნობი ქალი
მღერის ღვთის მუსიკას...
ძალიან ნაცნობს, მაგრამ ისეთს, რომ
ვერაფრით იხსენებ...
რძისფერ სუფრაზე მწყობრად დაუწყვიათ
ოცდაათი შავი ვარდი
თუ დააკვირდები დაღლილი თვალებით,
უფრო ჰგავს მანუსკრიპტს
ან ვეება ჩინურ იეროგლიფს,
რომელშიც ნათქვამია ყველაფერი,
და გრძნობ, რომ იცი ყველაფერი ყოველივეზე,
მაგრამ გეღვიძება და ყველაფერი
გავიწყდება...

სიბერე

გაჩერებული საათის ხიბლი —
ძველი სერვისის აქსესუარი...
ვკითხულობ მხოლოდ წაკითხულ წიგნებს
(თითქოს მეგობრებს ვაცოცხლებდე ლაზარესავით)
და მწუხრისპირის ლაბირინთებს — ნაცნობ სტრიქონებს —
მოვეფერები, თითქოს ყრმობის წლებს ვიპარავდე...
ჩამოვნაცრისფრდი,
გამოვხუნდი, როგორც ფურცლები უძველეს ტექსტის...
ძლივძლივობით რომ იკითხებიან...
(შეგიღიტინებს ნესტოებში ძველი სურნელი და
შენც პიკანტურ წვრილმანებამდე გაგახსენდება
პირველი ტრფობის იდუმალი შინაარსები...
...ხომ ეთანხმები, რომ ყველა წიგნს თავის სუნი აქვს,
როგორც ყველა ქალს და სუნამოს
და შემოდგომას...)

*** ერთი დღით წვეული სტუმრის ხსოვნა...**

თუმცა მათ ახლა ვინღა კითხულობს...
და გადაწმენდნენ ახალი მტვრისგან
ახალ ადგილას გადაიტანენ, ვით რელიკვიას...
შეაფასებენ კალიგრაფის ნამოღვაწარს...
თუ რა რთულია წერო გამუდმებით ლამაზი და
კოხტა ასოებით...
აღფრთოვანდებიან და წავლენ,
რომ საკუთარი ხვაშიადიც შეამზადონ დაძველებისთვის...
ოჰ, დრო კი მიდის, ადამის ძის გამონაგონი...
ისევ თენდება და ისევ უწევთ გასწორება
გაჩერებული საათის ისრებს...

* * *

სურვილებს ვატან — დღეებს უწინდელს —
სული გარდასულ ვნებას იურვებს...
ვკითხულობ მხოლოდ წაკითხულ წიგნებს,
როგორც ნაფერებ ჰერბარიუმებს...

სევდარდი

წკვიმატი ამინდი ფარდების გადაღმა,
წვიმარტი, თვალებში შიში და სევდარდი...
დუმილიონები, ვარდების ქადაგმა
მწუხარე ნაპირით მატარა შენამდე...

აპრილი მოვიდა ჩარეცხილ სტრიქონით...
ცისფერიცვალება ...ცრუანაფორები...
ქარაფში ჩაიქცა ცხრა ქორონიკონი,
მაისის მიღმიდან არ გემახსოვრები...

სტუმარიონეტი ივნისის სიმწვანით
გაიბნა დანამულ ბაბუა წვერებში,
ანდაზაფრულები მღეროდნენ წინწყაროს...
ამ ერთს მეც გიმღერებ, მერე კი — შემეშვი...

...იმ დროთა სიღრმიდან მოდენილ სურვილებს
ვფანტავ თუ ვაგროვებ, ვერ ვხვდები, არ ვიცი...
იმ მზისფერ კბოდემდე მეც მიმაცურვინე,
აი რას ვნატრობ და აი რას განვიცდი...

მოლოდინი

მთელი სიცოცხლე ელოდა გოდოს,
ცრემლებით სვრიდა სარკმლის კიდეებს,
როგორც პაწია, უმწეო გოგოს
არ პატიობდნენ უცხო იდეებს.

როგორ უნდოდა სამყაროს შეცვლა,
როგორ ცდილობდა მისთვის ესმინათ,
მაგრამ რასაც კი ვითომდა შესწვდა,
ამ მოლოდინის წამებს შესწირა.

და როცა გოდო გამოჩნდა რიხით...
(თუ ის, ვინც გოდოდ თავად იწამა)
გადაივიწყა ყველა თარიღი...
და ჩუმად, უხმოდ გარდაიცვალა...

* * *

ძილია შვება და ქვადქცევა რჩეული ხვედრი
ვიდრე ბობოქრობს ლაფდასხმული ეს საუკუნე...
მიქელანჯელო

აქ...
ამ განზომილებაში ქანდაკებები
უფრო დიდხანს „ცოცხლობენ, ვიდრე ადამიანები“...
...ღვთიური სული ნეტა მათაც აამეტყველებს?
ანდა — ვინ იცის, ეგებ იდუმალი ულტრაბგერებით
მასლაათობენ კიდეც?
და
რომელიღაც აპოლონმა, მძიმე ქვის გული
გადაუშალა მშვენიერ დაფნას...
...უბადრუკი სახიერება, შეგრძნებათა სიმარტივე
და სასრულობა, არ გვაძლევს იმის საშუალებას,
რომ დავიჯეროთ...
არა...
„არ შეუძლიათ აზროვნება ქვის ნაკეთობებს“...
აი რა გვჯერა... უტყუარი დასაბუთებით
მთელი ჩვენი სასრული ცხოვრება...
ფარდობითობის თეორია კი ყველგან მუშაობს.
არსებითი კატაკლიზმები, რომელსაც ჩვენი გონება
ჯერ ვერ მიწვდება...
მოსალოდნელი რეინკარნაცია...
სამყაროს აღქმა, შავი ხვრელები...
სადაც სამუდამოდ დამალეს ჩვენთვის
სამოთხე...
ანუ მეოთხე განზომილება...
სულთა სამყარო...

განსაწმენდელი

საინტერესოა...
რომელი თვალებით ხედავ სამოთხეს,
თუგინდ ჯოჯოხეთს?..
იმ თვალებით ხომ არა, გულმოდგინედ რომ დაგიხუჭეს
და სამარეში ჩაგაყოლეს?..
— მაგათ რომ რამის ცქერა შეძლებოდათ,
ეგებ სააქაოს გამოგდგომოდნენ...
რა ცინიზმია, სისასტიკე გაუგონარი...
საინტერესოა...
სუნს როგორ აღიქვამ, რომელი ნესტოებით?
თუ ეგებ საერთოდ არ გჭირდება სუნის აღქმა იქ,
სადაც ლომებიც ბალახს გეახლებიან?
(საწყალი ბალახი, თუ ეგებ საწყალი ლომები)...
ამპარტავნობა დიდი სენია...
დაუდგრომელი სულის თანმდევი...
საინტერესოა...
საკვების გემოს როგორ გებულობ?
რომელი ენის რეცეპტორებით?
ან თუ გიხსნიან, სხვაგვარად როგორ აღიქმება
მაგ თვალთა სიტკბო, თაფლისსადარი...
ოჰ, ერთხელ მაინც დამასწრო
იქაურ ბიოლოგიის გაკვეთილებს...
საინტერესოა...
როგორ გესმის, რომ შენით ყველა უკმაყოფილოა?
რომ ათას ცოდვათა ჩამდენს
აღარ აგცდება კუპრის აბაზანები?
რომელი ყურის ნიჟარებით, ან ეგებ გულისყურით,
ეჰ, ნეტავ როგორია ჩვენი აბსტრაქტული სხეული —
არაამქვეყნიური, უკიდეგანო, ყოვლისმომცველი,
ან როგორ ტირის ეს დალოცვილი?
ან როგორ სტკივა, ან როგორ უყვარს, რომელი გულით?
საინტერესოა...

ცენზურა

...ნეტა რა ეწერა საბრალო ფურცელზე,
სანამ გულმოდგინედ ყველაფერს წაშლიდნენ.
ალბათ დაუმალეს გრძნობები ცენზორებს —
სიკვდილის ნაცრისფერ თვალებს...

გულიდან წვეთავენ წითელი ცრემლები,
მინდა რომ დაწყნარდე, მინდა რომ დამშვიდდე,
ვარდისფერ სპილოზე შემსხდარი ორბები
ჩონჩხებით ღამეებს რთავენ...

გაღმისკენ მდინარის სათავეს ყინულად
მოჰყვება დამდნარი ზურმუხტის წვეთები,
ფირუზის წვიმები ორბებად აქცევენ
სპილოზე აწოწილ სვავებს...

და ჩემი სამშობლო გადაჰყვა ამ წვიმას
როგორც პაპაჩემი, ჯერ კიდევ ყმაწვილი...
მეც მისი თითებით გათლილი ყანწი ვარ
ღვინით მავსებენ და მსვამენ...

სონეტი *** 5

გარეთ წვიმაა, სარკმლის მიღმა სივრცე სველდება
უფლის ცრემლებით, მოჭარბებულ სინოტივიდან...
შენი ღიმილი სიზმარშიდაც არ მახსენდება...
შენი სიმღერა დავიწყების ზღვარზე მივიდა...

და ჩაძინებულ მოგონებებს — საგანძურიდან,
ობმოდებული დღეებიდან — ვძერწავ ხელახლა...
ამდენ სინანულს ნეტა ვინმე თუ მოუვლიდა...
როგორ ძნელდება გულისთქმათა სუფთად შენახვა...

აი მე უკვე გაგიტოლდი თითქმის ასაკით,
ახლა მე უკვე მიხარია მოვლა ვენახის,
ახლა მე უკვე გავმრავლდი და მკვიდრად დავსახლდი
და თავს ვიწონებ შენებური „რაშო ჩელათი“.

მე შენი სულით, მონატრებულ სულით ვსველდები...
„შენ ხარ ვენახის“ ვიმღერებ და გამახსენდები...

* * *

დაბერდნენ ჩემი ლექსები, აღარ ვარგიან არაფრად...
როგორც დაღლილი მერცხლები აღრიალებულ ქარაფთან
სხედან, იტანენ მოლოდინს გაუმხელელი დარდისას,
გული თუ მოგყვა ბოლომდის, სული თუ ამოვარდისფრდა?..

წალკოტის თეთრი წვიმები მხრებს ეფინება ფარდებად,
ერთხელაც შევეწირები, ერთხელაც წავალ თავდებად...
და გახუნებულ ოთხთავებს ვისრუტავ განახელები,
როცა სამშობლოს მორთავენ ღვთისგან ნაბოძი ფერებით...

ჩემი ლექსები დაბერდნენ, არაფრად აღარ ვარგიან,
სულ მალე სულის საბედო ფიფქებად ჩამობარდნიან,
შენს ღაწვზეც დასკუპდებიან ცრემლებად დილაადრიან,
მერე კი აორთქლდებიან, შენიც ნაჰყვებათ დარდია...

რაღა ვქნა, რით შეგეწიო, ჩემიც ვერ მითქვამს სურვილი
ზურმუხტად გადალეწილო მამულო, ოქროცურვილო?
გაქრა ქარაფთა თამადა ბავშვობის ანცი სიცხადით...
ლექსებს არ ვდარდობ თავადაც ამოვშრი
მზით ნასიცხარი.

სონეტი * 6**

უცხო სიზმარში რეკვიემი ისმოდა სრული,
თანმიმდევრობით მიიცვალნენ... იყო მსვლელობა...
ჯერ ბოროტება, ანგარება, ბოღმა და შური,
მერე უვიცთა ტირანია, ფარისევლობა...

მერე ლიქნი და დაბეზღება, მოძმეთ ღალატი,
ამპარტავნობა, სიძუნწე და სიძვის ვნებები.
მერე კაცთა კვლა... და გაივსო უცებ ქალაქი
ცოდვის წყებების უბადრუკი გასვენებებით...

სხვა ცოდვებს მიჰყვა თავხედობა, ლანძღვა-გინება,
სულის წარწყმედა, ეგოიზმი და სიძულვილი...
ქვეყანა დარჩა (რადგან ღმერთმა ასე ინება)
სოდომ-გომორას გადარჩენილ კაცთა სურვილებს...

ყველა დაკრძალვას გზად სიკეთე ახლდა — მეგობრად
და ვერ ვხვდებოდი მწყენოდა თუ გამხარებოდა?!

* * *

ამეკვიატა
თეთრი ფონი, მწვანე შლაპები,
მწვანე თვალები, მწვანე ზღვა და ღრუბლის ქულები
და ამ ზღვის იქით კუნძულები,
საგანძურები,
შავი მერცხლები, შევერცხლილი მერსედესები,
მძიმე დესერტი, შავი ღვინო,
შავი რუტინა,
ულტიმატუმი — „დღეის მერე წვეთსაც არ დავლევ“.
მორცხვი ღადავი, და სათავე
ანეკდოტების,
წვიმის ნოტები, მწვანე ზღვაზე აშხეფებული,
მოძველებული სერენადა — „ისევ მჩატდები?“
სომბრეროების მაგივრად კი
მწვანე შლაპები...
ფარული ვნების მოტივები, მძიმე ტრიადა
ამეკვიატა...

* * *

დღე დამთავრდება სულ უბრალო თავგადასავლით...
ძვირფასო სავლე, დღეის მერე წვეთსაც არ დავლევ,
და აღარ მოვწევ მე სიგარეტს,
ძვირფასო მოსე,
მზის ასორმოცჯერ მობრუნებას უნდა მოვესწრო...
ოჰ, სადმე მენდეს მისიელი მაპოვნინა და
თავისუფლებას თუ მასწავლის, იგი მასწავლის,
თვარა გულისთქმა ულმობელი
აფორიაქდა,
აფორიაქდა...

სონეტი * 7**

სალამი წყვიწყვი,
აჰა დადგა დრო სანეტარო...
ხიდს ვინ დაეძებს, წყვილ-წყვილობით გავჭრით გვირაბებს...
რადგან ასრულდა ეს ოცნება, ძველს გავეყარო
უნდა სასწრაფოდ, თორემ გვირგვინს ვინ გვიწილადებს?

ოჰ, რაც რომ ტანჯვა გამივლია მე აქამომდე...
რაც კი ბუხართან მიქექია თბილი ნაცარი.
თუ კაცი მქვია, აი ახლა უნდა გამოვდგე
სანამ ვირები დაიწყებენ კუდის ცანცარით

უბადლო ყროყინს ზეახლებლურ დემოკრატიზმზე...
...მე ჩემი თავი თეთრ ნაბადში ისევ მეგულვის...
(ეჰ, ვის უთქვია, მეგობარო, უარი პატივზე).
ხალხთა მოდგმისთვის თეთრ რაშზე ვარ ამხედრებული...

ლაპარაკს ვსწავლობ, საძირკველიც უკვე ჩავყარე...
შენ არ იდარდო, არ შეგარცხვენს
შენი ყვარყვარე...

სამშაბათს, 9 აპრილს
ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“
დარბაზში გაიმართება
განხილვა

ლია კუხიანიძის
ლიტერატურული ესეებისა
და
პორტრეტების კრებულისა

„ძახილი ნისლში“

მომხსენებელი
ელგუჯა თავბერიძე

დასაწყისი 14 საათზე
ჩუბინაშვილის 41

შემოქმედებითი ჯგუფი „ზღვარი” შეიქმნა 1999 წელს, თბილისში. მისი შემადგენლობა ასეთია: კახა ბაციკაძე, გიორგი ზუხბაია, სერგი ლომაძე, ვასო ლომაძე (ხანდახან მათთან ერთად კახა ლომაძესაც მოიაზრებენ, — სერგის ვაჟს, თუმცა იგი ჯერ მცირეწლოვანია). ჯგუფის ძირითადი „სამოქმედო სივრცეა“ პოეზია, პროზა, მუსიკა, ფილოსოფია. „ზღვარის“ წევრებს ხელოვნების უამრავი საღამო გაუმართავთ საქართველოს სხვადასხვა ქალაქში, ასევე — შექმნილი აქვთ პოეტური წიგნები და მუსიკალური ალბომები. თანამშრომლობენ ორ აკადემიასთან: ფაზისისა და ლეჟავასი. ზღვარელთა პოეტური გემოვნება ძირითადად ქართულ კლასიკურ ლიტერატურას ეფუძნება — რუსთველი, ბარათაშვილი, გრანელი და სხვანი, რომელნიც ასევე კლასიკოსთა სივრცეში მოიაზრებიან. მიუხედავად ამისა, ზღვარელები ყოველთვის ემხრობიან ხელოვნებაში ახალი გზების ძიების ტენდენციებს, რაც ასე გახშირდა საქართველოში, ოთხმოცდაათიანი წლების თაობის გამოჩენის შემდეგ...

გიორგი ზუხბაია

კახა ბაციკაძე

კახა ლომაძე

სერგი ლომაძე

ვასო ლომაძე

კახა ბაციკაძე

პოეტის ვნებანი

გარდასულ გრძნობებს გულის ფსკერი ჩუმად ინახავს,
აზრის ბუდეებს მშვიდად ქსოვენ ფიქრის მერცხლები,
მგონი, რაიმე მიზანს, უკვე, აღარც ვისახავ,
და, გინდა მიზნით, გინდ უმიზნოდ, ჩემთვის ვევნები.
ვამბობ, — არასდროს არ მესმოდა კაცთა ცხოვრების,
მე მწამდა მხოლოდ პოეტური შუქის ციალის,
და სულ ვხვდებოდი, (ჩემი გრძნობით, რთული გონებით),
რომ განწირული იყო, ქვეყნად, ადამიანი.
დიდი ხანია, რაც შევეშვი, კითხვების დასმას, —
პასუხები ხომ სასტიკია და ულმობელი,
ან რა აზრი აქვს თუნდ კოსმიურ სივრცეში გასვლას,
თუკი უფალი მაინც რჩება შეუცნობელი...

უდიდეს გრძნობებს გულის ფსკერი ჩუმად ინახავს.

ოცნებების ფიროსმანი

მწუხარეა ეს ღამე, მეც მწუხარე ღვინოს ვსვამ.
სიყვარული მაჩუქე, ოცნებების ფიროსმანს.
ცხოვრებას ვერ გავუგებ, ალავერდს ვარ სიკვდილთან,
ყვითელ ვარდებს გაჩუქებ, დავკრეფ
გულის ტკივილთან.
ღამის ნაზი ნიავი სახეს მოეფერება,
თითქოს შენი სუნთქვაა, — ასე მომეჩვენება.
სხვა შენში რას დაეძებს, რა სურს ღიმილის გარდა...
მე ხომ, შენი, ძვირფასო, ჩუმი სევდაც მიყვარდა.
გული კვდება უშენოდ, იმედები გაქრება,
და ჩემთან სამუდამოდ პოეზია დარჩება.
მწუხარეა ეს ღამე, მეც მწუხარე ღვინოს ვსვამ.
სიყვარული მაჩუქე ოცნებების ფიროსმანს.

გიორგი ზუხბაია

განცდა — წამიერი

თითქოს მესმოდა ღრუბლების ენა;
მოგმართავ, ქრისტეს თვალების ფერო,
და ვფიქრობ, — ღმერთმა სამყარო შექმნა
მხოლოდ იმისთვის, რომ ლექსი ვწერო.
დაღუპვაც აღარ დაიგვიანებს, —
მშთანთქავს სიბნელე, როგორც მორევი;
დავავიწყდები ადამიანებს,
მე მხოლოდ ქრისტეს ვემახსოვრები.
თითქოს მესმოდა ვარსკვლავთა ლოცვა,
ღამეს სინათლის ცრემლი შეეფრქვა;
უფალი მხოლოდ იმისთვის მოცდა,
რომ ქვეყნად ჩემი სევდა შეექმნა.
მე გულს მივსებდა ვარსკვლავთა ლოცვა...

სერგი ლომაძე

იდეალისტი
(მარადიული მებრძოლი)

ეძღვნება პოეტ კახა ბაციკაძეს, — ადამიანს,
რომელმაც უფრო ადრე თვითონ მომიძღვნა
შეუდარებელი როკ-სიმღერა, სახელწოდებით — „უდიადესი...”

ეს სივრცეები
უთვალავ წლის შთანთქავენ განცდებს,
აქ ვის დაეძებ, რას დაეძებ,
აქ რას იპოვი!
ეს სივრცეები
უსასრულო მანძილზე გასდეს
ზღვის ტიტანებმა,

დაახურეს ზედ ცა — მინორის.
უნდა გაბრუნდე;
გაეცალე ამ ფერად ველებს;
მიხვდები მერე,
უსათუოდ მიხვდები მერე,
რომ ამ შუქებში და ჩრდილებში,
სიკვდილის მეტი,
შენ არ გიცდიდა არაფერი! —
გთხოვ, დამიჯერე...
მაინც წინ გასცქერ,
სიფერადეს თვალს არ აშორებ,
შენ უმზერ სიკვდილს,
როგორც ბავშვი — სათამაშოებს...
და ახლა ვხვდები, —
რომ იპოვო ის, რასაც ეძებ,
უფრო უმეტეს სევდიანი
დარჩები ველზე:
შენ ხომ დაეძებ არმიწიერს, —
დარწმუნდე უნდა, —
არსად არსებობს ის, მიწაზე,
არის ცის გულთან,
მხოლოდ ცის გულთან,
და ძებნაში
და ფიქრში გადის
ჯვარცმული წლები!..
ხო, მიგიხვდი...
მაშ, კვლავ წინ წადი...

თოვლის რეკვიემი

რაინდი თოვლში მიდის და, ქრება;
ქრება რაინდიც, და მისი ცხენიც;
აღარასოდეს არ დაბრუნდება
კაცი, რომელსაც სიკვდილიც შვენის.
თეთრ სამყაროში, მკრთალ ჩრდილთა თვლემა,
წყალში ჩაძირულ მუსიკას მოჰგავს;
თეთრი რაინდი მიდის და, ქრება...
ცას კი ფიფქების სამყარო მოჰყავს...
მას გადუხდია ბრძოლათა დელგმა
და არასოდეს დამარცხებულა,
მას ჭრილობები ამშვენებს ეხლა,
არის ჩუმი და არის ვნებული,
ფიფქთა თვალები უყურებს რაინდს,
და მისდევს თოვლი გაკვირვებული;
იგი კი სადღაც მიდის და... ქრება...

ვასო ლომაძე

რომანტიზმის გახსენება

მე სამხრეთის ღამე მიყვარს,
ამური რომ ისარს ისვრის,
ქალწულ მთვარეს, ოქროსთმიანს,
გულს გაუპობს წვერი ისრის.

სიყვარულის ნექტრით მთვრალი
მთვარე იხსნის ნისლის რიდეს,
ვერცხლის ქნარზე სიმებს დაჰკრეფს
და ჰანგს მოჰფენს კიდით-კიდეს.
ცის სიღრმეში აინთება
მოციმციმე მელნის ხაზი
და წვებიან რძის ღრუბლები
განაბულნი ღამის მკლავზე.
ღრმა წყვდიადში, შორით, მაღლა,
დაიღვრება წყალი წმინდა,
პირდაბანილ ლურჯ ვარსკვლავებს
მთვარე იბნევს თმაში მშვიდად...
მთვარე სანთლად იწვის ცაზე,
გრძნობის ძაფზე მძივებს აგებს,
დიდ სიყვარულს, ზეცის გვირგვინს —
მზეს უმღერის მისი ბაგე.
მთვარე ყვება, — როგორ ანთებს
განთიადი ვარდის ხაზებს,
რომ ვერავინ შეედრება
მზის თვალწარმტაც სილამაზეს...
...მე სამხრეთის დილაც მიყვარს,
როცა ქრება ღამის ვერცხლი,
როცა აღებს ოქროს ჭიშკარს
განთიადის წმინდა ცეცხლი,
როცა ღამე, განწირული,
დაეგება შუქის მახვილს,
როდესაც მზე — უფლისწული
უპასუხებს მთვარის ძახილს!..

კახა ლომაძე

პოეზიაში გადაკარგული

მე დავიკარგე ფიქრებში, მარტო,
მე ჩემი ლექსის სტრიქონებში გადავიკარგე,
და მე არ ვნატრობ, მართლა არ ვნატრობ,
რომ გამოვიდე და რომ გადავრჩე;
პირიქით, — მინდა უფრო შევიგრძნო,
სიტყვათა შორის უფრო გავჩაღდე...
მე დავიკარგე ფიქრებში, მარტო,
მე ჩემი ლექსის სტრიქონებში გადავიკარგე....

ოცნების მთები

ნეტა რა ხდება იმ ლურჯ მთებს იქით,
რომლებიც ბინდში გახვეულია;
ნეტა რას ამბობს ქარი იმ მთებში,
რომლებზეც ნისლი დახვეულია;
ნეტა რად სდუმან თვითონ ის მთები,
მთები, რომლებიც მე მელანდება...
პატარა ბიძგიც, და დაიშლება
ოცნების მთები ცისფერ ლანდებად...
რა საიდუმლო ცხოვრობს მთებს იქით? —
არავინ იცის, იქით რა ხდება...

მაია იანტბელიძე

თვალი — გონებაზე შორსმხედველი

ამ ნაწარმოებზე საუბარი დავიწყოთ იმით, რაც მას სხვათაგან გამოარჩევს და ორიგინალურს ხდის. ესაა ავტორის წერის მანერა. მკითხველის ინტერესს იწვევს ის საოცარი კავშირი, რომელიც მას და რომანის გმირებს შორის მყარდება კითხვის დაწყებისთანავე. სიუჟეტი ცხრა დღის განმავლობაში ვითარდება ისე, რომ ყოველი პერსონაჟი, თუნდაც უსულო (ერთგვარი ფანტასმაგორია), საუბრობს საკუთარ თავზე.

„...არ ვიცი, რომელი გვერდიდან ჩამოვვარდი, გთხოვთ, შემომხედოთ და მითხრათ: იქნებ ის ხე ვიყავი, რომელიც მეჯნუნს უჩრდილავდა, როცა იგი, მწყემსად გადაცმული, ლეილის კარავში შევიდა? ან იქნებ სულში ჩაღვრილი უიმედობა ვიყავი და ღამის სიბნელეს უნდა შევრეოდი?... მინდოდა, უკანასკნელად მომეჩრდილებინა ალექსანდრე მაკედონელისთვის, რომელსაც ინდოთა ქვეყანაზე ლაშქრობის დროს მზემ დაჰკრა და ცხვირიდან სისხლი წასკდა. რამდენიმე დღე სდიოდა და მოკვდა, ან იქნებ, იმ მამას გამოვდგომოდი, შვილს სიყვარულსა და ცხოვრებას რომ ასწავლის? ვინ იცის, რომელ ამბავს რა აზრსა და სილამაზეს შევმატებდი?!... არა, მხოლოდ ის მინდა, ხე კი არ ვიყო, არამედ — მისი იდეა!“ — ამას ყვება არა ჩვეულებრივი ხე, არამედ ნახატი, გარემოებათა გამო წიგნიდან ამოვარდნილი და დაკარგული.

შეიძლება გავიხსენოთ, ასევე, ამეტყველებული ფულის გაცოცხლებული „ურთიერთობა“ მკითხველთან: „...დაუნდობელი, ბრმა, ანგარებიანი ვარ. საუბედუროდ, სამყარო ჩემზე დგას; ...წიგნის ყდებშიც მიპოვია თავშესაფარი და ვარდის სუნით გაჟღენთილი ფეხსაცმლის ქუსლშიც ...მოსაწევი ადგილების, სანთლის ჩამოსასხმელი სახელოსნოების, შებოლილი სკუმბრიისა და მთელი სტამბოლის ოფლის სუნი ზედა მაქვს. ამოდენა წანწალისა და გულისხეთქვის გამომვლელი ერთხელაც ყაჩაღის ქისაში მოვხვდი. იმ ნაძირალამ მსხვერპლს ყელი გამოსჭრა, მე კი თავის ქისაში მიკრა თავი. შინ მისულმა გულიანად დამაფურთხა: „ფუჰ! შენი! ყველაფერი შენ გამო ხდებაო!“ ისე მეწყინა, გაქრობა ვინატრე. მაგრამ მე რომ გავქრე, როგორ გინდათ, ერთმანეთისაგან გაარჩიოთ კარგი და ცუდი მხატვარი? მე რომ დავიკარგო, მხატვრები ერთმანეთს დახოცავენ. ამიტომ მე არ დავიკარგე და ახლა ყველაზე ნიჭიერი მხატვრის ქისიდან თქვენთან მოვედი. თუ უკეთესი მხატვარი ბრძანდებით, დამეპატრონეთ“.

სიუჟეტის გადმოცემის ეს ხერხი ნაწარმოების ბოლომდე შენარჩუნებულია. საინტერესოა ისიც, რომ რომანში შემოდიან ახალ-ახალი პერსონაჟები, რომელთაგან არცერთი არ იმეორებს მეორის მონათხრობს, ამბობს რაღაც ახალს და ამბავიც ასე ოსტატურად განივრცობა და ვითარდება. თხრობის ეს მანერა (მთხრობელი თუნდაც უცნაური გმირი და მკითხველი) გვხვდება სხვა მწერლებთანაც (უილიამ ფოლკნერის ბენჯი რომ გავიხსენოთ, მაგალითისთვის, „ხმაური და მძვინვარებიდან“), მაგრამ ფამუქთან დამაინტრიგებელია საოცარი ინტიმი მკითხველთან, რომელიც ემოციის აღმძვრელია თავისი გულწრფელობით.

მაგალითად: „ჩემი ცნობისმოყვარეობა სათაკილოდ, სიმდაბლედ მიგაჩნიათ, თითქოს თავად, სულ ცოტა, დალაქივით ცნობისმოყვარე არ იყოთ“ — ეს წვრილმანებით მოვაჭრე, ბოღჩით ხელთათმანების, ჩადრების, პორტუგალიური გემით ჩამოტანილი ფერად-ფერადი საპერანგეების, ყელსაბამების, ძვირფასი ქვების, მძივებისა და სამიჯნურო წერილების, ჭორების დამტარებელი ცბიერი, საკმაოდ ჭკვიანი ესთერია;

„განა მარტო მე მაქვს წიგნში მოხვედრის სურვილი? ფადიშაჰები, ვეზირები ოქროთი სავსე ქისებს ამისთვის არ იძლევიან?! მე იმ ლამაზი ქალებივით მინდა ვიყო, ერთი თვალით იმ ცხოვრებას რომ უყურებენ, რომელიც წიგნშია და მეორე — წიგნის გარეთა ცხოვრებაზე უჭირავთ ... ამიტომაც, მინდა, დაგელაპარაკოთ: ლამაზი ვარ, ჭკვიანიც და მომწონს, როცა მიყურებთ. შიგადაშიგ თითო-ოროლა ტყუილსაც გამოვურევ, მაგრამ, იმედია, ჩემს აუგს გულში არ გაივლებთ“ — ეს კი მშვენიერი შექურეა.

ამგვარად, ყველა პერსონაჟი „ზედმეტად გულახდილია“ მკითხველთან, მეტიც, ზოგიერთი ისე მოგვმართავს, როგორც სიუჟეტში მიმდინარე ამბების თანამონაწილეს („თქვენ ჩუმად და მშვიდად მისმენთ. ამით ვხვდები, რომ უკვე იცით, რაც ამ ოთახში მოხდა“), მაგრამ რომანის ერთ-ერთი გმირი- მთხრობელის, მკვლელის, ვინაობას მწერალი არ გვიმჟღავნებს და ბოლომდე უცნობი რჩება. ავტორისავე დამსახურებაა ისიც, რომ კვანძი, რომელიც ნაწარმოების პირველსავე თავში იკვრება, ბოლო თავამდე გაუხსნელია. ასე რომ, მკითხველის ინტერესი არ დუნდება.

ამბავი 1591 წლის ზამთარს, სტამბოლში ხდება. ეს არის ხანების, შაჰების, ფადიშაჰების, უფლისწულების, ხელოსანთა ამქრების, ნაყაშხანების წიგნის შემმოსველ-შემამკობელ მხატვართა, მოხეტიალე, თმაგადაპარსულ, ნახევრადშიშველ დერვიშთა ეპოქა ისტორიული და გამოგონილი გმირებით. თვალისმომჭრელია ამ დროის აღმოსავლური სამყაროს ეგზოტიკა და ბრჭყვიალება, სიმდიდრე და ბრწყინვალება, რაც კარგად ჩანს რომანში აღწერილ ერთ-ერთ ნახატზე: „ეს იყო ეგვიპტის ბეგლარბეგის მიერ წინადაცვეთილი უფლისწულისთვის მირთმეული საჩუქრები. აი, ისინი: წითელ ხავერდზე დასვენებული იაგუნდით, ზურმუხტითა და ფირუზით მოოჭვილი ხმალი — ნატიფი ნამუშევარი; გემი; ვერცხლისფერი, შუბლზე თეთრნიშნიანი, ფიცხი, ამაყი, ელვაზე უსწრაფესი არაბული ცხენი ოქროს სადავით, მარგალიტებითა და ქრიზოლითით შემკული უზანგებით, ოქრომკედითა და სირმით ნაქარგი ხავერდის უნაგირით“. ყველაფერი ეს: წალკოტში მოსეირნე ფარშევანგები, მოჩუხჩუხე

წყაროებზე ჯაჭვით მიბმული ოქროს ჭიქები, აბრეშუმის სამოსში გამოწყობილი ჩაუშები, ისეთი მიხვრა-მოხვრით, თითქოს მიწაზე ფეხს არ ადგამენო, აღტაცებას იწვევს გმირშიც, მკითხველშიც. გავიხსენოთ ერთ-ერთი გმირის აღფრთოვანებაცა და შიშით ძრწოლაც „დედამიწაზე ალაჰის ჩრდილის“ ფადიშაჰის დიდებულებით გამოწვეული: „ოთახში სამყაროს საფუძველი, მისი აღმატებულება, ჩვენი ფადიშაჰი შემობრძანდა — სხივმა ტყვიისფერი დილა გაანათა“.

შემოქმედის, ხელისუფლის, დროის კავშირი ნაწარმოების ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა, რომელსაც რელიგიური ელფერი ადევს და ამ ჭრილში განიხილება ავტორის მიერ. „ყველამ იცის, რომ მხატვრობა — ღმერთმა შემინდოს — ალაჰის გამოწვევაა“ — ამბობს რომანის გმირი, შემოქმედი — ოსტატი ოსმანი.

რა არის მხატვრობა, შემოქმედება საერთოდ? „ყველა ზღაპარი ყველას ზღაპარია, პატრონი არ ჰყავს ზღაპარს“, მაგრამ ის, რაც „პატრონის“, ინდივიდის შექმნილია, რით განსხვავდება ზღაპრისაგან? რა არის შემოქმედის მისია? „ნახატი ზეიმი უნდა იყოს და მან უნდა უჩვენოს ყველას, ვისაც დანახვა შეუძლია: სამყარო ერთი და გაბმული ზეიმია“ — ამგვარად, შემოქმედი მშვენიერებას უნდა ქმნიდეს, სიცოცხლით აღგვაფრთოვანებდეს. მაგრამ მარტო ზეიმისა და ნათელი ტონების ასახვა უკმარისობის განცდას გამოიწვევს, რადგან, დღესასწაულისა და სიხარულის გარდა, მანკიერის, ბოროტის წარმოჩენა და მასთან ბრძოლა ქმნის სიღრმეს ცხოვრებისა, რომლის საკუთარ მოდელსაც ყოველი შემოქმედი გვთავაზობს, სამყაროს თავისი ურთიერთდაპირისპირებულობათა ორსახოვნებით, სისავსით: „თვალწინ ჩაგვიარა ცრემლისმომგვრელმა, დახვეწილმა სურათებმა—ვარსკვლავიან ღამეში მიჯნურთა თავშეყრის ადგილმა — უკაცრიელმა და იდუმალმა ბაღებმა, გაზაფხულის ხეებმა, ზღაპრულმა ფრინველებმა, გაჩერებულმა დრომ, ასეთმა ახლობელმა და ასეთმა შემზარავმა, სისხლიანი ბრძოლის სურათებმა, ორად გაჩეხილმა მეომრებმა, ხანჯლით აკუწულმა ლამაზმა ადამიანებმა, სისხლში მოცურავე ცხენებმა და ლამაზმა, პატარაპირიანმა, წვრილთვალება ქალებმა, თავდახრილები ფანჯრის დარაბებს შორის ღრიჭოდან რომ უყურებდნენ, რაც ხდებოდა; გავიხსენოთ, როგორ ვხატავდით ქედმაღალ, ლამაზ ჭაბუკებს, მოხდენილ შაჰებს და ხანებს, მათი იავარქმნილი სახელმწიფოებისა და სასახლეების ამბებს...“

შემოქმედს უნდა შეეძლოს, შეაჩეროს დრო, აჩვენოს წუთის მშვენიერება, თავისი უმცირესი წვრილმანებითაც კი და, ამავე დროს, ოდნავ შორიდან უყუროს მომხდარს, აღწერილს „ღიმმორეულმა“, როგორც ამბობს ლეილექი, ნაწარმოების გმირი, მხატვარი. ესაა ნიჭიერება ავტორისა, რომელიც ჭეშმარიტებასთან აზიარებს მის მკითხველს, მნახველს, მსმენელს: „სხვების მიერ ჩვენთვის დაკვეთილი თემები როდი ვართ — ეს თემები ყოველთვის ერთნაირია. ჩვენ ამ თემასთან მიახლოებისას გაჩენილი გრძნობები ვართ, სურათიდან რომ გამოსჭვივის, ის სხივი, ჩვენი სულის სიფაქიზეა. ისა ვართ, რასაც განიცდით ადამიანების, ცხენების, ხეების ყურებისას, ის სევდა ვართ, ცაში ასული კვიპაროსის დანახვაზე რომ გეუფლებათ“.

ამგვარად, არა რ ა, არამედ რ ო გ ო რ... ეს არის ის, რაც ერთ შემოქმედს განასხვავებს მეორისაგან და ამისგან გამოწვეული „მხატვართა ოდინდელი თვისება — შური“, რადგან ხშირად ნიჭი და ოსტატობა ამქვეყნიურ დიდებასა და პატივს განაპირობებს. „ფული და სახელი ნიჭიერი მხატვრის უფლებაა“, ეს კი ძლიერთა ამა ქვეყნისათა წყალობაა. რომანში ნაყაშხანის დაოსტატებული მხატვრები ქმნიან გასაოცარ, ოქროთი მოვარაყებულ სურათებს წიგნებში ფადიშაჰის წიგნსაცავისათვის. მათი მძიმე შრომაც და ოქროს ვარაყის სიუხვეც მზრუნველი ფადიშაჰების, შაჰების, ფაშების სიმდიდრის მაჩვენებელია და ეს უკანასკნელნი მათ მიერ შეკვეთილი წიგნებით თავიანთ ძლიერებასა და გავლენას ამტკიცებენ. „ლამაზი ნახატი იმით არის მნიშვნელოვანი, რომ იგი ადასტურებს მხატვრის ნიჭიერებას, რაც ისევე იშვიათი და ძვირფასია, როგორც ის ოქრო, რომელიც სურათზეა გამოყენებული“ — ასეთია შუა საუკუნეთა აღმოსავლელ ხელისუფალთა დამოკიდებულება შემოქმედისადმი. თუმცა ზოგჯერ მხატვრისადმი მიდგომა ამგვარიცაა: „სურათი ადამიანს სიცოცხლეს ულამაზებს, ალაჰის მიერ შექმნილი სამყაროს მრავალფეროვნებისადმი პატივისცემას, სიყვარულს ასწავლის. ეს არის მთავარი და არა მხატვრის ვინაობა“.

უფრო მეტიც, მხატვრობა დაწყევლილია ამქვეყნად, რადგან მუჰამედი ამბობს: „განკითხვის დღეს ალაჰი ყველაზე სასტიკად მხატვრებს დასჯისო“, რადგან ყველაზე დიდი შემოქმედი მხოლოდ ალაჰია, მას არავინ უნდა შეეჯიბროს.

სწორედ ამ რელიგიური რადიკალიზმით დამძიმებული აზროვნების შედეგია ჰერათელი პოეტის, ჰათიფის, სტრიქონები: „ყველა სურათი ალაჰის ნახატია“, და ისიც, რომ ჰერათელი და თავრიზელი მხატვრები არა მხოლოდ თავიანთი ოსტატებისა და დამკვიდრებული წესების პატივისცემის გამო ასაიდუმლოებდნენ საკუთარ ხელმოწერას.

უფლისადმი შემოქმედის ამგვარი დამოკიდებულების გამოვლენაა რომანში აღწერილი უცნაური, ერთგვარად შემზარავი ჩვეულება: დიდი ოსტატნი, მხატვრები თავს იბრმავებენ ქინძისთავებით, თუ მთელი ცხოვრება დაძაბული, მძიმე შრომის შედეგად, თავისდა საამაყოდ, ბუნებრივად არ დაბრმავდნენ, რაც ალაჰის წყალობაა. ეს იმიტომ, რომ „ალაჰი, რომ მოგიახლოოს, თავის დიდებულ წყვდიადს გიბოძებს. მაშინ ამ უბადრუკ დუნიას კი არა — იმ საოცარ სანახაობებს იხილავ, რასაც ალაჰი ხედავს“. ყველა დიდი მხატვრის ნახატიც, მწერლის აზრით, ამ დროის მიღმა არსებული წყვდიადის ფერებით წვდომაა.

ნაწარმოებში განვითარებული კიდევ ერთი პრობლემური თემა — აღმოსავლურ და დასავლურ ცივილიზაციათა ურთიერთმიმართებაა, რაც ისევ რელიგიურ ასპექტშია გაგებული. რა განაპირობებს აღმოსავლური და დასავლური მხატვრობის ერთმანეთისაგან განსხვავებულობას, რაც ასე თვალშისაცემია? ეს არის პერსპექტივა, პორტრეტი და სტილი, რომლებიც ევროპელი მხატვრებისთვისაა დამახასიათებელი. პერსპექტივის ხერხი („თითქოს ნახატი კი არა, სამყაროს უყურებდე გაღებული ფანჯრიდან“), ანუ მნახველისაგან დაშორებულობის მიხედვით ფიგურების სხვადასხვა სიდიდით ხატვა, მიუღებელია ისლამური მხატვრობისათვის, რადგან ის, რაც მათ შემოქმედებას კერპთაყვანისმცემლებისა და ქრისტიანების ნახატებისაგან გამოარჩევს, არის სამყაროს ხედვა სიმაღლიდან, ისე, როგორც ალაჰი ხედავს მას.

„ამ სურათზე საგნები ალაჰის გონში არსებული მნიშვნელობის მიხედვით კი არა, არამედ — ევროპელების მსგავსად — როგორც ჩვენს თვალს ეჩვენება, ისეა დახატული. სურათზე ისლამის ხალიფა, ჩვენი ფადიშაჰი და ძაღლი ერთი სიდიდისანი არიან... იმავე ზომისაა, თურმე, სატანა და თანაც — საკმაოდ მიმზიდველი“. ასეთივე ცოდვაა აღმოსავლეთისთვის პორტრეტი, რომელზეც ლამაზმანები მიწას კი არ ჩასჩერებიან ან რაიმე ნივთს კი არ უყურებენ სიყვარულით, არამედ პირდაპირ მნახველს უყრიან თვალს თვალში. ამით, შეიძ-

ლება, ბოლო მოეღოს მუსლიმანურ მხატვრობას, რადგან ეს არის საშინელი ამპარტავნება, ღვთის გატოლების, საკუთარი თავის სამყაროს ცენტრად, რადაც ალაჰი მოიაზრება, წარმოდგენის ცოდვა. „ეს ევროპული სურათები თითქოს ჩვენ დასაშინებლად იხატება... პორტრეტთა დამკვეთნი მარტო თავიანთი ძალით და სიმდიდრით როდი გვთრგუნავენ, უნდათ, იმაშიც დაგვარწმუნონ, რომ ამქვეყნად ყოფნა განსაკუთრებული სასწაულია“ — ამბობს მხატვართუხუცესი ენიშთე. ევროპელი მხატვრები ხატავენ კარდინალებს, კანდელებს, ხიდებს, ქუჩაში დანახულ ჩვეულებრივ, ტვირთის მზიდავ ჯაგლაგებს, ეკლესიასა და ბოსელს ისე კი არა, როგორც სურათს, არამედ - როგორც ცხოვრებას, თუნდაც თავისი მახინჯი მხარეებით, რასაც არაფერი აქვს საერთო სამყაროს საზრისთან, ალაჰის შექმნილ სილამაზესთან.

არის კიდევ ერთი რამ — სტილი, რომელიც ევროპელ მხატვართათვის გამორჩეულობისა და ნიჭის დამადასტურებელია, აღმოსავლეთში კი ფარულ ზადად, სისუსტედ ითვლება, რომლის საქვეყნოდ გამოტანა სათაკილოა, ამიტომ ჰერათელი მხატვრები მალავენ ამ ნაკლს და ცდილობენ არ გამოირჩეოდნენ ძველი ოსტატებისაგან. თუმცა: „ვიცი, სტილის ქონა სამარცხვინო, უგვანო რამ არის. ამავე დროს, პატივმოყვარეობის ჭია მღრღნის, სატანა მაცდუნებს და მინდა ჩემი სტილი მქონდეს“ — ამბობს ერთ-ერთი ნიჭიერი მხატვარი ნაწარმოებში და ეს ბუნებრივიცაა... ასე სტანჯავთ მუსლიმურ ქალაქში საშიში, აკრძალული საქმის მიმდევართ — მხატვრებს დანაშაულის მარადიულობის განცდა, რაც, ერთი მხრივ, თრგუნავს მათს ფანტაზიას, მეორე მხრივ — ასაზრდოებს მას. ამგვარად, სპარსელი მხატვრების სურათები, ჰერათელი და თავრიზელი ოსტატების საოცრებები მხოლოდ წიგნის გვერდების, ქაღალდზე სიცარიელის შევსებად უნდა ჩაითვალოს. მათ რომ ევროპელი ოსტატებივით ხატონ, მაშინ მათი ნახატები უბრალო სამკაული როდი იქნება, სურათად იქცევა, რასაც დიდი ყურანი კრძალავს და წინასწარმეტყველ მუჰამედსაც არ მოსწონს.

ეს ორი სამყარო, აღმოსავლური და დასავლური, მიუხედავად შემოქმედთა ქიშპისა, ურთიერთდაპირისპირებულობისა, ყოველთვის განიცდის ურთიერთგავლენას, ურთიერთსიმპათიას, რაც ნაწარმოებშიც კარგად ჩანს. მათ განსხვავებებთან ერთად საერთოც აქვთ. ეს არის ოსტატობა. თუ ევროპელ მხატვართა სურათებზე ტანსაცმლის ყველა ნაოჭი, ჩრდილი საოცარი სიზუსტითაა გადმოცემული, რის დაუფლებასაც საუკუნეები სჭირდება, ლეგენდადაა ქცეული აღმოსავლელი მხატვრების ოსტატობაც: „ჰუნერნამესათვის დახატულ სასახლის სურათზე ოქროს წყლით დაფერილ გუმბათებს, კოშკებსა და კვიპაროსებს შორის მოქცეული ცა ქვეყნის აღსასრულის მოახლოებას განგვაცდევინებს... როცა ჩვენი წინასწარმეტყველი მუჰამედი ზეცად მაღლდებოდა, მხრებში ანგელოზები ედგნენ, იმათ ეჭირათ. ეს ისეთი ცოცხალი ფრთებით იყო დახატული, მისი შემხედვარე ბავშვები ჯერ კი ფრთხებოდნენ, მაგრამ მერე გულიანად იცინოდნენ“.

როგორც რომანის ავტორი გვეუბნება: „აღმოსავლეთიც ალაჰისაა და დასავლეთიც“ და ყველგან მხატვარი ისე უნდა ხატავდეს, როგორც გულიდან მოდის. ეს ორივე სამყაროს მხატვართა გამაერთიანებელია, და კიდევ ესეც: „ჰერათელი ოსტატები დროს კი გააჩერებენ, მაგრამ როგორიც ხარ, ისეთს ვერ დაგხატავენ. ევროპელი მხატვრები, განუწყვეტლივ ხატავენ ღამაზ დედას გულში ჩაკრული ჩვილით, მაგრამ მათ დროის გაჩერება არ შეუძლიათ... ადამიანი სურათზე ღიმილს კი არ ეძებს, არამედ — სიხარულსა და ბედნიერებას ცხოვრებაში. მხატვრებმა ეს იციან, მაგრამ ვერ ხატავენ, ამიტომ ცხოვრებისეულ ბედნიერებას, სანახაობითი ბედნიერებით ცვლიან“.

რაც შეეხება ნაწარმოების მხატვრულ მხარეს, ამბების მრავალფეროვნება, ხატოვანი სტილი, ნახატისებური ფერწერულობა აღწერილ თემებთან ოსტატურადაა შერწყმული. წიგნით მონიჭებული ესთეტიკური სიამოვნება უდავოდ მთარგმნელის, ლია ჩლაიძის, დამსახურებაცაა.

შთამბეჭდავია ღრმა ფსიქოლოგიზმი, რომლის ცოდნასაც მწერალი ადამიანთა ხასიათების, საკუთარი ამბის მთხრობელ არსებათა, გასულიერებული საგნების, ცნებების ხატვისას ამჟღავნებს. დამაჯერებელი სიზუსტითაა გადმოცემული ბავშვის, მკვლელის, ჰომოსექსუალი, ქალის ტანსაცმელში გამოწყობილი ბერიკაცის განცდებიც კი. „რა მატირებდა? — თავად არ ვიცი. გეტყოდით, მათმა გულისხმიერებამ გული მომილბო-მეთქი, მაგრამ ასე არ იყო. იქნებ იმიტომ ვტიროდი, რომ ისევ გავიგონე, როგორც დაეცა ჭის ფსკერზე მისი სხეული? არც ეს. თუ იმიტომ, რომ გამახსენდა, რა ბედნიერი ვიყავი, სანამ მკვლელი გავხდებოდი“.

ტროპის სახეებიდან რომანი საინტერესო, ორიგინალური შედარებებით გამოირჩევა („ძლიერი მკლავის პატრონი მძინარე ბავშვივით უწყინარი და ჩუმი იყო“; „აჰა!“ — თქვა ბოლოს და გაჩუმდა, როგორც ბავშვობაში მოსმენილ სირიულ ზღაპარშია, მოხუცი სიკვდილს რომ გადაეყრება“; „როგორც უადგილო, უსამშობლო კაცი, ცდილობს ყველა ყალიბს მოერგოს“; „ისეთი კაცის ნივთებია, რომელმაც არ იცის, როგორ იყოს ბედნიერი“ და ა.შ.)

საოცრად გვამახსოვრებენ თავს მთავარი გმირები: ყარა და შექურე. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით, რომლის ღირსება არამარტო გარეგნობა, გონიერებაცაა, ორჰან ფამუქი თამამად არღვევს აღმოსავლურ სამყაროში გაბატონებულ სტერეოტიპს მამაკაცის პრიმატისა, და ქალს სრულფასოვანს, მასთან თანასწორს გვიხატავს. ეს, რა თქმა უნდა, კიდევ ერთი დამსახურებაა მწერლისა.

ნაწარმოებში არის ისტორიული დეტალები: გამოგონილთან ერთად გვხვდებიან რეალურად არსებული პირები, ლიტერატურული ნაწარმოებები, სამეფოები (შეიბანიანთა სახელმწიფო (1500-1598წწ), ქართული წარმოშობის ირანელი მხატვარი სიაუში (XVI ს), ფირდოუსის „შაჰნამე“, ნიზამის „ხოსროვშირინიანი“, „იოსებზილიხანიანი“ და ა.შ.)

დასასრულ ვიტყოდი, რომ „მე წითელი მქვია“, როგორც ყველა გამორჩეული ნაწარმოები, ჩაგვაფიქრებს ცხოვრების არსზე. „როცა თავს დააღწევ დროისა და ადგილის საპყრობილეს, მაშინ მიხვდები, რა ვიწრო პერანგია ცხოვრება“ — ყვება გარდაცვლილი, განსაწმენდელში მოხვედრილი ენიშთე. კი, გვევიწროება, მაგრამ, მტკივნეულია, წუთისოფელთან განშორება მისი იდუმალი ხიბლის გამო. „ერთბაშად მთელი სამყარო წარმომიდგა სასახლედ, სადაც ერთმანეთში გამავალი ურიცხვი ოთახია. ერთი ოთახიდან მეორეში მოგონებებითა და ოცნებებით შესვლა შეგიძლია, მაგრამ უმეტესობას ეზარება და მთელი სიცოცხლე ერთსა და იმავე ოთახში ზის, რაღაცას ელოდება“ — ეს შექურეს სიტყვებია. ერთსა და იმავე ოთახში მოწყენილი ჯდომის მოლოდინი რომ არ მივუსაჯოთ თავს, ვიცხოვროთ მოგონებებით, ოცნებებით და ყური მივუგდოთ იმ საოცარ, ზოგჯერ სიჩუმის მელოდიას, რომელსაც ხელოვნება, ასეთი მშვენიერი ლიტერატურა გვთავაზობს.

კარგად ამბობს ორჰან ფამუქი: შემოქმედება, „ნახატი

ნათელა ნათლიაშვილი-კვინიკაძე

„გამოიღვიძე, ქნარო, გამოვაღვიძებ ცისკარს...“

აღესრულება დანიის კეთილშობილი პრინცი ჰამლეტი... „ჩაქრა ლამპარი დიდებული!“ — მწუხარებით წარმოთქვამს მისი ერთგული, უახლოესი მეგობარი ჰორაციო.

ამ სამზეოს უდროოდ განშორდა სიტყვის ჯადოქარი ჯემალ აჯიაშვილი და ჩვენც შეგვიძლია ასევე მწუხარებით წარმოვთქვათ: „ჩაქრა ლამპარი დიდებული!“

ჯემალ აჯიაშვილი! — ღირსეული, წარმატებული პიროვნება, საპატიო რეგალიებით დახუნძლული და დამშვენებული; ცნობილი პოეტი, მთარგმნელი, მეცნიერი, ჭეშმარიტად ქართველი მწერალი; ყოფილი სახელმწიფო საბჭოს წევრი; საქართველოს პარლამენტის სამი მოწვევის დეპუტატი (1992-2004 წ.წ.); სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების კათედრის გამგე, პროფესორი; ებრაული სახალხო უნივერსიტეტის რექტორი; თსუ-ს იუდაიკის კაბინეტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, თანათავმჯდომარე; საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის გენერალური დირექტორი; რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პარიზის ქართულ-ევროპული ინსტიტუტის ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის სახელობის პრემიების ლაურეატი; საბას პრემიის ლაურეატი; ისრაელის პრეზიდენტის ჯილდოს მფლობელი; ღირსების ორდენის კავალერი, თბილისის საპატიო მოქალაქე.

მრავალმხრივი მოღვაწე, პოეტი, მთარგმნელი, მეცნიერი, პოლიტიკოსი, ერთ-ერთი საუკეთესო დიპლომატი — ჯემალ აჯიაშვილი საოცრად მომხიბვლელი ადამიანი, დიდებული, საამაყო შემოქმედი და კეთილშობილი, მაღალზნეობრივი, მაღალი სულიერების მატარებელი, თავმდაბალი პიროვნება იყო. მან უმდიდრესი ლიტერატურული მემკვიდრეობა დაგვიტოვა თავისი უნიკალური პოეზიის, თარგმანების სახით, რომლებიც თითქოს ქართულ ენაზე დაწერილი ლექსებია, ორიგინალივით ჟღერს და ყველა ასაკის ადამიანს ხიბლავს, ეძვირფასება და უყვარს. პოეტმა და მთარგმნელმა გივი შაჰნაზარმა ლამაზად აღნიშნა, რომ „ჯემალ აჯიაშვილის თარგმანები ქართული მზის ნატეხებითაა გაჯერებული“. ჯემალ აჯიაშვილი წერდა თითქოს პოეზიისთვის საგანგებოდ შექმნილ მოქნილ, ლამაზ, ძლიერ, ღრმა ქართულ ენაზე, ლადო ასათიანის სიტყვებით „ხმათა ხავერდების და ღმერთების ენაზე“ და გვაჯადოებდა.

„შუა საუკუნეების ებრაული პოეზია“ სწორუპოვარი პოეტური ძეგლია. მკითხველი ეზიარება X-XII საუკუნეთა უდიდესი ებრაელი პოეტების — შემუელ ჰანაგიდი, შელომო იბნ გებიროლი, მოშე იბნ ეზრა, იეჰუდა ჰალევი, აბრაჰამ იბნ ეზრა, იეჰუდა ალხარიზი და სხვანი — მშვენიერი ლექსების ჯემალ აჯიაშვილისეულ უბრწყინვალეს თარგმანებს, რომლებიც გამორჩეულია მელოდიურობით, ნაჩუქურთმები სიტყვებით, უძველესი და უმდიდრესი, ულამაზესი ქართული ენის წიაღიდან ამოკრეფილი მარგალიტებით...

ლექსების ფერთა პალიტრა მრავალფეროვანია, პოეტი-პროფესიონალის ქმნილებანი უმაღლესი პოეტური ტექნიკითაა აღბეჭდილი, დახვეწილია და ნათელი, გვხიბლავს ლექსის აზრობრივი დამუშავების სიღრმე, აზრის ძლიერება, სისავსე...

ჯემალ აჯიაშვილის ენა შოთა რუსთველის, დავით გურამიშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილის მსგავსად გატყვევებს და აღტაცებას გგვრის... აი, მოვუსმინოთ იეჰუდა ჰალევის „ყამგადასული სიყვარულის საგალობელს“: „...როგორ ვგალობდი, როგორ ვხარობდი შენი მინდვრით და შენი წყაროთი და სიყვარულის საბაღნარომდი რა სასოებით მოვიჩქაროდი!“ „... გახსოვს? — მღეროდა შენი ვარდეთი, მთების გადაღმა ფშვენდა მინდორი და საღამეულ სილაჟვარდეში კრთოდა ლალი და იაკინთონი“... „შენ მზე ხარ, მზე ხარ, ცეცხლად ნაქები, ცის ბაღებიდან გეზამბახები“... (აბრაჰამ იბნ ეზრას „ადამ, სადა ხარ?“); „ასე რად მელტვი, ჩემო მიჯნურო, მარქვი, რად არ-ჩევ კიდეგანობას?..“ „მზეს დავუცალეთ ოქროს ბარძიმი, ცას — ვარსკვლავები მიმოვუბნიეთ...“ (მოშე იბნ ეზრას „ყამთა საგალობელი“); „ ... მაშ, განემზადე! უკვე მინელდა შენი კანდელის ჩუმი კიანთი, წყალო, წარუყვე წარსადინელთა, მზევ, სამზეოში შემომზიანდი!“ (იეჰუდა ჰალევის „სიმღერა სულამითისა“); „ისევ შორად ხარ, შორით მინათებ, შუქმოიაფე ქარში შუქდები და სასოების უდაბნოიდან ზღვის ციაგივით მეზურმუხტები“... „ ...მტერმან ვერარაი მოიმაქნისაო, მძლეობს კიპარისის ღერო, ფრთეო ნათლისაო, ფრთეო მაღლისაო, შარავანდისაო ჩემო!“ (შემუელ ჰანაგიდის „იოსებისადმი“); „ ...ასე ჩაეშვა მწუხრეული სხივის ნათება, მზის ბრწყინვალება ჩაესვენა შარავანდივით“... (იეჰუდა ალხარიზის „გამოცხადება“) ... ჭეშმარიტად ღვთაებრივი, მშვენიერი, სულისშემძვრელი სტრიქონებია, რომელი ერთი გავიხსენოთ, სიტყვები თითქოს გალობენ, მღერიან, მკითხველს, მართლაც „სალმობანი სალმობიერთა კვლავ სასოებად რომ ესალბუნება... “

შუა საუკუნეთა ებრაული პოეზიის მიხედვით ქ-ნმა მანანა ბერიკაშვილმა განახორციელა სპექტაკლი „სებია“, რომელიც დაიდგა აკაკი ხორავას სახელობის მსახიობის სახლსა და მარჯანიშვილის სახელობის თეატრში. სპექტაკლს დიდი წარმატება ხვდა წილად.

... „გამოიღვიძე, ქნარო!“ - ჯემალ აჯიაშვილის ღირსშესანიშნავი, ორიგინალური ესეი... ამ ნაწარმოებში მწერალმა გაიცოცხლა ორი უძველესი და უკვდავი ერის – ქართველებისა და ებრაელების ისტორიის, კულტურის სულიერება, ამ ერთა 26-საუკუნოვანი მეგობრული ურთიერთობის უნიკალური ფენომენი. ბ-ნი ჯემალის აზრით, „ქართველთა და ებრაელთა ურთიერთობა ზეცაშია გადაწყვეტილი, მათი გზა ღმერთისგანაა შექმნილი. ისრაელში წარმოდგენილ პიესას აკი „სიყვარული გზად და ხიდად“ ეწოდა კიდეც. ცნობილმა მსახიობმა კოტე მახარაძემ „გამოიღვიძე, ქნარო!“ — ერთი მსახიობის თეატრში შესანიშნავად აამეტყველა, ისრაელის მაყურებელსაც წარმოუდგინა და დიდი სიხარული აჩუქა.

უილიამ შექსპირის „ლუკრეციას“ აჯიაშვილისეული თარგმანი დედნისეული, ბუნებრივი ქართული ლექსია. მის მიერ თარგმნილი შექსპირი — ნამდვილი შექსპირია. ბ-ნი ჯემალი ბრწყინვალედ გადმოსცემს დიდი მოაზროვნისა და ჰუმანისტის შეხედულებებს ბუნებისა და ყოფიერების, ხელოვნებისა და მშვენიერების შესახებ; მოვიხმოთ რამდენიმე ლამაზი სტრიქონი ამ პოემიდან: „მიიცრიცება შუაღამე — მორბედი ხვალის და ტყვიის თვლემა ეძალება სიცოცხლის ხალისს... “ „მარქვი, უტკბესო, ვინ რა გიმტრო, ვინ რა გაურვა, რა უღმერთობის აუხსნელმა დანაშაულმა?“

„ლუკრეციას“ ბრწყინვალე თარგმანისათვის 1991 წ. პარიზის ქართულ-ევროპული ინსტიტუტის ილია ჭავჭავაძის პრემია მიენიჭა. ასევე, ბრწყინვალე თარგმანი აჩუქა ბ-ნმა ჯემალმა მკითხველს იაპონური ლიტერატურის უდიდესი წარმომადგენლის — მონძაემონ ჩიკამაცუს დრამატული პოემის „შეყვარებულთა თვითმკვლელობა ციურ ბადეთა კუნძულზე“ — სახით; ნაწარმოები მოგვითხრობს სასიკვდილოდ განწირუ-

ლი წყვილის — ჯიჰეისა და კოჰარუს სევდიანი სიყვარულის ამბავს; იგი მუსიკალურადაა გადაწყვეტილი; პიესა დიდი წარმატებით იდგმებოდა კოტე მარჯანიშვილის თეატრში, წარმოდგენილი იქნა ტოკიოშიც — 1991 წ.

„ვარსკვლავთა ჩრდილში მაღალთა თანა... “ ესაიას ეს სტრიქონი წაუმძღვარა ჯემალ აჯიაშვილმა თავის ბრწყინვალე წიგნს, რომელშიც 12 ავტორია გაერთიანებული (იტალიური სონეტი — დანტე ალიგიერი, ფრანჩესკო პეტრარკა, მიქელანჯელო ბუონაროტი, ანტონიო ვივალდი, უილიამ შექსპირის „ლუკრეცია“, მონძაემონ ჩიკამაცუს „შეყვარებულთა თვითმკვლელობა ციურ ბადეთა კუნძულზე“, XX საუკუნის გერმანულენოვანი პოეტები — რაინერ მარია რილკე, ნელი ზაქსი, პეტერ ჰუხელი; XX საუკუნის რუსი პოეტები — ვლადიმირ მაიაკოვსკი, ოსიპ მანდელშტამი, ბორის პასტერნაკი). წინასიტყვაობაში — „დრო — ჟამთა წიაღში“ მთარგმნელი წერს: „წიგნში სხვადასხვა დროისა და ქვეყნის თორმეტი ავტორია წარმოდგენილი. მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ მათგანს მსოფლიო პოეზიის იერარქიაში თავისი ადგილი აქვს დამკვიდრებული, ყველას აერთიანებს ერთიანი პოეტური სივრცე, რომლისთვისაც არავითარი მიჯნა და საზღვარი არ არსებობს. კაცობრიობის დიდი პოეტები ხომ, რაფაელის ფრესკისა არ იყოს, ერთ დიდ სულიერ ტრაპეზს შემოსხდომიან და კაცთა მოდგმის საფიქრალს დასტრიალებენ — სიყვარული იქნება ეს თუ ბოროტება, სიცოცხლე თუ სიკვდილი...“

ჯემალ აჯიაშვილი

დროისა და სივრცის ჩვეულებრივი გაგება აქ თითქოს დაცულია (აკი ჩიკამაცუს „იაპონელ შექსპირად“ მოიხსენიებენ და პირუკუ — ევროპული ცივილიზაციის გაცნობის შემდეგ, შექსპირი „ინგლისელი ჩიკამაცუს“ ტიტულით შევიდა იაპონელთა ცნობიერებაში; ორივე მათგანის პოეტურ თვალსაწიერზე აღორძინების — დასავლურისა თუ აღმოსავლურის — ერთიანი სული ტრიალებს“).

ჯემალ აჯიაშვილის ღრმად შინაარსიანი, საინტერესო და აქტუალური წერილები კულტურის, ლიტერატურის, განათლებისა და მეცნიერების საკითხებზე ხშირად იბეჭდებოდა რესპუბლიკურ პრესაში.

ბატონი ჯემალის ისრაელში გამგზავრებამდე ჩვენი შეხვედრა შედგა. მისი თავმდაბლობა ისეთივე ლამაზი იყო, როგორც თავად მისი პიროვნება. დაკვირვებული ვარ, ყველა დიდი პიროვნება სადა და თავმდაბალია; ბრძენკაცს ისე უჭირავს თავი, თითქოს თვითონ კი არ ასწავლის, არამედ სხვისგან თვითონ სწავლობს. ეს ხომ გასაოცარი თვისებაა?!

...ბლიც-ინტერვიუთი ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ ბ-ნი ჯემალი დაბადებულია 23 მარტს. იღბალი სწყალობს, ამაზე გალაკტიონის ლექსით მპასუხობს: „სინამდვილეს არ ვემდური, არც ყოფილა თითქმის, არყოფილზე საყვედური არასდროს არ ითქმის“—ო. მთელი ცხოვრების მანძილზე ცდილობს საკუთარი თავის შეცნობას (სოკრატეს ანდერძის „შეიცან თავი შენი“ თანახმად); გარკვეულწილად წარმატებულ ადამიანად მიიჩნევს თავს; პირველ სოლიდურ თანამდებობად პოეტობას ასახელებს (რაც ერთობ ორიგინალური პასუხია); ცხოვრებაში ღმერთის იმედი აქვს; ადამიანს ვერ აპატიებს სულმდაბლობას; აღიზიანებს ტრაბახი; ქალში ყველაზე მეტად მოსწონს — ქალი; ქალის მიმართ სიმპათიის გამოხატვა მრავალგვარად ძალუძს; მიმტევებელია; ზედმიწევნით ტრადიციული; მისთვის სიყვარული — სიყვარულია, ძალა, ნიჭი და უნარი — სამივე ერთად; სწამს იმქვეყნიური ცხოვრება; ჰყავს ბევრი საყვარელი მწერალი, აქვს ბევრი საყვარელი წიგნი; კინო, თეატრი, მუსიკა — მისი თანამდევი სულიერებაა; მისი შეხედულებით, ადამიანისათვის მთავარი ადამიანობაა; მეოცნებეა, რადგან ოცნებაში ყველაფერი ბევრად უფრო სრულყოფილია (გახსოვთ, ძველად მეოცნებეთ „მუცლით მეზღაპრეებს“ რომ უწოდებდნენ?); ისევე, როგორც სხვებს, ცხოვრებაში მასაც მოსდის შეცდომები; მისი ცხოვრების დევიზია — ცხოვრება!

ბატონი ჯემალის აზრით, „პოეზია არის იმ დაკარგულის ძიება, რომელმაც ჰარმონია უნდა აღადგინოს“, ეთანხმება ბიუფონის გამონათქვამს, რომ „გენიოსობა არის ნიჭი მოთმინებასთან შეერთებული“, აგრეთვე, ვოლტერს, რომელიც პოეზიას „სულის მუსიკას“ უწოდებდა.

დიდი ადამიანის პორტრეტი, პიროვნული თვისებები, მისი შეხედულებები საზოგადოებრივ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და ა.შ. ცხოვრებაზე, მიმდინარე პროცესებზე, ასევე, ყოველთვის საინტერესოა მკითხველისათვის, ამიტომ, ვისარგებლე რა ბ-ნი ჯემალის კეთილგანწყობითა და უსაზღვრო თავაზიანობით, რამდენიმე შეკითხვით მივმართე:

— შოპენჰაუერს თუ ვერწმუნებით, ყოველი ბავშვი მცირეოდნად მაინც გენიოსია, ყოველი გენიოსი კი — მცირეოდნად მაინც ბავშვი. თქვენი აზრით?

— რაც მეტხანს რჩება ადამიანი ბავშვად, უკეთესია, მაგრამ ვინ როგორ ახერხებს ამას... ცხოვრება, როგორც ყველაზე დიდი „პროზაიკოსი“ (ამ სიტყვის ნეგატიური გაგებით), ყოველთვის ცდილობს ჩაკლას ჩვენში ბავშვი, ამიტომ ბავშვად დარჩენის ხელოვნება — უდიდესი ხელოვნებაა, ეს ნიშნავს, შენს სულსაც, შენი ცნობიერების ინტერიერებსაც მიაგო მისაგებელი და ცხოვრებასაც შეძლებისდაგვარად ანგარიში გაუსწორო.

— დრო და ხანი — დიდი მასწავლებელია. რას ნიშნავს თქვენთვის დრო? ვისაც დრო არაფრად უღირს, მიაღწევს განა ოდესმე დიდებას?

— რთული, ფილოსოფიური შეკითხვაა. ყოველი ინდივიდის, მეტადრე შემოქმედის უპირველესი მცდელობა იქით უნდა იყოს მიმართული, რომ ამ მყიფე და სწრაფმავალ დროს გამოსტაცო ისეთი რამ, რაც მარადიულობასთან იქნება წილნაყარი.

— როგორ იბადება თქვენი ესა თუ ის ლექსი, თარგმანი? თუ დავით კლდიაშვილისა არ იყოს, კალამი თავისთავად გასრიალდება ხოლმე, როცა სათქმელი ვეღარ ითმენს?

— გააჩნია, ხან ისე, ხან ასე.

— როგორც ჰიუგო ამბობდა, ერის სიდიადის საწყაო ლიტერატურაა, მსოფლიო მხატვრული ლიტერატურის შედევრები (რუსთაველი, დანტე, გოეთე, ჰომეროსი, შექსპირი, შილერი, ევრიპიდე, სოფოკლე...) შეიქმნა პოეზიაში. ეს ყველასათვის ცნობილია. კაცობრიობას ჰყავს უდიდესი პროზაიკოსები ბალზაკის, ჰიუგოს, ჰემინგუეის, ტოლსტოის, სტენდალის, დოსტოევსკის, ფლობერის და სხვათა სახით. რომელი მხატვრული პროზაული ნაწარმოებები მიგაჩნიათ მსოფლიო მხატვრული პროზის გვირგვინად?

— ბევრი მწვერვალი არსებობს. ადამიანის ცხოვრება არაერთნიშნადია, სულიც... ასაკსა და დროსთან მიმართებით ყოველთვის განიცდის ტრანსფორმირებას. სხვადასხვა დროს სხვადასხვა ნაწარმოები მოგენატრება ადამიანს, ეს კაცობრიობის სულიერი მწვერვალებიც მრავლადაა მიმოფენილი მსოფლიო ლიტერატურის ისტორიულ გზებზე, ამიტომ მათი შეხსენებით თავს არ შეგაწყენთ. ისე კი არსებობს წიგნები, რომლებსაც ხშირად ვუბრუნდები.

— რა არის თქვენთვის აღთქმული ქვეყანა — ერეც ისრაელი, იერუსალიმი, — მოსეს ენა — ებრაული ენა?

— აღთქმული მიწა არის აღთქმული მიწა. ამით ყველაფერია ნათქვამი.

— როგორ დონეზე დგას თანამედროვე ისრაელის კულტურა, მწერლობა, თეატრი, კინო, მუსიკა, ფერწერა? თუ შეიძლება, მოკლედ ამის შესახებ.

— ისრაელს საკმაოდ მაღალი კულტურა აქვს. ჩემი აზრით, ისრაელს თავისი არსებობის მანძილზე დიდი წარმატებები, მიღწევები აქვს უამრავ სფეროში (ეკონომიკა, სოფლის მეურნეობა, მედიცინა...). ალბათ, არც კულტურაა ამ მხრივ გამონაკლისი. თუმცა, დიდი, გრანდიოზული კულტურის შექმნა, დროის თვალსაზრისით, უფრო ხანგრძლივი პროცესია, ვიდრე სხვა სფეროებისა. ისრაელი არის კონგლომერატი მსოფლიოს ასამდე ქვეყნიდან „ამოსული“ ებრაელებისა მათი მენტალიტეტით, ისტორიით, ტრადიციით, ჩვევებით... ყველაფერი ეს ერთ ქვაბში იხარშება და ეს სხვადასხვა კულტურა, ჩვევა, ტრადიციათა გადაძახილი, მათი ყოველდღიური დიალოგი, ამ პატარა ტერიტორიაზე ადრე თუ გვიან შექმნის ერთ დიდ, გრანდიოზულ კულტურას, რომლის ანალოგი მსოფლიოს ისტორიაში არც მოიძებნება.

— თქვენ ძალზე აქტიური სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე ბრძანდებით. როგორ გესახებათ საქართველო-ისრაელს შორის თანამშრომლობის პერსპექტივები?

— პერსპექტივები ძალზე დიდია, რეზერვები — უამრავი; როგორც იტყვიან, „სამკალი ფრიად არს“; ახლა მომკელზეა საქმე.

— გაზეთ „ახალ თაობაში“ დაიბეჭდა ინფორმაცია, რომ ისრაელის რაბინებმა ვატიკანს სთხოვეს მის სარდაფებში ჩაშვების ნებართვა. მათი ვარაუდით, იქ შეიძლება აღმოჩნდეს რომაელთა მიერ იერუსალიმის მეორე ტაძრის დანგრევისას წამოღებული განძეული, თუ ეს ვარაუდი გამართლდა, მაშინ რაბინები, ალბათ, შეეცდებიან ისტორიული შვიდსანთლიანი მენორის გამოსყიდვას, რომელიც რომაელებმა იერუსალიმის გაძარცვის დროს ჩვ. წელთაღრიცხვის 70 წელს გაიტანეს.

— მენორასთან დაკავშირებით უამრავი ვერსია არსებობს. ზოგი ვარაუდობს, რომ ის იუსტინიანეს კარზეც კი მოხვდა, ზოგი კი ვესპასიანეს უკავშირებს და რომში ვესპასიანეს ტრიუმფალურ თაღთან მოიძიებს. ზოგის ვარაუდით, თითქოს მისი კვალი სოლომონის ტაძრის მიდამოებშია საძიებელი. ასე რომ, ბევრი არაერთნიშნადი ვარაუდის შესახებ გაგვიგია.

— ისრაელში ტერაქტებს ბოლო არ უჩანს. ებრაელებს საკუთარ სამშობლოში მშვიდობიან ცხოვრებას არ ანებებენ. დამცავი კედლის მშენებლობასაც ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს. როგორ გესახებათ ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარების პერსპექტივები?

— იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ადამიანთა კეთილი ნება ადრე თუ გვიან მაინც იტყვის თავის სათქმელს და ეს გაბოროტებული, ათასგვარი ცოდვით დაღლილი კაცობრიობა ბოლოს და ბოლოს მოეგება გონს. წმინდა მიწაც ხომ კაცობრიობის ნაწილია და, მე ვიტყოდი, ერთი სისხლხორცეული და უმთავრესი ნაწილი.

— ბოლო ხანებში შეინიშნება ანტისემიტიზმის გაღვივება ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში. რას უნდა მივაწეროთ ეს?

— ანტისემიტიზმის გაღვივება მთელ მსოფლიოში შეინიშნება. ამას წინათ ვაშინგტონში გახლდით. იქ აღნიშნეს ანტისემიტიზმის საგანგაშო სიმპტომების შესახებ, რაც ხდება ევროპაში, სადაც მაღალგანვითარებულ ქვეყნებს კულტურისა და ცივილიზაციის ბაირახტრად მიიჩნევენ. გარკვეული ნიშნით ანტისემიტიზმის ეს გამოვლინებანი წააგავს მეორე მსოფლიო ომის წინახანს წარმოშობილ ანტისემიტიზმს, მხოლოდ ერთი არსებითი განსხვავებით — მაშინ არ არსებობდა ისრაელის სახელმწიფო, ახლა კი არსებობს ისრაელის ძლიერი სახელმწიფო, როგორც ებრაელთა თავდაცვისა და თვითშენახვის საიმედო გარანტი.

— ლეგენდისა თუ სარწმუნო წყაროების თანახმად, შოთა რუსთველის ნეშტი წმინდა მიწაზე, იერუსალიმში განისვენებს. რამდენად რეალურად მიგაჩნიათ ეს ვარაუდი?

— როგორც ლეგენდა, ეს ვერსია ძალიან პოეტურია და ემოციური. სხვა საქმეა, სადღეისოდ როგორ ხერხდება ამ ვერსიის მეცნიერული არგუმენტირება.

— შოთა რუსთველის ფრესკის დაზიანების — ვანდალური აქტის — პასუხად არ წყდება საპროტესტო აქციები დევიზით: „არ არის კულტურა, არ არის მომავალი!“ როგორ ფიქრობთ, საერთო ძალისხმევით შესაძლებელია, რომ 150 წლის წინათ დაკარგული იერუსალიმის ჯვრის მონასტერი საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში გადავიდეს?

— უაღრესად სასურველია, მაგრამ ამ პროცესს ძალიან დიდი, შრომატევადი სამუშაოები უძღვის წინ; საამისოდ კომპეტენტური მიდგომაა საჭირო, სადაც თავის წონად სიტყვას იტყვის პოლიტიკოსთა, მეცნიერთა, იურისპრუდენციის წარმომადგენელთა და ეკლესიის მესვეურთა ნება.

— ემუქრება თუ არა საქართველოს გლობალიზაცია და რა უარყოფითი შედეგები შეიძლება მოჰყვეს მას

ეროვნებებისათვის, ეროვნული კულტურისათვის, მეცნიერებისათვის?

— გლობალიზაცია და ინტეგრაცია გარდაუვალი პროცესია, დღევანდელი მსოფლიოს ტენდენციაა ასეთი. საქმე ისაა, ამ საყოველთაო ინტეგრაციის პროცესში ისეთი „ოქროს კვეთი“ გამონახო, რომ არც შენი თავი დაკარგო და დღევანდელ მსოფლიოს მოთხოვნებსაც შესაფერისად აუბა მხარი. ზოგიერთმა ქვეყანამ ეს კარგად მოახერხა (იაპონია, ისრაელი და სხვ.)

— რას იტყოდით თანამედროვე ახალგაზრდობაზე?

— ახალგაზრდობა — ცხოვრების სარკეა. როგორი ცხოვრებაცაა, ახალგაზრდობაც ისეთია; მე ვიტყოდი, სარკეცაა და ლაკმუსიც.

— ქალი წარმოადგენს თქვენი შთაგონების წყაროს?

— უამისოდ ღმერთმა ნუ ქნას! (იღიმება).

— რა თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ადამიანში და, სახელდობრ, ებრაელ კაცში?

— საერთოდ, ადამიანში ვაფასებ სამართლიანობის, თავმდაბლობის, მუდმივი ძიების წყურვილს. მახსენდება ერთი ხასიდური ნათქვამი: ღმერთი იმქვეყნიურ სამსჯავროში იმას კი არ მოჰკითხავს ადამიანს, რატომ მაინცდამაინც მოსე არ იყავიო, იყავი ის, რაც ხარო, დარჩე შენ საკუთარ თავად — დიდი ვაჟკაცობაა. ისრაელში ყველაზე პოპულარული სიტყვაა „სავლანუთ“, რაც ქართულად მოთმინებას ნიშნავს. მოთმინების უნარი ებრაელის ცხოვრების თანამდევია. ეს განაპირობა მისმა ისტორიამაც.

— რა არის თქვენი ნაკლი? თუ გაგაჩნიათ, რასაკვირველია.

— ამის თქმა მიჭირს, ნაკლი ბევრი მაქვს, როგორც ყველა ადამიანს, და მათ გამოსწორებას ვცდილობ. ადამიანური ცხოვრება მუდმივი სრულყოფისა და სრულქმნის პროცესია.

— თქვენი განვლილი ცხოვრებიდან რომელი დღე დაგამახსოვრდათ?

— ბევრი დღეა ღირსსახსოვარი, რაც პირად ცხოვრებას უკავშირდება და, ცხადია, შემოქმედებასაც.

— თქვენი ბავშვობის ყველაზე ტკბილი მოგონება როგორია?

— ყველაზე ტკბილი არის ის, რაც ბავშვობაში დედასთან ურთიერთობას და დედასთან სიახლოვეს უკავშირდება. ახლა, როდესაც დედა არა მყავს, ეს განცდა ყველაზე უფრო მძაფრი და მტკივნეულია.

— თქვენი აუსრულებელი ოცნება და რა არის თქვენი ყველაზე დიდი ოცნება ამჟამად?

— ადამიანის, მეტადრე შემოქმედის ყოველდღიური ცხოვრება ოცნებათა უსასრულო ჯაჭვია. ღმერთმა ნუ ქნას სანუკვარი ოცნების საბოლოო აღსრულება, ადამიანის სულიერი გამყინვარება მაშინ იწყება.

— უშრეტი სიმხნევისათვის რაიმე განსაკუთრებული რეცეპტი თუ გაქვთ?

— მთავარი რეცეპტი არის ის, რომ არ დაიბოღმო, სიკეთით იცხოვრო, კეთილი და მიმტევებელი თვალით უყურო მთელ სამყაროს.

— რა არის თქვენი ჰობი?

— მოგზაურობა, მუსიკა, წიგნები...

— მეგობრებთან დროსტარება გიყვართ, თუ ამის საშუალება მოგეცათ?

— მეგობრებთან დაჯდომა და მათთან დიალოგი დიდი ბედნიერებაა და, მე ვიტყოდი, ფუფუნებაც.

— გაქვთ იმედი, რომ საქართველო გაბრწყინდება? რამდენ წელიწადში?

— უსათუოდ გაბრწყინდება, რა უფლება აქვს, რომ არ გაბრწყინდეს? (ღიმილი უცისკროვნებს სახეს).

ყოველი შეხვედრა ამ ბრწყინვალე შემოქმედთან მკითხველისთვის დღესასწაულის, ზეიმის ტოლფასი იყო.

გასული წლის 18 იანვარს სამების საკათედრო ტაძართან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში სასიქადულო პიროვნების შემოქმედებითი საღამო გაიმართა. დარბაზი ჯემალ აჯიაშვილის თაყვანისმცემლებს ვერ იტევდა. შეხვედრას დიდი სითბოთი და სიყვარულით პოეტი ერეკლე საღლიანი უძღვებოდა. მხატვრული კითხვის ოსტატები კითხულობდნენ შუა საუკუნეთა ებრაული პოეზიის შედევრებს, — ღვთაებრივად ამეტყველებულს. თავად ჯემალ აჯიაშვილმა მსმენელი შუა საუკუნეთა პოეტების ლექსებით, აგრეთვე, მიქელანჯელოს სონეტებით და საკუთარი ლექსების ტკბილხმოვანებით დაატკბო; იყო მისალმებები, ჟღერდა ლამაზი მუსიკა, სიმღერა... კიდევ ერთხელ მოვეფერეთ უსაყვარლეს პოეტს... აღტაცებულმა თაყვანისმცემლებმა მხურვალე აპლოდისმენტებით დააჯილდოვეს პოეტი.

და აი, ნამდვილად ამაღლებული, დიდებული წუთები... დარბაზში თავისი მხლებლებითურთ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე შემობრძანდა.

პატრიარქმა ღირსეულად შეაფასა ბატონი ჯემალის შემოქმედება, დალოცა უძველესი კულტურისა და ტრადიციების მქონე რჩეული ებრაელი ერი და მისი საამაყო შვილი — ჯემალ აჯიაშვილი, რომელიც, მისი სიტყვებით, ორ ქვეყანას — საქართველოსა და ისრაელს, ორ ერს — ქართველ და ებრაელ ერს ეკუთვნის. შთამბეჭდავი იყო ერის სულიერი მამის მიერ გამოჩენილი ყურადღება, სიყვარული და პატივისცემა ებრაელი ხალხისა და მისი ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენლისადმი. ილია მეორემ ჯემალ აჯიაშვილს თავისი სულიერი შვილი უწოდა და „საუკუნის ლეგენდად“ შერაცხა.

საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლებმა ღრმა პატივისცემა, აღიარება, მადლიერება გამოხატეს მსოფლიო მასშტაბის შემოქმედის მიმართ და შესანიშნავ მეგობარს, არაჩვეულებრივ ადამიანს გზა დაულოცეს ამ სამზეოში.

მაგრამ... ერთი წლის შემდეგ უკურნებელმა სენმა შეიწირა დიდი ადამიანი... მწერალთა კავშირში გახსნილ ხსოვნის წიგნში ძვირფასი ადამიანის გარდაცვალებით გამოწვეულმა საყოველთაო სევდამ, ტკივილმა, სამძიმარმა დაივანა...

დიდი იმედით, გასხივოსნებული თვალებით შეჰყურებდა ჯემალ აჯიაშვილი საქართველოს მომავალს, თვითონ კი — თავის მისაგებელს მიაგებდა ერს და ქვეყანას, სანთელივით იწვოდა (სანთელი ხომ ადამიანის სულია); ხალხის განსაკუთრებული, წრფელი სიყვარული იყო მისი ცხოვრებისა და შემოქმედების მარადი მეგზური, ჩვენ კი — მის მიერ დათესილ მარგალიტებს სასოებით ვკრეფთ და გულში ვიხუტებთ...

დიდი, თავდაუზოგავი შრომა უწევდა, — აკი სულს ნეტარება შრომით ეძლევა კიდეც...

როგორც XI საუკუნის უდიდესმა პოეტმა, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწემ ჰანაგიდმა, ჯემალ აჯიაშვილმა სიცოცხლეშივე აიგო ხელთუქმნელი ძეგლი და მოიხვეჭა უმთავრესი — კაცურკაცობის გვირგვინი!

გემშვიდობებით ფრანჩესკო პეტრარკას სიტყვებით: „ო, სიცოცხლეო, ო, სიკვდილო, ვარსკვლავის სხივო!“

მეათედ — საგურამოში

ილია ჭავჭავაძის დაბადების 175-ე წლისთავისათვის

2012 წლის 8 ნოემბერს საგურამოში აღინიშნა ილია ჭავჭავაძის დაბადების 175 წლისთავი. გაიმართა საიუბილეო ღონისძიებები, რომელშიც მონაწილეობდნენ სტუმრები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, მწერლები, კულტურისა და მეცნიერების წარმომადგენლები, საეკლესიო და საზოგადო მოღვაწეები. საზეიმო მიტინგზე სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი **ბიძინა ივანიშვილი** და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი **ილია მეორე**.

გაიმართა საგურამოს ლიტერატურული პრემიის ლაურეატების მეათე, საიუბილეო დაჯილდოება.

საგურამოს 2012 წლის პრემიის ლაურეატები გახდნენ **ეთერ თათარაიძე (პოეზია), ირაკლი სამსონაძე (პროზა), თამაზ ვასაძე (კრიტიკა), გივი შაჰნაზარი (თარგმანი), გოგი ხარაბაძე (ხელოვნება), გიორგი გოგოლაშვილი (მეცნიერება). ილიას მედალი ქართულ კულტურაში შეტანილი განსაკუთრებული ღვაწლისთვის** გადაეცა **ვახტანგ ჯავახაძეს**.

ლაურეატებმა ჯილდოს მიღებისას ტრადიციული საპრემიო სიტყვებით მიმართეს საზოგადოებას.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II

ეთერ თათარაიძე:

იაკობ გოგებაშვილი წერდა: „იქნება არც ერთს მსოფლიო გენიოსს არ ჰქონდეს იმოდენა მნიშვნელობა თავისი ერისათვის, რამდენიც აქვს ილია ჭავჭავაძეს საქართველოსთვის...“

ჩემზე კარგად მოგეხსენებათ, რომ ილია იყო და რჩება საქართველოს თანამდევ სულად...

ილიას არა, საქართველოს ესროლეს ტყვია. ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი გაოგნდა და ზიზღის გრძნობა გაუჩნდა იმ შავბნელი არაადამიანების მიმართ, ვინც ეს დაგეგმა და ჩაიდინა...

მოგეხსენებათ, წლებია, რაც უძველეს ქართულ საფლავის ქვებს ვაფიქსირებთ. და აი, მე და ამირანი სოფელ წვერში შევჩერდით ადგილობრივ მოხუც მოსახლესთან... საფლავის ქვაზე ამოკვეთილია გადაშლილი გარმონი.

— რა საინტერესო საფლავია, — ვთქვი მე, — აუცილებლად მეგარმონე წევს ამ ქვის ქვეშ-მეთქი, და სანამ წარწერის ამოკითხვას დავიწყებდით, ამ მოხუცმა სევდიანად გვითხრა, რომ თურმე ეს ქალი მართლა არაჩვეულებრივი მეგარმონე ყოფილა, ამ სოფელში დაბადებული. ბერბიჭაშვილს, ილიას მკვლელს, დაუდგამს თვალი და ცოლად წაუყვანია. ბერბიჭაშვილზე რომ შავბნელი ამბავი გახმაურდა, ამ ქალის ძმებმა პროტესტის ნიშნად თავისი დის ძვლები იქ აღარ დატოვეს და წვერში გადმოასვენეს...

პირადი დამოკიდებულება მაქვს ილიასადმი, მისი სამწერლო ენისადმი, რომელიც ასე თბილია, ასე ღრმაა, ასე ხალხურია, ვერაფერს რომ ვერ მოისაკლისებ, მის ფრაზას არათუ სიტყვას, ბგერასაც რომ ვერ შეუცვლი.

არ შეიძლება ეს გამორჩენოდა უდიდესი ინტელექტისა და დიაპაზონის მეცნიერს ვახტანგ კოტეტიშვილს. აი, რას გვეუბნება ილიას სამწერლო ენის შესახებ ქართული ფოლკლორისტიკის ფუძის ჩამყრელი: „სულ ახლო მისვლა ხალხის გენიოსთან ი. ჭავჭავაძემ ისეთი ოსტატობით შესძლო, ისეთი შემოქმედებითი სასწაულები გვიჩვენა, რომ ხშირად ძნელდება გამოცნობა თვით ილიას კუთვნილებას წარმოადგენს ესა თუ ის ფრაზა, და ზოგჯერ მთელი კომპოზიციაც კი, თუ ხალხური სიბრძნე არის, საუკუნეთა ტევრში გამოვლილი და განმტკიცებული“...

არა, ვერ აპატიებდნენ საქართველოს მიწაზე „ზეპირ“ (ხილულად) მავალ სულს საქართველოსას“... და სულით მახინჯი გარეწრები მოხუც ადამიანს მზაკვრულად, დაუნდობლად გაუსწორდნენ. მათ ჩათვალეს, რომ ილია მოკლეს, არ იცოდნენ საცოდავებმა, რომ ამ სიკვდილით ის გააუკვდავეს.

ბევრ საინტერესოს იგონებს არტურ ლაისტი. მათ შორისაა საგურამოში გატარებული დღეები. გვიამბობს მებაღეზე, ვინც ხეხილს ამყნობდა ამ ბაღში და ილიას კომენტარებზე, გვიამბობს ილიაზე, გულდაწყვეტილი მოხუცი როგორ შემპარავად ნატრობს ამ მიდამოებში ორასწლიან სიცოცხლეზე... გვიამბობს ილიას ტრაგიკული აღსასრულის მოსვლასა და ამ „მწვანე სამოთხის“ მივიწყებაზე და იქვე დარწმუნებით იცის, რომ საგურამო „ქართული ლიტერატურის ისტორიაში მაინც დაიჭერს ღირსსახსოვარ ადგილს“.

დღეს ჩვენ ილიას „მწვანე სამოთხეში“ თავშეყრილნი, მოწიწებით ვიხრით თავს მისი უკვდავების წინაშე და თუ ჩემი პოეზია ღირსად ჩათვალა ჩემმა ქვეყანამ, რომ მისი სახელის ახლოს ეხსენებინა, მადლობა უფალს. მე სიტყვით ვცოცხლობ და ამაზე მეტი რაღა უნდა ვინატრო? უღრმესი მადლობა ამისთვის...

იმავე ფრაზით დავამთავრებ რითაც დავიწყე: „ილია ჩვენთვის წარსული არაა, ის მომავალია. ქართველი კაცი ისეთი იქნება, როგორიც იქნება მისი დამოკიდებულება ილიასადმი...“

ირაკლი სამსონაძე:

მამული, ენა, სარწმუნოება! — ხანგრძლივი მოგზაურობის მაუწყებელ გონგს ჰგავს, თითქოს მიზანია, საითაც სვლა გვმართებს, ან ყიჟინაა, რითაც ბრძოლაში ამხნევებს ჯარს მთავარსარდალი, თითქოსდა მოწოდებაა, რათა თავი დავინარჩუნოთ; ასეა თუ ისე, სწორედაც ამ სამმა სიტყვამ მოიპოვა მაგიური ძალა, თაობიდან თაობაში გამოგვყვა ქართველობას და აქ, საგურამოში, ილია ჭავჭავაძისა და ოლღა გურამიშვილის მამულში, ჩვენი დიდი წინაპრის დაბადებიდან 175-ე წლისთავზეც არ დაუკარგავს მნიშვნელობა, კვლავაც გვაფრთხილებს, ალბათ გვახსენებს კიდეც, რომ ჯერ კიდევ გზაში ვართ, საკუთარი თავის, საკუთარი სამშობლოს ძიებაში. ახეტიალებულთ არაერთხელ შეგვიცოდავს, არაერთხელ გვიქცევია მხარი, გზიდან გადაგვიხვევია და უიმედობაც დაგვუფლებია, — ნაცვლად მიახლოებისა მეტად დავშორებულვართ მიზანს, მაგრამ სასოწარკვეთილებსა და მხრებჩამოყრილებს ისევ და ისევ გაგვხსენებია, რაღაც ძალიან ძვირფასი რომ მოგვეპოვება, ამით ძალამოცემულებს შვებად, ალმად, გზამკვლევად დაგვისახავს ეს სიტყვები და ისე გავყოლილვართ მათ, როგორც ებრაელი ერი მიჰყვებოდა სინაის უდაბნოში უფალს, — დღისით ღრუბელში დავანებულს, ღამით ცეცხლის სვეტად მანათობელს მათ ხანგრძლივ ხეტიალში ნამდვილი თავისუფლებისკენ.



ვახტანგ ჯავახაძე

გზა, რომელიც ყვარლიდან წიწამურამდე განვლო ილია ჭავჭავაძემ, ამ სიტყვების ამოთქმის უფლებაცაა, ხალხამდე მოტანის მადლიც და უანგარო მსახურების მაგალითიც, რაც ბუნებრივად, ძალდაუტანებლად გვაფიქრებს შუამავალზე, — უფლისგან ხელდასხმულ ფიქალზე, უფლისგან ბოძებული ცხოვრების წესსა და რიგს რომ ამცნობს თავის ერს და ამით არგადაშენების, არწაშლის, ღირსეული არსებობის გასაღებსაც აძლევს სხვა, ღირსეულ ერთა გვერდით, მათ ტოლად და სწორად, არამარტო მომხმარებლად, არამედ, უწინარეს ყოვლისა, შემოქმედად და გამღებად, რაც ჭეშმარიტი თავისუფლების ნიშანთვისებაცაა, უფლებაცა და მოვალეობაც.

მომიტევეთ ბიბლიური ალუზიებისთვის, მაგრამ ჩემი მოკრძალებული შრომა, რომელიც ყურადღების ღირსად სცანით, ყველასთვის ნაცნობი ეპიზოდითაა შთაგონებული, უდაბნოში ხეტიალის ძველისძველ ისტორიაზე გვიამბობს, „მონობის სახლიდან“ გამოსულთა და აღთქმულ მიწამდე ვერმიღწეულთა მისტერიული პანოს შექმნის მცდელობაა, ამასთან ერთად კი, ალბათ, იმ უცნაური, გათანგული მდგომარეობის გადმოცემის მცდელობაც. დამოუკიდებლობამოპოვებულებს რომ გაგვიჩნდა, — თითქოს ვეღირსეთ ნანატრ თავისუფლებას, თითქოს დაგვერქვა სახელმწიფო, მაგრამ რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი, უმთავრესი მოვისაკლისეთ და... გაგვახსენდა... სამშობლო! ჰო, სამშობლოს შეგრძნება გაგვისხლტა ხელიდან დამოუკიდებლობამოპოვებულ სახელმწიფოში; ესე იგი, ვერ მიგვიღწევია მიზნისთვის, ესე იგი, ვერ გვეთქმის თავისუფალი მოქალაქენი, ესე იგი, ჯერ კიდევ გზაზე ვართ გახირულნი და აი, ამის შემცნობთ, უკვე მერამდენედ გაგვიზრო სული იმედგაცრუების მწვავე სუსხმა, მაგრამ, ამასთან ერთად, თითქოს გამოვფხიზლდით კიდეც, კვლავ და კვლავ, უკვე მერამდენედ, შვებად, ალმად, გზამკვლევად დავიგულეთ დიდი ილიას დანაბარები, — მამული, ენა, სარწმუნოება! — იმასაც მივხვდით, რომ სასოწარკვეთის უფლება არა გვაქვს, იმასაც, რომ ჩვენი გასაწევი მძიმე უღელი თავადვე უნდა გავწიოთ და დღისით ღრუბელში დავანებულ, ღამით ცეცხლის სვეტად მანათობელ ამ საკრალურ სიტყვებს მივყვეთ ჩვენს ხანგრძლივ ხეტიალში ნამდვილი თავისუფლებისკენ.

ასე თუ მივაღწევთ აღთქმულ მიწამდე.

თამაზ ვასაძე:

ქართველებს შორის ილია ჭავჭავაძემ ყველაზე ცხადად დაინახა, რომ მხოლოდ ზნეობრივად ძლიერი, სრულფასოვანი საზოგადოება შეიძლება იყოს დამოუკიდებელი და თავისუფალი არსებობის შემძლე; ზნეობრივ გამოფიტვას საზოგადოება გარდაუვლად მიყავს მონობასთან, უპირველესად იგია საზოგადოებისთვის თავისუფლების აღმკვეთი. ილიას თვალთახედვის ლოგიკის მიხედვით, პოლიტიკური თავისუფლება მკვიდრია მაშინ, თუ ის საზოგადოების მომწიფებული ზნეობრივი, ჰუმანური გრძნობებიდან და მოთხოვნილებებიდან ბუნებრივად წარმოიშობა.

ილია საქართველოში სინდისის გაღვიძებას ესწრაფოდა, ისევე, როგორც გონების გაღვიძებას. მისმა მიზანსწრაფვამ ეს ორი ფენომენი — სინდისი და გონება — ორგანულად დაუწყვილა ერთმანეთს, რადგან ადამიანში ყველაზე გონიერი, ალბათ, სწორედ სინდისია.

საბოლოოდ მოხდა უცნაური რამ: ერთი ადამიანი, თავისი სიცოცხლით და სიკვდილით გამორჩეული კაცი — ილია ჭავჭავაძე — იქცა ჩვენი კოლექტიური, საერთოეროვნული ზნეობრივი გონის, სინდისის განსახიერებად. მისი ჩაკვლა თუ მისი ხმის ჩახშობა ბევრჯერ ვცადეთ, მაგრამ ის მაინც ჯიუტად გვახსენებს თავს და გვაწუხებს ქართველებს იმის გამო, რომ ღირსეული საქართველო ჯერაც ვერ შევქმენით. და ჩვენ ვხვდებით, რომ ილია — საერთოეროვნული სინდისის ხორცშესხმა — მანამდე არ მოგვასვენებს, ვიდრე საქართველოს რეალობას მის ადგილს არ მივუახლოვებთ.

გივი შაჰნაზარი:

თითქმის ორი კვირით ადრე დამირეკა ანდრო ბედუკაძემ და ჩემთვის სასიხარულო ეს ამბავი შემატყობინა.

ავად ვიყავი, უქეიფოდ, და ვერც კი წარმომედგინა, კარგ ხასიათზე თუკი რამე დამაყენებდა და ამ დროს...

ღმერთო მაღალო, არ ვიცი, ვის როგორ გაახარებდა ილია ჭავჭავაძით სახელდებული ეს ჯილდო, მაგრამ...

გავიხარე, დიდ პატივად მივიჩნიე.

შეტყობინებისთანავე კალენდარს ჩავხედე, ხუთშაბათი... დიდი ხუთშაბათი... უკანასკნელი საიდუმლო სერობა... ქრისტიანთათვის დამოძღვრილი ზიარების სასწაული... ფიქრი ფიქრს მისდევს.

ეთერ თათარაიძე

რაღა თქმა უნდა, ადრეც ხშირად ვყოფილვარ ილია ჭავჭავაძის მამულის, მისი სახლ-მუზეუმის სტუმარი, მაგრამ მას მერე, რაც აქ, ილია მართლის სახელზე, ეს ეკლესია აიგო, როცა მისმა დაბადების დღემ ასეთი საყოველთაოდ სადღესასწაულო სახე მიიღო, საზოგადოების ინტერესმაც იმატა, ხოლო მწერლობისადმი ასეთმა ყურადღებამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა.

გოგი ხარაბაძე:

ჯილდოს შეფასების რამდენიმე ერთეული არსებობს.

პირველი — ხალხის ხმაა, შეკითხვა არ უნდა გაჩნდეს: რატომ ამკობენ მავანს დაფნის გვირგვინით, რით დაიმსახურა ან რა გააკეთა...

მეორე — ვინაობაა და საქმენი, ვისი სახელობის ჯილდოც რიგდება...

მესამე — თავად მომნიჭებელია, ისაა, ვინც ჯილდოს განიჭებს...

მე პატივს ვცემ, ჩემი დაჯილდოების იდეის ავტორებს, სხვაგვარად, დღეს თქვენს წინაშე არ ვიდგებოდი, რადგან თავგამოდებული ერთგული ვარ სულხან-საბას შეგონებისა „გლახაკისაგან ჩუქება ნუ გინდა“...

საქართველო მოაზროვნე მეფე-პოეტთა ქვეყანაა. გენიოსთა ამ თანავარსკვლავედში ზოგი მეტად ფილოსოფოსია, ზოგი მეტად — ლირიკოსი, ზოგი — სიტყვის, სიმბოლოთა და სახეთა ოსტატია მეტად...

„ერის მამად“ და წმინდანად შერაცხული კი მათგან, მხოლოდ ერთია!

ილია!

1907 წლიდან, საქართველოს არ ჰყოლია ხელისუფლება, რომელიც ხორცს შეასხამდა დამოუკიდებლობის, თავისუფლების, ჰუმანიზმის უაღრესად პროგრესულ, ილიასეულ იდეებს. ისინი, წიწამურთან გასროლილმა ტყვიამ იმსხვერპლა „ბედნიერი ერის“ ავტორთან ერთად...

ილიას საზრისი, მხოლოდ ხალხმა, ეკლესიამ და კულტურამ შემოინახა.

1976 წელს, გაგანია საბჭოთა ეპოქაში, დაიდგა რუსთაველის თეატრში „მგზავრის წერილები“, სადაც ილიას ვთამაშობდი. ვერ გუობდა სცენიდან „ლელთ ღუნიას“ მოწოდებას „ჩვენი თავი ჩვენვე გვეყუდნესო“, ის რეჟიმი. მოგვიანებით, სწორედ ამ სპექტაკლით გაიხსნა ქართული თეატრი დმანისში, მაშინაც და დღესაც რთულ და „ქართველად მოსაქცევ“ რეგიონში.

გასული საუკუნის 80-იან წლებში, ტელესპექტაკლში „ოთარაანთ ქვრივი“, ორი გმირი განვასახიერე — გიორგი და სოსია.

მათ შორის ილიას, ტელეპორტრეტებზე. სწორედ ამ მონოსპექტაკლებისთვის მომანიჭეს ეროვნული პრემია, რუსთაველის სახელობისა.

ახლახან ჩავწერე „კაცია-ადამიანის“ აუდიო-ვერსია, რომლითაც დასრულდა 32 დისკისაგან შემდგარი ქართული სასულიერო და საერო ლიტერატურის საგანძური, „სიტყვა X“. მასში „კაცია-ადამიანის“ გარდა შესულია ილიას პროზა, პოეზია, პუბლიცისტიკა, წერილები.

ყოველი მიახლოება ილიასთან, დიდ პატივთან ერთად, დიდი სიმძიმეც არის, სიმძიმეა იმიტომ, რომ ბევრ ეჭვსა და კითხვას ბადებს.

რატომ ვერ გავიღეთ რის გაღებასაც ილია ითხოვდა ჩვენგან?

რამდენი წუთი იცხოვრა საქართველომ მისი იდეებით წიწამურის შემდეგ?

რატომ გავწირეთ ოლღა გურამიშვილი გაჭირვებისა და სიმარტოვისათვის?

რამდენ ხანს დავრჩებით „ბედნიერ ერად“?

მე ბოლო ათი წელია შინაგან ემიგრაციაში ვარ და ისევ ილიას შეძახილი მაძლევს ძალას, მიჩვენებს გზას: რომ აწმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენი იქნება...

გიორგი გოგოლაშვილი:

მარადიულმა თანამედროვემ, ილია ჭავჭავაძემ, საუკუნე-ნახევრის წინათ განაცხადა: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამაპაპათაგან — მამული, ენა და სარწმუნოება“. და ჩვენ ლოზუნგად გავიხადეთ „მამული, ენა, სარწმუნოება“; მაგრამ აღარ ვაქცევთ ყურადღებას, როგორ გრძელდება დაწყებული მსჯელობა, რა კითხვა დასვა მარადიულმა თანამედროვემ: „თუ ამათაც არ უპატრონეთ, რაღა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობასო?“ ამ კითხვას შეშფოთებაც ახლავს: „თუ ამათაც არ უპატრონეთ“, იმას გულისხმობს, ბევრ რამეს ვერ ვუპატრონეთ, ბევრი რამ დავკარგეთო და ეს ბედი არ ერგოთ ამათაცო... ცოტა მოგვიანებით მეორე მარადიულმა თანამედროვემ, იაკობ გოგებაშვილმა, მამულს, ენასა და სარწმუნოებას ეროვნული სკოლა დაუმატა, ბურჯნი ეროვნებისანი უწოდა მათ და დააზუსტა დიდი ილიას აზ-

რი: ჩვენი ეროვნულობა, ჩვენი ქართველობა ამ ოთხ ბურჯს ემყარებაო.

და შევეცადოთ, დღეს აქ, საგურამოში, მოვახსენოთ მარადიულ თანამედროვეს, ვპატრონობთ კი ჩვენს ღვთაებრივ საუნჯეებს, ვართ კი პირნათელი შთამომავლობის წინაშე?..

ვერ ვუპატრონეთ მამულს, ილიას დანატოვარ მამულს და ლამის ნახევარი დავთმეთ: გასული საუკუნის დასაწყისში დავკარგეთ ტაო-კლარჯეთი და შავშეთ-ერუშეთი, იმერხევი... საინგილო, ალავერდისა და ლორეს მხარე და სხვა... საუკუნის ბოლოს ხელიდან გაგვექცა აფხაზეთი და სამაჩაბლო... და XXI საუკუნის დასაწყისში მდგომარეობა გაუარესდა... ვერ ვუპატრონეთ მამულს...

ვსაუბრობთ ქართულად; ვასწავლით ქართულს; ვიკვლევთ ქართულს... მაგრამ სრულდება კი ანდერძი დიდი წინაპრისა — ვპატრონობთ ქართულ ენას ისე, როგორც დედაენას ეკადრება? ვპატრონობთ ისე, რომ პირნათელი ვიყოთ შთამომავლობის წინაშე? მძიმე პასუხი აქვს ამ კითხვებს: ქართული ენა ასეთი გლობალური საფრთხის წინაშე მაშინაც არ მდგარა, როცა დიდმა ილიამ განგაშის ზარი შემოჰკრა.

გოგი ხარაბაძე

დღეს უკანა პლანზე გადაიწია დედაენაზე ფიქრმა; დაკნინდა ქართული უნივერსიტეტი... ქართული ენის კუთვნილ სივრცეს უცხო ენა იჭერს; დავივიწყეთ, რომ „ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“ და განსაცდელში აღმოჩნდა ქართული ენა...

და დღეს აქ, საგურამოში, ამ უწმინდეს ადგილას, აქ, სადაც მარადიული თანამედროვის უკვდავი სული დაგვნათის, ჩემი ხელობის კაცისთვის დიდი ილიას სახელთან დაკავშირებული პრემიის მონიჭება უდიდესი ჯილდოა და ეს არის უდიდესი ვალდებულებაც... დიახ, ვალდებულება იმისა, რომ დედაენას კვლავაც ვემსახურო იმ შეგნებით, რომ „მშობლიური ენის სიწმინდისათვის ბრძოლა ისეთივე საპატიო საქმეა, როგორც ხმლით დაცვა საკუთარი სამშობლოისა“.

ვახტანგ ჯავახაძე:

ილია ჭავჭავაძის მედალი განსაკუთრებული ჯილდოა ჩემთვის, ვინაიდან იგი ატარებს სახელს ყველაზე დიდი ქართველისა, რომელიც ქვეყნის სიმბოლოს წარმოადგენს.

გალაკტიონ ტაბიძემ რამდენჯერმე შეადგინა ქართული პოეზიის თანავარსკვლავედის შვიდეული და მეოთხე ვარსკვლავად ყოველთვის ილიას მოიაზრებდა.

გალაკტიონის სტრიქონებსა და ჩანაწერებში ისე ხშირად და თავისებურადაა წარმოდგენილი ილია ჭავჭავაძის პიროვნება, რომ მეტად საინტერესო წიგნი უნდა დაიწეროს.

მე დღეს ერთ დეტალს მივაპყრობ ყურადღებას:

1958 წელს გალაკტიონს გაახსენდა და ჩაიწერა:

— დედაჩემმა ილიას ჩემი ლექსები გამოუგზავნა.

როგორც ჩანს ილიამ წაიკითხა ჭყვიშელი ყმაწვილის ლექსები. უნდა ვივარაუდოთ, ეს იქნებოდა აკაკისა და ილიას გავლენით შთაგონებული ლექსები, რომლებიც ვერ დააინტერესებდნენ ადრესატს.

ილია გახლდათ უტყუარი გემოვნების მკითხველი — პოეზიის ჭეშმარიტი ჭაშნაგირი.

ილიამ აღმოაჩინა ნიკოლოზ ბარათაშვილი.

ილიამ აღმოაჩინა ვაჟა, მიუხედავად იმისა, რომ ოპონირებას უწევდა ისეთი ავტორიტეტი, როგორიც იყო აკაკი წერეთელი.

აკაკის აღმოსაჩენი არაფერი სჭირდა, მაგრამ ილიამ აღიარა, რომ აკაკი „სხვა იყო“ და ის ფაქტი, რომ ილია უკანასკნელი ცამეტი წლის განმავლობაში ლექსებს აღარ წერდა, მისი მაღალი გემოვნებით უნდა აიხსნას: აკაკისა და ვაჟას ტრიუმფის წლებში მან თავი შეიკავა.

1916 წელს გალაკტიონ ტაბიძემ აბესალომ ტაბიძეს მოსკოვიდან შეატყობინა:

— მე უკვე მზად მაქვს მეორე წიგნი, რომლითაც ყალყზე დავაყენებ მთელ საქართველოს.

1919 წელს გალაკტიონმა გამოსცა მეორე წიგნი და მას „არტისტული ყვავილები“ დაარქვა.

„არტისტულმა ყვავილებმა“ მართლაც ყალყზე დააყენა მთელი მეოცე საუკუნის ქართული პოეზია, მაგრამ ეს იცოდა და დაიჯერა მხოლოდ გალაკტიონ ტაბიძემ და ამის აღიარებას ორმოცი წელიწადი და გალაკტიონის თვითმკვლელობა დასჭირდა.

და მე ვოცნებობ: 1907 წელს რომ არ მოეკლათ და 82 წლის ილია ჭავჭავაძეს 1919 წელს „არტისტული ყვავილები“ წაეკითხა, ალბათ ორმოცი წლის შემდეგ გალაკტიონი თავს აღარ მოიკლავდა.

თამამი ოცნებაა, მაგრამ, როგორც იტყვიან, ოცნებას კაცი არ მოუკლავს არასოდეს, მითუმეტეს ახლა — როცა ოცნებამ გაიმარჯვა.

ფოტოები
ბაბუა ალუდაურისა

როსტომ ჩხეიძე

ჩემი გალაკტიონიც

— გალაკტიონზე ბიოგრაფიული რომანი, იცოდე, შენი დასაწერია!..

თეიმურაზ დოიაშვილს ეს რედაქტორული უნარიც არ აკლია — შეგირჩიოს შენთვის შესაფერისი თემა, შეგაგულიანოს და არც რჩევის გაზიარებასა თუ მასალების მოწოდებას დაგზარდეს.

— ეგ მეც მიფიქრია, მაგრამ...

— მაგრამ რა?

— ფორმა ვერ გამოვძებნე.

— გამოძებნე მერე, რაღას უცდი!..

„ეჰ, გამოძებნე კარგია...“

„გალაკტიონოლოგიის“ ახალი კრებულისათვის ერთთაბახიან ნაშრომს რომ წარვუდგენდი — „თვალღია საფლავები“ — მეტყოდა: ისეა დაწერილი, ან უშუალოდ ამ სახითვე, ან ოდნავ გადამუშავებული, ბიოგრაფიული რომანის ერთ თავად გამოდგება და მოდი ასეც მივაწეროთ: ფრაგმენტი რომანიდანო.

ასეთი მინაწერი, ცხადია, დამავალდებულებდა, რომ ცალკეულ ნარკვევებზე კი აღარ მეფიქრა, არამედ სწორედაც მხატვრულ-დოკუმენტურ წიგნს ჩავჯდომოდი.

ეს ვალდებულება შემაკრთობდა და... ვიუარებდი.

— ეწეროს, რას ჰკარგავ, რა აუცილებელია ახლავე დაასრულო, იგულისხმება, რომ რომანი გაქვს განზრახული და ადრე თუ გვიან კიდეც მოათავებ.

„გვიან“ შეღავათია, მაგრამ თუ ფორმას ვერც ვერასოდეს მოძებნი?!. ტყუილი ქადილი კი რა საკადრისია.

ასეც გავუმეორებდი.

ისიც თავისას დამიბეჯითებდა:

— გამოძებნე მერე, რაღას უცდი!..

მამაჩემის ხსოვნისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში რომ გაიმართებოდა, თეიმურაზ დოიაშვილი წაიკითხავდა მოხსენებას „ოთარ ჩხეიძის გალაკტიონი“ და იმ სიტყვებს რომ გაიხსენებდა: გალაკტიონის ბედისწერა იყო კომიკოსის როლი დიდ ეროვნულ ტრაგედიაშიო, — უეცრად მომიბრუნდებოდა:

— მზამზარეული ქარგაა, კომპოზიცია შეკრულია, სტილისტიკა განსაზღვრული, ადექი და დაწერე, რაღას ელოდები!

— დაწერილი თუ არა აქვს უკვე, — გაიცინებდა ირმა რატიანი, ინსტიტუტის დირექტორი და იმ კონფერენციის თავმჯდომარე.

მე ავიწურებოდი.

— ფორმა ვერ გამოვძებნე.

— გამოძებნე მერე, რაღას უცდი!..

არ იძებნებოდა და...

„გალაკტიონოლოგიის“ ახალი ნომრისავთის შემომთავაზებდა: ეგებ 30-იან წლებში გალაკტიონის ყოფა დაგემუშავებინაო.

ეს ხომ ის დროა, ბოლშევიკური რეჟიმი ბოლომდე რომ მოუჭერდა მარწუხებს მწერლობასაც და ამოსუნთქვის საშუალებას აღარ მისცემდა და გალაკტიონიც იძულებული შეიქნებოდა დაყაბულებოდა ტრაგიკულ ხვედრს — ახალი ეპოქის მეხოტბეობას.

არადა... ჯერ „ორი მდინარის შესაყარზე“ დაიწერებოდა, ვარიაციები „ჩემი სავანის“ თემებზე და „აგვისტოს შვილების“ ერთგვარი გაგრძელება, თან დამოუკიდებელი ქმნილებაც რომ გახლდათ.

შემდეგ — ალექსანდრე ბატონიშვილის ცხოვრების ქრონიკა „მზის რაინდი“.

ესეებსა და სხვადასხვა ყაიდის სტატიებსა თუ გამოკვლევებს ნუღა ჩამომათვლევინებთ.

ამასობაში კი მოაწევდა წლის უკანასკნელი თვე და საჩქარო გახდებოდა შეპირებული მასალის ჩაბარება: ინსტიტუტს თავისი გეგმა ჰქონდა.

30-იანი წლების ხანა, რომელიც საერთოდ ძალიან მაინტერესებს და არაერთხელ მომიხმია მასალები ამ ათწლეულიდან (აკი ამიტომაც შემომთავაზეს, გალაკტიონიც შემომეყვანა ამ წრეში!), ამჯერად როგორღაც გამიუცხოვდებოდა. ვიგრძნობდი, რომ ვეღარ მიზიდავდა და გადავწყვეტდი, სახელდახელოდ სხვა რაიმე შემერჩია, რასაკვირველია, უფრო ბიოგრაფიული ყაიდის. მაგრამ რა?

ვატრიალებ ხელში გალაკტიონის ტომებს — უფრო მაინც დღიურებს, ეპისტოლეებს, ჩანაწერებს, წიგნებს გალაკტიონზე, „გალაკტიონოლოგიის“ ნომრებს...

არანაირი იდეა.

რა ხდება — შვიდი-რვა გვერდი მაინც როგორ ვერ უნდა დავწერო გალაკტიონზე?

თუ ვინმეს ცხოვრებასა და შემოქმედებაში ვარ ჩახედული, მათ შორის თითქოს გალაკტიონისაც და... ვერ ამეხსნა, რა მემართებოდა.

მაგრამ როდესაც იდეა არა კრთის, ნახევარ გვერდსაც ვერ დაწერ, არამცთუ მცირე ნარკვევს.

და უკვე ხელს რომ ჩავიქნევდი, გულმტკივნეულად დავასკვნიდი, რომ ის დრო იყო, თემურს შევხმიანებოდი და მეუწყებინა, რომ სტრიქონის დამწერიც აღარ ვიყავი ამ თემაზე და სჯობდა საერთოდ ჩამოვცილებოდი გალაკტიონის შემსწავლელ ცენტრს.

ბოლოსდაბოლოს, გალაკტიონოლოგია უჩემოდაც კარგად გააგრძელებდა თავის გზას საუკუნიდან საუკუნეში.

თან... ძალიან მერიდებოდა.

ეგებ ეს ერთი ნარკვევი როგორმე „მომეხრჩო“, ამდენი ხნის დანაპირები როგორღაც შემესრულებინა და მაშინღა ამეღო ხელი გალაკტიონზე, ვიდრე ოდესმე რაიმე სტატიის იდეა გამიჩნდებოდა.

რა თემასაც შევპირებოდი, იმას ხომ არ ვასრულებდი და არა, და ახლა მთლად არც არაფერი მიმეტანა?!.

გალაკტიონის ჩანაწერების ფურცვლა-ფურცვლაში, ლამის მთლიანად რომ შემომაზეპირდებოდა, თითქოს რაღაცას ჩავავლებდი.

დეკადის შემდეგ განეზრახა ავტობიოგრაფიის დაწერა — მოგონებათა საღამოების ციკლისა, ოღონდ ეს უნდა ყოფილიყო მოგონებანი არა იმ ხალხზე, ვინც მწერალთა კავშირში თარეშობდნენ, არამედ იმ მწერალთა და მწერლებთან ახლო მყოფი ადამიანებისა, რომელთაც გამხსენებელიც აღარავინ დარჩენოდათ. საკმაოდ ვრცელ სიასაც ჩამოწერდა თავისი მომავალი პერსონაჟებისა და... აქ მოთავდებოდა კიდეც მისი ჩანაფიქრი.

მოგონებათა საღამოები დაუწერელი დარჩებოდა.

ჰა, ეგებ ეს ჩანაწერი გამომდგომოდა ზოგად ქარგად?

ნუ იქნებოდა პირწმინდად სამეცნიერო გამოკვლევა და ლირიკულ ჩანახატს უფრო დამგვანებოდა. მაინც საგულისხმო იქნებოდა წამოწევა გალაკტიონის აღუსრულებელი განზრახვისა, ასერიგად რომ აწუხებდა და ემზადებოდა საგულდაგულოდ ჩასაჯდომად.

დეკადის შემდგომ მაშინვე ვერ მოუხერხდებოდა და... ამასობაში კიდეც გამოიკეტავდა წუთისოფლის კარს.

თუ რაიმე რიალებდა მის გონებაში ზეცისაკენ იმ საბედისწერო გაფრენის ხანაში, ამ ადამიანთა ლანდებიც, რომელთაგან ყველა თუ არა, ზოგიერთი კი გაეხსენებინა გაკვრით დღიურში, ბარათსა თუ უბის წიგნაკის რომელიმე ჩანაწერში, ზოგიერთზე დამოუკიდებელი მოგონების შექმნასაც აპირებდა და გეგმაც კი ჩამოეწერა... და ეს ყოველივე ხომ შეიძლება „მოგონებათა საღამოების“ სიუჟეტურ ქარგაშიც გაებნია? მაშ შეიძლებოდა ამ თვალით გადახედვა მისი ზღვა ჩანაწერებისათვის თავმოყრა ფრაგმენტებისა და ვარაუდი, ზოგიერთ პიროვნებათაგან ვინ როგორ მოხვდებოდა მემუარების ამ ორიგინალური წიგნის ფურცლებზე.

თანდათან მოიკრიბებოდა და მოიკრიბებოდა მასალა.

ათ გვერდს რომ ავცდებოდი და კიდევ რამდენიმე გვერდსაც ვაპირებდი, უკვე შვებით ამოვისუნთქავდი. დანაპირები ასე თუ ისე შესრულდებოდა... გალაკტიონთან გამომშვიდობებას კი ყოველთვის მოვასწრებდი.

ამასობაში კი ერთიერთმანეთზე საგულისხმო რეალიები და დეტალები გამოიკვეთებოდა, კოლორიტული სილუეტები ამოჩნდებოდა იმ თითქოსდა გაკვრითი ჩანაწერებიდან და... თვალწინ გადაიშლებოდა გალაკტიონის ბელეტრისტული უნარიც — ორიოდ შტრიხით კანთიელი სურათი მოეხაზა, პიროვნული ხასიათის სიღრმეს ჩაწვდომოდა... იმისთანა დეტალები თვალსაჩინოვდებოდა და ცოცხლდებოდა, საგანგებო ჩაკვირვებას მოითხოვდა, მასალის რაოდენობაც სულ უფრო იზრდებოდა და ერთბაშად ისეთი განცდა გამიჩნდებოდა, თითქოს გალაკტიონის დაუწერელი მემუარების დაწერა მე დამვალებოდა.

ასეთი განცდა აქამდეც გამჩენოდა, განა არა:

თითქოს მე გადმომცემოდა აღსასრულებლად მიხეილ ჯავახიშვილის ორი ჩანაფიქრი — ეპიკურ თხზულებათა შექმნა ალექსანდრე ბატონიშვილსა და ქაქუცა ჩოლოყაშვილზე.

ოღონდ მაშინ ეს განცდა შთაგონება და ბიძგი გამოდგებოდა, ამჯერად კი... ამჯერად ბიოგრაფიული რომანის იმ ფორმას დაემგვანებოდა ნება-უნებლიეთ, ამდენი ხანი ასე უიმედოდ რომ ვეძებდი და უკვე ხელიც ჩამექნია.

გალაკტიონის ორი ბიოგრაფია — ოფიციალური და არაოფიციალური — მარჯვე კონტრასტად გამოჰყვებოდა ერთიმეორეს და მათ ჭიდილში გამოიკვეთებოდა რელიეფური სახე დიდი ეროვნული ტრაგედიის შუაგულში მოქცეული ხელოვანისა, კომიკოსის ნიღაბი რომ მოერგო და ასე ცდილობდა თავდაღწევას ლუციფერული ეპოქისაგან.

მზამზარეული კომპოზიციური ჩარჩო და ქარგა.

აგერ უკვე გამოკვეთილი ფორმაც.

დაწერაღა რჩებოდა.

თითქოს რაღაც მაინც აკლდა ჩანაფიქრის ხორცშესხმას, რაღაც აკლდა გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმას რომანთან შესაბმელად და „გალაკტიონოლოგიისათვის“ გამიზნული ეს თხზულება ლამის ორ თაბახს რომ მიატანდა და ახლაღა დავიწყებდი ფიქრს მისი სათაურის შერჩევაზე, სახელწოდებას გალაკტიონისავე სტრიქონი მიკარნახებდა, ლექსიდან „სროლის ხმა მთაში“: საღამო იწვა ხავერდის ყდაში, ვით წიგნი ლურჯი და ძველის ძველიო.

იქ შემოღამება იგულისხმებოდა, მაგრამ არაფერი დაშავდებოდა, თუკი კალენდარული მონაკვეთი დღისა მეტაფორულად ლიტერატურულ საღამოებსაც დაუკავშირდებოდა და მოგონებათა სურათებზეც განზოგადდებოდა. დაშავდებოდა კი არა, უფრო ზუსტად ალბათ ვერც ვერაფერი გამოხატავდა იმ ნოსტალგიას, იმ სევდასა და სიფაქიზეს, ვიდრე ამ სამი სიტყვის თანხმიერება — შინაარსობრივი და გარეგნული ჰარმონია:

„საღამოები ხავერდის ყდაში“.

ესეც ის „რაღაც“, რომელიც სისრულეს აკლდა, ახლა კი შეეძლო მთელი წიგნის მუსიკალური დინებაც განესაზღვრა, როგორც ბედნიერად ნაპოვნ კამერტონს.

თეიმურაზ დოიაშვილი გაეცნობოდა თუ არა ამ მოზრდილ ნარკვევს, ჩამთავრებისთანავე შემეხმიანებოდა ტელეფონით:

— ფორმა გიპოვნია და ეგაა, ახლა გაჩერება აღარ შეიძლება — ფორმა გაქვს, კომპოზიციური ქარგა გაქვს, მეტი რაღა გინდა... მე მიმსახურე, რაც კი დაგჭირდეს.

— მეც ვფიქრობ, რომ ფორმა უკვე გამოიკვეთა.

— აღარ გადადო, იცოდე, ისე ხარ შესული სიღრმეში და ისე ტრიალებ ამ უზღვავ მასალაში, ასე ძლიერ დაშორებულ ფრაგმენტებში... ისეა ეს ყოველივე გამთლიანებული, წინასწარ ვერავინ წარმოიდგენდა, ეს მასალა ხელთ რომ ჰქონოდა, მათი ერთ ძარღვზე ასხმა თუ შეიძლებოდა, ერთ ფარგალში მოქცევა... ეს კი ნიშნავს, რომ მისი ბოლომდე მიმყვანიც შენ ხარ... ყველა ეს ფრაგმენტი, ყველა ეს ფრაზა ჩემთვის ისეთი ნაცნობია, ყოველი სასვენი ნიშანიც კი ზეპირად ვიცი, და მაინც დიდი ინტერესით წავიკითხე, თითქოს პირველად ახლა ვეცნობოდი ამ ჩანაწერებს: აი, რა იცის ფორმისა და სიუჟეტური ქარგის ზუსტად მოძებნამ.

— ძალიან მიხარია, ასეთი შთაბეჭდილება თუ დაგრჩა.

— ისიც მომეწონა, თაყვანებასთან ერთად ირონიაც რომ ჩნდება, ოდნავი, მაგრამ მაინც — ამ სტილისტიკით სრულად გამოიხატება გალაკტიონის პიროვნული ხასიათი, მისი რეალისტური, შეულამაზებელი პორტრეტი. რატომ დავფაროთ რაიმე — დაე ღირსებითა და ნაკლით ერთნაირად წამოდგეს. გალაკტიონი იწვევს ასეთ დამოკიდებულებასაც. ბოლოსდაბოლოს, ეს შენი გალაკტიონი იქნება — უკვე მკაფიოდ ჩანს, რომ შენია, შენეული, და მთავარია, რომ ძალიან საინტერესოა.

— საერთოდაც ვერიდები გაიდეალებას.

— ეს ვიცი, და ამ შემთხვევაშიც შენს მანერას ინარჩუნებ. სათაური ხომ მართლაც ბრწყინვალე გამოვიდა.

— გალაკტიონის სტრიქონს დავეყრდენი.

— ეგ სტრიქონიც ვიცი და ეგ ლექსიც ზეპირად მახსოვს, მაგრამ ასე თუ მოუხდებოდა სახელწოდებად, ვინ იფიქრებდა... აქ სულ სხვანაირად აღვიქვი. ბედნიერი მიგნება გამოვიდა.

და უეცრად ხმის კილო გაუმკაცრდება.

— აღარ გადადებ, არაფრისდიდებით აღარ გადადებ, თორემ მე ვიცოდე და შენ!..

მუქარასაც რომ გამოურევდა!..

თუმც ამისთანა მუქარებს რა სჯობს...

რომანის სათაურზე ბევრიც აღარ მიყოყმანია, მისი სულის გამომხატველი ის ფრაზა დაიწურებოდა სახელწოდებად, ეგ იყო და ეგ:

„კომიკოსი ტრაგედიაში“.

სულ ველოდებოდი, რომ გალაკტიონის დაიმონი გამომეცხადებოდა და მისი ჩურჩულიც გამიწალდავდა გზას ფინალისაკენ. ასეთი არაფერი მომხდარა, რაც მართალია, მართალია, ისე კი, ცხადია, ყველაზე ძნელი დასაწერი აღმოჩნდა... და ისე გულდასმით მოვემზადებოდი ამ საჯილდაო ქვის ასაწევად, რა ძალ-ღონესაც დანარჩენ ნაწილს ჩავახარჯავდი, იმდენივეს, თუ მეტს არა, ამ ერთ თავს, რომლის შინაგან მუხტსაც — გარეგნულად თავშეკავებულ მგზნებარებას — წინასიტყვა განსაზღვრავდა, სულ ორიოდ ფურცელი, რომელსაც სადღაც რომანის შუაწელს მიღწეული შევადგენდი და კიდეც დავიმედდებოდი: მე მგონი ვარ ფინალური თავის ისე დამწერი, გალაკტიონის ცხოვრების დაგვირგვინებას რომ შეჰფერის-მეთქი.

რა უცნაურად აეწყობა ხოლმე ზოგჯერ საქმე.

ჩემთვის ეს „ზოგჯერ“ ძალიან გახშირდა და ველარც დამითვლია, ასე შემთხვევით რამდენი წიგნი მაქვს შექმნილი.

ეს შემთხვევითობა კი უკვე იმ კანონზომიერებად ქცეულა, რაც ასე გამოსდევს თუნდაც ჩემს ბიოგრაფიულ რომანისტიკას.

თუმც ეს უკვე სხვა სასაუბროა, ამჯერად ხომ მარტოდენ იმ განცდის გაზიარებას ვაპირებდი, თუ რარიგ ჩამსხდარან საღამოები ხავერდის ყდაში... მოგონებათა საღამოები... და ეს იმ ადამიანების, რომელთაც გამხსენებელიც აღარავინ დარჩენოდათ...

ენანებოდა, ძალიან ენანებოდა გალაკტიონს გასაქრობად ლიტერატურული კულუარები და ავანსცენაზე მოუნდომებდა აზიდვას...

აი, დეკადა ჩამთავრებულიყო და...

და თუ თვითონ აჩქარდებოდა უსაზღვროებასთან შესაერთებლად, ანდერძად ხომ მაინც დაგვიტოვებდა მიკარგული ლანდების გამოხმობას...

* * *

გაეხვეოდა საღამო ხავერდის ყდაში, ლურჯი, ძველისძველი წიგნივით.

ხოლო სროლის ხმა რომ გაისმოდა მთაში, ამას იმ ტრაგიზმის სუნთქვა მოჰქონდა, მონადირეს რომ დაეკოდა შველი.

და დაედევნებოდა ბავშვებს სიზმარში მოგონების ლანდი, სანთელი.

და ეს იმ კაცისა, ვინც იისთვის ეძებდა იისფერ სიტყვებს და ცისფერ სიტყვით ეძებდა ციაგებს.

ლელა ჯიყაშვილი

„ცა მიწიდან იწყება“

„ჩვენ მათი სახლი ვიცოდით ბარნოვის ქუჩის კუთხეში, ყოველდღე, ქუჩას რომ გავივლიდით, ვუყურებდით მათ ფანჯრებს, ახლაც მახსოვს როგორი ფერის ფარდები ეკიდათ — ყვითელი, რგოლებიანი... მთელმა ქალაქმა იცოდა, რომ აქ ძმები ჭილაძეები ცხოვრობდნენ — პოეტი ძმები“ — ეს სიტყვები სოლიდური ასაკის ქალბატონისგან მაქვს მოსმენილი, ვინც ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა თავის მეგობრებთან ერთად აღფრთოვანებული კითხულობდა ოთარ და თამაზ ჭილაძეების ყოველ ახალ სტრიქონს. ვინ იცის, მათი რამდენი ლექსი უსწავლია ზეპირად ახალგაზრდობაში, რამდენი გადაუწერია და ჩანთით უტარებია... რამდენი უნახავს ჭილაძეებზე შეყვარებული თანატოლი გოგონა, თხელ ჩითის, კრეპჟორჟეტის, შიფონის და მარკიზეტის კაბებს შრიალით რომ ჩაატარებდნენ ბარნოვზე. ის კაბები ფერადი სიზმრებივით გაქრნენ, გაიცრიცნენ და დადნენ... მისი შემოქმედება კი, ვის გამოც ასე კაბების შარიშურით მიარღვევდნენ ქუჩებს ლამაზი გოგონები, მარადისობაში გადავიდა. ის გოგონებიც და ჩვენც ძალიან ხშირად „ჭილაძეებს“ ვახსენებთ და ორივე ძმაზე ერთდროულად ვლაპარაკობთ, ეს იმიტომ, რომ მართლაც არსებობს უხილავი და ძლიერი ჯაჭვი, მათ ცხოვრებასა რომ აერთებს... არის ძლიერი ერთობა — ერთ ოჯახად ყოფნის ბედნიერება, ერთსულ და ერთხორც განცდილი ტკივილისა და სიხარულის გამოცდილება...

ოთარ ჭილაძე 20 მარტს 80 წლისა გახდებოდა... ვფიქრობ ჩვენი ლიტერატურის კლასიკოსზე და ისევ მათი ოჯახი მიდგას თვალწინ, მათი მოკრძალებული სახლი და სადა, წიგნებით სავსე გარემო...

როცა ოთარ ჭილაძეს პირველად შევხვდი პირისპირ, ვიფიქრე, ალბათ ღამით სულ არ სძინებია-მეთქი... მისი გამხდარი სხეული, რომელიც თითქოს წლებს საგანგებოდ გაეთავისუფლებინა ხორცისაგან და სულიერ კატეგორიაში გადაეყვანა, დიდი შრომის შემდეგ დაღლილი მომეჩვენა. გამომეტყველება საკმაოდ მკაცრი ჰქონდა და ცოტა შევშინდებოდი კიდეც, მალევე რომ არ მივმხვდარიყავი — რაღაცაზე ფიქრობდა და გონების თვალით ჩემკენ კი არა, სადღაც შორს იყურებოდა. სამაგიეროდ, მესამე ჭილაძემ — ქალბატონმა თინამ თავისი სათნო ღიმილით გამიქარწყლა შიში... ძმები ჭილაძეების ამბავი რამდენიც გნებავთ იმდენი მქონდა მოსმენილი და წარმოსახულიც კი, მაგრამ მათ დაზე აქამდე არავის არაფერი ეთქვა ჩემთვის. თვალს ვადევნებდი მის დინჯ მოძრაობას ოთახში, დედობრივი სიყვარულით და მზრუნველობით გაშლილ სუფრას, მერე სიფრთხილით დასმულ კითხვას: ოთარ, წამალი დალიე? — პირველად მაშინ მომინდა, დავმჯდარიყავი და თინა ჭილაძეზე ვრცელი წერილი დამეწერა, მაგრამ რა სითამამე იყო საჭირო, რომ ამის შესახებ

ხმამაღლა მეთქვა და თან იქვე მჯდომი კლასიკოსისთვის თვალი გამესწორებინა. პირველი შეხვედრისას, ცხადია, ვერ ვთქვი, ვერც მეორე და მესამე შეხვედრებისას... და ერთხელ, როცა გავბედე და ამოვილუღლუღე, იქნებ თქვენს დაზე დავწერო-მეთქი, ბატონმა ოთარმა გაიცინა: თინაზე? თინას ვკითხოთო... ოთახში მოფუსფუსე, დაუღლელ ქალბატონ თინას შეხედა... მან თავისი სათნო გამომეტყველებით: ჩემზე რაა დასაწერიო, — შორს დაიჭირა სიტყვა... ბატონმა ოთარმა ვერდიქტი გამოიტანა: — ჯერ ადრეაო, — ისევ გაიცინა... მერე კი გულდაწყვეტილი რომ არ დავეტოვებინე, ერთი პატარა სურათი დამიხატა სიტყვით: თინას ყველა ჩვენი წიგნი სასთუმალთან უდევს, ხომ წარმოგიდგენია, ასეთი ძმების დას რამხელა ბიბლიოთეკა აქვს სასთუმალთანო... დაუყოვნებლივ წარმოვიდგინე უნაკეცოდ გასწორებული საწოლი — ძველები ხომ ასე ამბობდნენ, საწოლი უნაკეცოდ უნდა გასწორდესო, გადასაფარებელს ნაოჭი არ უნდა დაეტყოსო... ამ საწოლთან პატარა ტუმბო და ზედ ამ ტუმბოზე გაცილებით დიდი, წიგნებით აშენებული პირამიდა... ცხადია, მარტო ეს არა, ოთარ და თამაზ ჭილაძეების წიგნები ტუმბოზე ხომ ვერ დაეტეოდა. იქვე ახლოს წიგნის თარო... ამ წიგნის თაროზეც ძმების წიგნები... წარმოვიდგინე და ღამის სიჩუმეში ფურცლის შრიალიც კი გავიგონე — ქალბატონი თინა კითხულობს, უკვე მერამდენედ და მაინც პირველად წაკითხულის სიყვარულით და ნეტარებით.



ოთარ ჭილაძე

დიდი ძმების მშვენიერი დის საძინებელში ასე წარმოსახვით შევიხედე, მაგრამ ერთ დღეს წარმოსახვით კი არა, ნამდვილად შევედი ბატონი ოთარის ოთახში, იქ, სადაც კლასიკოსი იძინებდა და მუშაობდა, ფიქრობდა და წერდა... კედელზე დედის სურათი ეკიდა, კარადაში კი ძმის — თამაზის სურათი იდო. მაგიდაზე — ძველებური საბეჭდი მანქანა... აი თურმე სად იწერებოდა „გოდორი“ — გავიფიქრე... ადრე სხვაგან და სხვა ოთახში თუკი იქმნებოდა ოთარ ჭილაძის შედევრები, „გოდორი“ მაინც ზუსტად აქ რომ იყო დაბადებული, ნამდვილად ვიცოდი. ამ სადა, ერთი შეხედვით სრულიად „მოუხერხებელ“ პატარა ოთახში, სადაც არც დიდი მწერლის შესაფერისი „კარგი პირობები“ ჩანდა სადმე და არც მისთვის შესაფერისი დასასვენებელი, ან სამუშაო სივრცე. თუმცა შედევრის შექმნას ეს „მოხერხებული სივრცეები“ სულაც არ სჭირდება და ეს ქართველმა მკითხველმა იცის! მითუმეტეს ოთარ ჭილაძე არ დაუშვებდა ამ გადაპრანჭულ „დიდებულებას“ თავის სამყაროში. წერისას, ვინ იცის, სული ყელში ებჯინებოდა, სათქმელი ისეთივე სისხლიან ნაკაწრებს უტოვებდა შიგნით, როგორც ჭლექით სნეულს ძლიერი ხველა. ის მარტო კი არ წერდა, მართლა ძირისძირობამდე განიცდიდა ყველაფერს:

„მიმიფურთხებია ასეთი სიცოცხლისათვის... როგორც მამაჩემი ამბობს, იყო დრო, როცა ღირსების შესანარჩუნებლად ჩვენი კეთილშობილი დედოფლები ძუძუებს აგლეჯინებდნენ ჯალათს, ჩვენი მეფეები კი თავისი ნებით დებდნენ კუნძზე თავს. ჩვენ კი პირიქით, ღირსებისგან გასათავისუფლებლად დავიგლიჯეთ ძუძუები და მოვიჭერით თავი საქვეყნოდ, სამარცხვინოდ“...

„გულზე ხელი დავიდოთ და ვაღიაროთ, ჩვენ ხომ წესიერად არც ვიცით, რა მოხდა და როგორ მოხდა სინამდვილეში... მართლა მოხდა, თუ ერთმანეთის ჯიბრით, ერთმანეთზე განრისხებულებმა, ერთმანეთის დაკარგვის შიშით, სიძულვილამდე მისული სიყვარულის ზემოქმედებით წარმოვიდგინეთ ყველაფერი, ერთმანეთს მოვუგონეთ, მოვალანდეთ, დავასიზმრეთ, რათა გზამოჭრილებს, კუთხეში მიმწყვდეულებს, კედელთან მიყენებულებს, ბეწვის ხიდზე შემდგრებს, ბოლოს და ბოლოს, გაგვებედა და რაღაცა მაინც შეგვეცვალა, თუნდაც უარესობისაკენ. დაახლოებით ასეც მოხდა“...

„სხვების ბინძური საცვლების ქექვასა და პათოლოგიურ მიდრეკილებათა კვლევა-ძიებას არ აჯობებდა, ერთი პატიოსანი შვილი მაინც გაგვეზარდა?“

„ვაჟს ბაბუის სახელი დაარქვეს და გოდრიდან ამოსულმა მოდგმამ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა წინ გაურკვეველი მომავლისაკენ, კიდევ ერთი თაობით გაიხანგრძლივა დაუოკებელი ჟინი სიცოცხლისა, გოდრიდან რომ ამოიყოლა მისმა პატრიარქმა, რომელიც უკვე ბიუსტად გარდაქმნილი იდგა მშობლიურ სოფელში, სკოლის წინ და სულერთი იყო მისთვის, ესალმებოდნენ თუ ეჭყანებოდნენ ადგილობრივი პიონერები“...

და რაკი ეს ყველაფერი ნანახიც ჰქონდა და სულისშეძვრამდე გააზრებულიც, ვერაფრით დაუშვებდა, რომ ერთი მისხლით მაინც გაესწრო თავისი სამშობლოსათვის, იმისი დატანჯული, წართმეულ-გაწიაწებული, ბედის ანაბარად მიტოვებული მიწისთვის, ერთი მისხლით უკეთ ეგრძნო თავი და საკუთარ სამყაროში შემოეშვა სიმშვიდე, სახელად — უზრუნველყოფა! უზრუნველად ყოფნა, რომელიც გაწამებულ საქართველოში კაცად ყოფნას ებრძოდა და ძალიან ხშირად სძლევდა ხოლმე.

სწორედ მიწა არ აძლევდა საშუალებას, დამშვიდებულიყო და თუნდაც ის სიამოვნება მიეღო ცხოვრებისგან, რასაც მისი რომანების ავტორი ნამდვილად იმსახურებდა.

როცა ოთარ ჭილაძის ახალგაზრდობაზე მიამბობდნენ, ხშირად გიორგი შენგელაიას შესანიშნავი „ალავერდობა“ დამიდგებოდა ხოლმე თვალწინ, ცხენზე ამხედრებული გეიდარ ფალავანდიშვილი და ცხენის თავაწყვეტილი ჭენება... რამდენიმე ძველი ფოტო კიდევ უფრო მიმაგ-

რებდა ამ განწყობას. ოთარ ჭილაძე ჩემთვის ქართული მიწიდან ამოზრდილი მხედარი იყო, რომელიც პეგასივით აიჭრა სივრცეში. და, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან, ძალიან შორს წავიდა, ერთი წამით არ მიუტოვებია ქართული მიწა. ფეხი ვერ მოაცვლევინეს! თავის ერთი ციდა სამუშაო ოთახში იჯდა, ხშირად გაყინულიც... შუქი არ იყო და გაზი — ეს დროც ხომ გვახსოვს. და რაც უფრო მეტად არ იყო არაფერი, მით მეტად ბღუჯავდა ქართულ მიწას ხელისგულებში, მით მეტად გაჯიუტებული ნაბიჯს არ დგამდა არსაით... „უსინათლობა პლუს უწყლობა, რასაც ზამთარში სიცივეც ემატება, დამეთანხმებით, დიდი ძალაა ნებისმიერი ჯიუტი არსების დასაჩოქებლად“, — წერდა „გოდორში“. თუმცა ეს ყველაფერი მასავით ჯიუტებს არ ეხებოდა... მასავით ჯიუტები კიდევ უფრო მეტსაც აიტანდნენ... და იცით როგორ? — ისინი მიწაზე იდგნენ და იცოდნენ, რომ ეს არ იყო უბრალოდ „ბიომასა“, სახელად ნიადაგი. იცოდნენ, რომ ეს სულიერი კატეგორია იყო, რომლის შეგრძნებამაც იმ ძუძუებდაგლეჯილი დედოფლებისა და კუნძზე თავდადებულ მეფეთა ჩამომავლები დღემდე მოიყვანა... იცოდნენ, რომ „ცა მიწიდან იწყებოდა“... ქართული მიწის გარეშე ცის სილაჟვარდეც არ არსებობდა...

სულ ბოლოს, როცა დიდ კლასიკოსს ვემშვიდობებოდი, ქალბატონი თინას სიტყვები მომხვდა ყურში და დღემდე მახსოვს: ოცდაოთხი დღე იწვა საავადმყოფოში, ბოლო ოთხი დღე რეანიმაციაში, — ქვითინებდა გულმოკლული და, — ხმის ამოღება უჭირდა, ჰაერი არ ყოფნიდა, როგორღაც დამიძახა და გამაგებინა: ცოდოა, ცოდოა საქართველო... მოუარეთო.

შემთხვევითი არ იყო, რომ ბოლო დროს თითქოს ხორცი აღარც ჰქონდა, რაღაცნაირად სულიერ პლასტში არსებობდა და ეს გარეგნობაზეც ეტყობოდა... კლასიკოსის ძველი ჩანაწერი: „ დღეს დედამ ნასადილევს, მე და თამაზის ჩვეულებრივი, თითქმის დაკანონებული კამათის შემდეგ თქვა: ცოდოა ოთარი, სამშობლო უყვარსო. „რა ქნას, კარგი ადამიანია“, — დაამატა ცოტა ხნის მერე. ყველაფერი თქვა ამ ორი სიტყვით — ჩვენი კამათის უაზრობაც, ჩვენი უმწეობაც, ჩვენი გამოუვალი მდგომარეობაც“...

და მაინც სულ ბოლო წერილით, ბეჭდურ მედიაში რომ გამოქვეყნდა, ოთარ ჭილაძემ გვითხრა — წინ მარადისობაა...

„ ხუთი წლის წინაც ისევე იწვოდა ჩემთვის ჩვენი სამშობლო, როგორც დღეს იწვის. დიდი ხანია იწვის. იწვის ჩვენს თვალწინ, ჩვენს ფეხქვეშ, ჩვენს გარშემო, ჩვენს სულში! ცოტაც და, კვამლით გავიგუდებით ყველანი, სამარცხვინოდ დავამთავრებთ, ღმერთმა იცის, ამდენ საუკუნოვან არსებობას. ღმერთსაც გავუწბილებთ მოლოდინს და კაცსაც, რადგან ღმერთიც მეტს ელოდა ჩვენგან და კაციც. უფრო სწორად, არც ღმერთს დაუკლია ჩვენთვის ხელი და არც კაცს. მაგრამ, იმის ნაცვლად, კიდევ უფრო ჯიუტად, კიდევ უფრო მტკიცედ დავმდგარიყავით სამზეოზე, თანდათან რული მოგვერია და ისიც ვერ გავიგეთ, ვინ ან როდის შეგვიცვალა მხედრის ულუფა მონის სალაფავით... და აი, მას შემდეგ გვეწვის ფეხქვეშ სამშობლო. ჩვენ კი, მოურჩენელი სიბნელის ბინადარნი, ერთმანეთს ვუსისხლიანებთ თავ-პირს და ერთმანეთზე ვიყრით ჯავრს საერთო უმწეობისა და უმაქნისობის გამო. ანუ, შეგინებულ სიცოცხლეს ვებღაუჭებით მაინც, წყალობად ვუთვლით შემგინებელს და გახსენებაც აღარ გვინდა, სახელოვანი სიკვდილი რომ სჯობს ნაძრახ სიცოცხლეს... აღარ გვჯერა, სამშობლოსათვის თავდადებული ვაჟკაცის საფლავიც რომ აუღებელი ციხესიმაგრეა მტრისთვის... არადა, თუ ჩვენს სამშობლოს მართლა დაღუპვა უწერია, გვერჩიოს გულზე გვეყაროს და არა ფეხქვეშ მისი ქვები... ერთი დღეც ნუ გვეცოცხლოს უსამშობლოდ! ეს არც წყევლაა და არც ლოცვა. გნებავთ, ლოცვაც ესაა და წყევლაც ერთსა და იმავე დროს, რადგან უსამშობლობა, ყველა უბედურებასთან ერთად, სამარცხვინოცაა და განსაკუთრებით დღეს, როცა ისიც კი იკოწიწებს სამშობლოს, თანაც სხვათა მიწების ხარჯზე, ვისაც არასოდეს ჰქონია, არც სახნისი სჭერია ხელში, არც სასხლავი და არც კალამი... ჩვენ კი «მონობაში გადიდკაცებულთა» ამაზრზენმა სიხარბემ შვილივით ნაფერები ვაზი აგვაჩეხინა, ომებში გაბასრებული ხმალი ქარქაშში ჩაგვიჟანგა, წიგნი გადაგვაგდებინა და უთვისტომო მაწანწალებად გვაქცია... ეტყობა, ჩვენმა «გაიძვერა მოყვარემ» უკვე მიაღწია საწადელს: ის აღარა ვართ, ვინც უნდა ვიყოთ, ვინც ჯერ კიდევ გუშინ ვიყავით, როგორიც შეგვქმნა თავიდანვე ღმერთმა თუ ბუნებამ... მაგრამ ის მაინც ხომ უნდა გავარკვიოთ, რა მოხდა, რა უბედურება ტრიალებს ჩვენს თავს, ვისი სისხლი გვიდგას, ბოლოს და ბოლოს, ძარღვებში: «ვეფხისტყაოსნის» დამწერისა თუ ქართველთა შეთქმულების გამცემისა, სვეტიცხოვლის ამშენებლისა თუ ილიას მკვლელისა, მტრის რისხვისა თუ მტრის მსახურისა... და მაინც, დიდი უსამართლობა იქნება ღმერთისგანაც და კაცისგანაც ჩვენი გაწირვა, მხოლოდ იმიტომ, კვლავაც იქ რომ ვდგავართ, სადაც გაჩენის დღიდან ვმდგარვართ და სადაც უნდა ვიდგეთ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე. კვლავაც ის რომ გვწამს, რაც თვალისგახელისთანავე ვიწამეთ და დღესაც სანახევროდ თითქმის უკვე დამწვარ, გულსაკლავად დამახინჯებულ-დაპატარავებულ სამშობლოს ამარა დარჩენილებსაც გვწამს: სამშობლო ერთადერთია და განუმეორებელი! მას ვერ გამოიგონებ, ვერც სურვილისამებრ აირჩევ — ღმერთის საჩუქარია — და ჩვენ მხოლოდ ის შეგვიძლია, გვევალება კიდეც, გავუფრთხილდეთ, არ დავკარგოთ, რაკი სიცოცხლესთან ერთად გვეძლევა და სისხლივით, სულივით გადაეცემა ჩვენს შთამომავალს... ჩვენ ამირანის გამჩენი ხალხი ვართ და ჩვენი ხსნა მხოლოდ ბრძოლაა, ანუ, ჩვენთვის ყველაფერი ბრძოლაა: ლხინიც, გლოვაც... ყველაფერი, რითაც საკუთარ ვინაობას ადასტურებს და საკუთარ მეობას წარმოაჩენს ადამიანი. ჩვენც სამშობლოსთან ერთად ვიწვით ცოცხლად, მარადიულ ცეცხლში, მაგრამ ფერფლივით კი არ უნდა გაგვფანტოს ქარმა, არამედ ისევ მშობლიურ ცასა და მიწას უნდა მიგვამატოს ცად და მიწად. ამიტომ, როგორც არ უნდა გაგვიჭირდეს, ყოველთვის გვახსოვდეს — წინ მარადისობაა!“

მიუხედავად ჩვენი უმწეობისა და გამოუვალი მდგომარეობისა, წინ მარადისობა აქვს საქართველოს და სწორებაც ამაზე უნდა გვქონდეს...

ვიდგეთ ქართულ მიწაზე... მხოლოდ აქედან იწყება ცა, — ოთარ ჭილაძის ყველაზე ტევადი გამონათქვამი — „ცა მიწიდან იწყება“ შთამომავლობისთვის ანდერძად გამოდგება...

მურმან ჯგუბურია

ოცდაექვსისა და თორმეტის სიმბოლიკა

(ერთი შეკითხვა ბატონ გურამ გოგიაშვილს)

ძვირფასო გურამ,

წავიკითხე შენი შესანიშნავი ესეი, რაც აქვს წამძღვარებული მიხეილ შოლოხოვის „რჩეულს“.

ამ ესეიში მრავალი რამეა ახალი და საინტერესო ჩვენებური მკითხველისთვის, რასაც აქ არ გავიმეორებ, მაგრამ არ შემიძლია აქვე არ მოვიტანო ამ ესეის ბოლო პასაჟი, სადაც შენ წერ:

„და, დასასრულ, განსხვავებით ძველი ბერძენი ჰერაკლიტე ეფესელისგან, რომლის აზრითაც, შეუძლებელია ერთ მდინარეში ორჯერ შესვლა, შოლოხოვის „წყნარ დონთან“ დაკავშირებით სხვანაირად დგას ეს საკითხი. ამ უსაზღვროდ მაღალმხატვრულ, მარად მედინ „დონში“ კარგი წიგნის ფასის მცოდნე მკითხველს იმდენჯერ შეუძლია „შესვლა“, რამდენჯერაც „ყოველგვარ ნაპირებს გადასული სიყვარულის“ თავისად განცდა მოგვენატრება“...

ახლახან წავიკითხე შენი კიდევ ერთი არაჩვეულებრივი ესეი „ლამაზი პოეტი“, რაც გამოაქვეყნა ჩვენმა საუკეთესო ჟურნალმა „ჩვენმა მწერლობამ“, და ეძღვნება ცხონებულ თამაზ ჩხენკელს.

შენ ისეთი მოქართულე ხარ, რაც მთელმა ქვეყანამ იცის. ერთხელ უკვე აღვნიშნე, „გარგანტუა და პანტაგრუელი“ რომ ფრანგებს დაეკარგოთ, კვლავაც აღმოაჩენენ. რადგან არსებობს ამ გენიალური ნაწარმოების კონგენიალური თარგმანი.

რა მალაპარაკებს?

ჩემი ძვირფასი ავადმყოფობის გამო მე საკმაოდ დიდი ხანი მომიწია რუსეთში (პერედელკინოში) ყოფნა-ცხოვრება (თითქმის 5 წელიწადი). პერედელკინო, როგორც მოეხსენება მკითხველს, მწერალთა სკაა, რაც სტალინმა აუშენა „ფუტკრებს“. ვინ იცის, მიფიქრია, იმიტომაც გამოუყო მათ მაინცდამაინც ამ სახელწოდების ალაგი (პერედელკინო), რათა მწერლების გარდაქმნაზეც (პერედელკინო-პერედელატ) ეზრუნა.

პერედელკინოში, სადღეისოდ, ოთხი მუზეუმია გამართული: კ. ჩუკოვსკის, ბ. პასტერნაკის, ბ. ოკუჯავასა და ე. ევტუშენკოსი. ამათგან ჩვენთვის ყველაზე საინტერესოა ბორის პასტერნაკის პიროვნება, საყოველთაოდ ცნობილია პასტერნაკისეული ღვაწლი ქართველი მწერლებისა და მათი ოჯახებისადმი. მისი თარგმანები, მისი ადამიანური, პიროვნული დამოკიდებულება, რაც, ჩემი გაგებით, თითქმის თვალშეუდგამ მასშტაბშიც გადაიზარდა. ერთმა ცნობილმა რუსმა ლიტერატორმა ისიც კი თქვა, გალაკტიონმა თავი იმიტომ მოიკლა, რომ პასტერნაკი მწერალთა კავშირიდან გარიცხესო. ზომა-წონა, როგორც ჩვენ, არც რუსებმა იციან, ესე იგი. საიდან სადაო, წმინდაო საბაო, სად გალაკტიონი და სად პასტერნაკი! მე არა მგონია, რომ გალაკტიონს, საქართველოს გარდა, სხვა მიზეზით მოეკლა თავი. „აი, მიზეზთა მიზეზი და კიდევ მიზეზი“. პასტერნაკზე კი რა უნდა ითქვას? პასტერნაკი ქართველებმა ცაში დავასახლეთ და ცაშივე დავუდგით ძეგლი. რაც, რა გინდა მიუღებლად მოგვეჩვენოს, ცხონებული ოთარ ჭელიძის მიერ ნანატრ ძეგლს ემსგავსება დროთა განმავლობაში („ერთი დღით თოვლის ძეგლი დამიდგით, ჩემი სამშობლოს დედა-ქალაქში“), მაგრამ მოვუსმინოთ რას გვეუბნება ამ საკითხზე დასახელებული ესეის მთავარი გმირი, ანუ მეოცე საუკუნის უდიდესი რუსი მწერალი მიხეილ შოლოხოვი.

მიხეილ შოლოხოვს ეკითხება ფრანგი ჟურნალისტი, პროზაიკოს პასტერნაკზე რა აზრი გაგაჩნიათო. შოლოხოვი პასუხობს: ასეთ პროზაიკოსს მე არ ვიცნობო. პოეტ პასტერნაკზე რას მეტყვითო? არც ასეთი პოეტი გამიგონიაო. მაგრამო, ვიცნობო შესანიშნავ მთარგმნელს — პასტერნაკსო.

იქნება ის, რაც აქ მოვიტანე, არც იყო მოსატანი, მაგრამ სიმართლე ხომ წუთიერი არ არის. მსგავსი აზრი გამაჩნია მეც, სამაგალითოდ ვამბობ, რუს პოეტსა და პროზაიკოსზე ბულატ ოკუჯავაზე, რომელიც სინამდვილეში არ არის რუსი პოეტი და პროზაიკოსი. ქართველი რომ არ არის, ცხადია, რასაც ადასტურებენ რჩეული რუსი მესიტყვეები: გენიოსად აღიარებული, ახლახან გარდაცვლილი პოეტი ი. კუზნეცოვი, გამორჩეული ლიტერატორი ვ. კოჟინოვი, თანამედროვე რუსეთის უპირველესი პროზაიკოსი ვ. რასპუტინი, წმინდა რუსულ-ენოვანი ჟურნალის რედაქტორი, პოეტი ს. კუნიაევი... მაგრამ ეს იმდენად დიდი და საკამათო თემაა, რასაც აქ ვერ გავშლით და ვერ მოვრიგდებით, ვერ ამოვწურავთ. თანაც, მე ჩემი წერილის მიზნად სულ სხვა რამე ჩავიფიქრე იმთავითვე.

კერძოდ კი, აი, რა:

ცნობილმა ლიტერატორმა (აკადემიკოსმა) ფელიქს კუზნეცოვმა მისახსოვრა თავისი წიგნი, რაც ეძღვნება მიხეილ შოლოხოვს და თითქმის 700 გვერდს მოიცავს. ვიკითხე ნელა-ნელა ვ. კუზნეცოვის წიგნი, რამაც კიდევ ერთხელ მომანდომა წამეკითხა „წყნარი დონი“. გავედი ბოლოში.

რომანის მთავარი გმირი, გრიგორი მელეხოვი დაბრუნდა მშობლიურ ხუტორში, რაც მკითხველებს ალბათ ოდისევსის დაბრუნებასაც მოაგონებს. მიადგა მშობლიურ დონს, ჩამოიღო საჭურველ-იარაღი და მდინარეში გადაყარა. მაგრამ, ვიდრე გადაყრიდა, წერს შოლოხოვი, რ ა ტ ო მ ღ ა ც ერთხელ კიდევ გადაითვალაო. პატრონტაჟში ჩამჯდარი ვაზნები. 26 ტყვია უკვე გაესროლა. 12 ტყვია ჯერ კიდევ წკიპზე იყო შემართული. და, აი, ეს რომ წავიკითხე, რა გავიფიქრე: „26“ სერგეი ესენინის პოემის სახელწოდებაა. „12“ — ალექსანდრ ბლოკის პოემის. 26 უკვე მიიბარა მამაზეციერმა. 12 კი ცოცხალია, მწყობრშია. გრიგორი მელეხოვს არ ჰქონდა ალბათ წაკითხული ესენინისა და ბლოკის პოემები. შოლოხოვი კი, რომ იცნობდა, უეჭველია. იცნობდა და კიდევაც მოიხმო ეპოპეის ბოლოში, რითაც მიგვანიშნა, რომ ომი და ჯგლეთა ჯერ კიდევ წინ იყო...

ეს რომ ფ. კუზნეცოვს გავაცანი, შეცბა. კაი ხანი ხმა არ ამოუღია.

შენ რას მეტყოდი, ძვირფასო გურამ?

ერთი პოეტი ორი ასპექტით

მანანა ჩიტიშვილი

ხელისგულზე ამოსული ვარსკვლავები

(თამარ შაიშმელაშვილის პოეზია)

არიან შემოქმედნი, რომლებიც პირველივე ნაწარმოებებით (ამ შემთხვევაში ვგულისხმობ პოეზიას) მეტეორისებური სიკაშკაშით გაიელვებენ და მკითხველს სამუდამოდ ამახსოვრებენ თავს. ისიც საგულისხმოა, რომ არცთუ იშვიათად მათი პოეტური ენერგია შედარებით მოკლე დროში იწურება ან ძნელადღა აღწევს პირვანდელ ბრწყინვალებას. როგორც ჩანს, ზეგარდმო ძალის მიერ ადამიანს შემოქმედებით უნართან ერთად მისი ხანგრძლივობაც განესაზღვრება.

არსებობენ სხვა ტიპის შემოქმედნიც, რომლებიც ნელნელა იმაღლებენ კაბადონზე, თანდათან იკრებენ ძალას, რომ ერთ დღეს მკითხველისთვის მოულოდნელი სიცხოვლით აკიაფდნენ. მათი შემოქმედებითი პოტენციალი დროში შედარებით ხანგრძლივია და სტაბილური, თუმცა რომელი რომელს სჯობს, ამაზე ვერაფერს გეტყვით, რადგანაც მოწონება-არმოწონება მეტისმეტად ინდივიდუალურია.

ვინც თვალს ადევნებს თამარ შაიშმელაშვილის შემოქმედებას და გასულ წელს ჟურნალებში — „ჩვენი მწერლობა" და „ხელეური" — დაბეჭდილ მის ახალ ლექსებსაც გაეცნო, დამერწმუნება, რომ ესაა ავტორი, რომელსაც თავისი შემოქმედებითი შესაძლებლობანი ჯერ არ ამოუწურავს. ყველაზე მეტად მისასალმებელი და ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ იგი გამუდმებით ზრუნავს თავისი ლექსების როგორც შინაარსობრივ, ისე მხატვრული ფორმის სრულყოფასა და მრავალფეროვნებაზე, რაც შემოქმედის უდავო ღირსებად მიმაჩნია.

თამარ შაიშმელაშვილი ჩვენმა მკითხველმა კარგა ხნის წინათ გაიცნო, როგორც ჟურნალისტი. საქართველოს არაერთ ჟურნალსა და გაზეთში იბეჭდებოდა და დღესაც ქვეყნდება მისი თემატურად მდიდარი და უაღრესად საინტერესო წერილები ქართული კულტურის მოღვაწეებზე, ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების აქტუალურ პრობლემებზე.

არაერთ მაყურებელს ალბათ ახსოვს ტელეკომპანია „იბერიის" საეთერო არხზე თამარ შაიშმელაშვლის საავტორო გადაცემა „ნათელი სახეები", სადაც ჩვენი კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენელთა თუ საზოგადო მოღვაწეთა შემოქმედებითი პორტრეტები ორიგინალურად და საინტერესოდ იყო წარმოჩენილი.

თამარი დღეს „საქართველოს რესპუბლიკის" ერთ-ერთი წამყვანი ჟურნალისტი და მის მიერვე დაარსებული ლიტერატურული ჟურნალის „ხელეური" მთავარი რედაქტორი გახლავთ. ეს ჟურნალი მხოლოდ რედაქტორის დიდი ძალისხმევითა და ქართული მწერლობის სიყვარულით გულსავსე ადამიანების შემოწირულობათა წყალობით არსებობს. მათ მამულიშვილურ სიქველეს ეფუძნება აგრეთვე რევაზ ინანიშვილის სახელობის ყოველწლიური კონკურსი პროზაში, რომელსაც თამარი და მისი ჟურნალი უდგანან სათავეში.

თამარ შაიშმელაშვილს ოთხი პოეტური კრებული აქვს გამოცემული. წიგნიდან წიგნამდე თვალნათლივ შეიმჩნევა, როგორ იზრდება ავტორის ოსტატობა, როგორ იხვეწება სათქმელი და მდიდრდება ლექსიკა.

ლიტერატურით დაინტერესებულ ადამიანთა იმ კატეგორიას არ მივეკუთვნები, ვისთვისაც ლექსის მხოლოდ ერთი რომელიმე ფორმაა მისაღები, დანარჩენები კი უარსაყოფი და მიუღებელი. ჩემი აზრით, სათქმელი თვითონ გვკარნახობს ფორმას, ოღონდ ავტორმა ზედმიწევნით მართებულად უნდა გაიგოს ეს კარნახი. რა თქმა უნდა, შესანიშნავია, როცა ნაწარმოების ფორმა და შინაარსი სრულ შესაბამისობაშია ერთმანეთთან. ეს ფაქტი უდავოდ ავტორის ოსტატობასა და მაღალ პროფესიონალიზმზე, მის ნიჭიერებაზე მეტყველებს.

შესაძლებელია ზოგიერთი არ დამეთანხმოს, მაგრამ ჩემთვის უპირატესი მაინც სათქმელია, ის განცდა, ის ემოციური მუხტი, რამაც შემოქმედს ხელში კალამი ააღებინა. ალბათ ჯერ უნდა გქონდეს ოქრო, რომ შემდეგ ყალიბში ჩამოასხა.

ჩვენს ლიტერატურაში უკანასკნელ ხანს შეინიშნება მთელ რიგ ავტორთა ზედმეტი გატაცება ლექსის გარეგნული მახასიათებლებით - ბგერწერით, ალიტერაციით, სახესიმბოლოებით. ეს ე.წ. „მიგნებანი" ქართულ მწერლობაში ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში განვლილი ეტაპებია, თანაც ძალზე ნიჭიერი ავტორების - სიმბოლისტების, ფუტურისტების და სხვათა - მიერ. ლიტერატურის სპეციალისტებმა კარგად იციან ამ „სიახლეთა" წარმომავლობა და ჭეშმარიტი არსი და გაუთავებელი მსჯელობა მათ ორიგინალობაზე მხოლოდ ღიმილს იწვევს.

თამარ შაიშმელაშვილის პოეზია არის ის სასიამოვნო შემთხვევა, როდესაც ავტორი ერთნაირი წარმატებით ფლობს როგორც რითმიან, ისე თავისუფალ ლექსს. ზოგიერთ შემოქმედს ჰგონია, რომ რითმისგან გათავისუფლება ლექსს ყველანაირი კანონზომიერებისგანაც ათავისუფლებს და რომ ქაოტური აზრების პირდაპირ ქაღალდზე გადატანა და სტრიქონებად დალაგება, მათ უკვე პოეზიად აქცევს. მაგალითების მოტანას არ ვაპირებ, რადგან ჩვენს ლიტერატურულ პრესასა და ვირტუალურ ქსელში ამის ნიმუშები ყოველდღიურად მრავლად გვხვდება.

ერთ-ერთ პირად საუბარში პოეზიის არაჩეულებრივმა მცოდნემ და ჭეშმარიტმა დამფასებელმა ბატონმა ვახუშტი კოტეტიშვილმა ბრძანა: პოეტმა ჯერ დამანახოს, რომ სრულყოფილად ფლობს რითმიანი ლექსის კანონზომიერებებს - რითმას, რიტმს, წარმატებით შეუძლია სხვადასხვა სალექსო ზომების გამოყენება და მერე გინდა თეთრი ლექსისკენ გაუტიოს და გინდა კავთისხევის მინდვრებისკენო. ვისაც რითმიანი ლექსი კარგად გამოსდის, მისი თავისუფალი ლექსიც სხვანაირია, უფრო მოწესრიგებული, რიტმული, დახვეწილი. ახლა ზოგიერთი ამ ყბადაღებულ „თავი-

სუფალ ლექსს” იმიტომ ეტანება, რომ რითმიანი ლექსის სიძნელეებს თავი ვერ გაართვა, ალღო ვერ აუღო და ვითომ უფრო იოლად სავალ გზას დაადგა, თუმცა ამგვარი ლექსის შექმნასაც თავისი კანონზომიერებები აქვს და ადვილი სულაც არ გახლავთ.

ლექსის ფორმის ჩამოყალიბებასა და მის მელოდიურ ჟღერადობაში დიდ როლს თამაშობს ავტორის გემოვნება, მისი მუსიკალური სმენის ხარისხი. იგი შეუმცდარად უნდა გრძნობდეს თითოეული სიტყვის ბგერით თანწყობას სტრიქონის მთლიანობასთან. სმენას ხიჭვივით არ უნდა ჩხვლეტდეს რომელიმე მათგანი და საერთო ფონთან დისონანს არ უნდა ქმნიდეს.

ცუდ ლექსს ვერც რითმა უშველის და ვერც რითმისგან გათავისუფლება. რა თქმა უნდა, ლექსის გარეგნულ მახასიათებლებს ყოველთვის ჰქონდა და აქვს დიდი მნიშვნელობა, მაგრამ ფორმა, ჩემი აზრით, შემოქმედის თვითმიზნად არ უნდა იქცეს, არ უნდა წარმოადგენდეს ალიტერაციული ბგერების თუ მელოდიურად თანმხვედრი სიტყვების ხელოვნურ თავმოყრას, საიდანაც ხშირად აზრის გამოტანა ჭირს.

მკითხველს თამარ შაიშმელაშვილის ორ მცირე ზომის პოეტურ ნიმუშს წარვუდგენ, რომელთაგან ერთი ხალხური პოეტური საზომით არის შექმნილი, მეორე კი თავისუფალი ლექსია, მაგრამ მათგან უპირატესის გამორჩევა ალბათ გაჭირდება, იმდენად პოეტური და მრავლისმთქმელია ორივე:

გამოჩნდა სვეტიცხოველი,
როგორც რიჟრაჟი დილისა,
ნისლია წუთისოფელი,
გზებზე უმწყემსოდ ივლისა.
სულს გუმბათები სწყურია
და მთის ვარსკვლავებს უმღერის
დარდია ჩემი სამშობლო,
მთვარით ნაშალი ღრუბელი.

და მეორე ლექსი — „პოეტი“:

მე ბორანი ვარ —
თეთრი ღამეების
უტყვი მოდარაჯე
და აღელვებულ მდინარეზე
გადამყავს ახლა
მარტოსულები.

ამგვარი ლირიზმი, ფორმისა და სათქმელის მოზომილი შეთანასწორება საერთოდ დამახასიათებელია თამარ შაიშმელაშვილის პოეზიისათვის. იგი ქართული კლასიკური მწერლობის ტრადიციულ ხაზს მიჰყვება, რაც სრულიადაც არ ნიშნავს სიახლეებისადმი უარყოფით დამოკიდებულებას ან ბრმა მიმბაძველობას წარსულისადმი. თამარის ლექსებში ბევრ საინტერესო სიახლეს ნახავს ჩვენი მკითხველი, როგორც ფორმისა და შინაარსის, ისე მხატვრულობის თვალსაზრისით.

თამარ შაიშმელაშვილს პიროვნულადაც და პოეტურ შემოქმედებაშიც უაღრესად გამახვილებული აქვს ეროვნული ღირსების გრძნობა. იგი არ მიეკუთვნება იმ ავტორთა რიცხვს, რომლებიც მკითხველის ყურადღების მისაქცევად და საკუთარი პოპულარობისთვის არაფერს ერიდებიან, მათ შორის, არც ეროვნულ, სარწმუნოებრივ თუ ოჯახურ სიწმინდეთა შეურაცხყოფას.

თამარ შაიშმელაშვილის პოეზიაში სათქმელი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და ქართული სულიერებით გამსჭვალული, მაგრამ არა - პათეტიკური და იოგებდაჭიმული. მის ლექსებს თითქოს შემოდგომის მზის მჭვირვალი სევდა ახლავს. მათში საყდრის სურნელი და სასიამოვნო სითბო ტრიალებს.

ამ ლექსებიდან ის ემოციურობა და გულწრფელობა ილვრება, რაც პოეტის სულის ანარეკლია. ამ ნიშნებით ხასიათდება თამარის როგორც პატრიოტული, ისე სატრფიალო ლირიკა — სიყვარული მამულის, უფლისა და ადამიანებისადმი. მისი, როგორც შემოქმედის, უდავო ღირსებად მიმაჩნია სათქმელთან მშვენივრად მორგებული ორიგინალური მხატვრული სახეების შექმნა, რომლებიც ლექსებს განსხვავებული ზემოქმედების ძალას მატებენ და უფრო დასამახსოვრებელს ხდიან.

ჩვენი მკითხველი, უმდიდრეს ხალხურ პოეზიაზე თუ გენიალურ „ვეფხისტყაოსანზე” აღზრდილი და გემოვნებაგაწაფული, მშვენივრად გრძნობს მხატვრულ სახეთა მშვენიერებას და იცის ამგვარი ფრთიანი პოეტური გამონათქვამების ზემოქმედების ძალა. ჩვენს მეხსიერებაში დიდი სიცხოვლით, თითქმის წარუშლელად აღიბეჭდება ხოლმე თამამი და განსხვავებული მონასმი პოეტური კალმისა.

ქართველი მკითხველის სმენა საუკუნეთა მანძილზე იმდენად გაიწვრთნა უაღრესად ღირებული პოეზიით, რომ პირველივე წაკითხვიდან, ზოგჯერ ლექსის ბოლომდე გაუაზრებლადაც კი გვეუფლება ორიგინალური მხატვრული სახით თუ ფრთიანი პოეტური გამონათქვამით მოგვრილი აღტაცების განცდა. შეუნიშნავი ალბათ არც თამარ შაიშმელაშვილის მოხდენილი შედარებები დარჩება:

„საყდრის ჩიტივით გალობს სიკვდილი,
ამღერებული მეკვლე.“

„და ცახცახებენ ქარში ჭინჭრები,

როგორც უდროოდ წასული ძმები.“
„ქარის სულივით ეული
ენთო სამყარო მზისხელა...“

„ფრთამოტეხილი მოლაღურივით
ჩარდახში ქარი მიმჯდარა ობლად...“

და კიდევ სხვა და სხვა.

თამარს აქვს პატარა ლექსი „კვირაცხოველი”, რომელიც შთამბეჭდავად წარმოგვიდგენს ავტორის მხატვრული აზროვნების თავისებურებებს და შემოქმედებით უნარს. ერთ ლექსში რამდენიმე პოეტური სახის თავმოყრა ხშირად მკითხველის ერთგვარ გაღიზიანებას იწვევს, რადგან იგი გაცილებით იოლად აღიქვამს და ადვილად იმახსოვრებს ერთ უცხო შედარებას ან უჩვეულო პარალელს. რამდენიმე პოეტური სახის თავმოყრისას კი მკითხველი იღლება, ზედმეტობის განცდა უჩნდება. საბედნიეროდ, „კვირაცხოველი” ამ მხრივაც გამონაკლისია:

ათოვს კაკლის ხეს — დაღვრემილ პაპას
და გულთამხილავ ჟამთააღმწერელს,
ბროწეულის ხე სამრეკლოს ხატავს,
ცრემლი ეზრდება ლამაზ ღაწვებზე.
ვფურცლავ საწუთროს — პირქუშს და ელამს,
ტკივილებს სხეპენ ფიჭვის ნამგლები...
მთვარის კვართივით ღამეში ელავს
კვირაცხოველის ძველი ნანგრევი.

ამ პატარა ლექსში რამდენიმე მხატვრული სახეა თავმოყრილი და ყველა ერთ მიზანს ემსახურება — უკეთესად გამოკვეთოს დანგრეული ტაძრის სურათი თუ დროის მიერ დაქცეული სალოცავის ხილვით გულშეძრული პოეტის სევდა. ეს მხატვრული შედარებანი მკითხველში მოჭარბების გრძნობას არ იწვევენ, მშვენივრად იგრძნობა, სტრიქონიდან სტრიქონში როგორ იზრდება ლექსის ემოციური მუხტი, ფინალში ასე დასამახსოვრებელი და ორიგინალური მხატვრული სახით რომ მთავრდება — „მთვარის კვართივით ღამეში ელავს კვირაცხოველის ძველი ნანგრევი.”

თამარ შაიშმელაშვილის ლექსი მსუბუქია, არაფრისმთქმელი სიტყვების გარეშე. მასთან თითოეულ ფრაზას და სიტყვას სათქმელიდან გამომდინარე ზუსტი დატვირთვა გააჩნია. პოეტი სიტყვების გაუგებარ გროვებს არ ქმნის, ერთ ლირიკულ ნაწარმოებს სხვადასხვა განწყობილებათა თავმოყრის პოლიგონად არ აქცევს. ეს ის სიმსუბუქეა, რომელიც ავტორის ხანგრძლივი და მძიმე შრომით მიიღწევა და პოეტური ოსტატობის მაღალი დონის უტყუარი მაჩვენებელია.

დარდებს რა ჰქონდათ სადაო,
წყურვილი მკლავდა წვიმისა,
გულში ვარსკვლავებს ვითვლიდი,
მწვავდა სიზმარი კვირისა.
მშველოდა შინდის ყვავილი,
როგორც საგზალი მწირისა,
პეშვებით სული მომქონდა
იდუმალი მზის სხივისა.

მიუხედავად საქართველოს ამჟამინდელი ტერიტორიული მდგომარეობისა, ზოგიერთს ჰგონია, რომ მამულის სიყვარული ერთგვარი მოდური ცნებაა, დღესდღეობით უკვე ყავლგასული და დრომოჭმული. ჩვენ, ქართველებს, ამ იდეოლოგიით რომ გვეცხოვრა, კარგა ხნის აღგვილი ვიქნებოდით პირისაგან მიწისა, მაგრამ საუკუნეთა მანძილზე ჩვენს ისტორიაში მამული, ენა და სარწმუნოება იყო ის უწმინდესი ცნებები, რომელთა გულისთვისაც მუდამ ღირდა და ღირს სიკვდილი. ამგვარი ნიჰილიზმი ჩვენი იდეოლოგია არ არის. იგი მტრისა და ავის მოსურნის ხელით ჩაითესა ჩვენს შორის და მის ავ ნაყოფს ჯერ კიდევ დრო ამწიფებს.

თამარ შაიშმელაშვილის პოეზიაში მამულის სიყვარული ყოველი ადამიანის საღვთო ვალდებულებაა. ეს გრძნობა ტუჩებჩაკვნეტილი გმინვაა უფრო და არა — როყიო როხროხი ან პათეტიკური გულზე მუშტის ბრაგუნი. მას უნდა გრძნობდე, როგორც დედის მკერდს — თბილს, სათნოს, შენი არსებობის მასაზრდოებელს და როგორც ყველაზე უფრო მოსაფრთხილებელ საუფლო განძს.

თამარის ლექსებში ახალი სინათლით გაბრწყინდნენ შატბერდი და ხირსა, მცხეთა და ასპინძა, შატილი და უფლისციხე და განსაკუთრებით მისი მშობლიური კუთხე — კახეთი. ამ დიდი განცდითა და მოკრძალებით აღსავსე ლექსებში ხმაც და სათქმელიც მოზომილია, მაგრამ სიყვარულია წრფელი და მოუზომავი:

ჩემო სამშობლო,
უსამართლობის ზარ-ზეიმში
შენ ისეთი ნათელი ხარ,
როგორც ტაძრის ეზოში
ბროწეულის წითელი ყვავილი,
თავისით, ჩუმად რომ ამოსულა
და შენდობის ზარებს რომ რეკავს.

ან კიდევ:

ჩემი წუხილი —
მზე იდუმალი,
ჩაემწუხრება შენს სიჩუმეში...
და გულზე ლოცვად ამოეზრდება
ცრემლის ყაყაჩოები —
„სამშობლო!”

ანდა:

მე აქ მოვედი, იდუმალება
შენი სულივით ფეხდაფეხ მდევდა...
შორს ალაზანზე ცის მდუმარება
დილის ხასხასა იებში თვლემდა...
ქარმა აქ ჩვენთვის გაიქორბუდა,
შენთვის რეკავდნენ ზარებიც ხირსის...
და სამრეკლოსთან, მზის ქონგურებზე
მწიფს ბროწეული — წარსულის სისხლი!

მთელი თავისი ისტორიის მანძილზე ქართული მწერლობა ლაკონიური, დაწურული ფრაზით მოდის. შუშანიკის, აბოს, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებანი, „ვეფხისტყაოსანი” თუ ქართლის ცხოვრების ქრონიკები დიდი სალიტერატურო სკოლის არსებობის უტყუარი ნიმუშებია.

ამ გზით ვიდოდა მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლო-

ბა, ამ გზაზე მრავალნი მიდიან დღესაც და ერთ-ერთი კრძალვით მავალი მათ შორის თამარ შაიშმელაშვილიცაა. მისი ლექსიკა მდიდარია და მრავალფეროვანი, ამავე დროს, ნათელი და სადა, როგორც ყველაფერი, რაც წრფელია და ნამდვილი:

გაწყდა ქედნების მარაო,
ტყისპირს ირემმა ილოცა,
მგზავრივით შევესვენები
შენი თვალების გრილოსა...
ჩამოვიფარებ ბეღურებს,
დავყვები ქარის მღერასა
და ისევ შევატრიალებ
დაწყევლილ ბედისწერასა.

ანდა:

მზენაშვილები თოვლივით
ლაჟვარდში მოგიბინადრე
და სიყვარულის სანთელი
მიმიძღვის იდუმიადმდე...
არც იფქლის ხორბალს ვთესავდი,
არც უშენობა ვინაღვლე...
გაფრენილ სამოთხესავით
სულში მიმოდის მდინარე...

თამარ შაიშმელაშვილის პოეზიაში ერთი ტენდენცია შეინიშნება — ავტორი არაერთ სიტყვასა და კომპოზიტს ქმნის: „მოგენამდვილე", „შემოგეფოთლები", „ჩუმსევდიანი", „მწუხრმშვენიერი", „მოგეშემოდგომე", „სულალუბლები", „ქარნათლია" და სხვა. მე თუ მკითხავთ, უმჯობესია მწერალმა თავისი ენის უმდიდრეს საგანძურში დაძებნოს საჭირო სიტყვები, მაგრამ ალბათ ამ მიმართებით გარკვეული სიახლეც აუცილებელია, ამასთან, ენას თავისი მკაცრი კანონები აქვს და მან ყველაზე უკეთ იცის, რომელი სიტყვა მიიღოს და გაითავისოს.

თამარ შაიშმელაშვილს აქვს თავისი განსხვავებული სათქმელი და მისი მიტანა მკითხველამდე საკმაოდ ოსტატურად და ორიგინალურად შეუძლია. მისი ბოლო კრებული „ჩამოთოვლილი ზარები" და უკანასკნელ ხანს ლიტერატურულ პერიოდიკაში გამოქვეყნებული ლექსები გვაძლევენ იმედს, რომ თამარისგან კიდევ არაერთ საინტერესო ქმნილებას უნდა ველოდეთ. მკითხველიც და ამ სტრიქონების ავტორიც მხოლოდ მიესალმებიან ამგვარი ლექსებით მოგვრილ სიხარულს.

გადაწეულ ფარდაში,
როგორც მარიამის რიდეში,
მზის სხივები შემოდიოდნენ,
სევდის ნათელს ტოვებდნენ
სარკეზე, ნახატებზე, კაქტუს-ყვავილებზე.
თითები ჩურჩულით
ახალ აღთქმას კითხულობდნენ,
გამალებით გალობდა შაშვი...
ხელისგულებზე ვარსკვლავები ამოდიოდნენ...

ლექსიც ხომ ვარსკვლავივით ამოდის პოეზიის ცარგ-

ელგუჯა თავბერიძე

ჩარდახში ობლად მიმჯდარი ქარი

დღეს ბევრი ლექსი იწერება. წერს ყველა, ვისაც არ ეზარება. წერს ისე, რომ ერთი შეხედვით ნაკლსაც ძნელად მოუძებნი, ტექნიკურად (არ მიყვარს ეს სიტყვა, მაგრამ რა ვქნა?!) გამართულია, უფრო მეტიც, გამოცდილ შემოქმედსაც შეშურდება ნაოსტატევი, მაგრამ ლექსში გამჟღავნებული განცდა-განწყობილება არაა იდუმალი, არაა ფიქრში გაცრილი ანუ ისე განცდილი, რომ შენადაც იქცეს შემქმნელის განწყობილება. ასეთი ლექსები მკითხველში კი არ იწყებენ სიცოცხლეს, პირიქით, წაკითხვისთანავე კვდებიან. მოკლედ, იმის თქმა მინდა, უგულო ლექსები მომრავლდა, ისეთ პოეტურ ნიმუშებს წაიკითხავ, რომლებშიც განივთებული განცდის სიღრმე არ შეგძრავს, არ აგეკიდება და დამახსოვრებითაც ძნელად ან სულაც არ დაგამახსოვრდება. არადა, კაი ლექსი ჩემთვის ისაა, რომ ჩაგითრევს, ჩაგიყოლებს, მისეულს შენად ჩაგიკირავს გულსა და გონებაში.

თამარ შაიშმელაშვილის ლექსები დაიბეჭდა ამასწინათ ჟურნალში "ჩვენი მწერლობა", და არა მგონია, ვცდებოდე, მართლაც სასიამოვნო მოულოდნელობაა ჩემთვის და ალბათ იმ მკითხველისთვისაც, ვისაც ლექსი აზრისა და გრძნობის სინთეზად მიაჩნია, ვინც გარეგნულ ბრჭყვიალებას, ნაძალადევ რებუსულობას, ზედმეტ ტვინის ჭყლეტას კი არ ეტრფის, გულიდან ამოხეთქილი სტრიქონი ხიბლავს და იტაცებს.

პირველივე ლექსი ვნახოთ:

მე აქ მოვედი, იდუმალება
შენი სულივით ფეხდაფეხ მდევდა...
ცის მდუმარება
დილის ხასხასა
იებში თვლემდა...
ქარმა აქ ჩემთვის გაიქორბუდა,
შენთვის რეკავდნენ ზარებიც ხირსის...
და სამრეკლოსთან, მზის ქონგურებზე
მწიფს ბროწეული — წარსულის სისხლი.

ხომ მშვენიერია, ცის მდუმარება დილის ხასხასა იებში რომ თვლემდა, ქარმაც რომ მათთვის გაიქორბუდა და სამრეკლოსთან ბროწეული — წარსულის სისხლი რომ მწიფს. და ყველაფერი ეს ერთს უკავშირდება, ის ერთი კიდევ სამშობლოც და სხვა ვინმეც შეიძლება იყოს. ბარემ ვიტყვი, ლექსში აზრიც, გრძნობაც ისე ფაქიზადაა შერწყმული და მკითხველამდე მოტანილი, რომ არ შეიძლება გულგრილი დაგტოვოს. და კიდევ, რაა საერთო ნიშან-თვისება თამარ შაიშმელაშვილის ლექსებისა — სიმარტივე, ოღონდ სრულყოფილებასთან მიახლოებული, სიმარტივე, როცა ნაფიქრ-განცდილი წრფელად, ძალდაუტანებლადაა გადმოცემული.

ასეთ დროს შეიძლება ხელებიც მტრედებად წარმოიდგინო:

ჩემი ხელები მტრედებია
მონატრება მასწავლეს შენზე...
შენს სარკმელთან მოფრინავენ
და ზეთისხილის რტოსავით
მოაქვთ შენთვის მარტოობა —
სამყაროს ელვა...

მარტოობა — სამყაროს ელვა, იდუმალიცაა, მომნუსხველიც, ისეთი, რომ შეგძრავს და თავს არ დაგავიწყებს. მერე კიდევ ეს მარტოობა ღვთიურ ფრინველებს — მტრედებს — მოაქვთ სარკმელთან და ასე, ამ განცდით განილევა წუთისოფელი:

დავილეწები ყვავილი ნუშის
ამაოების ქარს მინდობილი,
და ელვასავით გამივლის გულში
ზღვა-საიქიოს შესანდობარი.

თითქოს კი არა, მართლაც ბევრ რაიმეს აქვს ამ სტროფში სახელი დარქმეული, მაღალპოეტური ნიჭიერებითაა ნათქვამი ჩვეულებრივი აზრი და პოეზია ამას ჰქვია, ის, რაც ტრივიალურია ანუ აზრის ენაზე გაცვეთილი და გახუნებული, პოეტურად გამჟღავნებული სულ სხვა ელფერს იძენს.

მზერაუძირო წუხილი, უსამანო სევდა, დაუსაზღვრავი დარდი ეუფლება პოეტს იმიტომ, რომ რაღაც იყო, თითქოს აღარ არის, თუმც ის რაღაც წყაროზე მიმავალ პაპის სიმღერასავით მარადიულად ხმიანებს, ქვევრის მათრობელა მოძახილში გაიბუყბუყებს და მონატრების სურვილს ჩაგისახლებს სულ-სხეულში, ჩარდახში ობლად მიმჯდარი ქარის მეტაფორით რომ განსხეულდება:

როცა მზეს სძინავს ბროწეულებში
და ორღობეში გაკრთება ბინდი,
შენი წუხილი მზერაუძირო
წყაროზე პაპის სიმღერით ივლის...
ვერ შეველევი ამ მონატრებას
ქვევრის მათრობელ მოძახილს სოფლად...
ფრთამოტეხილი მოლაღურივით
ჩარდახში ქარი მიმჯდარა ობლად!

ჩარდახში ობლად მიმჯდარი ქარი მიუსაფრობას უჩენს მკითხველს, დაცლილი, ქარის ანაბარა მიტოვებული მატერიალური სამყარო გულს უღონებს და იმედად ისღა რჩება, რომ წყაროსავით მარადიულად მდინარეა ეს საფიქრალი, მიწყივ მოძრავია მარტოობისა და მონატრების განცდა.

ხანდახან მზერაუძირო სევდა მზენაშვილები თოვლივით ლაჟვარდში დაბინავდება:

მზენაშვილები თოვლივით
ლაჟვარდში მოგიბინადრე
და სიყვარულის სანთელი
მიმიძღვის იდუმიადმდე...
არც იფქლის ხორბალს ვთესავდი,
არც უშენობა ვიმადლე...
გაფრენილ სამოთხესავით
სულში მიმოდის მდინარე...

ჭეშმარიტი ლექსის მცნობელნი (კადნიერებაში ნუ ჩამომართმევთ!) არა მგონია, გულგრილი დატოვოს მზენაშვილებმა თოვლმა და იმან, რომ სულში მდინარე გაფრენილ სამოთხესავით მიმოდის. ბევრი რამ შეიძლება იგუმანო ამ ფრაზაში, ბევრიც წარმოისახო, მაგრამ როგორც უნდა გაეკიდო ფიქრს, თამარ შაიშმელაშვილის დიდი პოეტური ფიქრ-განცდით შეთხზული აგესვეტება წინ.

ალავერდზეც ხომ ბევრი წაგვიკითხავს, ხსოვნაში ჩაგვრჩენია, აღვფრთოვანებულვართ კიდეც, თამარ შაიშმელაშვილის პოეტური ხატ-სურათი კი საუკუნეთა წიაღიდან მოღაღადე ხმას ითავსებს, თითქოს ფუნჯის ერთი მოსმით ქმნის მოლაპარაკე ქვის ჰარმონიას:

შენ მოგაბარე ჩემი წარსული —
სისხლით მომკილი ხირსის ქედები...
ბოდბის მირონი სევდანაჟური...
კახეთს ცრემლივით ვერ შეველევი...
დაეთრიმლება მთებს ნავალები,
გასხივოსნდება ქარსატევარი...
და ცისკარივით დგას ალავერდი —
მზედაწურული ქრისტეს მტევანი.

ხომ იშვიათია, ასეთი უწრფელესი განცდით გამჟღავნებული მამულის სიყვარული...

თამარ შაიშმელაშვილს იტაცებს და მშვენივრადაც ახერხებს პოეტურად დაარქვას სახელი ყოფითსა და მტვერწაყრილ აზრებს:

ვერ აიტანა
სულმა ღალატი—
თითები გადამიტყდა —
მარტის კელაპტრები.

გადამტყდარი თითები — მარტის კელაპტრები ვინმეს შეიძლება უხერხულ შედარებად მოეჩვენოს, მაგრამ, მერწმუნეთ, სულისაგან ღალატის აუტანლობასთან დაწყვილებული, ნაღდია და მშვენიერი.

ან კიდევ:

ქარში ვარ,
სამყაროს კიდეზე —
გიბედებ.

რითიც დავიწყეთ, იმით დავასრულოთ.

უგულო ლექსები მომრავლდა.

თამარ შაიშმელაშვილისნაირი ღრმა პოეტური იდუმალებითა და გადამდები პოეტური განწყობილებით შეთხზული ლექსები იშვიათად იბადება. ამიტომაც არ შემეძლო რაღაც არ მეთქვა მათზე.

ბანოჯა

მიეილ ჩოგოვაძე

თათია ჯგუშია

საკუთარ თავში პირქვე ჩამხობილი

(ჩემი მაია სარიშვილი)

ხანდახან ხდება, კანი იწყებს სკდომას და ნაპრალებს შუა ისმის შიშინი. ბგერებმაც შეიძლება ეკლები მოისხან და ნაჭრილობევში იწყონ ჩაბრუნება. ხმა წვდება მხოლოდ მას, ვინც „მკვდრებისთვის არსებობს", რადგან ისინი, ვინც მკვდრებისკენ მომზირალთა რიგებში დგანან, დაგეშილები არიან გოგირდისა და ნიშადურის სუნზე, მთელი ცხოვრება სველ ქვეშაგებში წვანან და მხარსაც კი ვერ იბრუნებენ, რადგან დაბეჟილ ზურგზე ხავსი აქვთ მოკიდებული და ჩაბრუნებულ თმასავით სტკივათ.

ხანდახან ვფიქრობ, მის ყველა ლექსს „სასტიკი პასუხი" უნდა ერქვას, პირზე რომ მოგასრესს წლობით ნაგროვებ სიმწარეს და უყურებ, როგორ ზამბარებივით ამოსტყორცნია შუბლიდან ნერვები, როგორ დახეთქვია ხელისგულები სხვებისგან გულმოდგინედ ნათესი ამბროზიების ამოძირკვით, მაინც რომ ვერ მორევია და იმ დამსკდარ ხელისგულებზე, წვრილი, წითელი რუებიდან შხამიან, ყვითელ ყვავილებს დაუფჩენიათ ხახა.

თითქოს მე და ჩემისთანები ვაიძულებდით, რომ ოთხი ბავშვიდან ორი მაინც უნდა ჩაეძაღლებინა, თითქოს ჩვენ ავკიდეთ სასკოლო ჩანთასავით ზურგზე ცოცხალი მგელი, ავბურდეთ გზები, გადავხარეთ სამყარო მარცხნივ, მოვუკალით დედა და ცამეტი წლის არკადი გვასალია. ჩვენ გადავუმალეთ მეგობრები, რომლებსაც სახეები მდინარეებად ვუქციეთ და სხვა ზღვებს შევურიეთ, ჩვენ ამოვაცალეთ მისი ბავშვობის პიანინოს ყველა თეთრი კლავიში, მისი მუსიკის მასწავლებელს, ნათელა მარკოზიას ჩავულაგეთ ლაბადის ჯიბეში და გავუშვით ნისლში. ყოველ შემთხვევაში, წავიკითხო თუნდაც ერთი ბწკარი მისი ლექსიდან, საკმარისია, რომ ვიგრძნო, როგორ მაქვს მთელ სხეულზე შემოჭერილი შალის ძაფები, რომლებიც ერთდროულად მჩხვლეტენ და მიკავებენ სისხლს, და თუ კიდევ რამდენიმე ლექსს გავუძელი, მერე მინდება მთელი ტანი ნემსით დავიჩხვლიტო.

ხატვა რომ შემეძლოს, დავხატავდი ფერმკრთალსა და გამხდარს ებრაელი ქალივით, რომელსაც სახეზე თეთრი დოლბანდი აქვს გადაკრული, მთელი ძალით ჩაფრენილია მის ოთხ შვილს, რომლებსაც სამყაროს ოთხივე მხარე თავისკენ უხმობს, როგორმე უნდა მოიგერიოს ის მძლავრი მაგნიტები, ან ოთხ თანაბარ ნაწილად დაიყოს და თითოეულს მკერდზე აეკრას...

ბავშვების სიყვარულს ყოველთვის ზანზალაკებივით აქვს გამობმული პატარ-პატარა შიშები, რომლებიც მუდმივ მზადყოფნაში გამყოფებენ, მზვერავს და ჩასაფრებულს გხდიან და თუნდაც, სულ ცოტა, მუხლი გადაიტყავონ, მზადაა მძვინვარე პანიკა, ვაითუ სისხლი არ შედედდეს, ვაითუ ყველა სიავე იმ ერთი უმნიშვნელო ნაკაწრისკენ გაემართოს და მთელი სხეული მოიცვას, დაუავადოს. ბავშვების სიყვარული დიდ, ნათელ სხივთან ერთად, ნიშნავს, ყველა უჯრედზე თითო ქვა გქონდეს დაკიდებული და შფოთავდე, თავს არაფერი აუტეხონ, აივანზე თავდაღმა არ დაეკიდონ, ჩიტების დამპურებლები ყვავების სანისკარტედ არ იქცნენ.

არიან ბავშვები და კიდევ — არიან „მაიას ბავშვები", რომლებსაც რაღაც საერთო საბანი აქვთ წაფარებული, მუდამ მის ფიქრში მყოფებს, თითქოს არც არაფერი უნდა დაუშავდეთ, არაფერში გაისვარონ.

ის კი, ალბათ, ცხოვრობს ისე ჩუმად, საკუთარ თავში პირქვე ჩამხობილი, დამძიმებული კეფით და ჩაშავებული უპეებით, შიშით, რომ რასაც შეეხება, შეიძლება გატყდეს, ათასი საქმით, ბასრი პირით გვერდებს რომ ათლიან, და შიგადაშიგ დღეებით, უთვალავი ფერი ერთად რომ უბრდღვიალებს, კანს რომ უშაშრავს და ძვლებს უფშვნის, შავ-თეთრ კინოში კი უფრო იოლად გადის ფონს, ადგილები იბრუნებენ თავიანთ ნივთებს, ნივთები — კონტურებს, ჰაერი — სიკამკამეს... და ომიც ისეთია, ბავშვები დაჭმუჭნულ ქაღალდებს ისვრიან ცარცით შემოხაზული ერთი წრიდან მეორეში, ერთი ველიდან მეორეზე.

მისი ცუდად ყოფნები რაღაც დომინოს პრინციპით გადანაწილებულია მთელ ცხოვრებაზე, თითქოს ყიფლიბანდიდან ამოეზარდა მთელი ეს წყება და ბოლომდე გაიყოლებს, რადგან ხანდახან ხდება ისე, იმ დახეთქილი კანის შიშინიც და სველ ლეიბებზე წოლაც მშობლიურია, უკვე შეგუებული, და პირიქით, ეს მკივანა წითელი რომ მოაცილო მის ცხოვრებას, ეს რკინის ბასრი ხრახნები რომ ამოართვა სხეულიდან, მოკვდება.

დაბოლოს, ალბათ, სადღაც, შიშველი ფეხებით რომ გაივლი ჯერ შაქრის ნატეხებზე, მერე დამტვრეული ჭიქების ყუნწებზე, სხვადასხვა ზომის ფერად აბებზე და ბავშვების სათამაშო ნიჩბებსაც რომ გასცდები, როგორც მიტოვებული ომის ველს, გამოჩნდება ვეება გვირაბი, რომელსაც არ ექნება არც შესასვლელი, არც ბოლო და იმ უკაცრიელ სიმყუდროვეში იქნება დაუსრულებელი ბარდნა.

ნინო ვახანია

ხიბლი თამაშისა

ირაკლი ლომოურის „პარიზელი ქალი“

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ კოკა ლეფევრმა (გვარი ფრანგისა აქვს, ისე ქართველია) შემთხვევით შეიტყო სვანეთში ნაპოვნი უნიკალური ნივთის შესახებ და გადაწყვიტა, გადაეღო ფილმი, რომლისთვისაც სცენარის დაწერა მეგობარს სთხოვა. აღმოჩენილი კი გახლდათ მედალიონი, რომელიც ააშკარავებდა და ადასტურებდა აია-კოლხეთის სამეფოს კულტურულ თუ ნათესაურ კავშირებს კრეტის სამეფოსთან.

ეს ამბავი ირაკლი ლომოურის მოთხრობაში ხდება. „პარიზელი ქალი“ ჟურნალ „ლიტერატურული პალიტრის“ 2013 წლის პირველ ნომერში დაიბეჭდა..

ირაკლი ლომოურს მკითხველი იცნობს, როგორც დიდ მისტიფიკატორს, სრულიად აბსურდული, ალოგიკური მოვლენების რეალისტური მანერით წარმომჩენს. საზოგადოებას კარგად ახსოვს, თუ რა გაუგებრობა (რბილად რომ ვთქვათ) გამოიწვია მისმა „შემთხვევამ“. ეს ნოველა ახლა, სავსებით ლოგიკურად, სასწავლო პროგრამაშია შეტანილი და მას სკოლაშივე ეცნობიან მოზარდები.

მისტიფიკაციის გარეშე ირაკლი ლომოური ირაკლი ლომოური არ იქნება. ეს მისი ხელწერაა, მისი ტვიფარი, გნებავთ — საფირმო ნიშანი თუ სავიზიტო ბარათი.

ამ ახალი მოთხრობისგანაც მკითხველი, ბუნებრივია, კვლავ რაფინირებულ, ხელოვნების დარგში აყვანილ მისტიფიკაციას ელის და, უნდა მოგახსენოთ, რომ მოლოდინი არც გაუცრუვდება, ოღონდ... ოღონდ ის, რომ მოთხრობის ძირითადი ამბავი, ასე ვთქვათ, ძარღვი სულაც არაა გამოგონილი. არა, ესაა რეალობა, ჩვენი ყოფის ამრეკლავი სინამდვილე, თავმოსაწონებლადაც რომ ეყოფა ქართველს, საქილიკოდაც და სამცონაროდაც.

საქმე ისაა, რომ სვანეთში, მესტიაში იპოვეს მედალიონი, რომელზეც აღბეჭდილია კრეტაზე, მინოსის სასახლეში აღმოჩენილი ფრესკის — „პარიზელი ქალი“ — ანალოგი. არადა, ეს სენსაციური აღმოჩენა ისე ჩაიკარგა, გაქრა, გაითქვიფა სხვა ათასი საზრუნავ-საფიქრალით სავსე, მიწყივ მბრუნავ წუთისოფელში, რომ დღეს მის შესახებ ძალიან ცოტამ თუ იცის. ახალგაზრდებს იქნებ ავტორის ჩვეული მისტიფიკაციაც ეგონოს.

ცხონებულ გურამ გაბიძაშვილს სჯეროდა ამისთანებისო, — ამბობს ერთ-ერთი პერსონაჟი. ეს ხომ ის ცნობილი მეცნიერია, არქეოლოგი, ხვამლის მთაზე ექსპედიციის დროს ოქროს რომ წააწყდა და მალე ამის შემდეგ მოულოდნელად გარდაიცვალა (ოფიციალური ვერსიით, გულმა უღალატა). ერიჰა! რაჭაში არქეოლოგებმა რომ ეგვიპტური ცივილიზაციის კვალი დაიდასტურეს, ამ დასკვნის სანდოობაც ერთეულებს თუ სჯერათ, ალბათ.

* * *

საყოველთაოდ მიღებული და გაზიარებულია შეხედულება, რომ მითები მარტო გარდასულ და მკვდარ დროს კი არ ასახავენ, არამედ მარადიულად ცოცხლობენ და ყოველ ხანას თავის გავლენას აჩნევენ. მითის გასაცოცხლებლად და თანამედროვე ცხოვრებაში აქტიურად ჩასართავად ყველაზე მოქნილი და შეუმცდარი საშუალება კი სიტყვაა, მხატვრული ნაწარმოები. არ არის შემთხვევითი XX-XXI საუკუნეთა მწერლების განსაკუთრებული ინტერესი მითების მიმართ. თეორიის სახელმძღვანელოებში არაერთი მაგალითი, ნიმუშია მოწოდებული მწერალთა მიერ მითების განსხვავებულ ჭრილში აღქმისა, განსხვავებული რაკურსით ხედვისა, სხვადასხვა მიზნით გამოყენებისა.

ირაკლი ლომოურმაც მითი შემოიყვანა თხრობაში, ჩვენთვის ძალზე ახლობელი, ასე ვთქვათ, „შინაური“ მითი აქცია ნაწარმოების ხერხემლად. მედეა გადმოასახლა ჩვენს დროში და ისე როგორ იქნებოდა, თვითონვე არ შეჭრილიყო მითადქცეულ წარსულში და მხოლოდ დავარცხინილსა და ადაპტირებულს მიჰყოლოდა კვალში! რა სათქმელია! მრავალგზის დამუშავებული (ქართველი და უცხოელი მწერლების მიერ) თქმულება თითქოს ხელახლა შეთხზა, თანაც ისე, რომ მკითხველს კიდეც სჯერა და არც სჯერა ამ ახალი ვერსიისა.

მოთხრობაში მედეა მარიშაა (თუ მარიშა მედეაა) და საკუთარ თავგადასავალს თვითონვე ჰყვება... ოქროს საწმისი ავანტიურისტმა და ყაჩაღმა იაზონმა კი არა, თურმე თვითონვე გაიტაცა, რათა მამიდაშვილისთვის — მინოტავრისთვის — ეშველა როგორმე. დიახ, ამ მოთხრობის მიხედვით, ძლევამოსილი მინოსის მეუღლე, პასიფაე, რომელმაც ხარისგან ურჩხული (მინოტავრი) შვა, აიეტის დაა. ურწმუნოთათვის უპრიანი იქნება იმის შეხსენება, რომ გავრცელებული და მიღებული ვერსიით, ამ მინოსის პირველი მეუღლე მართლა აიეტის და გახლდათ, ოღონდ, რა თქმა უნდა, ჩვენთვის ნაცნობი კირკე. ესეც ძველი და ახალი მითი. გადმოცემის თანახმად, მინოსი დასავლეთში ამყარებდა წესრიგს, ხოლო აიეტი — აღმოსავლეთში.

ვერ უშველა მედეამ მინოტავრს. მოკლა იმ უღმერთო თეზევსმა (ბერძნული მითის მიხედვით, იგი ხომ მედეას გერია, ეგეოსის შვილი).

მარიშამ, იმავე მედეამ, მკურნალობა იცის. ლოგინად ჩავარდნილ მამასა და მის მეგობარს რაღაც შინაურ ნაყენს ასმევს, რათა მათ ძალა მიეცეთ და ძილქუშიდან გამოვიდნენ. ხარისთავას ნაყენი მართლაც სასიკეთოდ მოქმედებს.

მედეა ხომ მედიცინის ფუძემდებელია მსოფლიოში. სამკურნალო ზეთის დამზადების ცოდნა მიეწერებათ შუმერ ეას და კოლხ მედეას. შუმერთა ქალღმერთი სახელს ანიჭებს კოლხეთს... საეჭვო კი არა, დღეს უდავოა შუმერული მითის, კულტურის, სამედიცინო და სხვა ტერმინთა კავშირი კოლხურ-იბერიულ კულტურასთან და, კერძოდ, მედიცინასთან... ესეც ხომ ჩვენი მოგონილი არ არის, მსოფლიო აღიარებს. ამიტომ ირაკლი ლომოურის „პარიზელ ქალში“ ნათქვამი: ყველა ქართველი ხომ ისედაც შუმერიაო, — სულაც არ აღიქმება ირონიულად (კონტექსტის მიუხედავად).

მედეამ (მარიშამ) ოქროს საწმისის მეშვეობით უნდა აქციოს მინოტავრი ადამიანად. სიკეთეს, სიწმინდეს, „გაადამიანებას“ ემსახურება მედეას საიდუმლო ცოდნა. საინტერესოა, რომ მოთხრობაში თვით ოქროს საწმისი გა-

აზრებულია, როგორც სიწმინდის, სინათლის, ბედნიერების, წარღვნამდელი მსოფლიო ჰარმონიის სიმბოლო. საქართველოდან მისი გატაცება კი მედეას ნამოქმედარია, მაგრამ თვით ეს ქმედება ახალი წესრიგის — სიყვარულისა და თანადგომის — საფუძვლად უნდა ქცეულიყო.

თხრობაში არაიშვიათად ჩაერთვის ერთ-ერთი მოქმედი პირის, გედის, პირადი შეგრძნებანი. მთელი ამბავი გედის მიერაა გადმოცემული პირველი პირით. ნაწარმოები სულაც მისი სიზმრით იწყება. გაუკაცრიელებულ პარიზში, ღია კაფეში ზის და კოქტეილს წრუპავს ლამაზი, ფუმფულატუჩებიანი, ნამდვილი პარიზელი ქალი. გამოფხიზლებული გედი თანდათან აცნობიერებს, რომ სიზმრად ნანახი ქალი იგივე კრეტაზე აღმოჩენილი ფრესკის ქალია, იგივე სვანეთში ნაპოვნი მედალიონის გამოსახულება, იგივე მარიშა ანუ მედეა.

კარლო ფაჩულია — ირაკლი ლომოურის „პარიზელი ქალის“ ილუსტრაცია

მსოფლიო ცივილიზაციის სათავეებთან უეჭველად ქართველთა წინაპრები დგანან. არაა შემთხვევითი, მარიშას მოსმენისას, გედის თუშეთი, შენაქო რომ აგონდება, ახალმოთიბული ბალახის სურნელში თვალნათლივ ხედავს... მინოტავრს, ხარისთავიან ადამიანს. იყო დრო, როცა ჩვენი, ქართველთა, საცხოვრებელი ტერიტორია გაცილებით უფრო დიდი და ვრცელი იყო, ვიდრე დღესაა, ბევრად მეტიც, ვიდრე „ორ ზღვას შუა საამარი ლელო“ გულისხმობს. იმ შორეულ, თვალუწვდენელ წარსულს მწერალი ხელშესახებად შეგვაგრძნობინებს თუნდაც ზემოთ მოხმობილი და სხვა მსგავსი პასაჟებით.

კრეტა მსოფლიო კულტურისა და ცივილიზაციის ცენტრი იყო; მაშინ კრეტაზე ცხოვრება იმას ნიშნავდა, რასაც XIX საუკუნეში — პარიზში ცხოვრება (გაგახსენდათ ილიას ფრანსიელი, რომელიც „მგზავრის წერილებში“ სწორედ ევროპული ცივილიზაციის, განათლებისა და განვითარების სიმბოლოა?).

მედეა კრეტაზე, მედეა კოლხეთში, მედეა პარიზში... მოთხრობის ერთ ეპიზოდში მარიშა იაპონური ტანსაცმლით გამოგვეცხადება. მთელი მსოფლიოს, მთელი აღმოსავლეთ-დასავლეთის, ევროპა-ამერიკის, უკვე გამქრალი, არსებული თუ ჯერ არგაჩენილი კულტურების ძირთაძირი, საფუძველი, მკვიდრი საძირკველი საქართველო და ქართველია! — ამის თქმა თუ უნდა მწერალს.

ასეთი გააზრებანი გვეხმარება ჩვენი მოქალაქეობრივი ღირსების შეგრძნებაში, ზოგჯერ უსაშველოდ მოწოლილი სკეფსისის დაძლევაში. აი, ასეთ წუთებში გვავიწყდება, უფრო სწორად, არსებით მნიშვნელობას კარგავს ყოველმხრივ შევიწროებულ-შემოზღუდული ჩვენი მიწა-წყალი და თავს ვგრძნობთ მსოფლიო მოქალაქეებად. მხოლოდ ასეთ შეგრძნებათა წყალობით ვხდებით ჭეშმარიტი ინტერნაციონალისტები ვაჟასეული გაგებით. ჩვენი წინაპრების ფასდაუდებელი ღვაწლი კაცობრიობის წინაშე კვებავს ჩვენს სიამაყეს — უძლეველობისა და მარადიულობის რწმენას.

მედეა მზის ღმერთის, ჰელიოსის შვილიშვილია, მზიური საწყისია დედამიწაზე, მარადიულია, უკვდავი... „თუ არ მოკვდი, ვერ დაიბადები“, — ამბობს მარიშა. ჯურღმულში თუ არ ჩახვედი, მზის გულზე ვერ ამოაღწევ. დროდადრო უნდა ჩაქრეს, რათა მერე ახალი ძალით გამობრწყინდეს... (დაცემულთა და ჩაგრულთა ნუგეში).

მედეას შესახებ უამრავი გამოკვლევა თუ მხატვრული ნაწარმოები — მოთხრობა, პიესა, ლექსი, პოემა... — არსებობს. მათი ნაწილიც კი, რომელიც ირაკლი ლომოურის მოთხრობაშია ჩამოთვლილი, შთამბეჭდავია. აბა, გადავხედოთ: აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკა“, ოთარ ჭილაძის „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“, ევრიპიდეს „მედეა“, სენეკას „მედეა“, აკაკი წერეთლის „მედეა“, რასინის „მედეა“, გრილპარცერის „მედეა“... ამ სიის შევსება კიდევ შეიძლება თუნდაც ჟან ანუის სახელით. ისიც საყურადღებოა, რომ მედეას შესახებ თქმულება უთუოდ იცოდა დანტემაც. დანტე და ვერგილიუსი ჯოჯოხეთში ხედავენ იაზონსაც, რომელიც მედეას მოტყუებისა და მუხთლობის გამო ისჯება...

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ცოცხალი მედეა გინახავთ? ზემოდასახელებულ ან სხვა თხზულებათა მიხედვით სცენაზე წარმოდგენილი ან ფილმში გადაღებული კი არა, აი ისე, რეალური — მაღალი, გამხდარი, ჯინსებში ჩაცმული, შავი, გრძელი, გაშლილი თმით, დიდრონი, მეტყველი, შავად შეღებილი თვალებითა და ფუმფულა, წითელი ტუჩებით... სწორედ ასეთ მედეას ხედავს და უსმენს „პარიზელი ქალის“ გედი გედევანიშვილი, ძია გედი. და ცხად სიზმართან სასაცილოდ და ირონიულადაც კი ჟღერს გრილპარცერის — ავსტრიელი პოეტისა და დრამატურგის — გვარი. მე მარიშას მოვუსმენ, შენ გრილპარცერი წაიკითხეო, — რამდენჯერმე ხაზგასმულად და აშკარად დაცინვით ეუბნება გედი მეგობარს.

ამ დიდებული, დიადი წარსულის ფონზე ერთობ დაკნინებულ-დამცრობილად გამოიყურება თანამედროვე ქართველი, რომლისთვისაც ახალგახსნილ დუქანში ხინკლაობაზე უფრო მნიშვნელოვანი საქმე არ არსებობს; „ზაურაურას“ სასადილოში აურზაურის ატეხვაზეც არ იტყვის უარს (ირაკლი ლომოურის სიტყვათა თამაშია). თან ისე როგორ იქნება, საკუთარ და ერის უკვდავებაზეც არ იფიქროს და იზრუნოს. კოკა ევანსის აღმოჩენას რატომღაც რუსულად — „პარიჟანკად“ — მოიხსენიებს, თუმცა ფილმის გადაღებას ქართველთა უნიკალურ და განუმეორებელ ისტორიაზე აპირებს.

* * *

მეცნიერთა შორის დღესაც კამათია იმის თაობაზე, თუ რას წარმოადგენდა სინამდვილეში ოქროს საწმისი? ეს იყო ცხვრის ტყავი, რომლითაც ოქროს მოიპოვებდნენ, საზღვაო რუკები, ანბანი, ხმოვნები ანბანში თუ კიდევ რაიმე სხვა? ირაკლი ლომოურის მოთხრობაში ოქროს ვერძი ცხოველია, რომელსაც ბეწვი ოქროსფერი კი არა, მართლა ოქროსი ჰქონდა. წმინდა ცხოველი იყო, ედემიდან გამოჰყვა ადამსა და ევას ოქროს ცხვართან ერთად... ოქროს ცხვარმა ნოეს კიდობანში შესვლა და გადარჩენა არ ინდომა... სამაგიეროდ, გადარჩა ოქროს ვერძი, რათა წარღვნის შემდეგ იგი გამხდარიყო უპირველესი მსხვერპლი, რომელიც პირველქმნილი სიწმინდისა და ელვარების კვალსა და ანარეკლს ახალ სამყაროში შეიტანდა... ოქროს ვერძის ტყავი, ოქროს საწმისი ნოეს უმცროსმა ვაჟმა, იაფეტმა ირგუნა. მისი შთამომავლები ფლობდნენ ოქროს საწმისს, როგორც უდიდეს სიწმინდეს, სასიცოცხლო ძალისა და სიბრძნის მომნიჭებელს... თაობიდან თაობას გადაეცემოდა იგი და ასე მოაღწია აიეტამდე. შემდეგ კი მედეამ გაიტაცა...

მკითხველისთვის სასიამოვნოდ გამაოგნებელი აღმოჩნდება მარიშას (მედეას) დაბეჯითებული მტკიცება: ოქროს საწმისი დაბრუნდა და ახლაც აქაა, ჩვენთან! გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა, სიცოცხლის, სიბრძნის, სიწმინდის, მომავალი სამყაროს (თუ სამყაროების) საფუძველი, დვრიტა, დაუშრეტელი საწყისი აქაა, ხვამლის მთაში!

მარიშას თქმით, გედი სვონია (ე. ი. —კოლხი, ე.ი. — სვანი) იმიტომ, რომ „გედს“ ინგლისურად „სვონ“ ჰქვია. ინგლისური რა შუაშია? როგორ თუ რა შუაშია? ინგლისი და ინგლისურიც ხომ სამყაროს ნაწილია. სამყაროს, კაცობრიობის განვითარება-ცივილიზაციას კი საფუძველი ჩვენ დავუდეთ, ამიტომ ჩვენი კვალი ყველგანაა და ყველა ქვეყნის ენა და კულტურა ჩვენში პოულობს გამოძახილს.

დამთავრდა ეს ამბავი იმით, რომ გრძნეული მედეა-მარიშა საფრანგეთში გათხოვდა და სიზმრიდან მოსული ისევ სიზმარში გადასახლდა, გედი (სვონი) ისევ საკუთარ ოჯახს დაუბრუნდა, ფილმი... სავარაუდოდ, არ გადაუღიათ.

* * *

ისე, არ იქნება ურიგო თუნდ ამ მოთხრობის მიხედვით ფილმის გადაღება. ეს იქნება, ალბათ, ფილმი ფილმში... სურათი უთუოდ იმით დაიწყება, რითაც მოთხრობა მთავრდება — გედის სიზმრით: პარიზში, ლათინურ კვარტალში, მაგიდასთან ახალგაზრდა, კეკლუცი, მომხიბვლელი ქალი ზის — ნამდვილი პარიზელი ქალი...

აი, ასე — შეიძლება ირაკლი ლომოურის აბსურდული მისტიფიკაციები, იუმორი, თამაში, სილაღე, ლაზღანდარობა სავსებით სერიოზული, ღრმად ფილოსოფიური, ისტორიულ-დოკუმენტური ფილმის საფუძვლად იქცეს.

საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში გაიხსნა **პავლე ინგოროყვას სახელობის კაბინეტი**, თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის მთავარეპისკოპოსის **თადეოზის** მიერ გადახდილ იქნა ამ დიდებული მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი და გაიმართა მისი ხსოვნის საღამოც, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა ქარ-თული უნივერსიტეტის პროფესორმა **სერგო ვარდოსანიძემ**. მანვე ისაუბრა ეროვნული თავისუფლების იდეალებზე, რამაც მთლიანად განმსჭვალა **პავლე ინგოროყვას** 90 წლიანი ამქვეყნიური სიცოცხლე. მეცნიერის მრავალმხრივ ღვაწლზე ისაუბრეს: **გიორგი ანდრიაძემ, გიორგი ალიბეგაშვილმა** და **როსტომ ჩხეიძემ.** გთავაზობთ **სერგო ვარდოსანიძისა** და **გიორგი ალიბეგაშვილის** გამოსვლების ლიტერატურულ ვერსიებს.

სერგო ვარდოსანიძე

თავისუფლების რაინდი

ვინც პავლე ინგოროყვას ცხოვრების მატიანეს თვალს მიადევნებს, აუცილებლად დარწმუნდება იმ ჭეშმარიტებაში, რომ პიროვნების თავისუფლება მეტწილად მასზეა დამოკიდებული.

პავლე ინგოროყვას ბავშვობა და ყმაწვილკაცობა რუსეთის იმპერიის განაპირა გუბერნიად ქცეულ საქართველოში დაიწყო იმ დროს, როდესაც პატრიოტიზმსა და კოსმოპოლიტიზმს შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა იყო გაჩაღებული, იმ დროს, როდესაც კოსმოპოლიტიზმმა იმძლავრა და პატრიოტიზმის საყრდენი — ილია ჭავჭავაძე — სიცოცხლეს გამოასალმა... „წიწამურთან რომ მოჰკლეს ილია, მაშინ ეპოქა გათავდა დიდი” — ასე გამოეხმაურა გალაკტიონი ამ შემზარავ ტრაგედიას, „ილიას მკვლელებს რომ შეეძლოთ საქართველოსაც მოჰკლავდნენ” (ვაჟა), მაგრამ თუ საქართველო ვერ მოჰკლეს, თუ ილია ჭავჭავაძის დათესილი კეთილი მარცვალი გაღივდა, ეს პავლე ინგოროყვას მსგავსი ადამიანების დამსახურება იყო.

XX საუკუნის საქართველოს ტრაგიკულ, მაგრამ ამაღლებულ ისტორიაში პავლე ინგოროყვას როლი განსაკუთრებულია. მან პირველი მეცნიერული ნაშრომი — „ძველი ქართული სასულიერო პოეზია” — ოცი წლისამ გამოქვეყნდა — ამას მოჰყვა თამარ მეფის „გალობანი ვარძიისანი”...

პავლე ინგოროყვა იყო საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის აქტიური მონაწილე, საკათალიკოსო საბჭოს წევრი, ჟურნალ „სვეტიცხოვლის” რედაქტორი, საქართველოს ეკლესიის კანონიკური საზღვ-

სერგო ვარდოსანიძე

რების დამდგენი. საქართველო-რუსეთის საზავო კონფერენციაზე საქართველოს დელეგაციის მეთაურის მთავარი კონსულტანტი სასაზღვრო საკითხებში, საქართველოს ეროვნული საბჭოს, პარლამენტის წევრი, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის" აკადემიური გამოცემის რედაქტორი, „რუსთველიანას" ავტორი.

ბოლშევიკური საოკუპაციო ხელისუფლების მმართველობის პირველ წლებში, როდესაც საქართველოს თავისუფლებაზე საუბარი აკრძალული იყო, ყოველ 25 თებერვალს კონსტანტინე გამსახურდიასთან, ალექსანდრე აბაშელსა და ვახტანგ კოტეტიშვილთან ერთად რუსთაველის გამზირზე შავი ჩოხით შემოსილმა დაიწყო სეირნობა, ესეც პროტესტის თავისებური ფორმა იყო...

იმ დროს გააფთრებული ბრძოლა იყო ქართული ლიტერატურის კლასიკოსების წინააღმდეგ. პავლე ინგოროყვამ გამოსცა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკოლოზ ბარათაშვილის ტომები. მისი ინიციატივით ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტი დიდუბიდან მთაწმინდაზე გადაასვენეს.

პავლე ინგოროყვას „გიორგი მერჩულე" (გამოიცა 1954 წ.) სამაგიდო წიგნია თითოეული ქართველისათვის.

1983 წლის 20 ნოემბერს პავლე ინგოროყვა გავიდა ამ სოფლიდან, მაგრამ მის კაშკაშა სანთელს ჩაქრობა არ უწერია, იგი მანამ ენთება, სანამ საქართველოში თუნდაც ერთი ქართველი იქნება ისეთივე ანთებული, სამშობლოზე ფანატიკურად შეყვარებული, როგორც პავლე ინგოროყვა იყო.

დღეს, 5 მარტს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ ინივერსიტეტში პავლე ინგოროყვას სახელობის აუდიტორია იხსნება, ეს არის ამ დიდი ქართველის ღვაწლის დაფასება.

გიორგი ალიბეგაშვილი

პავლე ინგოროყვა – პიროვნება და მეცნიერი

„ყოველთვის მიკვირდა იმათი, ვინც ვერ ხედავდა პავლე ინგოროყვას პიროვნების განსაკუთრებულ სხივმოსილებას, მის განსაკუთრებულ ადგილს ჩვენ სინამდვილეში, მისი გზისა და ხვედრის ერთადერთობას", — წერს გურამ ასათიანი.

მართლაც, მთელი მის მოღვაწეობა, როგორც პიროვნებისა და მეცნიერისა, იყო ნიმუში საკუთარი ღირსების შეგნებისა სამშობლოს, სიკეთის სამსახურად და არა განდიდებისათვის, გაბატონება პირადულზე და წვრილმანებზე ამაღლება, ძლიერება – მაგრამ დიდსულოვნებაც, სიამაყე და განცალკევება, მაგრამ უცვალებელი პატიოსნებით გამსჭვალული; ეს იყო ის მორალური პრინციპები, რომელთა „წვრთნა" (შუა საუკუნეთა ტერმინით – ასკეზი), განმტკიცება და ერთგულება მის გარეგნობაში ჩვენს ძველ წინაპართა სახებას გააკრთობდა წამიერად.

XX საუკუნეში საქართველოს არაერთი დიდი შემოქმედი და სახელოვანი მეცნიერი მოევლინა. მრავალჯერ თქმულა, რომ მათი ასე ერთად გამოჩენა ილიას ეპოქის მიერ იყო შემზადებული. სწორედ ილიას თავდაუზოგავმა მოღვაწეობამ განაპირობა მათი ასპარეზზე გამოსვლა, „რათა ძველ, დიდგზაგამოვლილ ქვეყანას ახალ დროში შეკრთომა ან სულიერი დაძაბუნება არ დასტყობოდა." ყოველივე ზემოთქმულს კი თანსდევდა ერთი არსებითი ნიშანსვეტი – ეროვნული მიზანდასახულობა, ქართველი ხალხის შემოქმედი გენიის შემდგომი აღმასვლა და აღორძინება.

გარდასული, ძველი საუკუნეებიდან გადმობრძანებულ ჩვენს წინაპარს უფრო ჰგავდა პავლე ინგოროყვა. მისი გარეგნობის ხილვისას პირველივე შთაბეჭდილება ასეთი იყო: მხრებში მოხრილი, სახედაღარული, თხელ ქუთუთოებში ღრმადჩამჯდარი, მაგრამ სხივიანი და ჭკვიანი თვალები, თითქოსდა გამომცდელად რომ შემოგვცქეროდნენ ყოველთვის; სამოსიც შესაფერისი ეცვა ხოლმე – უპრეტენზიო, ოდნავ გახუნებული, სადა და უბრალო. ასეთი გარეგნობა ფრესკულ „პორტრეტსაც" მოგაგონებდათ, რაც ძალაუნებურად მოწიწებითა და კრძალვით განაწყობდა ადამიანს. ვინც მას იცნობდა, ყველა შენიშნავს, რომ პავლე ინგოროყვა იშვიათი ტაქტის, შინაგანი სიმტკიცისა და სულიერი სიმაღლის პიროვნება იყო. მისი ხილვისას გარკვეული წარმოდგენა გექმნებოდა, თუ როგორნი იყვნენ ჩვენი დიდი წინაპრები, წმიდა მამები, ჭრაქის ან სანთლის შუქზე რომ უსხდნენ ჭილებსა და ეტრატებს, თარგმნიდნენ წმიდა წერილს ან დიდ ღვთისმეტყველთა წიგნებს, ქმნიდნენ ორიგინალურ სასულიერო ლიტერატურას... ერთგულებით, ჩუმად, თავიანთი უმნიშვნელოვანესი მისიის ზუსტი გაცნობიერებით, სამშობლოზე ზრუნვითა და სამშობლოსთვის ლოცვით, დაუმადლებლად.

აქ დროული იქნებოდა პაოლო იაშვილის ლექსად თქმული შეფასებაც, თუ როგორ ხედავს პოეტი თავის მეგობარს საქართველოში საბჭოთა ტერორის დამყარების პირველსავე წლებში და ამ ახალ ვითარებაში ჭეშმარიტი მამულიშვილის ადგილს:

გადამეტებით, ტანჯულ დღეებით
წარსული ჰკივის უკუღმართული,
ჩვენ კი უტკბილეს სამოთხეებით
გვინდა გავმართოთ მხარე ქართული...

საუკუნენი ცხელ დავანებით
ჩვენი სამშობლოს მზეში დნებიან,
მაგრამ ჯერ კიდევ ქარავანები
სცლიან ოქროებს ძველ მადნებიდან.

მიწა მსუქანი სისხლის დალევით
შენ შეგვათვისე იმედიანი,
და გულში გივლის მკივან ალივით
შენ რუსთაველის მერიდიანი.

ძმავ ინგოროყუ! ჩვენება არი
და ტკბილის ტანჯვით მოსაგონები
მწველ ინდუსტანში ქართული ჯარი
და ტრაპიზონში გარნიზონები.

დაგვიბრუნდება ეს ნეტარება
ამაყ დღეების გადაჩვეულებს?
თუ პოეზია შეედარება
ჯვარზე გასალტულ წმინდა რჩეულებს?

ძმავ ინგოროყუ! პოეტო ადრე
და მერმე დარდო წარსულ დიდების:
გულს პოეზია იჭვებით ანგრევს
და სისხლს – დაპყრობა პირამიდების.

მეუფე თადეოზი

ჩემი თაობის სტუდენტებში, თანაკურსელთა შორის არაერთხელ გამოთქმულა აზრი (მათ შორის, ჩვენი უფროსი მეგობრების, ლექტორ– მასწავლებლების მიერ), რომ პავლე ინგოროყვას მრავალი მოსაზრება, ვარაუდი, გნებავთ, მიგნება ხშირად ეჭვს აღძრავდა მეცნიერთა შორის, მაგრამ არასდროს არავის გულში არ გაუვლია, რომ პავლე ინგოროყვას ნებისმიერ კვლევას საფუძვლად უანგარო, თავგანწირული და ჭეშმარიტი შემოქმედების ძალისხმევა ედო.

თავის მშვენიერ ბიოგრაფიულ რომანში „ბედი პავლე ინგოროყვასი" როსტომ ჩხეიძე შენიშნავს: „პავლე ინგოროყვას სიჭაბუკიდანვე თანსდევდა აღედგინა რუსთველის საიდუმლოებებით მოცული ბიოგრაფია და, აქედან გამომდინარე, „ვეფხისტყაოსნის" მხატვრულ სამყაროშიც რეალობის არსებობის კვალს ამ თვალთახედვით ჩხრეკდა და იმდროინდელ მატიანეთა ცნობებსაც ამ იმედით აანალიზებდა. რასაც დამაჯერებლად მიიჩნევდა, რუსთველის ბიოგრაფიის დეტალებად აღიარებდა და, თანდათან, ერთიანი ქარგის შევსებასა და ბუნებრივ გამთლიანებას ესწრაფოდა".

გიორგი ანდრიაძე, როსტომ ჩხეიძე, გიორგი ალიბეგაშვილი

1963 წელს გამოცემულ „რუსთველიანას" წინათქმაში პავლე ინგოროყვა მიზნად სამი უმნიშვნელოვანესი საკითხის შესწავლას ისახავდა: „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის ისტორიისას, პოემის დაწერის თარიღისას და შოთა რუსთველის ვინაობისას; უფრო არსებითი კი ის ამოცანა გახლდათ, რომ მომზადებულიყო საფუძველი ნაწარმოების პირვანდელი დედნის აღსადგენად, რათა „შოთას პოემა ნათლობდეს თავისი ნამდვილი თავდაპირველი ბრწყინვალეებით, განწმენდილი შემდგომი ხანის სხვადასხვა შემატება — დამახინჯებისაგან".

როგორც ცნობილია, პავლე ინგოროყვა შეპყრობილი იყო მძიმე სენით. აი, რას სწერს იგი აბასთუმნიდან თავის ერთ-ერთ კოლეგას: „...ძალზე მუხანათური ავადმყოფობა ყოფილა ეს ჭლექი. მე თავი მოკეთებული მეგონა და ასე მოულოდნელად და მუხთლად შემომიტია... ალბათ მეც არ ვიქნები ყოველთვის ასე უძლურად და შევეცდები, სამაგიერო აგინაზღაურო. ამას გარდა, ალბათ გამოჩნდებიან ისეთებიც, რომლებიც ჩემი ავადმყოფობის და მუშაობის ასპარეზიდან დროებით ჩამოშორების გამოყენებას მოინდომებენ, — იმედი მაქვს, დამიცავ და ღირსეულ პასუხს გასცემ. შენ განდობ ჩემს სრულუფლებიან წარმომადგენლობას აკადემიურ ფრონტზე" ... (აბასთუმანი, 8.X 1936წ.).

წერილის ამ ფრაგმენტში ჩანს არა მხოლოდ პავლე ინგოროყვასადმი დამოკიდებულება მავანთა და მავანთა მხრივ,არამედ მისი დაუოკებელი სწრაფვა და ერთგულება არჩეული საქმისადმი.

საზღვარმიჩენილი სიამაყე და ბრძენის მყუდროება ახასიათებდა პავლე ინგოროყვას, შრომისმოყვარეობითა და ნაყოფიერებით გამორჩეული მოღვაწეობა, დახვეწილი ლიტერატურული გემოვნება და მსოფლიო პოეზიის, ქრისტიანული კულტურის სიღრმისეული ცოდნა, ამასთანავე, უცვლელი მოქალაქეობრივი პოზიცია და შემოქმედებითი პრინციპები.

ნამდვილი ადამიანური არსებობა ქვეყნისთვის, სიყვარულისთვის, სამართლიანობისა და სიკეთისთვის სამსახურის ნიჭია. ჩვენ ვალში ვართ ბატონი პავლეს წინაშე და დღევანდელი დღე მხოლოდ მცირე წვლილია მისი დაფასების გზაზე.

პაოლო იაშვილის ლექსად თქმული მოწოდება — „გვინდა გავმართოთ მხარე ქართული" — ახლაც ინარჩუნებს აქტუალობას.

ლევან ვასაძე

წერილი ქართველ მორაგბეებს

ვიდოდიღა თუ შორის აჩრდილთა სიკვდილისათა, არა შემეშინოს მე ბოროტისაგან, რამეთუ შენ ჩემ თანა ხარ.

ფსალმუნნი, 22

დაეცნენ მარცხენით შენსა ათასეულნი და ბევრეულნი — მარჯვენით შენსა, ხოლო შენ არა მიგეახლნენ.

ფსალმუნნი, 90

ძნელია მეომართან ბრძოლამდე საუბარი. თუ თითონაც მეომარი ხარ, გწყინს, რომ ძმას გვერდში ვერ უდგახარ. თანაც ფრთხილობ, საომრად გამზადებულ ვაჟკაცს რაიმე უადგილო არ უთხრა. ამავე დროს, თუ გულით გინდა ძმას შეეწიო და თუ მართლა გსურს ბრძოლის ველზე მიმავალ ვაჟკაცს შენი გამოცდილება გაატანო, იქნებ მოვალეც ხარ ესაუბრო როგორც ძმა ძმას, უბრალოდ, ქარაგმების გარეშე.

ძმებო, ჩვენ უფალმა ისეთი ქვეყნის შვილებად გაგვაჩინა, რომელიც სულ გადასარჩენია და რომლის გადარჩენაშიც ჩვენ თითონვე გადავრჩებით სამუდამო სიცოცხლისათვის. და არასოდეს არა ჩანს თვალით, თუ როგორ უნდა გადარჩეს ჩვენი სამშობლო და ჩვენც მასთან ერთად. და ყოველთვის უაზრობად ეჩვენება ეჭვიან თვალს ნებისმიერი ბრძოლა საქართველოსათვის. თუ კაცი მხოლოდ ლოგიკის თვალით შეხედავ ნებისმიერ ჩვენს ბრძოლასა და ომს, რა აზრი აქვსო, იტყვი. რამდენია ასეთი მაგალითი.

არაბული ხალიფატებისა და საამიროების და თურქული სასულთნოების გაერთიანებული კოალიცია ხუთასსამოციათასიანი ლაშქრით რომ მოადგა დავით აღმაშენებლის საქართველოს, რა აზრი ჰქონდა წმინდა მეფისაგან მათს დახვედრას, თუნდაც სამოცდასამათასიანი ქართული ლაშქრით? მსოფლიო საომარი სტრატეგიის, ხომ არცერთ მატიანეს არ ახსოვს ამისთანა მაგალითი, ძალთა ასეთი შეუსაბამობა, ასეთი უიმედო ბრძოლის დასაწყისი.

და რას აკეთებს ასეთ დროს დავითი? საკუთარი ხელით ახერგინებს ქართველთა ლაშქარს დიდგორის ველიდან უკან დასახევ გზას, რათა მეომრებმა თითონვე მოაწერონ ხელი გარდუვალ არჩევანს სიკვდილსა და გამარჯვებას შორის. როგორც დავითამდე ექვსასი წლით ადრე დიდი ვახტანგ გორგასალი თექვსმეტი წლის ასაკში სამშობლოს გასათავისუფლებლად განმზადებული ეტყოდა ერს, სიკვდილი გვიჯობს ამგვარ სიცოცხლესო, ასე აყენებს დავითი საკუთარ თავსა და ლაშქარს ამ მწარე სიმართლის წინაშე. და რამდენი ეჭვიანი და ვითომ ჭკვიანი მრჩეველი ეტყოდა დავითს, რას შვრები, დიდო მეფეო, უკან დასახევს როგორ გვიხერგავ, თუ ბრძოლა გაგვიტყდა, ამდენ ვაჟკაცს როგორ ღუპავ, გაიქცნენ, თავს უშველონ, დაბა-სოფლებს დაუბრუნდნენ, ხელში გუთანი აიღონ, ცოლ-შვილს მიხედონ, ჯილაგი შეგვინარჩუნონ, სამშობლო ააღორძინონო.

და რა ვიცით კიდევ რამდენ ასეთ, თითქოსდა სარწმუნო აზრს ეტყოდენ მრჩეველები მეფეს.

მაგრამ ღმრთივ განბრძნობილი დავითი თავად იყო უმაღლესი გონებით გასხივოსნებული მბრძანებელი, რადგან მისი აზროვნება მხოლოდ მისი ბრწყინვალე ტვინის ნაყოფი კი არა, მისი ცხელი გულით ჭვრეტის შედეგიც იყო. გულის გონების უხილავი თვალით დავითმა დაინახა, რომ უკან დასახევი გზის ჩახერგვით ის ტკბილად ამწარებდა ქართველი მეომრის სულს, უმძიმესი მორების, ლოდებისა და ურმების თრევისას საკუთარ ცოლ-შვილსა და დედ-მამას ახსენებდა, ნატვრაში აცრემლებდა, ბრძოლაზე ფიქრში ოფლს ადინებდა და ამგვარად მეომრის სხეულსა და სულში მისთვისვე ჯერ უცნობ და მანამდე არნახულ ძალის ნაკადებს აღვიძებდა, საშინელსა და დამანგრეველს მტრისათვის და სამაგალითოს თითოეული ჩვენთაგანისათვის.

ამიტომაც ხევის ჩახერგვით მოთელილი ჯარი დაღლილი კი არა, საკუთარი სიმხნევით გაოცებული მოუბრუნდა გასუსულ მტერს, სიმშვიდის უხილავი ნიავით ატანილმა სიჩუმეში გასინჯა ხუთი თითივით ნაცნობი აბჯარი, სიყვარულით დაიჩოქა უფლისა და საყვარელი მეფის წინაშე და მადლიერმა დადო ფიცი — ან დაელეწა მახინჯი მტერი, ან კი მისკენ სახით მდგომი დაცემულიყო.

საკუთარ რიცხობრივ უპირატესობაში დარწმუნებულმა მტერმა, სიამოვნებით რომ ისრესდა ხელებს სისხლის სმისა და მერე უპატრონოდ დარჩენილი ქვეყნის გაუპატიურების ავხორცა მოლოდინში, არც იცოდა, რომ მუხლიდან წამომდგარი ქართველთა ჯარი უკვე აღარ იყო სამოცი ათასიანი, ის იყო სამოცჯერ სამოცი ათასიანი და დიდგორის ბრძოლის ბედი უკვე გადაწყვეტილი გახლდათ.

მაგრამ მხოლოდ გრძნობით აღტაცების იმედზე როდი იყო დავითი. რაც შეეხება ბრძოლისათვის წინასწარ სამზადისს, არ დარჩენილა არცერთი საბრძოლო წვრილმანი, სტრატეგიული თუ ტაქტიკური, არცერთი უმნიშვნელო საკითხიც, რომელიც დავითს და მის მხედარმთავრებს წინასწარ არ გაეთვალათ.

იქ იყო ბრძოლის მოულოდნელი დასაწყისიც, რომელიც ვითომ მოღალატე და ვითომ მტრის მხარეზე გადასულმა ჩვენმა ორასიოდე მეომარმა ააფეთქა კოალიციის შუაგულში შესვლისას, სულთნისა და მისი მხედართმთავრების უმალვე ჩახოცვითა და მტრის ელდანაცემი ელიტარული შენაერთის ამოწყვეტით.

იქ იყო ჩვენი თავგანწირული გმირების ამოხოცვით (იმთავითვე, რომ დიდ სისხლად დაუჯდა მტერს) ვერ გამძღარი და გამწარებული მტრის მიერ შურისსაძიებლად ვიწროში დაუფიქრებლად შემოვარდნა, სადაც უმალვე შემცირდა მისი რიცხობრივი უპირატესობა.

იქ იყო — იმ ვიწროში აღმართში შემდგარ და დაბნეულ მტერზე ჩვენი მხედრობის გრიგალივით თავქვე იერიში, რომელმაც მეწყერივით დამარხა კოალიციის ავანგარდი.

*** სიტყვა თქმული ბორჯღალოსნებთან მათი ახალ ზელანდიაში მსოფლიო თასზე გამგზავრების წინ (ისსუარ, კლერმონ ფერა, საფრანგეთი, 2011 წლის 10 აგვისტო)**

იქ იყო დიდგორის ველის ნიადაგისათვის საგანგებოდ ნავარჯიშები ქართველთა ცხენების უპირატესობა მოძრაობისას და ქართველი მხედრების უცნაური, ოდნავ მხარშექცეული ჯდომა უნაგირზე, რაც მათ უხერხულ სამიზნედ ხდიდა მტრის ხმლისა და ისრისათვის.

და იქ იყო არაბ-სელჩუკთა უმთავრესი ცბიერი ხრიკის ჩაშლა: ქართული ჯარის ზურგიდან შემოსავლელად გაგზავნილი მტრის კავალერიის ჩახერგილ ხევთან ხელოვნურ ქვათაცვენაში მოყოლა და მერე ჩვენი მთიელთა შენაერთის მიერ მათი ჩახოცვა.

რაც კი რამ ეფიქრა მტერს, ის დავითის ჯარს უკვე ნამოქმედარი ჰქონდა და, კაცმა რომ თქვას, სულთანს რომ წარმოედგინა, რამდენად უფრო ზედმიწევნითი იყო დავითის სამზადისი ბრძოლისათვის, ჭკუა რომ ჰქონოდა, ბრძოლამდე უნდა გაქცეულიყო საქართველოდან. ახლა კი გვიანღა იყო ყველაფერი, არამარტო ბრძოლამდე დაღუპული სულთნისათვის, არამედ მისი უზარმაზარი ჯარისათვისაც.

გატყდა ჯოჯოების ნახევარმილიონიანი ზღვა, შეტორტმანდა მახინჯი გოლიათი და დაიწყო დაცემა და ფრიად დიდი იყო დაცემა მისი. მიწას გაჰქონდა ზღართანი, საცოდავად დაიქსაქსა, „ალლა-ალლა“-ს ძახილით აყმუვლდა უკიდეგანო ველი, დაიპნა ქვიშასავით ერთ დროს უძლეველი ლაშქარი, გაიქცა ვაი-ვუის ძახილით, მაგრამ სად გაიქცეოდა. არა მხეცური სისასტიკით, არამედ წინასწარ გაცნობიერებული მწარე აუცილებლობის გამო, დავითის რისხვა გაქცეულებსაც დაატყდათ თავს. ეს არ იყო არც ქრისტიანული სულგრძელობის ნაკლოვანება, არც უგონო ბრაზით ჟლეტა. ეს იყო ცივი გონებით ბრძოლამდე მიღებული მძიმე ზნეობრივი გადაწყვეტილება, ნაკარნახევი აუცილებლობით და ცოდნით იმისა, რომ თუ მტრის ამოდენა ლაშქარს ცოცხალს გაუშვებდა დავითი, ის აუცილებლად დაბრუნდებოდა უფრო გაბოროტებული, უფრო გამოცდილი და ამიტომ უფრო საშიში ჩვენი სამშობლოსათვის. არა, ამის დაშვება როგორ შეიძლებოდა, ამით თვით დიდგორის ომს აზრი დაეკარგებოდა და ქვეყნისათვის საფრთხე კიდევ უფრო გაიზრდებოდა. არა, სინსილიანად უნდა ამოეძირკვა დავითს მტრისათვის საქართველოს ხელყოფის გაბედვის სურვილიც კი. ამიტომ დამარცხებული მტრის ბედიც წინასწარ გადაწყვეტილი ჰქონდა. ვინ იცის, რად დაუჯდა ქრისტიან მეფესა და ლომგულ მეომარს დამარცხებული მტრის არდანდობა, ან იქნებ ვიცით კიდეც, როგორ გალობდა შემდგომ ის სინანულით: „ჟამი რაი წულილთა და ხმელთა აღმოფშვინვათაი წარმოდგეს, ზარი მეფობისაი წარხდეს და დიდებაი დაშრტეს, შუებანი უქმ იქმნენ, ყუავილოვნებაი დაჭნეს, სხუამან მიიღოს სკიპტრაი, სხუასა შეუდგენ სპანი, მაშინ შემიწყალე, მსაჯულო ჩემო!“

ახლა კი ამის დრო არ იყო. ქართლ-კახეთის ჭალა-მინდვრებსა და შუკა-შარებზე, ტევრებსა და ტაფობებში, ტყე-ღრესა და ნათელ-ბნელში, კონსტანტინეს თქმისა არ იყოს, ჭუკებივით იჭერდნენ დავითის მეომრები კოალიციის დარჩენილ შენაერთებს და მუსრს ავლებდნენ, რათა მომხვდურებს, დამშეულთ და გაავებულთ, უკანა გზაზე, დიდგორის გამო დროებით უმამაკაცოდ დარჩენილი ჩვენი დაბა-სოფლები არ შეერყვნათ და ქალ-ბავშვი არ წაესხათ.

აქაც ჩვენთვის საგულისხმოა არა დავითის ემოცია, რომელიც არც ყოფილა, არამედ მისი წვრილმანი დაგეგმარება, წინასწარი ჭვრეტა და უზადო შესრულება გეგმისა.

დიდგორის ომში დავითის მხარეს მებრძოლი იშვიათი ევროპელი ჯვაროსანთაგანი ნანახით გაოგნებული შემდგომ დაწერს: არავინ იცის, რა ბედი ეწეოდა თანამედროვე ევროპას, რომ არა ერთ მილიონამდე დამპყრობელი ისმაილელი მეომრის დამარხვა ივერთა წმინდა მიწაში დავით მეფის მმართველობის დროსო.

დავითსა და მის სამზადისზე იმიტომ მოგიყევით, რომ ჩვენ, მორაგბეები, ძალიან ზუსტი ხელობისა და ცხოვრების წესის ხალხი ვართ. დიახ, ხელობისა და ცხოვრების წესისა, რამეთუ ცხოვრების წესია რაგბი და არა სპორტი. წესი, რომელშიც კაცად იზრდები, მეომრის პატივისცემასა სწავლობ, თვითონაც მეომრობის საშუალება გეძლევა და უფლება გაქვს სამშობლოსა და მისი დროშისათვის ოფლის გარდა სისხლიც დაღვარო ძმებთან ერთად. და არის კი ქართველი ვაჟკაცისათვის მზის ქვეშ უფრო დიდი ბედნიერება, ვიდრე სამშობლოსათვის სისხლის დაღვრაა? იქნებ ამიტომაა, რომ ქართველ მორაგბეებს — ყველაზე მცირეთ რიცხვითა და საშუალებით — მსოფლიოში ყველაზე მეტი წარმატება აქვთ მიღწეული ამ თავის რიცხვსა და საშუალებასთან შედარებით. რა არის ეს, თუ არა დასტური საუკუნოვანი ჭეშმარიტებისა, რომ თანაბარი საშუალების შემთხვევაში ვერავინ სჯობნის ქართველ მეომარს.

და იკამათონ აწი ისტორიკოსებმა მართლა წაიღეს თუ არა ბრიტანელმა მეზღვაურებმა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, როდესაც ბრიტანეთის იმპერია ინდუსტრიალიზაციისა და გამოთავისუფლებული შრომის დროის წყალობით მსოფლიო სპორტის სავანედ იქცა, კოლხეთის დაბლობზე ნანახი ლელოს წესები და გადააკეთეს თუ არა რაგბის წესებად, როგორც თავის დროზე იასონმა მოიპარა ოქროს საწმისი კოლხეთიდან. რა მნიშვნელობა აქვს. ჩვენ ხომ ვიცით, რომ მარტო ქართულშია ზმნა „გატანის“ ასეთი ლამაზი მეტაფორული მნიშვნელობა, გამტანობა ვაჟკაცობისა და გუნდურობის სინონიმია, ერთმანეთის გატანა ლელოდან მოდის ქართულში. ჩვენ ხომ ვიცით, რომ ხალხურ ტრადიციაში ლელო მარტო ჩვენი თამაშია და რომ ნებისმიერ შემთხვევაში ჩვენ მხოლოდ უნდა ვუმადლოდეთ ბრიტანელებს რაგბის თანამედროვე სპორტად ჩამოყალიბებისა და მთელს მსოფლიოში გავრცელებისათვის. სწორედ ამის შედეგად მოგვეცა საშუალება ჩვენი ეროვნული სულისათვის ყველაზე ბუნებრივი და ორგანული სპორტის სახეობაში ბრძოლისა და დროშის ღირსების დაცვისათვის თავდადებისა და სისხლის ღვრისა.

მაგრამ სისხლის ღვრაცაა და სისხლის ღვრაც. თუ მეომარმა ბრძოლამდე წვრთნაში არა ღვარა ოფლიცა და სისხლიც, თუ აბჯარი და გული არ გაიმაგრა, რა აზრი აქვს ასეთ ბრძოლას? გულთგონიერი მეომარი ყოველ ვარჯიშსა და ყოველ წვრთნაზე სტოვებს სულსა და გულს, ბოლომდე ეძლევა თავგანწირვას, საკუთარ თავს ივიწყებს და ამ თავდავიწყებაში იბადება მეომრად. ტკივილს არ გაურბის მეომარი, პირიქით, ტკივილს ეძებს, აქ მოდიო, ეუბნება, უნდა მიგეჩვიო, რომ აღარ მტკიოდე ბრძოლისასო. დაღლისა რცხვენია მეომარს, როგორც ცუდი სახელისა, დაღლას ებრძვის: ოღონდ შენ არ დამენახო და მთელი დღე ვივარჯიშებო.

წვრთნისას მეომარი ცდილობს ისე დაეუფლოს საკუთარ სხეულსა და საომარ ხელობას, რომ ბრძოლის დროს

ტკივილსა და დაღლას კი არ უსმენდეს, არამედ — საკუთარ გონებას, არეულ სუნთქვას კი არ აბინდებინებდეს თვალს, არამედ სიმშვიდით უცქერდეს ბრძოლის ველს და ხედავდეს იმას, რასაც აღელვებული მოწინააღმდეგე ვერ ხედავს. დრო მოკავშირეა მეომრისა. სასტიკი და დაუღალავი წვრთნით მეომარი იმას აღწევს, რომ მისი გულიცა და მაჯაც უფრო ნელა ძგერს, რაც ნიშნავს, რომ დრო ასეთი მეომრისათვის უფრო ნელა მიედინება, ანუ მეომარი დროის მონაკვეთში უფრო მეტს ასწრებს, ვიდრე მოწინააღმდეგე, ანუ ის უფრო სწრაფი და ამტანია მოწინააღმდეგეზე. ბრძოლის დროსთან კი მეომარს ერთი მიდგომა აქვს: უსმენს, მაგრამ არ ღელავს მასზე. ყოველ წამს მეომარი ბოლომდე თავის საქმეს აკეთებს და, ბოლოს რაც მოხდება, მოხდესო, — ფიქრობს.

საქართველოს მორაგბეთა ნაკრები

როდესაც მეომარი ბრძოლის წინ სარდალს უსმენს, მას არაფერი გამოეპარება და არაფერი დაავიწყდება მისთვის ნათქვამიდან. ის მოსმენილს საკუთარ ნააზრევს ადარებსა და უთანხმებს, საკუთარ აზრს სარდლის ბრძანებას უმორჩილებს. მეომარმა იცის, რომ იგი წყობის ნაწილია, რომ „მე"-ზე ბევრია „ჩვენ", რომ ის, თუ საჭიროა, უნდა დაეცეს, რათა დროშა წინ წავიდეს.

მეომარი მუდამ ბრძოლისათვის მზადებაშია, მაშინაც კი, როდესაც არ ვარჯიშობს. კვებაში ძუნწია მეომარი, გაძღომას სიმსუბუქე ურჩევნია. სიტყვაში ძუნწია მეომარი, მისი სათქმელი ბრძოლის ველზე ითქმის. ბრძოლის ველს გარეთ მეომარი დინჯია, ლაზღანდარას არ აყვება, შეურაცხმყოფელს აპატიებს, თავდაუჯერებელს გაეცლება. ღვინო და სუფრის წესი უყვარს ქართველ მეომარს, მაგრამ ღრეობა, ხორხოცი და ზედმეტი თრობა - არა. მისი მრისხანე სახის მიღმა მისი თბილი გულია, რადგან ზრუნვა ჰქვია მის ხელობასა და ცხოვრების წესს. ბავშვთან თამაშისას თითონაც ბავშვად იქცევა მეომარი, ერთგულ ცოლს კი მასთან ყოფნას არაფერი ურჩევნია. მშობელი ამაყობს მეომარი შვილით, მამა ხარობს მისი ჯიშის მძლეობით, თუმცა შვილს არ უმხელს ამას ბოლომდე. დედა კი დარდობს მასზე, მაგრამ არც ის უნდა, რომ თავისი ვაჟკაცი დაჯაბნილი ნახოს.

ძილში მეომარი ფრინავს გადახდილ ბრძოლათა ხილვებში, ხარობს ვალმოხდილი, ზოგჯერ წუხს კიდეც ვერშესრულებულ საბრძოლო ამოცანებზე, ესიზმრება, რომ სადღაც ვერ მიასწრო, რაღაც გამორჩა. მაგრამ წუხილი და ეჭვი ძილს ვერ აურევს მეომარს, მეომარს მშვიდი ძილი სჭირდება, ცოტა მაინც.

ყველაზე უფრო მეომარს ძმის წაქცევა სწყინს, მისი დაჩაგვრა, მისი ვერდაცვა, მისი დროშის ვერატაცება, მისი დროშის მტრის ხელში ჩავარდნა. მტრის იერიშის დროს ბრდღვინავს მეომარი, სასტიკად ეძგერება მომხვდურს იქ, სადაც ბრძოლის ველი აბარია, რათა ბრძოლის დინება წაღმა მიაქციოს და მოწინააღმდეგე აოტოს.

ყველაზე უფრო მეომარს ძნელად მოსაგები ბრძოლა უყვარს. მისი მოხდისას მეომარი საკუთარ შესაძლებლობათა ზღვარს მიღმა იბრძვის, ბრძოლის ველს მესამე თვალით სჭვრეტს, ძმისა უსიტყვოდ ესმის, წამების შიგნით ზომავს დროს, მილიმეტრების შიგნით ზომავს მანძილს, წინასწარმეტყველებს, წინასწარ ჭვრეტს, წინასწარ სუფევს, სიჩქარეს აჩქარებას ამჯობინებს, ცუდ შეტევას — კარგ დაცვას, დაყოლიებას — აყოლიებას. ძნელად მოსაგები ბრძოლისას მეომარი პოეტი ხდება, გულისთქმით მოქმედებს და მშვენიერებასა ჰქმნის. მშვენიერი ბრძოლისას დამსხვრეული მეომარი ტკივილს აღარ გრძნობს, სრულიად ვალმოხდილი ყუჩობს, განბანილი, ცოცხალი ან გარდაცვლილი სიმშვიდის ბაღში სუფევს, აუხსნელი სიხარული ჩაესმის იადონის გალობად, დათუთქული ქუთუთოების მიღმა უხლებ სივრცეში სჭვრეტს სიფაქიზეს აყვავილებულს ბროწეულებად და მიმოფანტულს მშობლიური ქედების ქვეშ დაღვრილ ჭალებში. მშვენიერ ბრძოლამოხდილი მეომარი ბედნიერია, მრთელია ის თუ დამსხვრეული, რადგან იცის, რომ აღარაფერი მართებს ძმისა და სამშობლოისა. და ეს განცდა სიმსუბუქისა, ვალმოხდისა, ათავისუფლებს მეომარს ნებისმიერი სიმძიმისა და ტვირთისაგან, ნებისმიერი ცუდი სიზმრისაგან.

ასეთი ბრძოლის მომხდელი მეომარი იმ თავის წინაპრებსა ჰგავს, რომელნიც სამშობლოსათვის ომში წასულნი ვაზის ლერწიან გუდას იკიდებდნენ ზურგზე, რადგან იცოდნენ, რომ ბრძოლაში დაცემის შემთხვევაში თუ ძმები ვერ დაასაფლავებდნენ, მაშინ მათი სხეული დედა სამშობლოს შეეზრდებოდა და მისით განაყოფიერებულ ნიადაგზე ნაჭრის გუდიდან კეთილი ვაზი გაიზრდებოდა. მოოხრებულ და უპატრონო ბრძოლის ველზე კი მრავალრიცხოვნებისა და არა სიმამაცის გამო ცოცხლად დარჩენილი ობობების ნაწილი სასტიკი სიამოვნებით იფიქრებდა, რომ დაობლებული და დაქვრივებული ქალ-ბავშვის ამარაღა სტოვებს ბრძოლის ველს, და რომ ის ერთი მუჭა ხიზანის შვილები, რომელნიც სისხლისმსმელთა უნამუსობასა და მონობას სასწაულად გადაურჩნენ, ვერ აუვიდოდნენ ამდენი მეომრის დასაფლავებას. და ეს ასეც იყო. ოღონდ ვითომ გამარჯვებით წასული ობობები ვერა ხვდებოდნენ, რომ ზურგს უკან სიკვდილის ველს კი არა, მშვენიერ ვენახსა ტოვებდნენ, რომელიც ქვრივებ-ობლებს სამი წლის მერე ნიშანს მისცემდა, აქა ვართო, არსად წავსულვართო, ისევ ვბრუნდებითო. და კიდევ ერთი წლის მერე მოსავალს მისცემდა ვენახი ქვრივ-ობლებს.

იმ რთველში, უკვე მომაგრებული ბიჭი მუშაობისას მამის მარჯვენას გაიხსენებდა, ჩვილობისას პირდაღებული, რომ შესცქეროდა ქვევიდან, მისნაირად აღიღინდებოდა და გამზრდელ დედას მადლიერი ეტყოდა:

შენ ხარ ვენახი, ახლად აღყვავებული,
მორჩი კეთილი, ედემში დანერგული,
ალვა სულნელი, სამოთხით
გამოსრული,
ღმერთმან შეგამკონ, ვერვინა გჯობს
ქებული
და თავით თვისით მზე ხარ
გაბრწყინვებული.

ვენახიც კეთილად და მადლიერებით შეისმენდა თავისი ერთხორცი შვილის ამ გალობას და სიმშვიდეს აჩუქებდა მას, რომელი სიმშვიდითაც თავად შეჰყოლია ბრძოლაში მამას ზურგზე აკიდებული, რადგან იცოდა, რომ ლომგულის ზურგს ვერც მტერი ნახავდა და ვერც ჭრილობა, და რომ მისი დაცემის შემთხვევაში ვაზი უვნებელი დაუბრუნდებოდა მიწას, რათა მეომრის სიკეთე გაეცოცხლებინა.

თუ უფალმა კაცი მეომრად აირჩია, აწი იმ კაცის ასარჩევია, როგორი მეომრობა სურს თავად მას. უდარდელი, დაუდევარი, უვარჯიშებელი, ლაზღანდარა და ზომაზე მეტად ხუმარა და ამის შედეგად — სუსტი, არასანდო და ჯაბანი, თუ შეკრული, ბრგე, ერთდროულად კუშტი და ლაღი, მამაცი და სანდო, მძლე და სულგრძელი, და ერთდროულადვე ულმობელი და მხიარული?

და როგორ სურს ბრძოლის ველზე გასვლა: მომზადებულს თუ მოუმზადებელს, საშიშს თუ მოშიშარს?

და როგორ სურს თავისი მეომრული ვალის მოხდა: უგულოდ და უხალისოდ თუ სიმღერითა და ნიავ ნაკრავი სიხარულით?

ამიტომ, ძმებო, ვიდრე მორიგ ბრძოლაზე გავიდოდეთ, თუნდაც თითქოს ჩვენზე ძლიერ მოწინააღმდეგესთან, ერთი რამ ვკითხოთ საკუთარ თავს: როგორი მეომრობა გვსურს ჩვენ? და თუ ქართველური სისხლისანი ვართ, დავინახავთ, რომ უსულგულოდ და უსუსურად ბრძოლა შეურაცხმყოფელია ჩვენთვის. და რადგან ასეა, გავიხსენოთ ჩვენი წინაპარი მეომრები, რომლებიც ჩვენზე ბევრად დიდ გმირობას სჩადიოდნენ ჩვენთვის, რადგანაც იცოდნენ, რომ მეომარი ერთხელ ცხოვრობს ამ ქვეყანაზე, ერთი სამშობლო აქვს, ერთი ღირსება და ერთი ოჯახი ჰყავს, რომელიც მან უნდა დაიცვას, გაახაროს და არ შეარცხვინოს და... მადლობა ღმერთს ამისათვისაც.

ხალიდ ალ ხამისი

ტაქსი

ღმერთო ჩემო!.. რამდენი წლის არის ეს მძღოლი, ან ეს მანქანა? თვალებს არ ვუჯერებდი, როცა მის გვერდით დავჯექი... სახეზე იმდენი ნაოჭი ჰქონდა, რამდენი ვარსკვლავიცაა ცაში. ყოველი ნაოჭი მომდევნოს აწვებოდა და ეგვიპტურ სახეს ქმნიდა. მაჰმუდ მუხთარის[1] გამოქანდაკებულს ჰგავდა. ხელები, რომლებითაც საჭე ეჭირა, დაჭიმული ჰქონდა. გამობერილი ვენები შევნიშნე. ვენებმა არხები მომაგონა, მშრალ მიწას ნილოსის წყლით რომ ასაზრდოებს. მძღოლს ოდნავ გააჟრჟოლა, მაგრამ მანქანა არც მარჯვნივ გადახრილა, არც — მარცხნივ, პირდაპირ განაგრძობდა სვლას. თვალებიდან შინაგან სიმშვიდეს აფრქვევდა და საკუთარი თავის რწმენით გვავსებდა მე და მთელ სამყაროს.

მხოლოდ მის გვერდით ჯდომით, იმ საოცარი ძალის მეშვეობით, რომელსაც ასხივებდა, ვიგრძენი, რომ ცხოვრება მშვენიერია. ჩემი საყვარელი ბელგიელი პოეტი, ჟაკ ბრელი გამახსენდა. როგორ ცდებოდა, როცა ამბობდა, დაბერებას სიკვდილის ნებისმიერი ფორმა სჯობსო. მძღოლის გვერდით ჩემს ნაცვლად ბრელი რომ მჯდარიყო, ამ ლექსს საკუთარი ხელით წაშლიდა.

— ალბათ, დიდი ხანია მძღოლი ხარ. — ვუთხარი მე.

— 1948 წლიდან — მიპასუხა.

ესე იგი, ამ საქმეს თითქმის 60 წელია ემსახურება. ვერ გავბედე მეკითხა, რამდენი წლის იყო, მაგრამ მისი საქმიანობის შესახებ ვკითხე:

— რა გამოცდილება მიიღე ამ ხნის განმავლობაში, რაც შეგიძლია, სხვას გაუზიარო? აი, მაგალითად, მე რა შეიძლება ვისწავლო შენგან?

— შავი ჭიანჭველა, შავ კლდეზე, კუნაპეტ ღამეში, ღმერთს მინდობილი, — მიპასუხა.

— რას გულისხმობთ?

— მოგიყვები, ამ თვეში რა შემემთხვა და მიხვდები.

— გისმენთ.

— ათი დღე სერიოზულად ვიავადმყოფე, საწოლიდან ვერ ვდგებოდი. ღარიბი ვარ, ძალიან ხელმოკლედ ვცხოვრობთ. ერთ კვირაში შინ ერთი კირშიც[2] აღარ გვქონდა. მე ეს ვიცოდი, მაგრამ ცოლი ცდილობდა ჩემთვის დაემალა. — რა უნდა ვქნათ? — ვკითხე ცოლს. — ყველაფერი კარგად არის, აბუ ჰუსეინ. — მიპასუხა მან, თუმც მეზობლებთან დადიოდა საჭმლის სათხოვნელად. ჩემს შვილებს საკუთარი პრობლემებიც ჰყოფნით, — ერთმა შვილების ნახევარი დააქორწინა და დანარჩენს ვერ აქორწინებს, მეორეს ავადმყოფი შვილიშვილი ჰყავს და საავადმყოფოდან საავადმყოფოში დარბის. იმიტომ გეუბნებით, რომ მათ ვერაფერს ვთხოვ. პირიქით, მე უნდა ვეხმარებოდე.

ათი დღის შემდეგ ცოლს ვუთხარი, სამუშაოდ უნდა წავიდე-მეთქი. დაიჟინა, შინ დარჩი, არ წახვიდე, მოკვდებიო. სიმართლე რომ გითხრათ, ძალიან დასუსტებული კი ვიყავი, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა. ცოლს უწყინარი ტყუილი ვუთხარი — სული მეხუთება, ერთი საათით ჰაერზე გავალ, ყავახანაში დავჯდები-მეთქი. გავედი, მანქანა დავქოქე და ღმერთს წყალობა ვთხოვე... მანქანით ვიარე, ვიდრე ორმანის ბაღებთან გაფუჭებულ პეჟო 504-ს გადავეყრებოდი. მძღოლმა ხელი დამიქნია. გავუჩერე. მოვიდა და შემომთავაზა მისი მგზავრი აეროპორტში წამეყვანა, რადგან მანქანა გაუფუჭდა. ხედავ ღვთის განგებას? მას ახალთახალი პეჟო 504 ჰყავდა და გაუფუჭდა! ვუთხარი, წავიყვან-მეთქი.

ხალიდ ალ-ხამისი თანამედროვე ეგვიპტელი მწერალი, ჟურნალისტი და პროდიუსერია. დაამთავრა კაიროს უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ფაკულტეტი. „ტაქსი“ მისი პირველი წიგნია, რომელიც 2006 წელს გამოიცა და მაშინვე ბესტსელერად იქცა. ეს არის ეგვიპტურ დიალექტზე დაწერილი პირველი წიგნი, რომელმაც წარმატებას მიაღწია — ერთ წელიწადში 7-ჯერ გამოიცა და მხოლოდ ეგვიპტეში 75 ათასზე მეტი ეგზემპლარი გაიყიდა, და ეს იქ, სადაც 3 ათასის გაყიდვა უკვე წარმატებად ითვლება.

„ტაქსი“ 58 ამბის კრებულია, კაიროელ ტაქსის მძღოლთა საუბრის ჩანაწერები, რომლებიც მწერალმა ტაქსით მგზავრობის დროს შეკრიბა. ყველა მძღოლი ძირითადად ერთსა და იმავე, სოციალურ-პოლიტიკურ საკითხზე საუბრობს თავისი გადასახედიდან: ბიუროკრატია, რომელსაც ყოველდღიურ ცხოვრებაში აწყდებიან, კორუფცია და უკიდურესი სიღარიბე... წიგნს, მკითხველის ინტერესის გარდა, არც კრიტიკის დადებითი შეფასება მოკლებია: „ახალი ლიტერატურული ვარსკვლავი არაბული სამყაროდან“, „წიგნი, რომელმაც ამბოხება იწინასწარმეტყველა“, „საზოგადოების და მთავრობის კრიტიკის გამაოგნებელი ნაზავი ყოველდღიურ ცხოვრებასთან“... „ტაქსი“ 10-ზე მეტ ენაზეა თარგმნილი.

მგზავრი ჩამიჯდა. ომანელი არაბი აღმოჩნდა, სულთან კაბუსის სასულთნოდან. მკითხა, რამდენად წამიყვანო, ვუთხარი, რამდენსაც გადამიხდი-მეთქი. რამდენსაც მოგცემ, ყაბულს ხარო? ვუთხარი, კი-მეთქი.

გზაში გავარკვიე, რომ სატვირთო დეპოში მიდიოდა საქონლის განსაბაჟებლად. ვუთხარი, იქ ჩემი შვილიშვილი მუშაობს და განბაჟებაში დაგეხმარება-მეთქი. მივედით და მართლაც ჩემი შვილიშვილი მორიგეობდა. წარმოიდგინე! ხომ შეიძლებოდა იმ დღეს მორიგე არ ყოფილიყო! განვბაჟეთ, რის განბაჟებაც უნდოდა, და უკან, დოკიში წავიყვანე.

— რამდენი გადაგიხადო? — მკითხა.

ვუთხარი, ისე მოქცეულიყო, როგორც შევთანხმდით. 50 ფუნტი მომცა. გამოვართვი, მადლობა გადავუხადე და მანქანა დავქოქე.

— კმაყოფილი ხარ? — მკითხა მან. ვუპასუხე, რომ კმაყოფილი ვიყავი.

შემდეგ მითხრა:

— მისმინე, მეგონა, ბაჟი 1400 ფუნტი იქნებოდა მე კი 600 გადავიხადე. ეს 800 ფუნტის განსხვავებას იძლევა, ალალი იყოს შენზე! ამას დამატებული 200 ფუნტი, მგზავრობის საფასური. ეს — ათასი ფუნტი. და ორმოცდაათიც, ჩემგან, საჩუქრად!

— ხედავ, ბატონო? ერთი მგზავრის მომსახურებამ 1000 ფუნტი მაშოვნინა. შეიძლებოდა, ერთი თვე მემუშავა და ამდენი ვერ ამეღო. ღმერთმა შინიდან გამომიყვანა, პეჟო 504 გააფუჭა და ყველაფერი იღონა, რათა დამხმარებოდა. ეს ფული მე არ მიშოვია, ღმერთმა მიწყალობა. ესაა ერთადერთი, რაც ცხოვრებაში ვისწავლე.

ტაქსიდან დანანებით გადმოვედი. სიამოვნებით დავრჩებოდი მასთან ერთად, მაგრამ, სამწუხაროდ, შეხვედრა მქონდა. შეხვედრა — ასევე, არსებობისთვის ბრძოლის შემადგენელი ნაწილი.

* * *

ქიფაიას[3] ოპოზიციური მოძრაობის პირდაპირი სოციალური „ეფექტი” დემონსტრაციის დღეებში ეგვიპტის ქუჩებში მაზანდის მატებაა. მაზანდაში ტაქსით მგზავრობის საფასურს ვგულისხმობ. მრიცხველი დიდიხანია გადმონაშთად იქცა, — მანქანას ალამაზებს და მძღოლის გვერდით მჯდომ მგზავრს შარვალს უხევს.

იმ დღეს დოკიში ვიყავი, მონადირეთა კლუბის ქუჩაზე, ქალაქის ცენტრში უნდა წავსულიყავი, ტაქსი მჭირდებოდა. ხელს რომ ავწევდი და „ცენტრს” დავიძახებდი, მძღოლი ხელს აიქნევდა და გზას განაგრძობდა. უცნაური რეაქცია იყო. ავადმოსაგონარი 80-იანი წლები გამახსენდა, როცა ალი ბაბას განძს უფრო იოლად იპოვიდი, ვიდრე თავისუფალ ტაქსის. საკმარისია, იმდროინდელ კარიკატურებს გადახედოთ, ნახავთ მრიცხველზე გადაფარებული „ყვითელი პირსახოცით” დატანჯულ მგზავრებს. ღმერთო, ნუ დაგაბრუნებ იმ დღეებს! ახლა ერთი წუთიც არ არის საჭირო, რომ უამრავი მანქანიდან შენი მოსაწონი ტაქსი შეარჩიო. დღევანდელი დღე გამონაკლისია.

როგორც იქნა ტაქსის ერთმა მძღოლმა მოწყალება მოიღო და გამიჩერა. შვიდი ფუნტი მომთხოვა.

— რატომ? — აღმომხდა მე.

— საპროტესტო გამოსვლაა. მთელი ქვეყანა თავდაყირა დგას. ერთი საათი დამჭირდება, ვიდრე ცენტრში მიგიყვან. შვიდი ფუნტიც არ კმარა, ათზე ნაკლებად არ წაგიყვან!

— დიდხანს რომ არ გავაგრძელო, ათი ფუნტის გადახდას დავთანხმდი იმაში, რაშიც, ჩვეულებრივ, სამ ფუნტს ვიხდი.

მოძრაობა მართლა შეუძლებელი იყო. მანქანები ერთმანეთთან ახლო-ახლოს იდგა. მთელი ქუჩა ისე გადაჭედილიყო, მოძრაობა ოდნავადაც ვერ მიიწევდა წინ. თითქოს უზარმაზარ გარაჟში დაგვატყვევეს.

— რა ხდება? — ვიკითხე მე.

— საპროტესტო გამოსვლაა, წარმოდგენა არ მაქვს, რატომ? ორასამდე დემონსტრანტია შეკრებილი, ბანერებით. მათ გარშემო ორიათასი რიგითი პოლიციელი და ორასი ოფიცერია. ყველაფერი გადაკეტილი აქვთ სამხედრო მანქანებით.

— ასეთი „ხალხმრავლობა” მხოლოდ ორასი დემონსტრანტის გამოა?

— დემონსტრაციის? ეს რა დემონსტრაციაა? იყო დრო, ორმოცდაათი ათასი გამოვდიოდით, ასი ათასიც! როგორ ფიქრობთ, რამდენი ადამიანი გამოვა ქუჩაში იმის დასაცავად, რაც არ ესმის? მთავრობა შეშინებულია, მუხლები უკანკალებს, სულის ერთი შებერვა და, ღმერთმანი, დაეცემა. დაცემული მთავრობა... (ხმამაღლა იცინის)

— მთავრობას ფეხები სჭირდება?

— მთავრობა რა შუაშია? უსაფუძვლო სიამაყით კი არის გაბერილი, მაგრამ პრობლემა მაინც ჩვენშია.

— ეს როგორ?

— იცით, როდის დაიწყო დასაწყისის დასასრული?

— როდის?

— 18 და 19 იანვარს.

პასუხმა ძალიან გამაოცა. ტრადიციულ პასუხს ველოდი. 18 და 19 იანვარი რაღაც ახალია. ნეტა იცის ამ მძღოლმა, რომ ის დემონსტრაციები, რომლებსაც პრეზიდენტმა სადათმა[4] „ქურდების აღზევება” უწოდა, სწორედ 18 და 19 იანვარს მოეწყო, 1977 წელს? არ ვიცი, რატომ, მაგრამ ვკითხე:

— რომელ წელს?

— 70-იანებში, დაახლოებით 1979 წელს, — მიპასუხა მან.

— რატომ იყო ეს დასასრულის დასაწყისი?

— ბოლო სერიოზული დემონსტრაციები იყო ქუჩებში. 1960 წელს ბევრი საპროტესტო გამოსვლა მოვაწყვეთ,

1970-იანებშიც. 1973 წლამდე დემონსტრაციები საკმაოდ ხშირი იყო. სადათის შემდეგ, ღმერთმა დაწყევლოს, სადაც უნდა იყოს, გამოიცა დეკრეტი, რომელმაც ყველაფერს ფასი დაადო. ქვეყანა თავდაყირა დადგა. ხალხს ესმის პოლიტიკა, ამიტომაც გამოვიდა ქუჩაში და აიძულა სადათი თავისი სიტყვები უკან წაეღო. სადათს შეეშინდა და ასუანში გაიქცა. თუ საბოლოოდ ჩამოაგდებდნენ, სუდანში გაქცევას აპირებდა, — მხდალი! ღმერთო ჩემო, იმ დღეს ნებისმიერს შეეძლო ძალაუფლების ხელში აღება, მაგრამ ეს ნებისმიერიც კი არ გამოჩნდა! მხოლოდ საწყალი ხალხი, რომელიც ფასების შემცირებას მოითხოვდა!

აბდ ელ-ნასერის[5] დროსაც მოვაწყვეთ დემონსტრაციები, რომლებმაც ნამდვილად იქონია დადებითი გავლენა, მაგრამ მოულოდნელად იგი ჩვენს რიგებში აღმოვაჩინეთ, თაჰრირის მოედანზე, არც ასუანში გაქცეულა და არც შინ.

— მაინც ვერ ვხვდები, რატომ იყო 18 და 19 იანვარი დასასრულის დასაწყისი? — შევაწყვეტინე მე.

— მთავრობა მიხვდა, რომ დემონსტრაციები მათთვის სერიოზული საფრთხეა. 18 და 19 იანვარი რევოლუციის დასაწყისი იყო, რომელიც ჯერ არ დასრულებულა. იქიდან მოყოლებული, მთავრობამ ჩვენში შიმშილის შიში დათესა. შიმშილის შიში აიძულებს ყველა ქალს, მაგრად მოეჭიდოს ქმარს მკლავზე და სთხოვოს, — არ წახვიდე, ბავშვები დაგვეხოცებიან! შიმშილის შიში დათესეს ყველა ეგვიპტელის გულში, ტერორი, რომელიც აიძულებს ადამიანებს, მხოლოდ საკუთარ თავზე იფიქრონ. სწორედ ამიტომ იყო 18 და 19 იანვარი დასასრულის დასაწყისი.

ნამდვილად დასასრულის დასაწყისი იყო 18 და 19 იანვარი? რა არის ის დასასრული, რაზეც მძღოლი ასე გულუბრყვილოდ და ასე გულწრფელად ლაპარაკობდა?

* * *

კინოთეატრ „გალაქსიდან" გამოვედი. იუსრი ნასრ ალლაჰის[6] ბრწყინვალე ფილმი „მზის კარი" ვნახე. ზედიზედ ორ სერიას ვუყურე. ამ არაჩვეულებრივი ნამუშევრით აღფრთოვანებული, ერთგვარი ეიფორიული ბედნიერების მდგომარეობაში ვიყავი. გული ამოვარდნას მქონდა. მეგონა, მიწიდან ხუთი სანტიმეტრის სიმაღლეზე დავდიოდი.

ალ-მანიალის ქუჩაზე ტაქსი გავაჩერე და ჩაჯდომამდე ვუთხარი მძღოლს:

— ცენტრისკენ...

ყრუდ მიპასუხა:

— დაბრძანდით...

მანქანაში ჩავჯექი, კარი დავხურე, წინ გავიხედე და ტაქსის საქარე მინაზე ფილმის სცენა დავინახე. სული ჩემი მეგობრის, თამირ ქარავანის[7] ლამაზი მუსიკით ამევსო. უცებ შევნიშნე, რომ მანქანა ადგილიდან არ იძვროდა, ჩვენ წინ კი გზა თავისუფალი იყო.

მძღოლს შევხედე. ღრმად ეძინა. არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი — ჩავსულიყავი და მძინარე დამეტოვებინა? ცოტა ხნის ყოყმანის შემდეგ მხარზე ხელი მოვკიდე. შეშინებულს გაეღვიძა. ხელები საჭეს წაავლო და მანქანა დაძრა.

— სად მიგიყვანოთ?

— ქალაქის ცენტრში.

მძღოლმა მომიბოდიშა, რომ ჩაეძინა. რამდენიმე წამის შემდეგ ვიგრძენი, მანქანა მარცხნივ უხვევდა. მძღოლს შევხედე. თვითონაც მარცხნივ გადახრილიყო. ისევ ეძინა.

შეშინებულმა შევყვირე. საჭეს ხელი წავავლე. მძღოლს გაეღვიძა და ხელმეორედ მომიხადა ბოდიში. მოვთხოვე, მანქანა გაეჩერებინა, რომ ჩავსულიყავი. დაიფიცა, აღარ ჩამეძინება, ცენტრში მშვიდობიანად მიგიყვანო.

იუსრის ფილმით აღფრთოვანება გაქრა. მღელვარებამ და ცუდმა წინათგრძნობამ შემიპყრო. მართლაც არ გასულა რამდენიმე წამი, მანქანამ ისევ მარცხნივ დაიწყო გადახვევა, მძღოლის სხეული კი მარჯვნივ, ჩემკენ გადმოიხარა. მისი მხარი ჩემსას შეეხო.

კიდევ ერთხელ დავუყვირე. საჭე გაასწორა, ჩემი დარწმუნება სცადა, თითქოს არ ეძინა და ლაპარაკი წამოიწყო, რომ არ ჩასძინებოდა.

— სამი დღეა საჭესთან ვზივარ. მანქანიდან არ გადმოვსულვარ.

— ეს როგორ?

— დღეს ოცდაშვიდია. სამი დღე დამრჩა მანქანის განვადების გადახდამდე... 1200 ფუნტი თვეში. სამი დღის წინათ ცოლს ვუთხარი, სამჯერ გეტყვი „გაგეყარე",[8] თუ განვადების თანხას სრულად ვერ გადავიხდი-მეთქი. მანქანაში რომ ჩავჯექი, მხოლოდ 200 ფუნტი მქონდა, მარტო ბუნებრივი მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად გადავდივარ... მანქანაში ვჭამ, მანქანაში ვსვამ... ოღონდ არ მძინავს. განვადების ფული უნდა ვიშოვო და თვის ბოლომდე გადავიხადო.

— კი მაგრამ, რა ხეირია განვადების ფულის შოვნა, თუ მოკვდები? ხომ შეიძლება ავარია შეგემთხვეს, მოკვდე და მგზავრიც შემოგაკვდეს?

— არაფერი მოხდება! სიცოცხლე ღმერთის ხელშია... დარწმუნებული ვარ, საშველი გამოჩნდება. წინ კიდევ სამი დღე მაქვს, როგორმე ვიშოვი განვადების ფულს.

— არ სჯობს შინ წახვიდე, რომ 2-3 საათით დაიძინო? რა დაგიშავდება, სამ დღეს სამი საათი მოაკლო?

— როგორ არ გესმით, პატივცემულო? სამჯერ ვუთხარი ცოლს, გაგშორდები-მეთქი... ჩვენ საკვებს ლუკმა-ლუკმა მოვიპოვებთ, ყოველდღიურად... შინ რომ წავიდე, ათასი პრობლემა დამხვდება, მშიერი ბავშვები, მათი სასოწარკვეთილი დედა, რომელიც გამოსავალს ეძებს და ვერ პოულობს... არა, ბატონო! ამას ვერ ვიზამ! არ გადმოვალ ამ ტაქსიდან, სანამ ბატონ იბრაჰიმ ისას განვადების სრულ თანხას არ გადავუხდი, მხოლოდ ამის შემდეგ წავალ შინ...

დავტოვე მძღოლი და ნერვიულობამ ამიტანა. გავჩერდი, მანქანას მზერა გავაყოლე. ნელ-ნელა მშორდებოდა. ვშიშობდი, მძღოლს ჩაეძინებოდა და უბედურება მოხდებოდა, მაგრამ ვიდრე თვალს მიეფარებოდა, მანქანას სწორი გზისთვის არ გადაუხვევია.

* * *

ტაქსი ადგილიდან ვერ იძვრის მადინა ნასრში, აბას ალაკადის ქუჩაზე. საშინელი საცობია. საღამოს ცხრა საათია. ნეონის შუქით განათებული მაღაზიების ვიტრინები ისე ბრწყინავს, სინათლის ელვარებას თვალს ვარიდებ... ერთ-ერთი კაფედან თუ მაღაზიიდან ქაზიმ ას-საჰირის[9] ხმა ისმის, შეყვარებულს უმღერის.

მძღოლმა ტუჩები მოილოკა და ნაღვლიანად წაიმღერა:

— „საწყალო ერაყო, ჩემი გული შენზე დარდობს".

— ნამყოფი ხარ ერაყში? — ვკითხე მე.

— ცხოვრების საუკეთესო წლები მაქვს გატარებული იქ... ერაყელები ყველაზე მამაცი ხალხია... დღემდე ვერ ვიჯერებ, რაც ერაყს დაემართა, ამას როგორ წარმოვიდგენდი?... საწყალო ერაყო...

— რას ვერ წარმოიდგენდი?

— გულწრფელად რომ გითხრათ, მეგონა, სადამი გაიმარჯვებდა ამერიკელებზე, მაშინაც კი, როცა საკუთარი თვალით ვნახე, რომ ბაღდადის ქუჩებში ამერიკული ტანკები დადიოდა... მეგონა, სადამის ხრიკი იყო — ამერიკელებს ბაღდადში შემოიტყუებდა, შემდეგ ხაფანგში მომწყვდეულებს ყველა მხრიდან შეუტევდა და გაჟუჟავდა... დღემდე ვერ დამიჯერებია... მაგრამ ერაყელთა სიმამაცე... დღე არ გავა, ერთი ამერიკელი მაინც არ მოკლან... ასე სათითაოდ გაანადგურებენ, ინებებს ღმერთი!

— ღმერთმა გისმინოს... მაგრამ ვერ ხედავ, რომ სადამია პასუხისმგებელი ყველა ამ პრობლემაზე?

— გულწრფელად გეტყვით, მე მიყვარს სადამი... იგი დიდ პატივს სცემდა ეგვიპტელებს... არ დაგავიწყდეს, კაიროში სწავლობდა... 80-იან წლებში ერაყში ვიყავი, ცოტა დაძაბულობა იყო ეგვიპტელებსა და ერაყელებს შორის. სადამის გამოსვლა მოვისმინე, სადაც თქვა, ნებისმიერ ერაყელს, ვინც ეგვიპტელს ცუდად მოექცევა, 6 თვით ციხეში ჩავსვამო. აი, ასე! პირდაპირ ციხეში! ალალად გეუბნები, არასოდეს დამავიწყდება. ამის მერე ბაღდადში თავაწეულები დავდიოდით. შემდეგ ეს ოკუპაცია მოხდა ერაყში, მზესავით ნათელია, რომ სადამთან არანაირი კავშირი არ აქვს ამ ამბავს... ამბობდნენ, საშიში იარაღი აქვთო, მაგრამ ნახეს რამე? ერაყის ნავთობი სჭირდებათ. დაიპყრეს ერაყი, ზოგი ქურდია, ზოგი — რეკეტიორი, და ომი გააჩაღეს. ერაყი გაანადგურეს, მაგრამ როგორც უკვე გითხარი, მე ერაყელებს კარგად ვიცნობ, მათთან ერთად ათ წელზე მეტხანს ვიცხოვრე, მამაცი ხალხია. თვალებს დასთხრიან ამერიკელებს, რამდენიმე თვეც და კუდამოძუებული ძაღლებივით გაიქცევიან საკუთარი ტყავის გადასარჩენად, როგორც მანამდე, ვიეტნამში.

— როდის მიხვდი, რომ სადამის სტრატეგია არ ყოფილა და ბაღდადი მართლა დაეცა?

— ღმერთმანი, დიდი იმედი მქონდა, ვიდრე სადამს დაატატიმრებდნენ... ბევრი ვიტირე იმ დღეს... მათთვის მწერები ვართ, რომლებიც შეგიძლია ერთი ხელის დაკვრით მოკლა ან ჭიანჭველასავით ფეხით გასრისო... თავი დამცირებულად ვიგრძენი... ჩემი ამხანაგები გამახსენდა, არ ვიცი, ცოცხლები არიან თუ დაიღუპნენ... მაგრამ გეტყვით, რასაც გამუდმებით ვფიქრობ — ერაყი საბოლოოდ მაინც გაიმარჯვებს. კარგად იცინის ის, ვინც ბოლოს იცინის და არა დასაწყისში.

ტაქსიდან ჩემი კორპუსის წინ ჩამოვედი. ოთხი ახალგაზრდა დავინახე, მარლბოროს ეწეოდნენ და კოკა-კოლას სვამდნენ, ერთს ნაიკის ფეხსაცმელი ეცვა, მეორეს — მაისური, რომლის მარცხენა სახელოზე ამერიკის დროშა იყო ამოქარგული. ოპტიმიზმი გაქრა. ჩემს ბინაში თავდახრილი ავედი.



მხატვარი მალხაზ იაშვილი

* * *

კაიროს უნივერსიტეტს ჩავუარეთ. ტაქსის მძღოლს სტუდენტობის წლების ნოსტალგია გავუზიარე. ოცნება ეგვიპტის მომავალზე სწორედ ამ კედლებში დავიწყე და ახლაც კი შთამაგონებს, მიუხედავად იმისა, რომ უკვე ოცი წელია, რაც უნივერსიტეტი დავამთავრე. მძღოლს ვუთხარი, ვინც გაიყიდა, წარმატებას მიაღწია, ხოლო ვინც ოცნება არ შეწყვიტა, თავისი ამაღლებული ოცნებები მიწაზე დანარცხებული იხილა-მეთქი.

— რომელი ფაკულტეტი დაამთავრეთ? — მკითხა მძღოლმა.

— ეკონომიკის და პოლიტიკურ მეცნიერებათა.

— ესე იგი, პოლიტიკას სწავლობდით?

— დიახ.

— ძალიან კარგია! არაჩვეულებრივია, რადგან დიდიხანია კითხვა მაქვს, — თქვა მძღოლმა.

— რა კითხვა, იქნებ მე გიპასუხოთ?

— რა მოხდებოდა, ამერიკაში რომ ჩავსულიყავით და გვეთქვა, თქვენ გაქვთ ატომური და სხვა მასობრივი განადგურების იარაღი და თუ არ განიარაღდებით, თქვენთან ურთიერთობას გავწყვეტთ და ომს გამოგიცხადებთ. კუბის დასაცავადაც მოგვიწევს სამხედრო ძალის გამოყენება, პატარა ქვეყანაა და უნდა მივხედოთ.

რა თქმა უნდა, ომს მართლა არ გამოვუცხადებდით, მაგრამ ჩვენი ასეთი ნაბიჯით მსოფლიოს ვაიძულებდით პოზიცია აერჩია. მსოფლიოს მოუწევდა ჩვენი მხარდაჭერა, ისე, როგორც ამერიკას დაუჭირეს მხარი ერაყის წინააღმდეგ და როგორც დღეს დგანან ირანის წინააღმდეგ. რა თქმა უნდა, ჩვენ არ შევებრძოლებოდით მათ. ხომ გესმის, რისი თქმაც მინდა? ზუსტად იმავეს ვიტყოდით, რასაც ისინი ეუბნებიან სხვა ქვეყნებს. მაგალითად, ამერიკის არჩევნებზე მონიტორინგს მოვითხოვდით, რადგან დარწმუნებულები არ ვიქნებოდით, რომ საარჩევნო პროცედურები სარწმუნოდ და ყველა წესის დაცვით ტარდებოდა, ჩვენ მოვითხოვდით საერთაშორისო დამკვირვებლები ყოფილიყვნენ საარჩევნო ყუთებთან, რადგან ამერიკასა და მთელ მსოფლიოში ყველა ამბობდა, საპრეზიდენტო არჩევნები

გაყალბდა, მისმა ძმამ ტეხასის შტატში შედეგები შეცვალა, რომ ჯორჯ ბუშს გაემარჯვაო, ვიტყოდით, რომ დემოკრატიის დაცვა ჩვენი ვალია და ამიტომ ეგვიპტელი მოსამართლეები უნდა გავგზავნოთ დასარწმუნებლად, რომ დემოკრატიული პროცესი სათანადოდ მიმდინარეობს.

ეს რომ გაგვეკეთებინა, მივახვედრებდით, როგორ ექცევიან ადამიანებს, თან, ჩვენში დაგროვებულ ბრაზს გზას მივცემდით, სწორედ ისევე, როგორც კატასტროფის დროს ვერაფერს აკეთებ, გარდა ორთქლის გამოშვებისა, მაგრამ მშვიდდები, მიუხედავად იმისა, რომ კატასტროფა კატასტროფად რჩება.

კიდევ, საქმეს აღვძრავდით ამერიკის წინააღმდეგ საერთაშორისო ტერორიზმისა და არადემოკრატიული ქვეყნების მხარდაჭერისთვის, მტკიცებულებებს იოლად მოვიპოვებდით. როცა ასეთ ნაბიჯებს დგამ, დემოკრატიის მხარეს ხარ და ბევრი ქვეყანა ამოგვიდგებოდა მხარში ამერიკის წინააღმდეგ.

გარდა ამისა, ქვეყნებს მოვუწოდებდით, ამერიკისთვის ეკონომიკური სანქციები დაედოთ და, თუ ამ მოთხოვნას არ შეასრულებდნენ, ზუსტად იმავეს ვეტყოდი, რასაც კონდოლიზა რაისი ეუბნება ღარიბ ქვეყნებს ყოველდღე.

ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, ხმარებიდან ამოვიღებდით სიტყვას „ამერიკელი". ვიტყოდით: „თეთრკანიანი ირლანდიელი პროტესტანტი ამერიკელი", „შავკანიანი მუსლიმი ამერიკელი", „ესპანელი ამერიკელი", „თეთრკანიანი კათოლიკე ამერიკელი", „შავკანიანი პროტესტანტი ამერიკელი", ისევე, როგორც ისინი ამბობენ ჩვენზე: „დაიღუპა ექვსი შიიტი და ორი სუნიტი ერაყელი", ჩვენი ძაღლიშვილი ჟურნალისტები კი ამას იმეორებენ. ერთხელ გაგიგიათ თუ ორჯერ „ქრისტიანი ეგვიპტელი", „მუსლიმი ეგვიპტელი"? რაც შეიძლება თავგამოდებით უნდა მოვითხოვოთ შავკანიანთა უფლებების დაცვა ამერიკაში, საქმე აღვძრათ თუ თეთრკანიანი შოტლანდიელი ამერიკელი შავკანიან აფრიკელ ამერიკელს მოკლავს, ჩვენ რა თქმა უნდა დიდი სკანდალი უნდა ავტეხოთ, სულ მცირე, იმის გამო, რომ ის ჩვენსავით აფრიკელია და უფრო ახლობელია ჩვენთვის, ვიდრე ჭორფლიანი თეთრკანიანი იტალიელი ამერიკელი ეგვიპტელ ქრისტიანისათვის. შავკანიანი უმცირესობის უფლებათა დაცვა ჩვენი ვალია და ჩვენ ყველაფერში უნდა ჩავერიოთ, დიდშიც და მცირეშიც.

ბევრს ვლაპარაკობ და ერთსადაიმავეს ვიმეორებ, მაგრამ ველოდები, როდის მიპასუხებ, შენ კი ენაზე კბილი დაგიჭერია და არაფერს ამბობ.

— იმაზე ვფიქრობ, რაც მითხარი, — ვუპასუხე მე.

— მთელი დღე ჩართული მაქვს რადიო. მაცოფებს, რასაც ამერიკელები ლაპარაკობენ. ეს საკმარისია, რომ ადამიანი ჭკუიდან გადავიდეს. ძალიან სახიფათო ვითარებაა, ადამიანებს მოთმინება დაელევათ და აფეთქდებიან. „ჩვენ გაჭმევთ, ჩვენ ქოთანზე გსვამთ, ეს გააკეთეთ, ის არ გააკეთოთ" — მალე გავსკდებით და ყველაფერი დამთავრდება.

ამიტომ გამიჩნდა ეს იდეა, — იგივე გავუკეთოთ, რასაც თვითონ გვიკეთებენ. ადამიანებმა, რომლებიც შუშის სახლებში ცხოვრობენ, ქვები არ უნდა ისროლონ. ეს ხალხი კი დაბზარულშუშიან სახლებში ცხოვრობს...

— რატომ არ უგზავნი ამ შეთავაზებას... — დავიწყე მე.

— ხომ გითხარი, მე, უბრალოდ, ორთქლს ვუშვებ, ვლაქლაქებ. ისინი მზად არიან ამერიკელებს უფლება მისცენ, რაც უნდათ, ის გვიყონ. შეთავაზება, რაც მათ შეიძლება მოეწონოთ, ყველა ეგვიპტელის სახლში სათვალთვალო კამერის დაყენებაა, რომ მოსახლეობის აფეთქებაზე დაკვირვება შეძლონ.

* * *

— მე დიდი ოცნება მაქვს — თქვა მძღოლმა, — ოცნება, რაც მასულდგმულებს. ოცნების გარეშე ადამიანი ვერ იცოცხლებს, ყოველთვის ზანტი იქნება და საწოლიდან ადგომა დაეზარება, დეპრესიაში ჩავარდება და სიკვდილი მოუნდება. ვისაც ოცნება აქვს, მხიარული და ენერგიულია ციბრუტივით, მოგიზგიზე ცეცხლივით, რომელიც არასოდეს ჩაქრება. მეც ვიგიზგიზებ და ვივლი, რომ ოთხ წელიწადში ფული შევაგროვო.

იცით, რაზე ვოცნებობ? ჩემი ტაქსით წავიდე და სამხრეთ აფრიკაში მსოფლიო ჩემპიონატი ვნახო. ოთხი წლის განმავლობაში კაპიკს კაპიკზე დავაწებებ და ჩრდილოეთიდან, სადაც ახლა ვარ, სამხრეთისკენ გავუყვები. აფრიკის ყველა ქვეყანას გავივლი, ნილოსის გასწვრივ ვივლი, სათავემდე, ვიდრე ვიქტორიას ტბას მივაღწევდე, გზადაგზა მანქანაში დავიძინებ, საკვებს იმდენს მოვიმარაგებ, ორ თვეს მეყოს, — ლობიოს, თევზის კონსერვს, პურს. პური ძალიან მიყვარს...

ჯუნგლებში ვეფხვებს, ლომებს, მაიმუნებსა და ქურციკებს ვნახავ. გავიცნობ ადამიანებს სუდანიდან და სხვა ქვეყნებიდან. ჯერ ზუსტად არ ვიცი, რომელ ქვეყნებს გავივლი. წიგნის მაღაზიაში ატლასი ვიყიდე და გადავხედე კიდევაც, მაგრამ მარშრუტი ჯერ არ შემირჩევია.

როცა სამხრეთ აფრიკაში ჩავალ, აფრიკის კონტინენტის უკიდურეს სამხრეთ წერტილამდე მივალ და შორიდან, მაგრამ საკუთარი თვალით ვნახავ სამხრეთ პოლუსს.

რა თქმა უნდა ყველა მატჩს დავესწრები. ფეხბურთის ფედერაციას უნდა მივმართო აქ, ზამალიქში, „აჰლის" კლუბის გვერდით, ისინი მომცემენ ბილეთებს. ჩვენ, ყველანი, აფრიკელები ვართ და ისინი აუცილებლად დამეხმარებიან.

მთელი დღე ძირითადად საჭესთან ვზივარ, — დღეში დაახლობით 15 საათი... მიჩვეული ვარ. ჩემთვის პრობლემა არ არის სამხრეთ აფრიკაში მანქანით წასვლა.

ეს ჩემი ოცნებაა და უნდა ავიხდინო."

არ მინდოდა მისთვის მეთქვა, რომ არ არსებობს მოასფალტებული გზა, რომელიც აბუ სიმბელიდან, ეგვიპტის ბოლო ქალაქიდან სუდანში ჩაგიყვანს; ტოშკადან სუდანისკენ მიმავალი გზა დაკეტილია; ეგვიპტეს და სუდანს პირდაპირი სარკინიგზო ხაზიც კი არ აკავშირებს; იმ შემთხვევაშიც კი, თუ როგორმე მიაღწევს სუდანს, უფლებას არ მისცემენ სამხრეთ სუდანში უშიშროების სამსახურის უნებართვოდ წავიდეს, რომელსაც ხარტუმში გასცემენ და რომელსაც ის ვერ მიიღებს; რომ კაიროს ტაქსის არ აქვს ქვეყნის დატოვების უფლება.

არც ის მითქვამს მისთვის, რომ აფრიკის კონტინენტი დანაწევრებული და დაშლილია, სრულიად კოლონიზებული. ადამიანები, ვისაც იქ მოგზაურობა შეუძლიათ, ადგილობრივი აფრიკელები კი არა, მათი თეთრკანიანი ბატონები არიან. აფრიკის კარი მხოლოდ მათთვის არის ღია. დიდიხანია წავიდა ალი ბაბას დრო, რომელიც კარს ჯადოსნური სიტყვებით აღებდა — „სეზამ, გაიღე".

* * *

— გქონია ძველი, ჭუჭყიანი პერანგი, რომელიც ყარს და უკვე ძალიან დიდიხანია დაგიპატარავდა? — თქვა მძღოლმა — ამ პერანგით გიჩხუბია კიდევაც და სისხლითაც არის დალაქავებული. იგი მეორად მაღაზიაში გაქვს ნაყიდი. ვისაც შენამდე ჰქონდა, რეციდივისტი იყო, გაქცეულია და შარმ-შეიხში იმალება... სამი ვარიანტი გაქვს: პირველი — შეგიძლია პერანგი დაწვა, წახვიდე და ახალი იყიდო, მეორე — შეგიძლია ახალი ნაჭერი ჩააკერო, რომ შენს ზომაზე გადააკეთო, სისხლის წვეთებისა და სიმყრალის სუნის მოცილება სცადო, ან მესამე — შეგიძლია გარეცხო, ძველებური ნახშირის უთოთი გააუთოო და საკუთარ თავს უთხრა, რომ ეს ყველაზე მარტივი გამოსავალია, თანაც შანსი გაქვს, წონაში დაიკლო, რომ ისევ მოგერგოს. სწორედ ამ მდგომარეობაშია პოლიტიკური სისტემა მუბარაქის შემდეგ, — რაც მოცოცხა და შარმ-შეიხში გაიქცა. ჩვენ გვინდა მთელს ძველ სისტემას ცეცხლი წავუკიდოთ, იმიტომ, რომ სიმყრალე უკვე აუტანელია. ჯარს, როგორც ჩანს, ძველი პერანგის კარგად გარეცხვა და გაუთოება უნდა, ჩასაცმელად რომ გამოდგეს. თუ ეს არ იმუშავებს, ისინი საკერებლის დადებას ფიქრობენ, — ახალი ხალხის შემოყვანას, რომ სახელოებად გამოდგნენ და თუნდაც ძველ პერანგს ღილკილოები არ ჰქონდეს, მაინც მოგვიწევს მისი ჩაცმა.

მძღოლი სამოც წელს იყო მიღწეული, ისეთი ზორბა, რომ ღილები აწყვეტის პირას ჰქონდა. მისი ღიპი საჭეს ისე მიბჯენოდა, მანქანის მართვაში ხელს უშლიდა. ყოველ დამუხრუჭებაზე მისი უზარმაზარი მუცელი ირხეოდა და ღილები აწყვეტას ლამობდა. პერანგს შევხედე, — ჭუჭყიანი იყო.

— თუ სისტემა შენს პერანგს ჰგავს, ბევრი ქსოვილი დასჭირდება ზომაზე მოსაყვანად — ვუთხარი მე.

მძღოლმა გაიცინა და მთელი მანქანა აზანზარდა.

— ეს პერანგი მუბარაქის ხელისუფლებაში მოსვლამდე ვიყიდე, — მიპასუხა მან. — ესეიგი, დაახლოებით 30 000 წლისაა. დიდი ხნის წინათ უნდა დამეწვა, სწორედ ისევე, როგორც ახლა უნდა ვაძლევდეთ ცეცხლს მთელს ძველ სისტემას. მოვიდა დრო, როცა სუფთა ფურცლიდან უნდა დავიწყოთ. დღეს ჩემმა შვილმა მითხრა, დემონსტრაციები მთელს ეგვიპტეში გაგრძელდება, ჯარს რომ გააგებინონ, მართალია, დაგვეხმარე და მადლიერები ვართ, მაგრამ არ დავთანხმდებით მხოლოდ გარეცხვას და დაუთოებას, რის გაკეთებასაც თქვენ ცდილობთო.

— რომელი პერანგი მოგწონს, — ვკითხე მე, — თეთრი, მწვანე, წითელი თუ ჭრელი?

— უკვე ყველა ფერი ნანახი გვაქვს და ვხედავთ, რა ხდება საზღვარგარეთ. დემოკრატია? რა მასხარაობაა!!! დემოკრატიამ ამერიკაში ბუში მოიყვანა, იტალიაში — ბერლუსკონი და კიდევ უამრავი მათი მსგავსი. ჩვენ ვხედავთ, როგორ მანიპულირებენ მილიარდერები პოლიტიკით, ადამიანებით და უარესს მოვსწრებივართ ქურდი პრეზიდენტებისგან. არავინ არის ბედნიერი პოლიტიკური მდგომარეობით. აქ, ეგვიპტეში, ადამიანთა უმრავლესობა რელიგიაზე დაფუძნებულ სახელმწიფოს არ მიიღებს, თუმცა არც რელიგიისადმი მტრულად განწყობილ სახელმწიფოს მიიღებენ. ჩვენ ისეთი პერანგი გვჭირდება, რომელიც ეგვიპტისთვის არის შეკერილი, ჩვენი საკუთარი პერანგი. პერანგი, რომელსაც ჟასმინის სურნელი აქვს და ეგვიპტური ბამბისგანაა დამზადებული. იდეალური პერანგი ნილოსის ფერისა იქნებოდა, თავისუფლად ჩავიცვამდით და გვეცოდინებოდა, რომ ჩვენი ქვეყნისთვის ვიღვწით. დღეს ყველას უნდა მუშაობა. ადამიანებს უნდათ ქვეყანას სარგებელი მოუტანონ. უნდათ მთავრობა, რომელმაც იცის, როგორ მოაგვაროს ყველა ეგვიპტელის პრობლემები. შენს გარშემო მიმოიხედე. რამდენი ადამიანი გაგახსენდება, ვინც ოცნებობს და ელოდება, როდის გამოჩნდება ვინმე, ვინც ოცნებებს აუხდენს? ვინმეს რომ საყვირისთვის ჩაებერა, 90-ვე მილიონ ეგვიპტელს რიგში ჩამდგარს ნახავდი. არავითარ სისულელეს აღარ მოისმენდი, აღარც შიშის სუნი გეცემოდა მათი პირიდან. შენ აღარ მკითხავდი, რა ფერია პერანგი. ჩვენი ახალი პერანგი ფრთებს გამოისხამდა, გახდებოდა ისეთი, რომელიც ყველა ჩვენგანს მოერგებოდა, მსუქნებსაც და გამხდრებსაც.

— შენი აზრით, ვინ გაიმარჯვებს, მრეცხავები თუ გამომგონებლები?

— გამომგონებლები ვინ არიან?

— ადამიანები, რომლებიც ჟასმინის სურნელიან ეგვიპტურ პერანგს გამოიგონებენ.

— მრეცხავები, ძველებურ უთოს რომ იყენებდნენ, უკვე წავიდნენ. შემიძლია გითხრათ, გადაშენდნენ. ახლა ჯარი ცდილობს, მრეცხავები ისევ უკან დააბრუნოს ძველი რეჟიმის დასაცავად, მაგრამ გამომგონებლები მომავალია. ჩემი შვილი მეუბნება, ყველა სამუშაო, რაც ახლა გვაქვს, აღარ გვექნება. ახალი სამსახურები კი გამომგონებლებსა და განმაახლებლებზე იქნება დამოკიდებული. ჩემი შვილი საინჟინრო ფაკულტეტზე სწავლობს. ნეტავ თქვენს შვილებსაც ასე გაუმართლოთ! მას სკოლაში უმაღლესი ნიშნები ჰქონდა, ამიტომ შეძლო ამ ფაკულტეტზე მოხვედრა. მშვენიერი ახალგაზრდაა, რომელმაც სამი კვირა გაატარა თაჰრირის მოედანზე. დედამისს ძალიან ეშინოდა, მაგრამ მე ვუთხარი, მისთვის იქ ყოფნა არ დაეშალა. ეს მისი მომავალია! როცა ჯარმა ახალგაზრდების დახოცვა დაიწყო, გული მიკვნესოდა, მაგრამ თავი დავიმორჩილე. გამძლეობა და სიმამაცე უნდა გამომეჩინა, რომ პერანგის გასაუთოებლად გაგზავნა აღარ მოგვიწიოს. მრეცხავებმა ცოტა ხნით რომც გაიმარჯვონ, საბოლოოდ აუცილებლად გამომგონებლები გაიმარჯვებენ! დამიჯერე! საბოლოოდ ჩვენ გავიმარჯვებთ, თუნდაც ამისთვის ძალიან გრძელი გზის გავლა მოგვიწიოს!

არაბულიდან თარგმნა
ირმა მახარაძემ

1. ეგვიპტელი მოქანდაკე, 1891-1934
2. ეგვიპტური ხურდა ფული.
3. ეგვიპტური რეფორმატორული მოძრაობა.
4. ეგვიპტის პრეზიდენტი 1970-1981 წლებში.
5. ეგვიპტის პრეზიდენტი 1954-1970 წლებში.
6. თანამედროვე ეგვიპტელი რეჟისორი (1952-). მისი ფილმი, „ბრძოლის შემდეგ" წარდგენილი იყო 2012 წლის კანის კინოფესტივალზე.
7. თანამედროვე ეგვიპტელი კომპოზიტორი (1969-)
8. ისლამური კანონის მიხედვით, წყვილი განქორწინებულად ითვლება, თუ ქმარი ცოლს სამჯერ ეტყვის „გაგეყარე".
9. თანამედროვე ერაყელი მომღერალი, კომპოზიტორი და პოეტი (1957-).

ეკატერინე ტუკვაძე

საპოვნელა

ბაბუის — ანტონ ტუკვაძის გახსენება

საოცარი თვისება ჰქონია ანწლისა და ნესტის სურნელს, განსაკუთრებით, ზაფხულის მიწურულს, როცა მისი გამძაფრება მოგონებებს შემოდგომის სევდასთან ერთად დაუნდობლად მოგისევს გრძნობებზე. უკვე 27 წელია, ზაფხულთან გამოთხოვება ყველაზე მტკივნეული თერჯოლაში, შენს დანატოვარ წალკოტ ეზო-კარში ქცეულა, ბაბუ. შენი სიკვდილის შემდეგ ხომ აქაურობას სიცოცხლე მხოლოდ ზაფხულობით უბრუნდება — შენი შვილებისა და შვილიშვილების შვებულებებისას. შემოდგომის მოახლოება კი შენს ნაფუძარს ზუსტად ერთი წლით გვაშორებს. და ყოველ წელს, თბილისში დაბრუნების წინა საღამოს, ტრადიციულად, შენ მიერ გაშენებულ თხილნარს შევეყუჟები ხოლმე და ჩემს გამგზავრებისწინა განცდებს მწუხრსა და დღიურის ფურცლებს ვანდობ. ასეთ წუთებში სურვილი მიჩნდება, თითოეულ ყვავილსა და ფოთოლს მოვეფერო, თითოეული ხის გულისცემა მოვისმინო, თითოეული ბალახის იდუმალ ჩურჩულს მივაყურადო. თან ვშიშობ კიდეც, რომ იმ საღამოთა ხიბლი ბოლომდე ვერ გადმოვცე ფურცელზე.

ანტონ ტუკვაძე (შუაში) მეორე მსოფლიო ომში

ჯერ კიდევ პატარა ვიყავი, ბაბუ, თბილისში გამგზავრების წინ სწორედ ამ ბუჩქებში რომ შემოვიპარებოდი ხოლმე და დაფნებსა და აკაციებს შევტიროდი, ვერ ველეოდი... არსად მეგულება ამაზე უკეთესი სავანე, ამაზე მყუდრო და სევდიანი ნავსაყუდელი სულისა...

სად არ დავდივართ ჟურნალისტები — ცასა და ქვეყანას ვედებით — უჩვენოდ არც ხუთვარსკვლავიანი სასტუმროები იხსნება და არც თვალწარმტაცი საკურორტო ცენტრები; არც დიპლომატიური წვეულებები ეწყობა და არც ელიტური პრეზენტაციები, მაგრამ გჯეროდეს, ბაბუ, ყველაზე ლაღად, ამაყად და ბედნიერად თავს იქ ვგრძნობ — შენს დანატოვარ ეზოში. ყველაზე მყარად ფეხი იმ ბინა ბალახზე მიდგას, უნაზესი საპოვნელები ალაგ-ალაგ, ძლივშესამჩნევად რომ დაუბნევიათ გულზე.

რომ იცოდე, ბაბუ, როგორ ჩუმად ვყლაპავ ცრემლებს თბილისში, ზამთრის დაუსრულებელ ღამეებში საბანში ჩათბუნული, როცა აღმოსავლეთის ქარების პირისპირ ობლად დატოვებულ შენს კარ-მიდამოს წარმოვიდგენ ხოლმე! 200 კილომეტრის სიშორიდან სწვდება თითქოს ჩემს სმენას იმ ქარების ღრიალი, შიფერის სახურავს დაცემული ნაგვიანევი თხილისა და ნიგვზის რაკუნი, მუხის განუმეორებელი სურნელით გაჟღენთილი ბებერი სახლის ჭრიალი. ეზოს თავზე მთრთოლვარე ვარსკვლავების მქრალი ციაგიც აღწევს თითქოს შორეთიდან. შენ მიერ გამოვლილი ომის მძიმე წლებიც იმ ღამეებში ცოცხლდებიან მთელი სიმძაფრით, ბაბუ, და შენი უტკბესი შუაიმერული კილოკავით მოყოლილი დიდი ბრძოლების ამბები მახსენდება, სტალინგრადის, ბელგოროდის, ხარკოვის, პოლტავის, კრემენჩუგის... გასათავისუფლებლად რომ გადაგხდა. ერთ-ერთი შეტაკებისას საყვარელი თეთრი რაში მოგიკლეს, მტრის ტანკმა შენი და შენი თანამებრძოლების ცოცხლად დამარხვაც სცადა სანგარში, ბევრჯერ კი შიმშილის გრძნობა ჩრდილოეთის სუსხისაგან ყინულადქცეული პურის ყუამ დაგიოკა, მაგრამ მაინც შემართებით იბრძოდი... მართლაც საპოვნელას ყვავილივით პაწაწინა არ იქნებოდა მაშინ თერჯოლა ომის ქარცეცხლში გახვეული მსოფლიოს რუკაზე?.. ალბათ ამიტომაც გადაჯაჭვულა ერთმანეთთან ასე განუყრელად შენი, თერჯოლისა და ომის მოგონებანი, ბაბუ. ამიტომ არ მეთმობა აქაურობა მარტოობისათვის ანწლისა და ნესტის სურნელის გამძაფრებისას. ამიტომ არის ჩემთვის შენი ობოლი არემარე მთელი დედამიწის ზურგზე შეუფასებელი და უძვირეს კურორტთა ნაქებ ბუნებაზე უმშვენიერესი. ამიტომ კითხულობენ გაოცებით მანდაური მეზობლები ჩემზე, ჩემს და-ძმასა და ბიძაშვილებზე, ასე რამ შეაყვარათ აქოურობა ქალაქში გაზრდილ-დაბადებულ ბოვშებსო...

გჯეროდეს, ბაბუ, სადაც და როგორც არ უნდა ვიყოთ, შენს შთამომავალს მუდამ საოცარი სითბოთი აავსებს იმის გახსენება, რომ ამ უზარმაზარი პლანეტის ნესტისა და ანწლის სურნელით გაზავებულ პატარა სივრცეში, მორცხვ საპოვნელათა, აკაციებისა და ჩრდილიანი თხილნარ-ნიგვზნართა სამყოფელში, ყველაზე მშობლიური, ცინცხალი ფერებით ხასხასებს ადგილი, საიდანაც ჩვენი ფესვები ამოიზარდა...

* * *

სალუდეში ხმაურითა და ყაყანით ხუთი კაცი შედის და ლუდსა და საუზმესთან ერთად ას ხინკალს მოითხოვს.

მათ შორის ერთს დიდი პირი იშვიათი ჯიშის თევზის ლაყუჩებს მიუგავს.

ნიძლავია დადებული, რომ ის ასი ხინკალი ამ ბიჭმა უნდა შეჭამოს გაუჩერებლივ, და მხოლოდ ერთი კათხა ლუდის დალევა შეუძლია, როდესაც მოეგუნებება.

— ჩემს ცხოვრებაში ათ ხინკალზე მეტი ერთად არ შე-მიჭამია, — ხმამაღლა უნდა გა-ნაცხადოს იქ შემთხვევით შემსწრე გიგიშამ, მაგრამ მსმენელებს სწორედ ამ ნათქვამის სისწორეში უნდა შეეპაროთ ეჭვი.

— ათი რაა, შე კაცო, — უნდა უსაყვედუროს მჭამელმა, — ათი კი არა, ოცდაათი ხინკალი აგერ ორი საათის წინ შევჭამე, სულ ტყუილა, რომ იცოდე შენ!

— ეს ვინ ყოფილა, სად იყავი აქამდე თუ ძმა ხარ! — უნდა უთხრას გიგიშამ და:

— რა ვიცი მე, სად ვიყავი, — უნდა დაიმორცხვოს ქებით შეწუხებულმა დიდპირამ და თხელი ქაღალდით ტუჩები მოიწმინდოს.

წინა საუკუნის 60-იანი წლების სურათია, თავისებური შეჯიბრი თუ კონკურსი, — მოდურ გატაცებადაც გადაზრდილი და ძალზე მოდებული თბილისის სახინკლეებს, რეზო ჭეიშვილის რომანში — „დალი“ — რომ გადაინაცვლებდა როგორც აბსურდული რეალობის, სულიერი დაკნინების დასტური, განზოგადებული სიმბოლო მოშლილი მორალისა და ცნობიერების, საზოგადოება ლამის რომ ველარ ახერხებდა საკუთარი თავის პოვნას და საპამპულოდ და სამასხარაოდ ქცეულ ცხოვრების მდინარებას მიჰყვებოდა.

მწერალი არაფერს უმატებდა რეალისტურ სურათს, ის კი არა, ნატურალისტური დეტალურობით გადაჰქონდა თხრობაში და მძაფრ ირონიას იდუმალად გამოსდევდა სევდა და ტკივილი, თუ სადამდე შეიძლება დაეცეს საზოგადოებრივი შეგნება, ასეთი უმსგავსობა ჩვეულებრივ მოვლენადაც რომ შეიძლება დამკვიდრდეს — არა ერთი და ორი კაცის უშნო ხუმრობად თუ იაფფასიან გასართობად, არამედ სწორედაც შეჯიბრად და თავთავის ფალავანთა წარმოსაჩენად.

აგერ ერთ-ერთი მათგანი, ვინც, ტრაბახის გუნებაზე დამდგარი, ირწმუნება: ერთხელ ცხრა საინი სალიანკა შევჭამე და სასადილოს დირექტორმა მითხრა: ვინ ხარ მითხარი და რა გინდა ჩემგანო, — და დანაღვლიანდება: ყველაფერს იღბალი უნდა ცხოვრებაში, ჭამაში არ არის საქმე, ისე ვამბობ, ზოგადადო...

— ნახე, რამდენს ტოვებს! — უეცრად უნდა წამოიძახოს ერთმა კაცმა და მწვანე პლასტმასის თეფშზე დაყრილ ჭიპებს დახედოს.

ბიჭმა კი უნდა გააპროტესტოს: პატარა ჭიპებია, ამის უფლებაც აღარ მაქვსო?!

აქვს, კი აქვსო, — გული უნდა აუჩვილდეს თმაშევერცხლილ კაცს.

დათვლას რომ დაიწყებენ, აღმოჩნდება, რომ ორმოცდახუთი ხინკალი ხელუხლებლად დევს ხონჩაზე და ვიღაცას იმედი უნდა გადაეწუროს: ამას დღეს ვერ გაათავებსო. ვიღაცამ კი უნდა ინანოს: დრო უნდა დაგვეთქვაო.

— ვის მოაგონდა მაშინ ამდენი, არადა იმოდენა მშენებლობა უპატრონოდ მივატოვე, — ამოიხვნეშოს შეწუხებულმა მოსეირეთაგანმა.

მოულოდნელად ბიჭმა ჭამას უნდა მოუმატოს და ხალხი ისევ გამოცოცხლდეს: შეჭამს! ვერ შეჭამს! კი შეჭამს! — გაისმას აქეთ-იქიდან.

„მჭამელს სულ არ აწუხებდა ცნობისმოყვარეთ მზერა და ლაპარაკი. ეტყობოდა, აუდიტორია ამხნევებდა, ძალას და ენერგიას მატებდა. დროდადრო თვალი უელავდა უცნაურად, ხელს ზევით სწევდა, ურწმუნოებს ამშვიდებდა, დაშოშმინდით, ყველაფერი რიგზე იქნებაო...“

ოცდაორი ხინკალი რომ დარჩებოდა, ბიჭი ჯერ ლუდის ცარიელ კათხაში ჩაიხედავდა დიდი ინტერესით და მერე ითხოვდა, ზურგზე ხელი დამარტყითო. თმაშევერცხლილი მიაყოლებდა ბეჭებში, მაგრამ ეს საქმეს ვერ უშველიდა. ამიტომ ბიჭი წყალს მოითხოვდა. წყალი დებულებით გათვალისწინებული არა ყოფილა და არ მისცემდნენ. ბიჭი ნახევარ ჭიქაზეც თანახმა გახდებოდა და მოსეირენი თათბირს შეუდგებოდნენ, ნება დაერთოთ თუ არა. ხმები გაიყოფოდა და გიგიშა ვარაუდს გამოთქვამდა: წყალი თუ არ მისცეს, თხუთმეტ წუთში გაგორდება ძირსო...

— ყველაფერი სისულელეა, ყველაფერი სულელური ხუმრობაა და მეტი არაფერი, — უნდა ჩაილაპარაკოს დიმიტრიმ, რომლის პროტოტიპიც შოთა ჩანტლაძე გახლდათ.

ეს სცენაც და კიდევ სხვა ამგვარი სცენებიც ამ რომანში (რომ აღარაფერი ვთქვათ რეზო ჭეიშვილის სხვა რომანებსა და მოთხრობებზე) სწორედ ამ შეხედულების თვალსაჩინოებაა — მწვავე გროტესკი, სულაც სატირა ყოფითი რეალობის ტრაგიზმისა და აბსურდულობის გამოსაკვეთად.

ყველაფერი სულელური ხუმრობაა და მეტი არაფერიო...

ის, რაც საზოგადოებრივი შეგნებისა და მორალის წახდენა-დაკნინებაზე ასე თვალნათლივ მიგვანიშნებს, ის, რაც გულს გვიკლავს და სულს გვიყინავს, ის, რაც მწერალს სატირის თემად გადაუქცევია, აგერ ჩვენს თვალწინ აღდგებოდა და თანაც ისეთი ძლევამოსილებით, 60-იანი წლების პერსონაჟები ვერც ინატრებდნენ.

ჯერ ერთიბეწო გარემოში გამართულ სანახაობადაც რა არის და... თურმე სადა ხარ!..

აღდგებოდა როგორც... დიდი რამ საქებური, დიდი რამ მონაპოვარი, რაღაც უჩვეულო მიღწევა, სულაც სახელმწიფოებრივ რანგში აზიდული.

თავზარდამცემიც ეს გახლდათ სწორედ.

ამგვარი შეჯიბრებანი და კონკურსები ლუდხანებში კი არ ჩაიკეტებოდა მარტოდენ იქ მყოფთა სასეიროდ, არამედ ტელეკამერები მიემართებოდა იქით და ხელისუფალთაგან წაქეზებული ჟურნალისტები და ოპერატორები მთელი ქვეყნის საყურებელს გახდიდნენ, რათა მოსახლეობის ყურადღება მიეჯაჭვათ ამ შერკინებებზეც და ამ გზითაც ეცადათ ნამდვილი საფიქრალისა და სადარდებლის გამობერტყვა მათი გონებიდან.

სხვა საქმე აღარ უნდა გვქონოდა, გარდა უზომო ჭამა-ყლაპვის ყურებისა, თქვლეფის, ხრამუნის, სანსვლის, და თან აუცილებლად გასკდომამდე...

ადამიანის დაცემის სურათები და ასეთი?!.

სულელური ხუმრობა და... ამისთანა?!.

შოუებად გადაქცეული ქვეყანა (ნიშანდობლივია ოთარ ჩხეიძის უკანასკნელი რომანის სახელწოდება — „ლაზერშოუ“), შოუს ოჩოფეხებზე მდგარი, ამ სანახაობასაც რომ მოისაკლისებდა და ამოიტანდა საზოგადოებრივი მეხსიერების მტვერწაყრილი უჯრებიდან, კიდევ ერთხელ დაადასტურებდა თავის ყოფნას გაუდაბურებულ, გადახრიოკებულ გარემოში, სადაც სულიერება, ჭეშმარიტი ღირებულებანი იწიხლებოდა, იწიხლებოდა და იწიხლებოდა და... აქა-იქ თუღა ღინღილებდნენ ოაზისები შორეულ ოცნებად: ყველაფერი მაინც არ არის დაკარგული და სულელურ ხუმრობასთან გაიგივებული, სხვა რომ არაფერი, ღმერთი მაინც არ გაგვწირავსო!..

* * *

რუსთაველის გამზირზე მოსიარულენი რომ გააჩერო და სოციოლოგიური გამოკითხვა ჩაატარო, შესაძლოა ერთმაც ვერ გითხრას, თუ ვინ არის შოთა რუსთველის ძეგლის მოქანდაკე ანდა ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ერთობლივი ქანდაკების თანაავტორები.

ვითომ ასეთი გასაქრობია საზოგადოებრივი ცნობიერებიდან ვალიკო თოფურიძის სახელი?

სერგო ქობულაძეც უსამართლოდაა მივიწყებული. მთლად ასე პირწმინდად გამქრალიც არაა, მაგრამ მისი ღვაწლის მხატვარს გაცილებით მეტი დაფასება ეკუთვნის ჩვენგან. სხვათა შორის, მისი სახელიც უკავშირდება რუსთველს — „ვეფხისტყაოსნის“ მისეული ილუსტრაციები ერთ-ერთი საუკეთესოა, და არამარტო ამ ეპოსის გაფორმებაში, არამედ წიგნის გრაფიკაშიც საერთოდ.

მხატვარი მალხაზ კუხაშვილი

ოქროს კვეთის ჰარმონიას რომ დაადგენდა და გულმოდგინედაც იძიებდა მცხეთის ჯვრის აგებულებაში, ეს კიდევ ცალკე, და მისაჩქმალავად კი არ უნდა ვიმეტებდეთ, მის ანალიზსა და დაკვირვებებზე დაყრდნობით ვაგრძელებდეთ ამ დიდად მნიშვნელოვანი მოვლენის შესწავლასაც და შესაფერის პოპულარიზაციასაც დასავლეთში.

გადაკვრა კი უყვარდა — ღვინისაც, კონიაკისაც, რათა — ევროპელებისა არ იყოს — ცოტა შეფერადებულად და მსუბუქად შეეხედა ამ მრუმე, გაუსაძლისი რეალობისათვის.

ამასობაში ატყდებოდა ხმაური და გნიასი მფრინავი თეფშების ირგვლივ და დაიძრებოდა ჭორების ისეთი ნაკადი და ხალხის ფანტაზიაც ისე გაშლიდა ფრთებს, მომხიბლავი სიუჟეტებიც გამოინასკვებოდა უცხოპლანეტელებზე — მზამზარეული მასალა მწერალი ფანტასტებისათვის.

სად გვყავდა, თორემ!..

— მფრინავი თეფში, მფრინავი თეფში უნდა გამოჩნდეს, — გაისმოდა დროდადრო და მთელი მოსახლეობა ზეცისაკენ თავაწეული დაიარებოდა, აცა, არ გამოგვრჩეს მისი მოვლინება და ეგებ უცხოპლანეტელებსაც მოვკრათ თვალიო. თანაც ეგებ სხვებისათვის დაგესწრო და... სტუმრადაც მოგეწვია რომელიმე უცხოპლანეტელი.

ფანჯრებსაც წამდაუწუმ მიადგებოდნენ ამავე მიზნით, აივნებზეც ხშირად გამორბოდნენ. კოლექტიურ სიზმრებში ხომ უცხოპლანეტელებით დასახლებულიყო მთელი არემარე.

და, აი, ერთ ასეთ დღესაც ვალიკო თოფურიძემ სერგო ქობულაძეს უნდა დაურეკოს:

— ფანჯარასთან დადექი და დაელოდე, მფრინავი თეფში უნდა გამოჩნდეს. ახლა კი ნამდვილად. ისეთმა ხალხმა მითხრა, წყალი არ გაუვაო, რომ...

— მფრინავი თეფში კი არა!

ეს გაიცინებს.

იმას წყინს. რა — საწყენი არ არის? ისეთ ხალხმა უთხრა, რომ...

— დაელოდე და შენი თვალით რომ იხილავ, ზოგი მერეც იცინე.

— იცი რა, ვალიკო...

— რა, რა? — ის გაფაციცდება, რადგანაც თანამოსაუბრეს ხმის კილო რაღაც უცნაურად შეეცვლება.

— რადა, ახლა ვერ მოვცდები და, თუ იმ ხალხისაგან გაიგო, კონიაკის ბოთლი გამოჩნდება ზეცაშიო, მაშინ კი აუცილებლად შემატყობინე.

და კვლავ ოქროს კვეთის ნახაზებში ჩაეფლობა.

არნახული და არგაგონილი

საამო შესახედაობისა ყოფილა, ლაღი და კისკასი, კარგად დაყენებული ბარიტონით. თურმე იქცევდა საერთო ყურადღებას მაშინაც კი, როდესაც დუმდა. როგორი ორატორი და პოლემისტი ბრძანდებოდა, ამის გახსენება არცა ღირს, ისედაც ყველას მშვენივრად მოეხსენებაო. ბრწყინვალე განათლება, ბასრი კალამი, დაკვრა გიტარაზე, უამრავი სიმღერისა და რომანსის ცოდნა... აი, ასეთი იყო ვადიმ კოჟინოვი, უბადლო გმირი ინტელიგენტური ფოლკლორისა — ვკითხულობთ თანამედროვე რუსი მწერლის სერგეი სემანოვის მოგონებათა წიგნში.

კოჟინოვს თურმე ფული არასოდეს უჭყაოდა ჯიბეში, თუმცა ნაყოფიერად და წარმატებით იღვწოდა ლიტერატურულ ასპარეზზე. უყვარდა (როგორც ყველას) სმა და დროსტარება, მაგრამ უმაყუთობას უჩიოდა. ჰოდა, ახალგაზრდა და ბობოქარი ოსტატურად თხზავდა „ავანტიურულ-პოეტურ“ სიუჟეტებს.

ერთხელ მწერალთა რომელიღაც ჯგუფთან ერთად უნდა გამგზავრებულიყო უკრაინაში. მგზავრობის მარშრუტი წინასწარ შეიტყო და გაარკვია, რომ პირველი შეჩერება ექნებოდათ დონეცკში, სადაც ბინადრობდა ახალგაზრდა პოეტი ივანენკო, შემდეგ — ზაპოროჟიე, ახალგაზრდა პოეტი პეტრენკო; ჩერნიგოვი, ახალგაზრდა პოეტი სიდორენკო და ა.შ. ჰოდა, მოსკოვიდან გამგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრე იმხანად ყველაზე პოპულარული საბჭოთა გაზეთი „კომსომოლსკაია პრავდა“ აქვეყნებს ცნობილი მოსკოველი კრიტიკოსის, ახალგაზრდა ტალანტთა დიდი მფარველისა და ქომაგის ვადიმ კოჟინოვის მგზნებარე სტატიას, სადაც ცამდეა აყვანილი ივანენკოს, პეტრენკოს, სიდორენკოს და სხვათა და სხვათა შემოქმედება. შემდგომი მოვლენები იოლი მისახვედრია. პირველივე დაგეგმილ პუნქტში ვაგონის კართან სტუმრებს ეგებება ახალგამომცხვარი კლასიკოსი, რომელსაც ხელში დროშასავით უჭირავს სახელგანთქმული უკრაინული „გორილკა“ (თანაც პილპილით... ვისაც დღემდე არ გიგემიათ, გირჩევთ იგემოთ!) — ნაცვლად თაიგულისა, არავის არაფრად რომ არ სჭირდებაო. დანარჩენიც ადვილი წარმოსადგენია. ამგვარად: დონეცკი — ზაპოროჟიე — ჩერნიგოვი და ა.შ. მუქთად და ლამაზად!

გონებამახვილი ვადიმი ზემოთქმულსა და მის ანალოგიებს, თუ შეიძლება ასე ითქვას, თეორიულადაც ასაბუთებდა (ტყუილად როდი შრომობდა ლიტინსტიტუტის თეორიულ განყოფილებაშიო). ერთხელაც ცედეელის (ლიტერატორთა ცენტრალური სახლი) რესტორანში ვსვამდითო, გვაუწყებს სემანოვი, ვიღაც მსოფლიოსთვის უცნობმა მელექსემ დაგვპატიჟაო. როდესაც შეთვრნენ, სემანოვმა წაუჩურჩულა კოჟინოვს: „ძმაო, უხერხულია, მოდი, ახლა ჩვენ დავპატიჟოთ“. ვადიმის პასუხი ლიტერატურის თეორიის კლასიკაში საპატიო ადგილის დამკვიდრების ღირსი არისო: „კაი ერთი, თუ ძმა ხარ, ეგა პოეტია, მაგ დარეხვილებს ფული ოხრადა აქვთ“.

ს. სემანოვი აღნიშნავს: ჩვენ, ახალგაზრდა და ნაკლებად ცნობილ ლიტერატორებს ჰაერივით გვჭირდებოდა არა მარტო სათანადო ადგილი შეხვედრებისა და მსჯელობისათვის, არამედ რაღაც მანქანებით გაღწევა საზღვარგარეთაც; იმ წლებში ხომ რკინის ფარდას, ვითომც არაფერიო, ფეხით აღებდნენ ოდენ ევტუშენკები, ვაზნესენსკები და მათი მსგავსი ელფერისა და მოდგმის პერსონებიო.

ამიტომაც საკავშირო კომკავშირის ცეკას ფრთებქვეშ ჩამოუყალიბებიათ შემოქმედებითი ახალგაზრდობის საბჭოთ-ბულგარეთის კლუბი. მიუხედავად უღიმღამო-ბიუროკრატიული სახელწოდებისა ცოცხლად და ხალისიანად ვირჯებოდითო.

ამ კლუბის პირველი სხდომა ჩატარებულა 1969 წლის ივნისში. აბა თუ გამოიცნობთ, სად გამართავდნენ? ავტორის სიტყვით, ჩატარებულა „იმხანად მდიდარ ტიფლისში“ (ე.ი. ჩვენს თბილისში). მოსკოველ ლიტერატორთა გარდა ამ ღონისძიებაში მონაწილეობდნენ მაშინდელი „მოძმე რესპუბლიკების“ წარმომადგენელნი, როგორც „ნებისმიერი კულტურულ-პოლიტიკური კერძის გარდუვალი საბჭოთა გარნირი“, აგრეთვე „მოძმე სოციალისტური ქვეყნების მოციქულნი“ — თითო-თითო დელეგატი პოლონეთიდან, უნგრეთიდან და ა.შ.

ყველაზე მრავალრიცხოვანი ყოფილა საბჭოთა და ბულგარული ჯგუფები. საინტერესო ადამიანებს მოუყრიათ თავი და დებატებიც საინტერესო გამოდგაო. ალბათ კიდევ უფრო საინტერესო იქნებოდა სახელგანთქმული ქართული პურმარილი.

დასკვნითი სხდომა უნდა გამართულიყო ბათუმში, მაგრამ მანამდე გონებამახვილ მოსკოველ კრიტიკოსს კვლავ გამოუმჟღავნებია თავისი ავანტიურული ნიჭი საყოფაცხოვრებო სფეროში.

მემუარისტის სიტყვით, კოჟინოვს რომელიღაც ადგილობრივ კლასიკოსზე (გვარს არ ასახელებს) ადრევე ჰქონია გამოქვეყნებული რეცენზია (ეს სიტყვა დედანში კნინობითი ფორმითაა: рецензюшка. ალბათ „პაწაწკინტელა რეცენზიად“ უნდა ვთარგმნოთ, მაგრამ ბუკვალურად თუ გადმოვიღებთ ჩვენს დედაენაზე, „რე-ცენ-ზუ-კა“ იქნება).

სემანოვი მოგვითხრობს, რომ ქართველი კლასიკოსი დაუყოვნებლივ მიბრძანებულა სასტუმროში, სადაც მოსკოველი სტუმრები ბინადრობდნენ და ძვირფასი ვადიმი საქეიფოდ დაუპატიჟნია. კლასიკოსის ავტომანქანაში მოთავსებულან აგრეთვე მოგონების ავტორი და პოეტი საშა უშაკოვი. ქართველ მასპინძელს, ალბათ, მეგობრებიც ახლდნენ.

სემანოვი წერს: „ჩვენ წაგვიყვანეს განცალკევებით მდებარე ტყიან გორაკზე, საიდანაც ხელისგულივით მოჩანდა ულამაზესი ქალაქი. სუფრა გაიშალა პატარა დუქნის ვერანდაზე, ვაზის ტალავერით რომ იყო გარშემორტყმული. სუფრა კი... ჭეშმარიტად ამგვარი რამ ვერც მოგელანდებათ! „არნახული და არგაგონილი“... მას მერე სად არ მომიწია სტუმრობა. ამაზონის პირასაც კი ვყოფილვარ, დამიჩურჩნია თევზი, პირანია რომ ჰქვია, ჩვენებური ვობლის დარად გახმობილი; რამდენი რამ მახსოვს, კუბოს ფიცრამდე რომ არ დამავიწყდება, მაგრამ ის დუქანი... მხოლოდ ვადიმის პოეტურ გენიას შეეძლო ეშვა ასეთივე გენია სუფრისა“.

ალბათ განუწყვეტლივ სვამდნენ ხალხთა ძმობისა და მეგობრობის სადღეგრძელოს. სტუმრები დავით აღმაშენებელსა და თამარ მეფეს (პირველ მეუღლესთან ერთად) ადღეგრძელებდნენ, მასპინძლები — ივანე მრისხანესა და ეკატერინა დიდს. ცხადია, არც პეტრე პირველი და არც სტალინი გამორჩებოდათ. ოღონდ ერთსაც და მეორესაც — ერთი მხარეც იჩემებდა და მეორეც. თავისებურად მართლებიც იყვნენ.

სადღეგრძელოს სადღეგრძელო მოსდევდა, სიმღერას — სიმღერა, ანეკდოტს — ანეკდოტი.

სმა-ჭამა დიდად შესარგიო...

და შეაქეს მხიარულება, რადგანაც არ ყოფილა სხვა სიკეთე ძისათვის ადამისა ამ ლურჯი ცის ქვეშ, გარდა იმისა, რო სვას, ჭამოს და იმხიარულოს.

და მხიარულობდნენ, ვიდრე დაათენდებოდათ. ყველაფერი ზუსტად, სიტყვა-სიტყვით ისე ხდებოდა, როგორც ღვთივკურთხეულ ქართულ პოეზიაშია აღწერილი.

ცისკარმაც აღმოსავლეთი შეჰღება ვარდისფრად, სიხარული მოჰფინა ცას და მშვენება — ქვეყანას. შორს გაბნეულ ღრუბლებსაც მოედოთ ალი. ღამის ბინდი ილეოდა და ვარსკვლავები, ჩვეულებისამებრ, ქრებოდნენ ცაში. ათას ხმად აყივყივებული ფრინველნიც ეგებებოდნენ განთიადს. დილის ნიავიც უწინდებურად აგრილებდა გულს, ყვავილნიც იწყებდნენ ფშვინვას და ფოთლები — შრიალს. იღვიძებდა მიძინებული ბუნება და ბულბულთა გუნდი ტკბილად დაჰგალობდა დაუვიწყარი ეშხითა და ღაზათით გაწყობილ-გაბრწყინებულ ქართულ სუფრას.

ხოლო ძვირფასი სტუმრები კიდევ ერთხელ ლოცავდნენ სტუმართმოყვარე საქართველოს და მის რჩეულ შვილებს; და ცას სწვდებოდა სტუმარ-მასპინძელთა ხმაშეწყობილი სიმღერა: „საქართველოო ლამაზო, სხვა საქართველო სად არი?“

მკვდარი სულები — ესპანურად

„ჩვენ ხმის ჩახლეჩამდე ვყვიროდით და ვაწყდებოდით იმ ქვეყნების კარიბჭეთ, საკუთარ თავს დემოკრატიულებს რომ ეძახიან. ვუხსნიდით, თუ რას ნიშნავდა ჩვენი ბრძოლა, მაგრამ ჩვენ არ გვისმენდნენ“ — დოლორეს იბარურის ეს სასოწარკვეთილი სიტყვები თამამად შეიძლება მოვნათლოთ ვითარცა ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.

ევროპაც და ამერიკაც გულარხეინად ადევნებდა თვალს, თუ როგორ ღაფავდა სულს დონ კიხოტის სამშობლო. გენერალმა ფრანსისკო ფრანკომ, ჰიტლერისა და მუსოლინის სამხედრო ძალთა აქტიური შემწეობით, გაიმარჯვა სამოქალაქო ომში და დააჩოქა ესპანეთის რესპუბლიკა (არ გამართლდა გალაკტიონისეული „გაიმარჯვებს ხალხი, ვისაც ჰყავს ასეთი იბარური!“).

გამარჯვებულმა მეამბოხეებმა რესპუბლიკის ერთგულება, კანონიერი ხელისუფლების მხარეზე ბრძოლა გაუტოლეს „სამხედრო ამბოხებას“ (ჩემი შენ გითხარიო...) და მძვინვარე სამხედრო ტრიბუნალებმა ამგვარ „დამნაშავეებს“ მუსრი გაავლეს. ათი ათასობით ადამიანი სიკვდილით იქნა დასჯილი.

...ხუან პუიოლ გარსიას ჭირის დღესავით ეზიზღებოდა ესპანელი დიქტატორი. თქვენ იკითხავთ — ეს ხუან პუიოლ გარსია ვინ ოხერია, ესპანელი ხალხის სათაყვანო ბელადს (ორმოცი წელიწადი რომ იბელადა!) ამდენს როგორ უბედავსო?! ვაგლახ, არც ნობელის პრემიის ლაურეატი გახლავთ, არც ატომური ბომბი გამოუგონია და არც ევერესტზე აფოფხებულა, მაგრამ მაინც უნიკალური ფენომენი შეიძლება ვუწოდოთ. საქმე ისაა, რომ ხუან პუიოლ გარსიამ სახელი გაითქვა მსოფლიო დაზვერვის ისტორიაში, როგორც ერთ-ერთმა ყველაზე იღბლიანმა „ორმაგმა აგენტმა“. ქართული ანდაზაა: მსახურობდა პეტრესთანა, მსახურებდა პავლესაო. ორი ოპერატიული ფსევდონიმი ჰქონდა: გერმანიის დაზვერვაში ერქვა „რუფუს“, ინგლისის დაზვერვაში — „გარბო“. უფრო მეტად „გარბოს“ სახელით არის ცნობილი და ასეც მოვიხსენიოთ.

ერთი სიტყვით, გარბოს ჭირის დღესავით ეზიზღებოდა ესპანელი დიქტატორი („პუჭურა და სქელტრაკა ფრანკო“ — როგორც ჰემინგუეიმ შეარქვა). იმხელა ზიზღით იყო გამსჭვალული, რომ ეშმაკს მიეყიდებოდა სულით და ხორცით, ოღონდ რაღაც ზიანი მიეყენებინა გაგენერალისიმუსებული გენერლისათვის — თუნდაც მცირეოდენი ზიანი.

გარბო მიიჩნევდა, რომ მხოლოდ და მხოლოდ მოკავშირეთა გამარჯვება მეორე მსოფლიო ომში იხსნიდა ესპანეთს ამ ფაშისტისგან. რა მწარედ ტყუვდებოდა! მოკავშირეებმა დიახაც გაიმარჯვეს, მაგრამ დასავლეთში გაითვალისწინეს გენიალური ამერიკული აფორიზმი (ხმარებით რომ არ ცვდება) — ძაღლიშვილი კია, მარა ჩვენი ძაღლიშვილი არიო, და ფრანკომ სიკვდილამდე წარმატებით იდიქტატორა ესპანეთში.

გარბომ თავდაპირველად თავისი სამსახური შესთავაზა ინგლისელებს, მაგრამ ქედმაღალმა ინგლისელებმა ახლოსაც არ გაიკარეს. მაშინ დაუკავშირდა გერმანიის აბვერს ანუ სამხედრო დაზვერვას და 1941 წლის ივლისში მადრიდიდან გაემგზავრა ინგლისისაკენ. გერმანელებმა სათანადოდ მოამარაგეს საჯაშუშო აღჭურვილობით.

გარბომ გადაწყვიტა შეჩერება პორტუგალიის დედაქალაქ ლისაბონში (პორტუგალიასაც ფაშისტური რეჟიმი მართავდა) და ხელახლა სცადა კონტაქტების დამყარება ინგლისის დაზვერვასთან. ამაოდ დაშვრა.

სამაგიეროდ ამაყად აცნობა აბვერს, რომ მშვიდობით ჩავიდა დანიშნულების ადგილზე, ხელი მოჰკიდა ანგარიშების წერას, ბრიტანეთის სამხედრო ფლოტსა და სავაჭრო ნაოსნობას რომ ეძღვნებოდა და, რაც მთავარია, შეუდგა საკუთარ მსტოვართა ქსელის შექმნას დიდი ბრიტანეთის ტერიტორიაზე.

1942 წლის იანვარში გარბომ, რომელიც ჯერ ისევ ლისაბონში იმყოფებოდა, „ვერაგი ალბიონის“ სპეცსამსახურთა წარმომადგენლებს კვლავ შესთავაზა თავისი სამსახური... ორმაგი აგენტის როლში! ამჯერად თანხმობა მიიღო და იმავე წლის აპრილში, ცოლ-შვილთან ერთად, ჩაბრძანდა ინგლისში, სადაც ომის დასასრულამდე რჩებოდა.

ლონდონში, უწინარეს ყოვლისა, ჩამოაყალიბა მითიური აგენტების ქსელი და აუწყა აბვერს, რომ მის განკარგულებაშია 14 საიდუმლო აგენტი და 11 ინფორმაციის წყარო. სოლიდურობისათვის აიყვანა მოადგილე, სათადარიგო რადისტი და რამდენიმე თანაშემწე — გაფანტულნი მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე (უფრო სწორად რომ ვთქვათ — ქაღალდზე).

თავს ხოშიანად ირთობდა! ერთ მშვენიერ დღეს სინამდვილეში არარსებულ აგენტ-ქალს დაარქვა „რენ“ (Wren). ეს იყო აბრევიატურა შემდეგი ორგანიზაციისა: Women's Royal Naval Service (ქალთა სამეფო სამხედრო-საზღვაო ფლოტის დამხმარე სამსახური).

გარბომ ეს არარსებული ქალბატონი გაამწესა დიდი ბრიტანეთის საომარ მოქმედებათა სამხრეთ-აზიური თეატრის შტაბში კუნძულ ცეილონზე და მისგან ვითომდა იქიდან იღებდა ინფორმაციას. აბვერი მიღებულ დეზინფორმაციას გადასცემდა იაპონიის სამხედრო ატაშეს ბერლინში, ის კი უმალვე აწვდიდა ტოკიოს.

ყოჩაღი მსტოვარი გარბო გერმანიასაც ეომებოდა და იაპონიასაც!

გარბოს პატაკი ჩრდილოეთ აფრიკაში ინგლისელ-ამერიკელთა გადასხდომის (1942 წლის ნოემბერი) თაობაზე აბვერის ხელში მოხვდა უკვე გადასხდომის შემდეგ. გერმანელთა საპასუხო უწყებულებაში ნათქვამი იყო: „თქვენი ბოლო მასალები უაღრეს შექებას იმსახურებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენამდე აღწევს დაგვიანებით. განსაკუთრებით სამწუხაროა, რომ ეს მოხდა თქვენს ბოლო გაფრთხილებაზე აფრიკაში ინგლისელთა და იანკების დესანტის შესახებ“.

გულდათუთქული აბვერი ფოსტას აღარ ენდობოდა და გადწყდა, რომ გარბოსთან რადიოკავშირი დაემყარებინათ.

გარბოს მეოხებით, ინგლისელებს ხელთ ჩაუვარდათ რამდენიმე ნამდვილი აგენტი აბვერისა, დიდი ბრიტანეთის მიწა-წყალზე რომ ირჯებოდნენ. ხოლო აბვერს გარბოს მითიურ მსტოვართა ქსელის შენახვა დაუჯდა 340 ათასი დოლარი.

გერმანელებმა გარბო დააჯილდოვეს „რკინის ჯვრით“, ინგლისელებმა კი მიანიჭეს წოდება ბრიტანეთის იმპერიის საპატიო წევრისა.

თავისი კარიერა ორმაგი აგენტის როლში გარბომ აღწერა თავის წიგნში, რომელსაც ლაკონიურად და მოხდენილად „გარბო“ უწოდა.

...ქენი

ლიტერატურულ კაფეში **„დივანი“** გაიმართა **ნუციკო დეკანოზიშვილის** ახალი პოეტური კრებულის **„ნამსხვრევები“** წარდგინება.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა და უძღვებოდა პოეტის ქალიშვილი **თეკლე ჯამრულიძე**, სიტყვით გამოვიდნენ: **ადა ნემსაძე**, **როსტომ ჩხეიძე** და **კონსტანტინე გამსახურდია (უმცროსი)**. აგრეთვე **ნათია ორმოცაძე**, რომელმაც წაიკითხა რამდენიმე ლექსის რუსული თარგმანი. ლექსები წაიკითხა თვითონ ავტორმა.

საღამოს მუსიკალურად აფორმებდა პიანისტი **ვასო ლაღიძე**. შესრულდა ჯაზური თემები, შუბერტის, შოპენის, მოცარტისა და ჰაიდნის ნაწარმოებები, აგრეთვე კეიტ ჯარეტის თემები და ნუციკო დეკანოზიშვილის იმპროვიზაციები.

„ნამსხვრევები“ შეფასდა, როგორც წარმატებული გამოცემა, კარგად გააზრებული პოეტური რკალების ერთობლიობა, რომელიც დაუფარავად აშიშვლებს ლირიკული გმირის სულს, მართლაც ნამსხვრევებად ქცეულს, ოღონდ, მიუხედავად მარტოსულობისა და შინაგანი კრიზისისა, არ იკარგება იმედი და ყოველწამს მოსალოდნელია ნამსხრევების შეკოწიწება და გამთლიანება იმ ჰუმანიზმის, თანაგრძნობისა და სიყვარულის წყალობით, ვერანაირი სასტიკი გარემო რომ ვერ აზრობს.

საგანგებოდ აღინიშნა გამომცელობა **„საუნჯის“** მიზანმიმართული მოღვაწეობა ჩვენი სამწერლო პროცესის ხელშესაწყობად, ნამდვილ ლიტერატურულ ღირებულებათა წარმოსაჩენად.